

მეცნე

ენისა და
ლიტერატურის
სერია

3.1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

თბილისი • 1971 • ТБИЛИСИ



МАЦНЕ

ВЕСТНИК



Серия
языка и
литературы

3. 1971

მაცნე



ენისა და
ლიტერატურის
სერია

3. 1971

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.
შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (заместитель редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цаишвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19
ტელეფონი 37-24-07

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.XI.71; შეკვ. № 1590; ანაწილის ზომა $7 \times 11 \frac{1}{2}$;
ქაღალდის ზომა $7 \times 108 \frac{1}{16}$; ნაბეჭდი თაბანი 16,8; საარტიტვო-საგამომცემლო
თაბანი 15,13; უკ 01885; ტირაჟი 1 500.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

+	ბ. ხერხეულიძე, „ციხეური ყანები“ ოციან წლებში	7
	ბ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული ხელნაწერის დასურათების საკითხისათვის	23
	ი. გიგინეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფის წაიკითხვისა და გაგებისათვის .	35
	თ. მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე საკითხის წყაროს დადგენისათვის	59
	ჟ. ავსაჯანიშვილი, ალ. ყაზბეგის „ხვეისბერა გოჩას“ ხალხური წყაროების საკითხისათვის	(75)
	ბ. აბაშიძე, წარმართულ ლეგენდათა საკითხი ქართული ზეპირსიტყვიერებას მიხედვით	(79)
	მ. ივანიშვილი, ტრადიციისა და ნოვატორობისათვის ხოსროვის რომანში „შამს ოთორა“	81
	ნ. სებაძე, „წარტყუნეაჲ იერუსალშმისაჲს“ შესწავლის ისტორია	103
	ბ. მახარაძე, რუსულიდან ქართულზე ავტომატური თარგმნის საკითხისათვის	111
	ლ. ნადარეიშვილი, ერთი საერთო-ქართველური ძირის შესახებ	124
	ი. ჩანტლაძე, საზოგადო და გეოგრაფიულ სახელთაგან მომდინარე ადგილის ზმნისათვის სუბსტანტივები	(129)
	ჟ. ლომიძე, სემანტიკური დერივატა (რუსული სუბიექტი არსებითი სახელები)	145

ცნობები და შენიშვნები

ა.	ასიანელიშვილი, ბერძნული კრიტიკარაჲ ქართულ ხელნაწერში	159
	ბ. ჯამახიშვილი, ქუროსი „პოლონოე სლოვო“ რევოლუციონერ-ჩეჩენიშეესკელუბის ორგანო	163

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ა.	ონიანი, ზ. სარჯველაძე, ქართული ტოპონიმის საკითხთა დამახინჯების წინააღმდეგ	160
	ი. ძალაძე, „ვის ო რამინის“ პირველი კრიტიკული გამოცემა	183

პროზა და ინფორმაცია

ა.	ლაწლმოსილი. ქურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორის დაბადების 70 წლისთავი	188
	ბ. გომიანიშვილი, ანტონ ბაგრატიონისადმი მიძღვნილ სესიაზე	181
	ი. წაქაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს სესიაზე	190

ანოტაციები

ახალი წიგნები		192
---------------	--	-----

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Г. ХЕРХЕУЛИДЗЕ, «Голубые роги» в двадцатые годы	7
Г. ШАРАДЗЕ, К вопросу о миниатюрах рукописи поэмы «Витязь в тигровой шкуре» S—5006.	23
И. ГИГИНЕИШВИЛИ, К чтению и толкованию одной строфы поэмы Руставели «Вепхисткаосани»	35
Т. МГАЛОБЛИШВИЛИ, Об источниках некоторых «Чтений», приписываемых Кириллу Иерусалимскому	59
Э. АВСАДЖАНИШВИЛИ, К вопросу о фольклорных источниках повести А. Казбеги «Хевисбери Гоча»	75
Б. АБАШИДЗЕ, К вопросу о языческих божествах в грузинском народном творчестве	79
М. ИВАНИШВИЛИ, О традиции и новаторстве в романе Хосрови «Шамс о Тогра»	89
Н. СЕСАДЗЕ, История изучения «Пленения Иерусалима»	103
Г. МАХАРОбИДЗЕ, К вопросу автоматического перевода с русского языка на грузинский	111
Л. НАДАРЕИШВИЛИ, Об одном общекартвельском корне	124
И. ЧАНТЛАДЗЕ, Наречия места, происходящие от нарицательных и географических имен в сванском языке	129
Е. ДОКВАДЗЕ, Семантическая деривация (русские одушевленные существительные)	145

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Л. АТАНЕЛИШВИЛИ, Греческая криптограмма в грузинской рукописи	159
Г. ДЖАВАХИШВИЛИ, Журнал «Подпольное слово» — орган революционеров-чернышевцев	163

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. ОНИАНИ, Э. САРДЖВЕЛАДЗЕ, Против извращения вопросов грузинской топонимики	169
И. КАЛАДЗЕ, Первое критическое издание «Вис о Рамис»	183

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

70-летие со дня рождения редактора журнала «Беди Картлиса»	185
М. ГОГИЧАИШВИЛИ, На сессии, посвященной Антону Багратиони	189
И. ЦАКАДЗЕ, На сессии Совета молодых ученых	190

Аннотации

Новые книги	192
-------------	-----

გრიგოლ ხარხაულიძე

„ცისფერი ყანწები“ ოციან წლებში

ქართველი სიმბოლისტების გაერთიანება „ცისფერი ყანწები“ ოციან წლების ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში წარმოადგენდა ყველაზე მეტი ყურადღებისა და აზრთა სხვადასხვაობის საგანს. ეს ვითარება ორი მომენტი იყო შეპირობებული. ჯერ ერთი, აღნიშნული ჯგუფის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლით (1916 წ., ქუთაისი) ქართულ მწერლობაში ორგანიზაციულად გაფორმდა დასავლეთევროპული წარმოშობის დეკადენტურ-სიმბოლისტური სკოლა, რომელმაც, მიზნად დაისახა რა ეროვნულ ნიადაგზე მოდერნიზმის დამყნობა და ქართული პოეზიის სრული რეფორმაცია, თავისი მოღვაწეობა განაგრძო საბჭოთა საქართველოს პირველ ათწლეულშიც: მეორეც, „ცისფერი ყანწები“ თავის თავს ლიტერატურაში ამკვიდრებდა, უმთავრესად და უპირატესად, ლირიკული პოეზიით. აქ გაერთიანებული იყვნენ უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული და მოაზროვნე პოეტური ძალები, რომლებიც ყოველ თავიანთ ახლად გამოქვეყნებულ ლექსში თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ გამოსვლაში ცდილობდნენ ყოფილიყვნენ ორიგინალურნი, რასაც, ზოგიერთ დადებით მომენტთან ერთად, არაიშვიათად ამკარად მიუღებელი ტენდენციებისა და უცნაურობის ელფერი გადაკრავდა. არანაკლები მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ აღნიშნული სკოლის ფუძემდებლები და ლიდერები, სწორედ, ცნობილი — პოეტები პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე იყვნენ. აი, ჩვენი ფიქრით, ის ორი ძირითადი ფაქტორი, რაც ქართველი სიმბოლისტებისადმი ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას განსაზღვრავდა როგორც ლიტერატურული წრების, ისე მკითხველთა საზოგადოების მხრივ.

ქართველი სიმბოლისტების პირველი ლიტერატურული ორგანო „ცისფერი ყანწები“, რომელიც 1916 წელს ქუთაისში გამოვიდა ორ ნომრად, მასში ნოთაცენტული მანიფესტით, საპროგრამო წერილებითა და მხატვრული ნაწარმოებებით საცხებით ამკარად გვამცნობდა თავის შემოქმედებითს კრელოსა და მხატვრულ-პრაქტიკული მიმართულების პრინციპებს. ეს მრწამსი ემყარებოდა მსოფლიოში კარგად ცნობილი სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლის ესთეტიკურ თეორიას.

სიმბოლაზში, როგორც ლიტერატურულ-მხატვრული მიმართულება, დასავლეთევროპული ბურჟუაზიის სოციალურად დაცემული კლასობრივი იდეოლოგიის პირშემა. იგი ამოიზარდა ფრანგულ სინამდვილეში გასული საუკუნის მეორე ნახევარში როგორც პარანასული სკოლის თავისებური გავრცელება, მაგარამ, პარანასიზმისაგან განსხვავებით, იგი უკიდურესი დეკადანსით ხასიათდებოდა, უპირასპირდებოდა ხელოვნების რეალისტურ სტილს, როგორც მისი უარყოფა. რეალიზმის საწინააღმდეგოდ, სიმბოლაზში ანახვის: საგნად იხდის არა

გარემო სინამდვილეს თავის ობიექტურ განფენილობაში, არამედ თავის მიერვე შექმნილ არარსებულ სამყაროს, ახდენს სინამდვილის მისტიფიკაციას. მისეული მხატვრული მოდელი ცხოვრებისა აგებულია სიზმარეული ჩვენებების, ირეალური ქვეყნის და სანახევროდ პათოლოგიური წარმოდგენებისა თუ ასოციაციების საფუძველზე. სიმბოლოებით აზროვნება, რაც საერთოდ ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი მხატვრული მეთოდია, სიმბოლისტიკაში შემოქმედების უმთავრეს ფეტიშურ პრინციპად გაიხადეს და მხატვრულ აზროვნებაში მხოლოდ მას მიანიჭეს ჰეგემონია. ამის შედეგად მხატვრული სახეები მათს ნაწარმოებებში ხშირად მეტად რთული და არცთუ იოლად ამოსახსნელ ამოცანებად იქცნენ, რაც, რასაკვირველია, ძნელად გასაგებს ხდიდა შემოქმედებითი ფაქტის აზრსა და შინაარსს.

ყოველი მხატვრული მიმდინარეობა, როგორც იდეოლოგიის სპეციფიკური დარგი, თავის შემოქმედებითს პრინციპებს ემყარება და ყოველ მათგანს აქვს თავისი ფილოსოფიური საყრდენი. სიმბოლიზმის ფილოსოფიურ საფუძველს სუბიექტური იდეალიზმი წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ სიმბოლიზმის უბადლო თეორეტიკოსი ანდრეი ბელი, აღგენს რა ამ ლატერატურული სკოლის მეცნიერულ პოსტულატს, ყურადღებას ამახვილებს ძირითადად კანტის, შოპენჰაუერისა და ნიუშეს ფილოსოფიურ შეხედულებებზე. პრაორიტეტი მაინც კანტს მიეკუთვნება. კანტის ფორმულა—საგანი თავისთავად და საგანი ჩვენთვის — ესთეტიკაშიც ვრცელდება და პოეზიაც, ამისდა მიხედვით, ყველას საკუთრებას არ შეიძლება წარმოადგენდეს. წმინდა გონების კრიტიკის ავტორის ესთეტიკას უშუალოდ უკავშირდება სიმბოლიზმი. ა. ბელი წერს: „Критицизм—призма, разбивающая свет души на радужные краски. Символизм—обратно поставленная призма, опять собирающая эти радужные краски. Символизм без критицизма и критицизм без символизма охватывали бы мир однобоко: пройдя сквозь призмы символизма и критицизма, мы становимся мудрыми как змеи и незлобивыми, как голуби“¹. ძნელია ისეთ ავტორიტეტებთან კამათი, როგორებიცაა ფილოსოფიაში კანტი და ლიტერატურის თეორიაში ა. ბელი, მაგრამ მატერიალისტურ ესთეტიკაში დადგენილია, რომ ხელოვნება არის არა ცალკეული სუბიექტის სულის პრიზმაში გადამტყდარი სინამდვილე ან ფერთა უშინაარსო ბრჭყვიალო, არამედ გარკვეული სოციალური კატეგორია, რომელიც მოწოდებულია ხალხს ნამდვილი მშვენიერებით გამოწვეული სიხარული მიანიჭოს.

ქართულმა სიმბოლიზმმა მეტ-ნაკლებად ათთვისა დასაკლეთვერობული და რუსული ამ დეკადენტური სკოლის ძირითადი პრინციპები და მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც გააგრძელა იგი ეროვნულ სინამდვილეში. ასე შეიქმნა ჩვენში სიმბოლისტური სკოლა, სადაც წამყვან როლს თამაშობდნენ შემდეგში უკვე კარგად ცნობილი პოეტები: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე, რაქვენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ნ. მიწისვილი.

ქართველი სიმბოლისტების მანიფესტი, რომელიც „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში დაიბეჭდა, ზარზუიმით გვაუწყებდა:

¹ А. Б е л ы й, Символизм, М., 1910. гл. 20.

„საქართველოს მგოსნებს,
ყველა შეოცნებებს,
ქართველ ხალხს!
ისმინეთ ყველამ ჩენი ქადაგება!...“

საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილობით და ოცნება დაკარგულ ხალხს ვასწავლოთ განწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ... პირველთქმა ჩენი არის შხამური, იგი აღუღებულ ფოლადივით დასწევას თქვენს გულს, უწმინდესი ხელოვანის მტერნო, თქვენ ვისაც არა გწამთ ხელოვანის მეფობა და მისი ვაღალა ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდომობას².

„პირველთქმის“ ამ დასაწყისის სტრიქონებს უკვე აშკარად დაჰკრავს მოღერნიზმის ცნობილი ლოზუნგის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის!“ — იერი. როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი ხელოვნების სოციალური არსისა და ფუნქციის შესახებ. ასეა მთელი მანიფესტის მანძილზე. სამაგიეროდ მასში სავსებით ცხადად არის გამოხატული კორპორანტთა ლტოლვა უცნაურობისა და არაჩვეულებრივობისადმი. „ჩვენ გვსურს შევექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, — ვკითხულობთ შემდეგ, — ჩვენ სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალფერებს, რომელთა ხალისიანი ტეკვა გააგიუებს თქვენ მიძინებულ თვალთა ცქერას“³.

ამ ნათქვამშიც ძნელი არ არის გამოვიცნოთ სიმბოლოზმის ფუძემდებლების ნიერ არაერთხელ გაცხადებულ მოსაზრება, რომ მხატვრული სიტყვა ძნელად გამოსაცნობ ფენომენს უნდა წარმოადგენდეს, რომ, გარდა ამისა, სიტყვის როგორც გრაფიკულ, ისე ფონეტიკურ მხარეს აქვს თავისთავადი, პოეტური სემანტიკისგან დამოუკიდებელი ღირებულება. და უფრო მეტიც, ყოველ ასო-ბგერა აღძრავს ჩვენში რომელიმე გარკვეული ფერის ან მოვლენის ასოციაციას.

ამ თეორიის მხატვრული დადასტურებაა არტჟურ რემბოს ცნობილი ლექსი „ხმონებც“ („Гласные“). ძალზე საინტერესოა მისი გახსენება:

А — черный; белый — Е; И — красный, У — зеленый,
О — синий: тайну их скажу я в свой черед.
А — бархатный корсет на теле насекомых,
Которые жужжат над смрадом нечистот.
Е — белзна холстов, палаток и тумана,
Блеск горных ледников и хрупких опавал.
И — пурпурная кровь, сочащаяся рана
Иль алые уста средь гнева и похвал.
У — трепетная рябь зеленых вод широких
Спокойные луга, покой морщин глубоких
На трудовом челе алхимиков седых.
О — звонкий рев трубы, пронзительный и странный,
Полеты ангелов в тиши небес пространной,
О — дивных глаз ее лиловые лучи⁴.

² ვ. ი. ა. შ. ე. ი. ლ. პირველთქმა, „ცისფერი ყანწები“, ქუთაისი, 1916, გაზაფხული.

³ იქვე.

⁴ А. Рембо, Гласные. Стихотворения, М., 1960, стр. 82.

ჩვენ აქ ნათლად ვხედავთ, რომ ხმოვან ასო-ბგერებს დაკისრებული აქვთ თავისებური, პირობითი დანიშნულება. ისინი წარმოსახავენ ავტორის რომელიმე განცდას ან გარკვეულ ფერტა გამას.

გარდა იმისა, რომ ცისფერყანწულები უკრიტიკოდ დებულობდნენ სიმბოლიზმის ძირითად ესთეტიკურ პრინციპებს, ისინი ცდილობდნენ დაესაბუთებინათ საქართველოში ამ ლიტერატურული მიმართულების დამკვიდრების აუცილებლობა და ამ მიზნით ეროვნულ სამყაროში უძებნიდნენ მას საყრდენ ნიჟადაც, ცდილობდნენ დასავლეთევროპული და ქართული სახე-მოტივების შერწყმასა და დანათესაებას. საინტერესოა, თუ როგორ განმარტავდა ამ საკითხს ცისფერყანწულთა ერთ-ერთი იდეოლოგი ტიციან ტაბიძე: „არის ნიადაგი ჩვენში სიმბოლიზმისათვის? — აყენებს კითხვას ტ. ტაბიძე და თვითონვე პასუხობს, — ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების, რატომ იღებდა ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არის. ამას ჩვენში ხომ დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა, ეს აქტიორობა და თეატრალიზაცია ცხოვრების. ეს ბუნება შეუწყველელია ჭერ სრულად. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფია ამ ნიღაბის. და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“.

როგორც ვხედავთ, ავტორი მეტად გონებამახვილურად და ორიგინალურად ასაბუთებს თავის დებულებას. განსაკუთრებით საინტერესოა თეატრალიზაციისა და ნიღბების ანალოგია. ერთი შეხედვით, აქ მართლაც არის რაღაც ხელჩასაჭიდა და დამაფიქრებელი. მაგრამ საკითხს თუ ნამდვილ ისტორიულ თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ რომ ქართული და დასავლეთევროპული თეატრალიზაცია თუ ნიღაბი სრულიად სხვადასხვა სოციალურ-იდეოლოგიური ფაქტორებით იყო განპირობებული. ერთი გამოხატავდა ფეოდალური და შეიძლება უფრო აღრინდელი ეპოქების საზოგადოებრივ-ესთეტიკურ იდეალებს, სადაც მაღალი ფენების განწყობილებებთან ერთად საერთო-სახალხო ინგრედიენტიც, რაც მთაყარია, ქარბად ერია, ხოლო მეორე წარმოადგენდა დაქვეითების გზაზე დამდგარი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სოციალური წრეების მხატვრულ გემოვნებას. ეს გარემოება კი, რა თქმა უნდა, საეჭვოს ხლის წერილის მტკიცებას სიმბოლიზმისა და ძველი ქართული კულტურის მკიდრო ურთიერთობის შესახებ.

გარდა ამისა, პოეტის მსჯელობაში აშკარად შეიჩინევა რემი დე გურმონის ნიღაბთა თეორიის გავლენა. ფრანგმა ავტორმა თავისი ეტყულების კრებულს, რომელშიც ევროპის ცნობილი პოეტების ნაწარმოებებია განხილული, „ნიღაბთა წიგნი“ უწოდა და ამით გვანაშნა, რომ პოეზია ნიღბებით აზროვნებაა. ე. ი. ერთ-მანეთს ემთხვევა სახის, სიმბოლოს და ნიღბის ცნებები⁶. ტყუილად როდი ამბობდა ვ. გაფრინდაშვილი: „ბუნება ტაძარია და ყოველი მხრიდან გვიყურებენ სიმბოლოები, რომელნიც ითხოვენ მათ გაცნობას“⁷. ტ. ტაბიძე კი დაბეჭდვით ცდილობდა ქართულ სინამდვილეში გაემართლებინა სიმბოლიზმის არსებობა.

ტიციან ტაბიძის ამ თეორიამ პრაქტიკული ასახვა პოეზიის პოეზიაშიც. აა სტრიქონები მისი ლექსიდან:

ტ. ტაბიძე, ცისფერი ყანწებით, „ცისფერი ყანწები“, ქუთაისი, 1916

⁶ Ремиде Гурмон, Книга масок. 1913.

⁷ ვ. გაფრინდაშვილი, პეიზაჟი უკულმა „ბარბიკალი“, 1922, № 5.

გაფიზის კარდი მე პრედონის
ჩაყვ ეაზაში.
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის
ბორტ ყვავილებს*.

ამ სიტყვებში გამოხატულია ავტორის მისწრაფება აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურული მოტივების შერწყმისა. ეს ლექსი დაწერილია 1916 წელს, სიმბოლიზმის ოფიციალურად გამოცხადების ხანს. იმავე ტენდენციას ცისფერყანწელები არც შემდგომ თმობენ. ამას ადასტურებს, მაგალითად, გიორგი ლეონიძის ლექსი „ავტოპორტრეტი“, სადაც აგრეთვე ორიგინალურადაა გამოთქმული ანალოგიური აზრი:

პოეზიაში, როგორც რუმბში ჩაყვლებული.
ყველა წვეწებში, ჯგუღა შხაში სული ჩაყაწე,
არტაურ რუმბოსთან ბორტ ტყუჰად ჩახტებულღ
მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჰევჰავაჰე*.

აქ უკვე პოეტს სრულიად თავისებური და შთამბეჭდავი სახე აქვს მონახული თავისი მხატვრული გემოვნებისა და მრწამსის გამოსავლენად. ერთი მხრივ, რუმბო „დაწყველილ პოეტთა“ ჩაინდი, ხოლო აქეთა მხარეს თეიმურაზი და ჰევჰავაჰე. წარმოვიდგინოთ, რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო პოეტის სურვილი უჩვეულო პოზაში საკუთარი თავის დაყენებისა, რომ ასეთი შორეული, ერთიმეორისაგან რადიკალურად განსხვავებული სახეები ერთმანეთის გვერდი-გვერდ მოეთავსებინა.

ცისფერი ყანწელების მოღვაწეობა უფრო ფართო ხასიათს ღებულობს მათი თბილისში გადმოსვლის შემდეგ.

1922 წელს ქართულმა სიმბოლისტებმა საჭიროდ დაინახეს კიდევ ერთხელ გამოსულიყვნენ დეკლარაციით ლიტერატურის მოყვარულთა წინაშე. ამჯერად მათი განცხადება დაიბეჭდა გაზეთში „ბარჩიკაი“. მასში აღნიშნულია: „ცისფერი ყანწები“ ერთადერთი შკოლაა პოეტების საქართველოში, რომელიც თავის თავს ამტკიცებს მხოლოდ ესთეტიკურად⁸. ამით ნათქვამია, რომ ქართული სიმბოლისტები არ დალატობენ ერთხელვე არჩეულ შემოქმედებითს გზას, არამედ მათთვის ისევ და ისევ მთავარია არა ცხოვრებისეული რომანტიკა, არამედ „წმინდა ხელოვნების“ სიმშენიერით თრობა. ცისფერყანწელთა იმ დროის ლექსებში არამცთუ ასახვას, უბრალო გამოჩნაურებასაც კი ვერ პოულობს საქართველოში მომხდარი საზოგადოებრივი გარდატეხანი, ახალი აღმშენებლობის დასაწყისი. მათი ზოგიერთი განცხადება თანადროულობასთან დაახლოების სურვილის შესახებ ლიტონ სიტყვებად რჩება, სინამდვილეში კი ისინი განაგრძობენ მათთვის ჩვეული თემატიკის დამუშავებას: ისევ მათივე გამოჩნსი საშკაროთი გატაცება, ისევ მოჩვენებები და უცნაურობანი, ისევ ბოდღერის, ვერლენის, რუმბოსა და მალარმეს რემინისცენციები.

მართალია, პ. იაშვილმა, ახალ საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსთან ერთად, იმავე წელს მოწოდებით მიმართა თავის კოლეგებს: „ამხანაგებო, ნუ გე-

8 ტ. ტაბიძე, წიგნიდან „ქალღეას ქალაქები“, რჩეული, 1960. გვ. 185.

9 გ. ლეონიძე, ავტოპორტრეტი, „მეოცნებე ნიაპორები“, 1921, წიგნი მეექვსე, გვ. 4.

10 დეკლარაცია „ცისფერი ყანწები“, „ბარჩიკაი“, 1922, № 4.

ზარებათ ჩამოცილება ძველი ფესვების, დროა გადიქენენ ოქროს ზარებად აცრემლებული ჩვენი ლექსები¹¹, მაგრამ ამას არც მისთვის და არც მისი თანამოკალმეებისათვის ერთ ხანს სასურველი შედეგი არ გამოუღია. პ. იაშვილი ღრმად არის მოქცეული ძველი განწყობილებების წრეში. წარსულის ლანდები, ევროპისაკენ ლტოლვა და ხანაც სოფლის მოგონებები განსაზღვრავს მის პოეტურ გულისყურს. „წარსულის უკუღმართული კვილი“, როცა „ქარავენები სკლიან ოქროებს ძველ მადნებიდან“, „ყვითელ ორპირში ყანჩების კვალი“ და „მწვანე ცხენისწყლის ციებ-ციხლება“, „თეთრი ძროხების ჯოგი“ და „შემოდგომა მოწყენილი და ღრუბლიანი“, „პარიზი, გულის და თვალის აპხელი“ და „კათოლიკების მონასტერში ლოცვა“ — მხატვრულ სახეთა ეს არსენალი, რომელიც ავტორის უბეჭველ ნიჭიერებაზე მეტყველებს, მოწმობს პოეტის განწყობილებათა ეკლექტურობას.

რევოლუციამდე ქართულ პრესაში გამოჩნდა ლექსები „ელენე დარიანის“ ხელმოწერით. შემდეგ გამოირკვა, რომ ამ ფსევდონიმს ამოფარებული იყო პაოლო იაშვილი. ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუ რად დასჭირდა ისეთი მაჟორული ხმის მამაკაც პოეტს, როგორც პ. იაშვილი იყო, ქალის სახელითა და გვართ ლექსების ბეჭდვა. როგორც გადმოგვცემენ, ცისფერყანწელების სურვილი იყო კორპორაციაში ჰყოლოდათ პოეტი ქალი. ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტიც ყოველივე უჩვეულობისა და უცნაურობისადმი მათი სწრაფვის დამადასტურებელია. ელენე დარიანის კამერულ დღიურებში ჩვენ ვხედავთ საკმაოდ ლამაზი და გონებაგახსნილი ქალის პორტრეტს, რომელსაც არ აკლავ არც ზომიერი ვნებიანობა და არც ნებისყოფა. საინტერესოა მისა განცდები, ბუღუარი და საერთოდ დღიური ყოფა. ეს მანდილოსანი პოეტი უფრო სააფოსო ღა ყორე სანდის ნარევი ტიპია, რომელიც ანა ახმატოვასთანაც ამყარებს სულიერ ნათესაობას. სანიმუშოდ მოვიყვანოთ ლექსი „დარიანული“, რომელიც სათაურის მიხედვით, ლირიკული გმირის ხასიათს უნდა ამჟღავნებდეს:

დაიტანჯა	მე	ლოყაზე
მაჯა		დამრჩა
მარჯნის		ფარჩა
მძიმე		ცხელი პირის
ჯაჭვის		მოკარებით.
ტარებით		დაიტანჯა
ბევრი ტრემლი		მაჯა
დამეხარჯა		მარჯნის
ერთი ღამის		მძიმე ჯაჭვის
ნეტარებით.		ტარებით
დაიტანჯა		ჩემს დამტანჯველს
მაჯა		ღმერთი
მარჯნის		დასჯის
მძიმე ჯაჭვის		ქაქად
ტარებით.		გადაგვარებით ¹² .

ეკითხულობთ ამ ლექსს და ვგრძნობთ მოვლენისადმი ქალურ მიდგომას. ქალურ განწყობილებას და ქალურ სუნთქვას, რასაც უფრო აძლიერებს ფინალური აკორდი. გარდა ამისა, აქ უტყუარად ვადასტურებთ ფორმისეულ სიბზ-

11 პ. იაშვილი, პოეტი და ადამიანი, ერთგომეული, 1965, გვ. 18.

12 პ. იაშვილი, დარიანული, ერთგომეული, 1965, გვ. 169.

ღეს, რაც გამოიხატება არა მარტო სხვადასხვა მარცვლოვან ტაქტთა შეწყობით, რითაც ახლებური რიტმი იქმნება, არამედ ალიტერაციის მარჯვე, ძალდაუტანებელი გამოყენებითაც.

არა მარტო ცისფერყანწელთა შორის, არამედ ოციანი წლების მთელ ჩვენს ზოგზიაში დიდი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ტიცთან ტაბიძე — წართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, თეორეტიკოსი და მებაირახსტრე. იგი პაოლო იანვილთან ერთად დაეინებული რწმენით იცავდა და ხელმძღვანელობდა ცისფერყანწელთა ლიტერატურულ ორღენს. ფართო სამწერლო ურუდიციითა და ნაღდი პოეტური ტალანტით აღჭურვილი პოეტი დიდი შინაგანი წვისა და შემოქმედებითი გზების ძიების პროცესს განიცდიდა. თავიდან თვითდაჯერებული სიმბოლისტი, ბოდლერის, მალარმეს და სხვა გამოჩენილ პოეტთა თაყვანისმცემელი, ოციანი წლების დამდეგს თავის ლატერატურულ არსენალს სხვა დეკადენტური ნაკვლებითაც ავსებს და მოღერნისტული ზოგზიის თავისებურ ნაზავს გვაწვდის. ამას თვით პოეტიც აღიარებს ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში, როცა ცისფერყანწელთა შემოქმედებითს სიმპათიებზე გვესაუბრება. იგი წერს: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჯერ კიდევ სიმბოლიზმი, ფრანგი სურეალისტები და დადაისტები გვიზიდავდნენ“¹². გასაგებია, რომ ისეთ ლიტერატურულ მიმართულებებს, როგორც არის დაღიზნი და სურეალისტში, რომელთაც ბევარი რამა აქვთ საერთო სიმბოლიზმთან, ადვილად შეეთვისებოდნენ ცისფერყანწელები.

მართლაც, თუ დაკვირვებით წავიკითხავთ ოციანი წლების პირველი ნახევრის ლექსებს ტ. ტაბიძისა, დავრწმუნდებით, რომ ჯერ კიდევ მძლავრია მათში აღნიშნული დეკადენტური გადახრების ხეღრითი წონა. ლექსები: „პაოლო იანვილს“, „ღროშა ქიმერიელთა“ „ნინა მაცუაშვილს“, „მელიტას“, „სეზონის ფალავანი“, „ორპირის ოქროპირი“, „ოცდასამი აპრილი“, „უფემური კვირა“ და სხვ. ამის თქმის საბაბს ნამდვილად იძლევიან. ამ ლექსებში ბუნებრივი ინერციით გაღმოდინან ძველი მოტივები და სახეები, რომლებმაც მათ ავტორს სიმბოლისტის სახელი მოუპოვეს. ქალღეას ნანგრევები და სიზმრები, ქამერიელთა დროშები, სკვითური ულაყების ქიხინი ტ. ტაბიძის პოეტურ აპერაციფიციაში იბერთა და კოლხთა უძველეს სამკვიდრებელს და გენებს უქაფშირდება („ტიგროს, ეფფრატი მირწედა აკვანს და კუბოს მირწევეს რიონი მტკეარი“). ამის პარალელურად, ან უფრო სწორად, ყოველივე ამასთან უშუალო კონტაქტში პოეტს ესახება ევროპული ბოჰემურ-ესთეტური მოტივები და ასოციაციები: კოლომბინა, პიერო, ბირნამიის ტყე, ლოტრეამონი და ლაფორგი. პოეტს ისევ ეზმანება: „ცა დახეული, როგორც ღროშა ქიმერიელთა, ქალღეას ღროშა მეწამული და მოწამული“.

თვალს თუ გავადვენებთ, შევამჩნევთ, როგორა სისწრაფით იჭრება ტიცთანის ლირიკაში დაღიზნის ბაცილა, რომელიც გულმოდგინედ აკავშირებს ერთმანეთს სრულიად საწინააღმდეგო ცნებებსა და სახეებს, უკარგავს ლექსს მთლიანობას და ხდის მას ფრაგმენტულს. პოეტს თითქოს სჯერა ასეთი სტილისა: „ეს სულ ერთია, მაინც გაუგებარია — შეიძლება წერა იეროგლიფებით“. ამიტომამა ამ ხასიათის ლექსებში ამგვარი უცნაურად პარადოქსული სტრიქონები: „დასავლეთის დივანს დასწერდა ბაყალი“, ან „მე თვითონ მაშინებს გომბეშოს ანექსია“; შემდეგ, მოუხსინოთ ამ სიტყვებსაც: „შემიძლია დაეჩემო, რომ სი-

¹² ტ. ტაბიძე, ავტობიოგრაფიიდან, თხზულებანი, 1, 1966, გვ. 4.

ზარმაცის ნამდვილი ღმერთი ვარ. და თუ ამას დაემატება, რომ ლოთობა ჩემი სტიქიაა — ჩემზე ეროვნული პოეტი არ ყოფილა საქართველოში. კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, შალვა დადიანი და უშანგი ჩხეიძე ზიან ტანტების ცირკში — კულა გლდანელის იუბილეზე... პაოლო იაშვილის მაგიერ სიტყვას ამბობს „არბიტორი“: „შენ დაუკა, ვანუა“¹⁴. როგორც ვხედავთ, აქ ლექსი დეფორმირებულია, არ არის მწყობრი რიტმი, რითმა და, რაც მთავარია, მოვლენები თანამიმდევრულად არ ვითარდება, მათ შორის არ მყარდება ორგანული კავშირი. ეს ასოციაციები თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ისინი არ არიან შეკრული საერთო იდეურ-მხატვრული ჩარჩოთი. ტიციან ტაბიძის დადასტურებული ლექსების შესახებ მისივე სიტყვების დამოწმება შეიძლება: „ასე ატირებდა პოეტს მალარია, ასე გაუგებრად წერდა ტიციან ტაბიძე“. პოეტის ეს გულწრფელი აღიარება თავისი დადასტურებული ნაწარმოებების მიმართ გამოტანილ თვითგანაჩენად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ყოველგვარი მოდერნისტული განშტოება ტ. ტაბიძის პოეზიაში სიმბოლიზმის ფარგლებში იყრის თავს. იგი წარმართავს და აკონტროლებს მისი ლექსების მხატვრულ მექანიზმს. ოციანი წლების პირველ ნახევარში ტ. ტაბიძე ძირითადად სიმბოლისტ პოეტად რჩება.

ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ მოტივზე, რომელიც მძაფრად არის განვითარებული ოციანი წლების ტ. ტაბიძის ლირიკაში. ეს არის ბედისწერის შეგრძნება, რაც ახასიათებს ხელგუნებას საერთოდ და რომელიც სიმბოლიზმმა ზოგადსაკაცობრიო სფეროდან უფრო კონკრეტულ-სუბიექტურ პლანში გადმოიტანა. ბედის გარდუევლობის რწმენა, ფატუმის აღიარება ფართოდაა გავრცელებული როგორც კლასიკურ შემოქმედებაში, ისე ფოლკლორში. ქართულ ხალხურ სიტყვიერებას ამ ცნების აღსანიშნავად დღემდე შემოუწინახავს შესანიშნავი გამოთქმა „ბედის მწერალი“ („მოგივლენ ბედის მწერლები, სასოფელაზე დაგივლენ“). ჩანს, ჩვენი ხალხის შეგნებაშია ცხრ კიდეც ღრმადაა გამჯდარი გარდუვალის შემთხვევის რწმენა. ხალხის მიერ ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ კანონად მიღებული ეს მოვლენა სიმბოლისტებმა ტრაგიკულობის ფოკუსში მოაქციეს და ზეფატალურ გრძობად აღიქვეს. ჩვენი სიმბოლისტებიდან ეს მოტივი განსაკუთრებული ძალით ტ. ტაბიძის ლექსებში იჩენს თავს. პოეტი შეპყრობილია თავისი სიცოცხლის რალაც უბედური დასასრულის წინაგრობით, რაც მას, სამწუხაროდ, აუხდა. ასეთი მძიმე განცდები ეწევიან მას თავისმკვლელობის აუცილებლობის აღიარებამდე. ეს აზრი პოეტს დემონივით ასდევნებია ფუნდაფუხ: „ვიცი მომელის მინაც ეს ბედი, და ისიც ვიცი, ჩემზე ახია“, — ამბობს ერთგან იგი, ხოლო სხვა ადგილას: „შემართულია ფეხზე ჩანჩახი და უსიკვდილოდ ვერ გადურჩები“.

თვითმკვლელობის აკვიატებული აზრის კონცენტრაცია ტ. ტაბიძეს მოცემული აქვს ცნობილ ლექსში „ნინა მაცაშვილს“, რომელიც მისი ერთგული თანამეცხედრისადმი მიძღვნილი. ჩვენს წინაშე დგას საესებით ჩამოყალიბებული პოეტი ესთეტი, უსაზღვროდ შეყვარებული სამშობლოზე, პოეზიაზე, შთამოსავლობაზე. იგი თავისი ცხოვრების თანამგზავრთან ერთად დგას ვანქის ტაძარში, დამძიმებული ამქვეყნიური აკვარგით, და სიცოცხლის ამოვებას საბოლოოდ ურიგდება. მისი მიმართვა, რომელიც აღსავეა შინაგანი დრამატიზმით და სულიერი მღელვარებით, ვარეგნულად ისეთ მშვიდ ტონებშია გამართული.

¹⁴ ტ. ტაბიძე, უეშური კვირა, თხზულებანი, 1, 1966, გვ. 150.

რომ მკითხველი მას ღებულობს, თითქოს რაღაც ჩვეულებრივსა და აუცილებელს რასმე:

შენს წითელ კაბას... ბალანის ჭერის გარდამოხსნას,
შენს ტუბერკულოზს და სინაზით ავადგამხდარ ხმას!
ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა... ერთი ტერცინა.

მაითან ბაზრის დაიხურა ყველა ღუქანი.
ამოდის მთვარე — თავისმკვლელთა ღუქით მსუქანი.
ვანქას ტაძარში „Sabachtan“-ით შენ გაგეცინა.

მუხრანის ხიდზე დასაბრძოლად კიდევ დავდგებით,
საქართველოში ცხოვრება ხომ — თვითმკვლელობაა.
ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით,
ამიტომ მოგვწოვს და შეგვიდნობს ჩვენ ეს ობობა.

ძველი ორდენი თავისმკვლელთა: ილო, ზენონი.
ჩვენი ორდენი პოეტების შხაშის ყანწებით.
• თავის მკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივე ღემონი:
მე ვხედავ იმ შორგს, მოწამული სადაც დაწვევებით.

ღმერთს, პოეზიას, შენს სიყვარულს მე დავაფიცე:
წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიქი!¹⁵.

ტიპიური სიმბოლისტური ღუქსია, რომელმაც სიმბოლოზმის ქრესტომათიაში შეიძლება დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი. ამას განაპირობებს ნაწარმოების მთელი მხატვრულ-იდეური შინაარსი, მისი პოეტიკა. მწუხარე განწყობილების გამომხატველი მერყველება: ტუბერკულოზი, სინაზით ავადგამხდარი ხმა, მიცვალებულთა შორიგი, რელიგიური მხატვრული ტერმინოლოგია: ღმერთი, ჭერის გარდამოხსნა, ვანქის ტაძარი, წამებულებზე ლოცვა — ყოველივე ამით შექმნილი პოეტური სახეები ხელს უწყობს ღუქის მთავარი სათქმელის, თავისმკვლელობის იდეის რელიეფურ გამოკვეთას. თავიდანვე ამას გვანიშნებს შთაბეჭდილი მხატვრულ სახე: „ამოდის მთვარე — თავისმკვლელთა ღუქით მსუქანი“, რაც ხაზს უსვამს თვითმკვლელობისათვის უფრო შესაფერ დამეულ სიტუაციას. აქვე ამას მოსდევს ეროვნულობის ტრაგიკული შეგრძნება: „საქართველოში ცხოვრება ხომ — თვითმკვლელობაა“. ეს მხატვრული გამოხატვაში უნდა ემყარებოდეს უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსა და მისი ისტორიისადმი, რომელიც აღსაყვამ დრამატიზმით, განუწყვეტელი უბედურებითა და ტანჯვით. ყოველ შემთხვევაში, ესაა სიმბოლისტი პოეტის ეროვნული მსოფლგანცდა. მაინც აქ, ჩვენი ფიქრით, მთავარია ღირსი გმირისათვის უკვე გადაწყვეტილი საბედისწერო საკითხი: „თავის მკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივე ღემონი“. ამის თქმის საბაბს მას აძლევს თავისმკვლელთა ძვირფასი სახელების გახსენება და თავდავიწყების შხამით საესე ცისფერი ყანწები.

ვერსიფიკაციის თვალსაზრისითაც ღუქი ორიგინალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი უკუღმა დაწერილ სონეტს ჰგავს, სადაც დასაწყის ორ ტერცინას ორი კატრენი მოსდევს, ფინალში კი მოცემულია პარალელური თემიანი ორი ტაქტი, რომელიც ამთავრებს ღუქის მხატვრულ ორგანიზაციას როგორც აზრობრივად, ისე სტრუქტურულად.

¹⁵ ტ. ტაბიქე, ნინა მაყაშვილს, „მეოცნებე ნიამორები“, 1923, № 9.

სღვას კიბის თავზე სევდიანი ცრუ სახრჩობელა,
 უცდის პოეტებს მოთმინებით, როგორც გადია.
 ყორანი მოსჩანს საიჭიოს მახარობელად,
 თავის მკელულები ყირამალას სწრაფ გადაღია¹⁶.

ეს სატყუები ტ. ტაბიძისა ნუ გვეგონება. ეს არის ერთი სტროფი ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსიდან „ვერის კიბე“, მისი აქ დამოწმების მიზანი გასაგებია უნდა იყოს. ამით ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ მოტივთა თუ განწყობილებათა ის ერთიანობა და ნათესაობა, რაც აკავშირებს ერთმანეთთან ცისფერყაწველებს. თავისმკვლელობა, საიჭიოს მახარობელი ყორანი, სევდიანი ცრუ სახრჩობელა — აი მხატვრული სახეები, რაც ასე ახლობელი და ორგანული იყო მათთვის.

ცნობილია, ვალერიან გაფრინდაშვილი ყველაზე უფრო ტიპიური სიმბოლისტია ცისფერყაწველთა შორის. სიმბოლოზმის ყველა ის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი-თვისება თუ მოტივი, რაზედაც წყნად გვექონდა საუბარია, ყველაზე უფრო მკვეთრად და რელიეფურად სწორედ ვ. გაფრინდაშვილის ლირიკაში გამოვლინდა. სწორედ მას ჰქონდა შექმნილი სინამდვილის თავისებური მოდელი, საკუთრად თავისი, გამოგონებული სამყარო, რომლის ბინადრები, ავტორთან ერთად, იყვნენ: ორეულები, მირაჟები, მოჩვენებები, სიზმრები, სარკეები, ოფელიები, დაისები, ამორღია, პრინცი, მაჩაბლის მთვარე. თავისმკვლელები და სხვა. საკვირველია და საინტერესოც, რომ მთელ ამ უჩვეულო მხატვრულ ფაქტურას მონახული აქვს შესაფერისი გამომსახველობითი ყალიბი, რაც ქმნის სუფთა გაფრინდაშვილისეულ პოეტიკას. სხვათა შორის, მას ეკუთვნის ასეთი მხატვრული ფორმულა — ლექსი „ყელსახვევის პოეტიკა“, რაც არაერთხელ გვხვდება მის პოეზიაში. სარკის წინ მდგარ პოეტს ეჩვენება, რომ მისი ორეული კარნახობს ყელსახვევით თავის ჩამოხრჩობას.

მაგრამ ვ. გაფრინდაშვილი მაინც მიჩნეულია უფრო ოფელაებისა და დაისების მომღერლად. ეს ორი მხატვრული სახე, რაც ლიტერატურული გზითაა შექრილი მის პოეზიაში, თითქმის ვაბატონებულ აღვიღს იჭერს პოეტის სახეობრივ ნეტყველებაში. ისინი მოხმობილია სრულიად სხვადასხვა აზრისა და სხვადასხვა სიტუაციის გამოსახატავად. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სახეთა ასეთი ჰარბი გამოყენების გამო ხშირად იქმნება განწყობილებათა ერთფეროვნება, მაგრამ პოეტური სიძალდის ნორმა ყოველთვის დატულია „ჩემი ოცნება ოფელიას კავალერია“, — ამბობს ერთგან პოეტი. ბედნიერად მიგნებულნი თქმა! და განა მარტო ეს, ოფელია, როგორც პოეტის მუზა, მრავალგზის ჩნდება მის ლექსებში, თავისი სინატიფითა და სათნოებით, წმინდა სიყვარულითა და ნაზი მელანქოლიით. ვ. გაფრინდაშვილის ლექსების ლირიკული გმირი დანიელი პრინციის კეთილშობილი რაყიფთა და ოფელაას [დღესასწაულს ჩენი საუკუნის ოციანი წლების გარიჟრაჟზე იხდის:

მხოლოდ ერთი დღე წელიწადში ვიუქმო მინდა —
 ოფელას დღე — საოცნებო როგორც მირაჟი.
 შემოდგომაზე გაფითრდება ჰაერი წმინდა.
 მზეთუნახავი გამოჩნდება ცის დაირაში.

წიემის ასული — სევდიანი და უწყინარი —
 ავდარის წვეთებს ჩამოჰყვება ვით ანგელოსი,
 იმას მიიღებს აღტაცებთ ლურჯი მდინარე,
 დაიცრემლება ეანგიანი სახე მდელოსი.

¹⁶ ვ. გაფრინდაშვილი, ვერის კიბე, „ბახტრინი“, 1922, № 2.

ეს დღე იუქმეთ ჩემთან ერთად — თქვენ პოეტებო!
პრინციის საცოლოს გაგიყვებულს ევით თაყვანი.
განმეორებულ იორდანეს ბრბო მოედება:
იქნება ქალი ტალღებიდან ამოსაყვანი¹⁷.

ვალერიან გაფრინდაშვილისათვის ოფელია იგივეა, რაც გალაკტიონისათვის მერი და ბლოკისათვის კლეოპატრა.

გარდა დამოწმებული პოეტებისა, ცისფერყანწელთა ლიტერატურულ ორგანოებში ხშირად აქვეყნებდნენ თავიანთ ლექსებს კ. ნადირაძე, ნ. მიწიშვილი, შ. აფხაიძე, რ. გვეტაძე და სხვ.

როგორც ითქვა, ქართველ სიმბოლისტთა ლირიკის თემატიკური რკალი უმთავრესად დეკადენტურ-კამერული მოტივებით იყო შემოზღუდული. ბევრია მათში სპეციფიკურად ქართული იერით შეზავებული ელემენტი, ბევრია უცნაურობანი, მკითხველის გასაოცებლად საგანგებოდ შეთხზული მხატვრული სახეები და განსჯანი. ნათქვამის დასადასტურებლად რად ღირს მართო გავიხსენოთ რ. გვეტაძის ლექსების მთელი ციკლი „ვირების მესია“, სადაც ეს შინაური ცხოველები უჩვეულო ყურადღებისა და თავისებური იდეალიზაციის საგანს წარმოადგენენ. ესეც კია, რომ ზოგი ადგილი ამ ლექსებიდან არ არის პოეტურობას მოკლებული, როგორც მაგალითად:

პარასკევს ყაფანზე გაყიდეს ჩოჩორი,
სტიროდა საბრალო, თაფლსფერ თვლებით.
ახალმა პატრონმა მოპარსა ქოჩორი
და ქიშკრის სვეტები მოსჰვედა ნაღვლით¹⁸.

სახეღრების ესთეტიკა, თუ შეიძლება აღნიშნულ ციკლს ასე ეწოდოს, უფროდ ცისფერყანწელის „ადმოჩენა“, როგორც აღნიშნავდა კრიტიკა.

კია ხანია, არსებითად შეთანხმებული ვართ ქართული სიმბოლისტური სკოლის საერთო შეფასებაში. ცისფერყანწელთა, როგორც ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული მიმართულების გამომხატველთა, კრედო ემყარებოდა იდეალისტური გნოსეოლოგიის საფუძვლებს და, რასაკვირველია, სოციალისტური კულტურისათვის მიუღებელ მოვლენას წარმოადგენდა. ჩვენი ნეგატიური დამოკიდებულება სიმბოლიზმის იდეურ-ესთეტიკური პრინციპებისადმი სრულებითაც არ გვიშლის ხელს ისტორიული ობიექტურობით შევხედოთ აღნიშნული ლიტერატურული სკოლის გარკვეულ დამსახურებას მსოფლიო ხელოვნებისა და, კერძოდ, ქართული პოეზიის წინაშე. ეს დამსახურება ძირითადად განეკუთვნება მხატვრული ოსტატობისა და პოეტური დახელოვნების სფეროს. სიმბოლისტებმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს ლექსის მუსიკალური გვერადობა და საერთოდ პოეტური მეტყველების კულტურა. სიმბოლიზმმა მსოფლიო პოეზიას შესძინა ისეთი გამოჩენილი ოსტატები სიტყვისა, როგორებიცაა: ვერლენი, რემბო, მალარმე, რილეკე, ბლოკი, ბრიუსოვი და სხვ. როგორც ვიცით, სიმბოლისტური ხელოვნების მძლავრი გავლენის ქვეშ მოექცა ქართველ პოეტთა ბრწყინვალე პლეადა: გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე. იგულისხმება, ყველა ცისფერყანწელი ერთნაირად როლი იყო მო-

17 ვ. გაფრინდაშვილი, ოფელიას დღესასწაული, „მატიონი“, 1922, № 23.

18 რ. გვეტაძე, ჩოჩორი, „ვირების მესია“, 1924, გვ. 83.

2. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 3

წამლული მოდერნიზმის ბანგით. დეკადენტური მოტივები თითოეული მათგანის შემოქმედებაში სხვადასხვა დოზითაა შეჭრილი. მაგალათად, თუ ისინი წედარებით წამყვან როლს ასრულებდნენ ვ. გაფრინდაშვილის, პ. იაშვილის და ტ. ტაბიძის, უპირატესად მაინც ვ. გაფრინდაშვილის, პოეზიაში, სამაგაფროდ, მათი გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი გ. ლეონიძის ლექსებში.

მართალია, ქართული სიმბოლისტური პოეზია, თავისი იდეურ-თემატურა შეზღუდულობით, გვერდს უვლიდა ეროვნული პოეტური კულტურის მაგისტრალურ ხაზს, მაგრამ ისიც უცილობელი ფაქტია, რომ ცისფერყანწვლთა პოეტური ნამუშავეი წინ სწყევდა, ხელს უწყობდა ქართული ლექსის სრულყოფასა და განვითარებას ფორმისეული თვალსაზრისით. გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ა. აბაშელის, ტ. გრანელის გვერდით, ცისფერყანწვლებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ლექსის განახლების, მისი პროფესიული კულტურის ამაღლების საქმეში. ფრაზის დახვეწილობა, ტაქთა ორკესტრული შეწყობა, მხატვრულ სახეთა რაულბლანირობა, ტრევალობა საეხებთ ხელშესახებია ქართველ სიმბოლისტთა ლექსებში. მეტაფორული წყობის პირთულის მიუხედავად, ხშირად მათი ლირიკული ნაწარმოები, სტრიქონის განსაკუთრებული მოქნილობის წყალობით, ნატიფია და სასიამოვნოდ მოსასმენი. ამის საუკეთესო ნიმუშია, თუნდაც, უდროოდ დაღუპული ნიჭიერი პოეტის შალვა კარმელის ლექსი „სემირამიდის ბაღი“, რომლის ერთ სტროფს ვთავაზობთ მკითხველს:

გაღმოვიღულა ციდან
სემირამიდის ბაღი.
გულა ერთი ციდა
და მთის ოღენა დაღი¹⁹.

ამ პოეტური კონტექსტის ყოველი კომპონენტი ამართლებს თავის დანიშნულებას. მიუხედავად სევდანარევი ტონისა, ლექსი თავისუფლად და ლაღად მომდინარეობს.

აქ შეიძლება წამოიჭრას კითხვა: თუ ცისფერყანწვლთა ნაწარმოებების მხატვრული ფორმა ჩვენთვის მისაღებია, ხოლო შინაარსი მიუღებელი, როგორ შეიძლება ეს ვითარება შევეთავსოთ ფორმისა და შინაარსის მთლიანობის აუცილებელ მოთხოვნილებას? ამ კითხვაზე, ჩვენი ფიქრით, შემდეგი პასუხის გაცემა მოხერხდება: ის, რაზედაც წერდნენ და რასაც ფიქრობდნენ ქართველი სიმბოლისტები, მათთვის აბსოლუტურად მახლობელი და მისაღები იყო, ფორმისა და შინაარსის გათიშულობის პრობლემა მათს წინაშე არა მდგარა, ისევე, როგორც არ მდგარა ეს საკითხი სიმბოლიზმის მამამთავართა წინაშე. პირიქით, ისინი სიმბოლიზმის დიდ დამსახურებად მიიჩნევდნენ სწორედ ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში წარმოდგენას. გავიხსენოთ ისევე ა. ბელი: „Символическое единство есть единство формы и содержания“²⁰.

იმ დროის ქართული კრიტიკა უარყოფითად აფასებდა მათი ლექსების როგორც იდეურ შინაარსს, ისე ფორმალურ მხარეს. ჩვენი დღევანდლობის პოზიციებიდან ისტორიული თვალსაზრისით ვუყურებთ ცისფერყანწვლთა პოეზიას, ვარჩევთ მის ნაკლოვანსა და რაციონალურ მხარეებს, უარყოფითს თავის ადგილს მიუჩენთ, ხოლო სასარგებლოსა და გამოსაღვეს ვლებულობთ, ვიყენებთ და ვა-

¹⁹ შ. კარმელი, სემირამიდის ბაღი, „მბილონი“, ტფილისი, 1921, გვ. 28.

²⁰ ა. ბელიის დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

ვითარებთ მას თანამედროვე შემოქმედებითს პრაქტიკაში. სწორედ ასეთ სასარგებლო ელემენტად მიგვაჩნია ცისფერყანწელთა მიღწევები ლექსის მხატვრული ფორმის დამუშავების სფეროში. მათი გამოცდილება ამ მხრივ აითვისა და განავითარა შემდეგი პერიოდების ქართულმა პოეზიამ.

დაახლოებით 1924—1925 წლებიდან იწყება ახალი ხანა ქართული სიმბოლისტების შემოქმედებაში. ამ დროიდან მათს ლექსებში თანდათან სუსტდება ლექსდენტური ნაკადი, თანდათან ნაკლებად იჩენს თავს მოდერნისტული ესთეტიკის ნიშნები და ტენდენციები. ეს ფერისცვალება დაეტყო მათი ლირიკის როგორც იდეურ-შინაარსობრივ, ისე მხატვრულ-გამომსახველობით მხარეს. ამგვარი ცვლილებები ცისფერყანწელთა პოეზიაში, რა თქმა უნდა, დაკავშირებული იყო ეპოქისეული მოვლენების სწრაფ განვითარებასთან. ამით იშის თქმა კი არ გვინდა, რომ სიმბოლისტებმა ერთბაშად უარა თქვეს თავიანთ ლიტერატურულ შეხედულებებზე და სოციალისტური ესთეტიკის პლატფორმაზე გადმოვიდნენ, არა, ჩვენ აქ ვადასტურებთ იმ უეჭველ ფაქტს, რომ სიმბოლისტურ-ლექსდენტური მოტივები ცისფერყანწელთა შემოქმედებაში ჰკარგავს თავის პრივილეგიას და ნელ-ნელა ადგილს უთმობს პატრაოტიზმის, სიცოცხლით დანტერესების, ბუნების ჭანსალი შეგრძნებისა და მშვენიერებით ტკბობის ტენდენციებს. ამასთანავე, აქვე სპორადულად თავს იჩენს ახალი ცხოვრებისადმი ყურადღების, საბჭოთა თემბატიკის გამოვლენის ცალკეული გაუბედავი ნიშნები. მაშასადამე, აღნიშნული წლებიდან იწყება ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებითი გადახალისების პერიოდი, მათი სოციალისტურ აღმშენებლობასთან დაახლოების ტენდენცია, რაც თანდათან ვითარდება და ოცდაათიანი წლებისათვის უკვე არსებითსა და გადამწყვეტ ხასიათს ღებულობს.

ციხურყანწელთა პოეზიაში ამგვარი პროცესის დაწყების შედეგად ოციანა წლების მეორე ნახევარში ქართულ ლირიკას შეემატა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, ხოლო ზოგიერთი მათგანი ჩაითვლება მეოცე საუკუნის ჩვენი ლირიკული პოეზიის შედეგად. მაინც, რომელი ლექსებია ესენი? ტიტან ტაბიძის: „ლექსი მეწყერი“, „მამ გამარჯვება...“, „რაირია“, „ანანურთან“, „ირემი აქებს იალღს!“, პაოლა იაშვილის: „თბილისი“, „უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები“, „პოეზია“; გიორგი ლეონიძის: „ნინოწმინდის ღამე“, „ყვიჩაღის პაემანი“, „მყვირალობა“, „ციცარი“, „მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას“; ვალერიან გაფრინდაშვილის: „ისეთი ლექსი“, „ფეხსაცმელის მწმენდელთან“; კოლაუ ნადირაძის: „რომანსი“, „იმერეთი“, „ორი ქოჩორა“ და სხვა მრავალი. ვკითხულობთ ამ ლექსებს და თვალნათლივ ვრწმუნდებით, თუ როგორ გვეცლება ხელიდან სიმბოლიზმის ბურუსი და თანდათან მის ადგილს იჭერს რეალისტური პოეტური ენა, გამჭვირვალე სახეობრივ-მეტაფორული წყობა, რითაც გადმოცემულია სიცოცხლისადმი სიყვარულის განცდა და სხვა ბუნებრივი ადამიანური ემოციები.

გაზაფხულის ხალისიანი მოლოდინისა და ადამიანური სევდის მაუწყებელია, მავალითად, პ. იაშვილის შემდეგი სიტყვები:

უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები,
უნდა ბალახი დიღამ დათრთილოს,
მე ამ ზაფხულზე დავინიშნები
და მივბრუნებ ჩემს საქართველოს²¹.

²¹ პ. იაშვილი, უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები, ერთობეული, 1965, გვ. 170.

დასახელებულ ლექსებში შევხვდებით აგრეთვე ჩვენი მძიმე ისტორიული წარსულის მძაფრი და რეალისტური განცდის ნიმუშს. სიტყვაზე, გ. ლეონიძის ლექსი ხელშესახებ წარმოდგენებში აცოცხლებს ქართველი ხალხის გამანათავისუფლებელი, სასტიკი ბრძოლების სურათს და გადარჩენილი ქვეყნის ხილვით გამოწვეულ სიხარულს:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“²²
წუხელს დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლუწადენენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!

გამოვეარღები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარიათ, რომ ისევ დგებარ!

შეგხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს
ვარდის საპალნეს ტაბახელიდან
და მას,
—ამ ვარდებს ეისაც არგუნებ²³.

ანდა, ავიღოთ კ. ნადირაძის ლექსი „ორი ქოჩორა“, რომელიც მსუბუქი იუმორით შეფერილ ნახევრად ჟანრულ, ნახევრად სატრფიალო ეპიზოდს გადმოგვცემს. ლირიკული გმირი ვეღარ იფიქრებს ვარიეტის გამყიდველ ლამაზ გოგონას:

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა,
ორი ქოჩორა დღეს ვიღას ახსოვს?!
მაგრამ ჩემს გულში ჩარჩა იარა
და მოგონება მოწყენას მაქსოვს.

და ყოველ კვირას გულის ცახტახით
მე ნაცნობ ადგილს ვუახლოვდები,
მაგრამ ვერ ვხედავ სანატრულ სახეს
და უიმედოთ ისევ ელოდები²³.

ზემომოყვანილ პოეტურ მაგალითებში ჩვენ შეუცდომლად ვადასტურებთ სიმბოლიზმის, როგორც მხატვრულ-სტილური ხერხის, უარყოფას, ცხოვრებისეული მოვლენებისადმი ყურადღების გამახვილებას, მხატვრულ მეტყველების სისადავისავენ ორიენტაციას.

საკითხთა და მოტივთა იმ წრეს, განწყობილებათა და მხატვრულ სახეთა იმ ხასიათს, რასაც ცისფერყანწველთა აღნიშნული პერიოდის ლექსებში ვხვდებით, შეგვიძლია პირობითად ნეიტრალური თემატიკა ვუწოდოთ, რაც გარდამავალ ეტაპია საბჭოთა აღმშენებლობის, ახალი ადამიანების პერიოდიკული საქმიანობის პოეტური ასახვისათვის.

²² გ. ლეონიძე, მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“, თხზულებანი, ტ. 1, 1962, გვ. 323.

²³ კ. ნადირაძე, ორი ქოჩორა, თხზულებანი, 1958, გვ. 145.

როგორც ითქვა, აღნიშნული წლებიდან ცისფერყანწელთა შემოქმედებაში, ნართალია არათანმიმდევრულად, მაგრამ მაინც ჩნდება აქტუალური თემატიკა. მათი ლექსები ეხმაურება საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებს, ახალი საქართველოს აღმშენებლობის ზოგიერთ დამახასიათებელ მოვლენას, რევოლუციურ წარსულს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებიც შთამბეჭდავი პოეტურობით წარმოგვიდგენენ სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, მშრომელი კაცობრიობის ბელადის ნათელ სახეს, მისი გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას. ამ ნაწარმოებებიდან შეგვიძლია დავასახელოთ: პ. იაშვილის „ლენინს“ (1924 წ.), კ. ნადირაძის „წითელი მოედანი“ (1924 წ.), მისივე „ელადიმერ ლენინ“ (1925 წ.), ვ. გაფრინდაშვილის „ორი ძმა“, „ალექსანდრე ულიანოვის ხსოვნას“ (1928 წ.), შ. აფხაიძე „გემი ლენინი“ (1926 წ.); აქვე შეიძლება გავიხსენოთ ცისფერყანწელთა თანამგრძნობის სანდრო შანშიაშვილის „ლენინი ჭავჭავაძე“ და განსაკუთრებით კი მისი პოპულარული „დღისერთა ლენინთან“.

აქტუალურ თემატიკას განეკუთვნება აგრეთვე ცისფერყანწელთა შემდეგი ნაწარმოებები: ვ. გაფრინდაშვილის „პარიზის კომუნა, 18 მარტი 1871 წ.“ (1925 წ.), მისივე „ჩინეთი“ (1924 წ.), ტ. ტაბიძის „სტალინი“ (1927 წ.), რ. გვეტაძის „მერკვილადის ტყვია“ (1925 წ.), კ. ნადირაძის „1905 წ.“ (1924 წ.) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ცისფერყანწელთა პოეზიაში ნელნელა, სიმბოლისტური მოტივების აშკარა შემცირების ხარჯზე, წინ აჩვენებს და შესამჩნევად აღივსება ნეიტრალური და აქტუალური თემების ამსახველი ნაწარმოებები. ამ დროიდან უკვე ცხადად შეიმჩნევა, რომ ქართველი სიმბოლისტები თანდათან უარს ამბობენ ძველ შეხედულებებსა და განწყობილებებზე, უკან იხევენ სიმბოლიზმის პოზიციებიდან და თუმცა შეფერხებებით, მაგრამ მაინც შემოქმედებითი გადაიარაღების გზით მიემართებიან.

ჯერ კიდევ 1926 წელს ტ. ტაბიძემ სცადა მხატვრული სიტყვით მოეხაზა ახალი მცხეთის კონტურები. საამისოდ პოეტმა უხვად მიმართა ძველი და ახალი მცხეთის კონტრასტული დაპირისპირების მხატვრულ საშუალებებს. ლექსში, რა თქმა უნდა, არ არის მოცემული ახალი მცხეთის სრული მხატვრული სურათი, ოღონდ პოეტი მაინც გრძნობს ახალი აღმშენებლობის ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს, ზაქესის ცეცხლით გამოწვეულ სიმუხრავალეს. რაც მთავარია, მას სჭერა მებრძოლი კლასის შემოქმედებითი ენერჯისა და სრული დარწმუნებით აცხადებს:

ვინ დახრის დროშას მაღალტარიანს,
როცა ის მოაქვს პროლეტარიატს?...²⁴

მაგრამ ტ. ტაბიძე, როგორც ნამდვილი შემოქმედი, შინაგანად გრძნობდა, რომ არც მისი და არც სხვა ცისფერყანწელთა ლირიკული პოეზია ჯერ კიდევ სათანადოდ არ უპასუხებდა დროის მოთხოვნილებებს, რომ საჭირო იყო სრული შემობრუნება ახალი ცხოვრებისაკენ, საჭირო იყო ხალხის გულთან ახლო მისვლა. ეს აზრი მან ჩვეული გულწრფელობით გაუზიარა მკითხველს ლექსში „თბილისის ღამე“:

²⁴ ტ. ტაბიძე, ახალი მცხეთა, თხზულებანი, 1, 1966, გვ. 14.

ჩერ კიდევ ეზივართ ძველებურ ტივზე,
 ვტირი შვკრული ფივის გეღებით.
 არ შეეჩრღები მე ამ მოტივზე,
 მე თეითონ ვცხოვრობ ამ იმეღებით²⁵.

ეს პოეტური აღიარება თუ დაპირება, რომელიც 1927 წელს არის ნათქვამი, საერთოდ ცისფერყანწელთა ერთობლივი აზრის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს, რაც შემდგომში წარმატებით იქნა განადღებული.

მიუძღვის თუ არა ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფს რაიმე წვლილი ქართული საბჭოთა ლირიკული პოეზიის დადგენისა და ჩამოყალიბების პროცესში? ეს წვლილი, ჩვენი ფიქრით, სავსებით გარკვეულია. ამ საკითხზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მართალია, სიმბოლიზში, როგორც დეკადენტური ლიტერატურა, თავის დროზე აფერხებდა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების ბუნებრივსა და სწრაფ პროცესს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამ პროცესში იგი ქმნიდა შემოქმედებითი ძიებისა და დამაბულობის ატმოსფეროს, რომ აღნიშნულ დაჯგუფებასთან მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის დროს იქედებოდა ქართული პროლეტარული საბჭოთა პოეზის მძლავრი იარაღი, ყალბედებოდა მისი მებრძოლი ხასიათი. ხოლო რაც შეეხება ცისფერყანწელთა მოღვაწეობის მეორე პერიოდს, რის შესახებაც ეს-ეს არის გვქონდა საუბარი და რომლის დროსაც გამოჩნდა მათი პოტენციური შემოქმედებითი შესაძლებლობა სოციალისტური ესთეტიკის პოზიციებზე გადმოსვლისა, უკვე ეკვს აღარ ტოვებს, რომ ისინი თანამედროვე ქართული ლირიკის შექმნაში თავიანთ კუთვნილ სიტყვას ინარჩუნებენ. ვის მოუვა აზრად ქართული საბჭოთა ლირიკის ოქროს ფონდიდან ამოიღოს ცისფერყანწელთა მიერ 1924—1930 წლებში შექმნილი შესანიშნავი ლექსები? ამიტომაცაა, რომ ქართული სიმბოლიზმის ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სამართლიანად ითვლება ჩვენი თანამედროვე პოეზიის ფუძემდებლად.

²⁵ ტ. ტაბიძე, თბილისის ღამე, იქვე, გვ. 100.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა).

მუშა მარამ

ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული ხელნაწერის დასურათების საკითხისათვის

ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული ხელნაწერის პირველი მეცნიერული აღწერი ი. მეუნარგია დასურათებით არ დაინტერესებულა. მან მხოლოდ პალეოგრაფიული ანალიზით (რადგან გადაწერის თარიღი მას არ უზის) ხელნაწერის დათარიღების ცდა მოგვცა: „თ. ნესტორ წერეთლის ეკზემპლარი... არის მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დაწერილი, როგორც სჩანს ნაწერის ხასიათიდან“¹. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ხელნაწერის მეუნარგისეულ დათარიღებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მისი დასურათების ისტორიის გასათვალისწინებლად.

ხელნაწერის დასურათებას პირველად (1908 წ.) საგანგებო ადგილი დაუთმო თავის აღწერილობაში ე. თაყაიშვილმა: „Рукопись снабжена 87 рисунками на отдельных цельных листах. Рисунки весьма характерны; они исполнены в красках и персидском стиле, но замечательны по своим мотивам и по тщательности выполнения. В этом отношении рисунки разбираемой рукописи выше всех подобных рисунков, выданных мною в других списках Вепхист-ткаосани. Тариель и Автандил в рисунках представлены очень молодыми. Содержание рисунков обозначено записями внизу по-персидски и по-грузински. Имена Тариель и Парсадан записях приведены в форме Тариаль и Парсидан. В добавлениях в тексте оставлены места для новых иллюстраций... Благодаря прекрасным рисункам, разбираемый список Вепхисткаосани является самым ценным из всех рассмотренных списков этого произведения, Обществу грамотности“. აქვე ექ. თაყაიშვილი იძლეოდა ხელნაწერის ი. მეუნარგისაგან განსხვავებულ დათარიღებას: „Писец не указан, даты нет, но судя по бумаге, почерку, рисункам и тексту, рукопись несомненно XVII века и скорее второй половины, чем первой“².

¹ ი. მეუნარგია, ვეფხისტყაოსანი (პირველი სხვაობა რედაქციისა, 6 თებერვალს), „ღრობა“, 1881, 11 თებერვალი, № 31, გვ. 3. აქვე შევნიშნავთ, რომ ხელნაწერის მეუნარგისეულ აღწერილობაზე დღემდე საგანგებოდ არაის მიუქცეული ყურადღება.

² Е. Такашвили, Описание, т. II, вып. III, Тифлис, 1908, стр. 566—68. აქედან გადაბეჭდილია ალ. ბარამიძის მიერ წიგნში: ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტომი 1, ნაწილი პირველი: მასალები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 27—28.

ე. თაყაიშვილს თავის „მოგონებებში“, ეტყობა ზეპირად მსჯელობის გამო, ზოგიერთი უზუსტობა გაჰპარკია: „მინიატურებს სპარსულად აწერია მხატვართა ვინაობა. იგი აღწერილი მკეს ჩემი „Описание“-ს II ტომში“ (გვ. 566—568), ან კიდევ, ცოტა ქვევით: „იმ ხელნაწერ-

მაშასადამე, პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ი. მეუნარგიამ ხელნაწერი XVIII საუკუნის დასაწყისით დაათარილა, ე. თაყაიშვილმა კი XVII საუკუნის მეორე ნახევრით. ამის შემდეგ, ე. თაყაიშვილის ავტორიტეტით, ხელნაწერი სულ უკანასკნელ დრომდე XVII საუკუნეში გადაწერილად მიიჩნდა.

1910 წელს სალიტერატურო სამხატვრო ეურნალ „ფასკუნჯის“ პირველ ნომერში³ დაიბეჭდა ხელნაწერის ერთი ილუსტრაციის (იგულისხმება რიგით მესამე: „აქა როსტევან მეფემ თავისი ქალი ტახტს დასვა და სოგრატ ვეზირმან: და მოლაშქრეთ მიულოცავს: კემწიფობა“:) მალახარისხიანი ნატურალური ფერადი ფოტოსურათი, რომელიც დამზადებულა ყოფილა კ. მესხიშვილის ლითოგრაფიამი: „თინათინის დაგვირგვინება. ფერადი სურათი მე-17 ს. ხელნაწერი ვეფხისტყაოსნიდან“⁴.

სარგის კაკაბაძემ „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ პირველ გამოცემას 1913 წელს⁵ ჩაურთო ამ ხელნაწერიდან ამოღებული 11 ილუსტრაცია:

1. აქა როსტევან მეფემ თავისი ქალი თინათინი ტახტს დასვა და სოგრატ ვეზირმან და მოლაშქრეთ მიულოცავს კემწიფობა⁷.
2. აქა როსტევან მეფე მოწყენით ზის და სოგრატ ვეზირი და აეთანდილ ფილალს აძლევენ.
3. აქა როსტევან მეფეს და მის ვეზირს სოგრატს საპკო საუბარი აქუსთ.
4. აქა როსტევან და აეთანდილ ნადირობენ.
5. აქა როსტევან მეფე თინათინთან ტარიელის საქებნელად კაცების გაგზავნას არჩევს.
6. ქ. ტარიელ და ასმათ ისხდენ პირველ რომ ნახა.
7. აქა ტარიელ წიგნის პასუხი მიუწერა ხატავლთ მეფეს.
8. აქა ტარიელ ლაშქარს იყრის ხატავლზედ.
9. ქ. ტარიელის ვეზირობაში მიუყანა ნესტან-დარეჯანს გაეთხოვებთო.
10. ქ. ენახე საწნი დიდებულნი მეფისაგან მიგზავნალად.
11. ქ. როსტევან მეფე, ფრილან და ტარიელ სხედან.

ამ მინიატურების გარშემო, ს. კაკაბაძე მაშინ მხოლოდ უბრალო მითითებით დაკმაყოფილდა: „სურათები ამ გამოცემისა გადმოღებულია წერა-კითხვის

ში თავის დროზე ჩართული იყო 36 ფერადი სურათი, სპარსულ ყაიდაზე ნახატი, საუკეთესო ხელობას, თან მხატვართა სახელებიც ეწერა ზედ, როგორც უკვე ვთქვი“ („მნათობი“, 1958, № 7. გადამბეჭდილია გ. ლომთათიძის მიერ წიგნში: ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტომი I, ნაწილი მეორე: ე. თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი, თბ.: 1968, გვ. 312—315—316). სინამდვილეში კი, ხელნაწერში (და ე. თაყაიშვილის „Описание“-ს მიხედვითაც) 36-ის ნაცვლად 87 სურათია („Рукопись снабжена 87 рисунками...“) და მინიატურებს სპარსულად აწერია არა მხატვართა ე. აბოა, არამედ სურათის ში. არსი („Содержание рисунков“).

³ „ფასკუნჯი“, 1910, № 1, რედაქტორ-გამომცემელი სანსონ ფირცხალაეა (მანამდე, როგორც ცნობილია, ამ ეურნალს 1908—1909 წლებში სცემდა გ. ტატიშვილი).

⁴ ეტყობა, ლითოგრაფია მანამდე დამზადდა, სანამ წერეთლები ხელნაწერს დროებით თაყაიშვილის წილებდნენ, რადგან მათ ეს ხელნაწერი მინიატურებისთვის 1911 წელს დააბრუნეს უკან. იხ. „სახალხო გაზეთი“, 1911, 7 მაისი, № 297.

⁵ ამ დროისათვის ხელნაწერი უკვე საბოლოოდ წ. კ. გ. საზოგადოების საკუთრებას შეადგენდა და № 4758-ის ნაცვლად სინეენტრო წიგნში ხელახალი რეგისტრაციის გამო გატარებული იყო № 5006-ად.

⁶ გამოცემაში ილუსტრაციები დაუნომრავია და ჩვენ მოვეყავს გამოცემის თანმიმდევრობის მიხედვით.

⁷ მინიატურების მინაწერები ამჟერად მოგვეყავს ისე, როგორც გამოცემაშია.

საზოგადოების წიგნთსაცავის მე-XVII საუკუნის ხელნაწერის № 5006 მინიატურებიდან⁸.

1918 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციათა შესახებ პირველი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა დ. გორდევებისა⁹, რომელშიც განხილული იყო ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის მინიატურებიც. მიუთითებდა რა, „ფასკუნჯისა“ და ს. კაკაბაძის პუბლიკაციებს, დ. გორდევები შენიშნავედა: „Как уже указывалось „Сараджевский список“¹⁰, хотя и в значительной из лишь частей своих иллюстраций все же привлекал внимание издателей. Это объясняется красотостью и чрезвычайной тонкостью выполнения некоторых из украшающих его изображений. Но именно только некоторых. Этот список сохранил миниатюры трех весьма различных пошибов из общего числа украшавших и украшающих его иллюстраций, которых в книге раньше было 87, а теперь в тексте осталось 77; остальные же 10 хранятся особо¹¹. Из этих 77 миниатюр только одна (помещенная как стр. 240) по формату листа аналогично страницам с текстом. Но это изображение наиболее позднее и в художественном отношении, наиболее слабое из всех. Остальные вначале почти сплошь идет серия картинок типичного персидского письма, часто персидскими приписками или персидскими же цифровыми пометками*, а конец иллюстрирован другим, более слабым, но работавшим все же в духе персидских миниатюристов, мастером, кисти которого принадлежат и три миниатюры местами входящие между рисунками первой группы** Всего миниатюр этой группы 24. Хранящиеся особо выпавшие листы числом 10 принадлежат: 8 к группе персидского письма и 2 к группе миниатюр иллюстрирующих конец поэмы. Листы миниатюр и первой и второй группы подклеены сверху и снизу, чтобы подогнать их под формат рукописи. Это указывает с несомненностью не только на то, что миниатюры изготовлены особо от текста иными чем переписчик мастерами, но и на то, что они делались вовсе не для этой книги и, возможно, просто как тетрадка иллюстраций самодовлеюще исполненных. Персидский мастер исполнил основную начальную часть. Потом она была пополнена отчасти и доведена до конца другим художником, но в формате листов типичных для первой группы“. უპირისპირებდა რა, აღნიშნულ მინიატურებს მ. თავაქარაშვილისეული ილუსტრაციათა სტილს, დ. გორდევები დაასკვნიადა: „...основная масса ми-

⁸ ვეფხისტყაოსანი, გამოცემული სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, პირველი გამოცემა, ტფილისი, 1913, გვ. 4.

⁹ Дмитрий Гордеев. Иллюстрации к поэме Шоты Руставели, журн. „Феникс“, 1918, октябрь. № I. ცალკე ამოაბეჭდი.

¹⁰ ამ ხელნაწერს დ. გორდევები „სარაჯიშვილის ნუსხას“ ეძახის ე. თავაქარაშვილის აღწერილობის („Дар Давида Захарьевича Сараджева...“ Описание, II, 1908, стр. 566) მიხედვით.

¹¹ ამის მიზეზს შესახებ ჩვენ უკვე გვწონდა საუბარი: „მცენ“, ენისა და ლიტერატურის სტრია; 1971, № 1.

* Миниатюры этой группы в книге 52—с первой и кончая помеченной как рис. 62 на стр. 214; из них около одной трети имеют персидские надписи и около другой трети—шрифтовые пометки.

** а) помеченный как рис. 15 на стр. 43; б) помеч. как рис. 60 на стр. 197 и в) помеч. как рис. 61 на стр. 204.

ნიატურ „Сараджевского списка“ относится безусловно к кругу собственно персидского искусства“¹².

მაშასადამე, დ. გორდეევის დაკვირვებით, ხელნაწერის კუთვნილი 87 მინიატურიდან 1 (240 გვერდზე მოთავსებული), შესრულებულია გვიან და მხატვრული თვალსაზრისით, ყველაზე სუსტია. დანარჩენი 86 მინიატურა¹³ თურმე იყოფა ორ ძლიერ მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფად: თავდაპირველად მიდის ტიპიური სპარსული ყაიდის სურათთა სერია, ხშირად თავისი სპარსული მინაწერებით ან კიდევ სპარსული ციფრული აღნიშვნებით (ასეთი სულ ხელნაწერში 52 ყოფილა), ხოლო პოემის დაბოლოება დაუსურათებია შედარებით სუსტ, მაგრამ მაინც სპარსულ ყაიდაზე მომუშავე მინიატურისტს¹⁴, რომლის ფუნჯს თურმე ჰკუთვნებია აგრეთვე სამი მინიატურა, რომელიც მოქცეულია პირველი ჯგუფის სურათებს შორის (ასეთია სულ 24). ამ თვალსაზრისით, ცალკე დაეულ 10 მინიატურიდან 8 ეკუთვნის პირველ ჯგუფს (ე. ი. უფრო კარგ ოსტატს, რომელსაც პოემის დასაწყისი დაუსურათებია სულ ეკუთვნის $52 + 8 = 60$ მინიატურა), ხოლო 2 დანარჩენი კი მეორე ჯგუფს (ე. ი. უფრო სუსტ, მდარე ოსტატს, რომელსაც პოემის დასასრული დაუსურათებია, ეკუთვნის $24 + 2 = 26$ მინიატურა). როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის მინიატურათა ფურცლებს ზემოთ და ქვემოთ შემოწებებული ჰქონია აშია ხელნაწერის ფურცლებისთვის გასატოლდა ქვედად, რაც დ. გორდეევის აზრით, უეჭველად თურმე იმაზე მიუთითებს, რომ მინიატურები დამზადებული ყოფილა ტექსტიდან ცალკე, დამოუკიდებლად და სულაც არა ამ ხელნაწერი წიგნისთვის, არამედ შესაძლოა, როგორც ილუსტრაციათა დამოუკიდებელი რვეული თუ ალბომი. დ. გორდეევი დაასკვნის: სპარსულმა ოსტატმა შესურულა ძირითადი დასაწყისი ნაწილი (სულ 60 მინიატურა). შემდეგ იგი ნაწილობრივ შეავსო (3 მინიატურის ჩართვით) და ბოლომდე მიიყვანა (23 მინიატურით) მეორე, შედარებით სუსტმა, ოლონდ, მაინც სპარსულ ყაიდაზე მომუშავე მხატვარმა (სულ 26 მინიატურა), რომელიც პირველი ჯგუფის მინიატურათა ზომის ქალაღზე ყოფილა შესრულებული. დ. გორდეევის საერთო შეფასებით, ეს მინიატურები ექვევნიან საკუთრივ სპარსული ხელოვნების წრეში.

დ. გორდეევის პროფესიული ოსტატობითა და სიღრმით დაწერილ ამ ნარკვევში ბევრ შეუსაბამობას აქვს აღვლილი, რაც ხელნაწერის ისტორიის ზოგიერთი მომენტის გაუთვალისწინებლობის შედეგია. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

1926 წელს, სარგის კაკაბაძემ განახორციელა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე მისეული გამოცემა¹⁵. პოემის ტექსტს, მან გამოკვლევისა და ლექსიკონის გარდა, დაურთო 79 სურათი: 1 სურათი ფერადებით (რუსთაველის პორტრეტული მინიატურა XVII ს. ე. წ. ზაზასეული ხელნაწერიდან), 26 სურათი ტექსტში, 6 ფაქსიმილე, 43 სურათი ცალკე 38 ფურცელზე, 1 გეგმა. ამ 79 სურათიდან

¹² Дм. Гордеев, даსახ. შრომა, журн. „Феникс“, 1918, № 1; ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 1—2, 3—4.

¹³ 76 ხელნაწერში და 10 ცალკე.

¹⁴ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილსაც 1912 წელს ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება დარჩენია, თითქოს „...მეორე ნახევარში წიგნისა მხატვრობა უფრო მდარე ხელობის არის და მერმე უნდა იყოს მიმატებული“ (საქ. ცენტრარქივი, ფ. 481, № 3072, ფ. 13).

¹⁵ ვეფხისტყაოსნის, ს. კაკაბაძის რედაქტორობით: გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, 79 სურათით, თბ., 1926.

ცალკე ფურცელზე დაბეჭდილი 14 მინიატურა ჩვენი ხელნაწერიდანაა გადმოღებული:

1. 40¹⁶ აქა როსტევან მეფეს და მის ვეზირს სოგრატს საქო საუბარი აქუსთ.
2. 41 აქა როსტევან მეფემ თავისი ქალი თინათინ ტახტს დასვა და სოგრატ ვეზირმან და მოლაშქრეთ მიულოცეს ქემწიფობა.
3. 42 აქა როსტევან მეფე მოწყენით ზის და სოგრატ ვეზირი და ავთანდილ ფილას აძლევენ.
4. 43 აქა როსტევან და ავთანდილ ნადირობენ.
5. 44 აქა როსტევან მეფე თინათინთან ტარიელის სამებნელად კაცების გაგზავნას არჩევს.
6. 46 ქ. ტარიელ და ასმათ ისხედენ, პირველ რომ ნახა.
7. 49 აქა ტარიელ წიგნის პასუხი მიუწერა ხატაელთ მეფეს.
8. 50 აქა ტარიელ ლაშქარს იყრის ხატაელზედ.
9. 52 ტარიელის მიერ ტყვედ შეპყრობილი რამაზ ხატაელთ მეფე.
10. 53 ქ. ტარიელის ვეზირობაში მიყუანა, ნესტან დარეჯანს გაეთხოვებოთ.
11. 54 აქა ფარსადან მეფემ და დედოფალმან ტარიელს დაპატივეს.
12. 55 ქ. ფარსადან და ტარიელ სხედან, შათირი მოუვიდათ.
13. 57 ქ. ენახე სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად.
14. 65 ქ. როსტევან მეფე, ფრიდონ და ტარიელ სხედან.

მაგრამ რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, თითოეულ მინიატურას ახლდა გამოცემლის ასეთი ახსნა-განმარტება: „შესრულებული უცნობ ქართველ მხატვრის მიერ სპარს. სტილზე XVII ს. მე-2 ნახ., მე-17 ს-ნის მეორე ნახევრის ხელნაწერი, წ.-კ-გამავერ. საზ-ბის კოლექციიდან № 5006“. გამოკვლევის ტექსტში კი ს. კაკაბაძე სპეციალურად ჩერდება ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებზე და კერძოდ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის დასურათების გარშემო შენიშნავს: „ფრიად მდიდრულად არის მინიატურებით დასურათებული მე-17 ს-ნის მეორე ნახევრის ხელნაწერი (წ. კ. საზ-ბის კოლ. № 5006). სულ ამ ხელნაწერს ჰქონია 90-ზე მეტი მინიატურა სპარსულ სტილზე შესრულებული, როგორც სჩანს ორი სხვადასხვა ქართველ ხელოვანის მიერ (ერთი პირველ ხარისხოვანი ხელოვანია, მეორე მას ჩამოუვარდება)“¹⁷.

თუმცა თეზისის სახით, მაგრამ ეს მაინც უკვე დ. გორდევეისაგან პრინციპულად განსხვავებულ, ახალ თვალსაზრისს წარმოადგენდა. მისი დაწვრილებითი მტკიცება კი ს. კაკაბაძეს არსად არ უცდია.

საყურადღებო წერილი მიუძღვნა ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებს ბ. გორდენიანმა¹⁸, რომელშიაც სხვებთან ერთად განხილულია ჩვენი მინიატურებიც. მისი აზრით, „S—5006 ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი სანიშნულო ხელნაწერია, დასურათებული მე-17 საუკუნეში, მისი მხატვრობა ორ მხატვარს ეკუთვნის“, „ამ ხელნაწერის მხატვარი ხაზის უბადლო ოსტატად მოსჩანს. არსად არ ლატობს იგი ირანული მხატვრობის ტრადიციას“.

¹⁶ ამ გამოცემაში, ისე როგორც წინა გამოცემაში (1913), ილუსტრაციები დაუნომრავია. მაგრამ თუ პირველ გამოცემაში მხოლოდ ჩვენი ხელნაწერის მინიატურები იყო წარმოდგენილი, 1926 წლისაში — სხვა ბევრია. ამიტომ ჩვენს მითითებაში პირველი ციფრი რაოდენობის აღმნიშვნელია, მეორე კი გამოცემის თანმიმდევრობისა. მინაწერებიც გამოცემის მიხედვით მოვეჯავს.

¹⁷ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1926, გვ. CXXI—CXXII.

¹⁸ ბ. გორდენიანი, ვეფხისტყაოსნის დასურათებანი, გაზ. „ლიტერატურული საქარ-თველი“, 26 დეკემბერი, 1937, № 32.

პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა შ. ამირანაშვილის გამოკლევა: „შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში“¹⁹. ამ წერილის ძირითადი დებულებანი გამეორებულია მკვლევრის მომდევნო წლებში: „რა ერთ და ორ შრომაში“²⁰.

შ. ამირანაშვილი წერს: „მინიატურების ყველაზე უფრო დიდი რაოდენობა № 5006 ხელნაწერშია. იგი სულ ოთხმოცდაშვიდ მინიატურას შეიცავს. ამთგან ათი ცალკე ინახება. ამ ხელნაწერის ერთი მინიატურა (ფ. 148) შესრულების ტექნიკის მიხედვით XVIII ს. ეკუთვნის. მინიატურები ტექსტისაგან დამოუკიდებლად იყო შესრულებული, შემდეგ მათ კიდევზე შემოაწებეს არშია — ტექსტიანი ფურცლების ფორმატისათვის შესახამებლად. მინიატურების შესრულების სტილისა და ტექნიკის ანალიზი გვაძლუბს ორ ძირითად ჯგუფად გავყოთ ისინი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება პირველი ოცდაათი მინიატურა, რომლებიც მეტად ფაქიზად, გულმოდგინედ, დიდი ტექნიკური ოსტატობითაა შესრულებული. მეორე ჯგუფი ტექნიკურად ბევრად უფრო სუსტი მინიატურის ტიპის მიერაა შესრულებული“²¹.

ჩვენი მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ 1958 წლისათვის, როცა ეს შრომა გამოქვეყნდა, შ. ამირანაშვილის მიერ აღნიშნული ათი მინიატურა ხელნაწერში უკვე კარგა ხნის ჩაკერებული იყო (ესენია: ახლანდელი №№ 5, 14, 24, 33, 37, 49, 60, 62, 79, 83) და ცალკე აღარ ინახება (იხ. ხელნაწერის (S—5006) სარესტავრაციო პასპორტი, შედგენილი 1962 წლის ოქტომბერში) ეტყობა, მკვლევარს უკანასკნელად იგი არ შეუშოწმებია. ეს ჩანს თუნდაც მისი სხვა განცხადებიდანაც: „როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერში არის 77 მინიატურა: ათი მინიატურა ამოკრილია ხელნაწერიდან და ცალკე ინახება“²². მაშასადამე, დღეს, ოთხმოცდაშვიდივე მინიატურა ხელნაწერშია ჩაკინძული. ამას გარდა, აქ ერთ გაუგებრობასაც აქვს ადგილი: შ. ამირანაშვილი მინიატურათა პირველ ჯგუფს, არ ვიცით საიდან, 24 მინიატურას აკუთვნებს, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, მას 60 მინიატურა მიეკუთვნება (შდრ. დ. გორდევის დასახ. შრომას). პატივცემული მკვლევარი დაჟინებით სხვაგანაც იმეორებს ამ შეხედულებას: „პირველ ჯგუფს მიეკუთვნება 24 მინიატურა, რომლებიც დიდი ტექნიკური სრულქმნილებით და ირანული მინიატურის ყველა ტექნიკური ხერხის შეთვისებით ხასიათდება“²³ (აგრეთვე, Груз. миниатюра, стр. 41). მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ, დ. გორდევისაგან განსხვავებით, შ. ამირანაშვილი ამ მინიატურების ავტორად სპარსელი ოსტატის ნაცულად, ქართველ მინიატურ-

¹⁹ ენიშოს მოაბზე, III, 1938, გვ. 135—155.

²⁰ Ш. Я. Амиранашвили. История грузинского искусства, М., 1950, стр. 282—284; ი გ ი ე, 1963, стр. 316, № 318; Ш. Амиранашвили, Грузинская миниатюра, М., 1966, стр. 41—43; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 411—413; შ. ამირანაშვილი, ვეფხისტყაოსანი ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბ., 1968, გვ. 21—29.

²¹ შ. ამირანაშვილი, ვეფხისტყაოსანი ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბ., 1968, გვ. 21. ჩვენ ეარიზეთ მიგვეთითებინა მკვლევრის მიერ ამ საკითხზე გამოქვეყნებული უკანასკნელი შრომა.

²² ი ქ ე, გვ. 25. იხ. აგრეთვე. Ш. Амиранашвили, Грузинская миниатюра, 1966, стр. 4.

²³ ი ქ ე, გვ. 27.

რისტს აცხადებს²⁴: „თითქმის ყველა მინიატურაში ტიპაჲ სრულიად სცილდებოდა შაბლონურ, ტრადიციულ „მონღოლურ“ ტიპს, მეტად საფუძვლიანად დამკვიდრებულს ირანულ ხელოვნებაში. პირობითი „მონღოლური“ ტიპის ნაცვლად თითქმის ყველა მინიატურაში ქართული ტიპი სჭარბობს... აღნიშნული მინიატურები, უეჭველია, ქართველი მინიატურისტის მიერაა შესრულებული, რასაც ბრწყინვალედ ამტკიცებს კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტი: მე-40 ფურცლის მინიატურაზე ავთანდილ ზის და წერს გრაგნილზე მარცხნიდან მარჯვნივ. მინიატურისტმა გრაგნილზე ზიგზაგისებური ხაზით გამოსახა ტექსტის სტრიქონები. ტექსტის ქვემო სტრიქონი შუაზე წყდება იმგვარად, რომ ჩანს სტრიქონის ზიგზაგისებური ხაზი, მოყვანილი მარცხნიდან მარჯვნივ გრაგნილის შუამდე. ფსიქოლოგიურად სრულიად წარმოდგენილია, რომ ირანულ მინიატურისტს, რომელიც შეჩვეული იყო მარჯვნიდან მარცხნივ წერას, ზიგზაგისებური ხაზით წერის პროცესი მარცხნიდან მარჯვნივ აღენიშნა.

პირველი ჯგუფის მინიატურათა შემსრულებელი ქართველი იყო, მან შეინარჩუნა ძველი საერო სამინიატურო მხატვრობის ტრადიციები და დაუფლებული იყო ირანული მინიატურების ყველა მხატვრულ და ტექნიკურ ხერხსაც. მთლიანად მინიატურები მიეკუთვნება ქართული სამინიატურო მხატვრობის იმ მიმდინარეობას, რომელიც სეფევიდთა პერიოდის ირანული ხელოვნების ფორმებით იყო გამსჭვალული... მინიატურების მეორე ჯგუფი შემსრულებელია ნაკლებად დახელოვნებული ოსტატის მიერ, რომლის ქართველობაშიც ეჭვი არავის ეპარება“.

უკანასკნელ დროს, ორჯერ (1960, 1967 წწ.) გამოქვეყნდა მ. ქელოვიძის წიგნი: „ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის“, რომელშიაც ავტორმა არ გაიზარა შ. ამირანაშვილის მტკიცება მინიატურათა პირველი ჯგუფის ავტორის ქართველობაზე. მ. ქელოვიძის საამისო საბუთებს ჩვენ აღარ გამოვუდგებით, ოღონდ ვიტყვით, რომ ზოგიერთი მისი დაკვირვება ამ ჯგუფის ზოგი მინიატურის (მაგ. 23, 31, 32, 34, 44) დეტალების პოემის ტექსტთან შეუსაბამობაზე უთუოდ ანგარიშგასაწევია²⁵.

რაც შეეხება მინიატურათა შესრულების დროს, არც შ. ამირანაშვილი და არც მ. ქელოვიძე ანგარიშს არ უწევენ ხელნაწერის უკანასკნელ დათარიღებას (მე-18 ს.-ის I ნახევარი)²⁶ და ხელნაწერსაც და მინიატურებსაც მე-17 საუკუნეს აკუთვნებენ. მაშასადამე, მათი აზრით, ხელნაწერი დასურათების თანადროულია და მე-17 საუკუნეში ყოფილა შესრულებული.

მაშინ რა გამოდის: ან უნდა უარვყოთ ს. ცაიშვილის მიერ ხელნაწერის მე-18 ს. I ნახევრით დათარიღება და ხელნაწერი ისევე მე-17 საუკუნეში გადავიტანოთ (რისთვისაც ს. ცაიშვილის მიერ მოტანილი საბუთიანობის მიხედვით არავითარი საფუძველი არ გავვაჩნია), ან არადა, უნდა ველიაროთ, რომ S—5006

²⁴ იქვე, გვ. 27—29. სხვათა შორის, პირველად, ასეთი შეხედულება, თუმცა გაყვრით, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, გამოქმული ჰქონია ს. კაკაბაძეს „ვეფხისტყაოსნის“ თავის 1926 წლის გამოცემაში, გვ. CXXI—CXXII.

²⁵ მ. ქელოვიძე, ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 20—24; ზღრ. მეორე გამოცემა: ვეფხისტყაოსნის დასურათებიანი, თბ., 1967, გვ. 65—92.

²⁶ იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963 და სხვ. გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვით, პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ხელნაწერი მე-18 ს. დასაწყისით დათარიღებული ჰქონია ი. მუნჯაგვიასაც.

ხელნაწერში ჩართული მინიატურები ეფეხისტყაოსნის ადრინდელი დასურათებული ხელნაწერიდან არის ამოღებული²⁷.

მართლაც, საამისოდ ჩვენ საქმარისი საფუძველი უნდა გვექონდეს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მინიატურათა დაწვრილებით აღწერა და ზოგიერთი მომენტის ხელახალი გათვალისწინება.

პირველ რიგში უნდა შევჩერდეთ ქალაღზე. ე. თაყაიშვილის აღწერილობით: „Бумага персидская, лощенная, без филигранн“²⁸. უნდა გარკვევით ითქვას, რომ ისე როგორც საკუთრივ პოემის ტექსტი, ასევე მინიატურები შესრულებულია სულ სხვადასხვა ქალაღზე. მაგალითად, ხელნაწერის ტექსტის დასაწყისი ნაწილი დაწერილია განსხვავებულ სპარსულ ქალაღზე, ვიდრე ხელნაწერის მეორე ნაწილი. ასევე პირველი ჯგუფის მინიატურები შესრულებულია ერთნაირ მდარე ხარისხის გასანთლულ სპარსულ ქალაღზე, ხოლო მეორე ჯგუფის მინიატურათა ერთი ნაწილი შესრულებულია კიდევ უფრო მდარე სპარსულ ქალაღზე, ნაწილი კი არა სპარსულ, არამედ ევროპულ (ვენეციურ) მაღალხარისხიან ქალაღზე. ექ. თაყაიშვილი კი, როგორც ვთქვით, ხელნაწერის ქალაღს მთლიანად უჭვირნიშნო გასანთლულ სპარსულ ქალაღად მიიჩნევდა. მინიატურათა მეორე ჯგუფის ერთ ფურცელზე ჩვენ შევნიშნეთ შედარებით სრულად გადარჩენილი კვირნიშნის ემბლემატური ნაწილი (ორხაზოვანი გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარიით). რ. პატარიძის აზრით, ეს კვირნიშანი ვენეციური წარმოშობისაა. ქართულ თარიღიან დოკუმენტებში — Ha—9466 (1660 წ.), Sd—49 (1661 წ.), საისტ. არქ. ფ. 1448, № 534 (1674 წ.) და ხელნაწერებშია იგი გვხვდება 1660—1674 წლების ქრონოლოგიურ პერიოდში. რ. პატარიძის ცნობით, ეგვევ კვირნიშანი დასტურდება „ეფეხისტყაოსნის“ ერთ ხელნაწერშიაი — L (A—363), რომელიც მისივე დათარიღებით 1669—1670 წლებში უნდა იყოს გადაწერილი.

მაშასადამე, გამოდის, რომ „ეფეხისტყაოსნი“ S—5006 ხელნაწერის მინიატურათა მეორე ჯგუფი შესრულებული ყოფილა მე-17 საუკუნის 60—70-იან წლებში, უფრო ზუსტად, 1660—74 წწ.; რადგან ჩვენ მოგვეცა შემთხვევა მინიატურათა მეორე ჯგუფის ასე ზუსტად დათარიღებისა, უკვე ძნელი აღარაა დავათარიღოთ მინიატურათა პირველი ჯგუფიც, რომელიც ყველა ნიშნით უფრო ადრე უნდა იყოს შესრულებული, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს მე-17 საუკუნის 50-იანი წლებისა.

თუკი პოემის დასურათება მე-17 საუკუნის 50—70-იან წლებშია შესრულებული, ბუნებრივია, იგი ამავე პერიოდში გადაწერილი თვით პოემის ტექსტის ხელნაწერისთვის იქნებოდა განკუთვნილი. ყოველ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, რომ მე-17 ს-ში შესრულებული პოემის ილუსტრაციები გამოუყენებელი ყოფილიყო მე-18 ს. I ნახევარში გადაწერილ S—5006 ხელნაწერამდე.

გვაქვს თუ არა კიდევ ჩვენ რაიმე საბუთი იმისა, რომ მე-18 ს. ხელნაწერ S—5006-ის კუთვნილი მინიატურები ერთ დროს მე-17 ს. II ნახევარში გადაწერილ პოემის ხელნაწერიდან არის ამოღებული?

პირველი საბუთი ამისა ის გახლავთ, რომ 87 მინიატურიდან 86 მინიატურა, რომელიც ხელოვნებამცოდნეთა ერთსულოვანი დათარიღებით მე-17 საუკუნის განეკუთვნება, ხელნაწერისაგან განსხვავებული ერთი ფორმატის ქა-

²⁷ ამისი სხვა შემთხვევის მაგალითია პოემის H—2074 ხელნაწერა.

²⁸ Описание, II, стр. 566.

ღალღზეა შესრულებული და ხელნაწერისთვის გასატოლებლად ყველას ხელნაწერისვე ქალაღი აქეთ ზემოდან და ქვემოთკენ აშიად შემოწებებული, ოღონდ მინიატურის მარჯვენა მხარე, როგორც ამას ჩარჩო გვიჩვენებს, ჩამოჭრიღა, რადგან, ეტყობა, მინიატურის ფურცელი სიგანეში ხელნაწერის ფურცელზე ფართო ყოფიღა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მინიატურების ქალღლის ზომისვე იქნებოღა პოემის ის აღრინდელი ხელნაწერი, რომელშიაც თავდაპირველად ყოფიღან ისინი ჩაკრული. იმ პირველ ხელნაწერში ჩაკინძვისას მოხნა აღბათ ან ორი ჯგუფის მინიატურათა ქალღლებიღს ერთნაირად ხელნაწერის ზომისთვის შეფარდება, თორემ სხვანაირად წარმოუდგენელია ორ სხვადსხვა მხატვარს მინცდამინც ზუსტად ერთი ზომის სამი სხვადსხვა წარმოშობის ქალღდი ჰქონოღათ ხელთ. ან შეიძლებოღა ისიც გვევარაუდნა, რომ თუ ხელნაწერის დამსურათებელი მართლაც ქართველები იყვნენ, როგორც ამას შ. ამირანაშვილი ფიქრობს, მათ ხელნაწერის ზომაზე ჰქონდათ დაკრიღი მინიატურებისთვის განკუთვნიღი ქალღლები და ესეც ეგებ მინიატურების აღგიღობრივ წარმოშობიღობას მიუთითებდეს. ყოველი ნიშნით, მინც ორივე შემთხვევაში, გამორიცხული ჩანს დ. გორდევეის მტკიცება, თითქოს მინიატურები დამზადებული ყოფიღა როგორც იღუსტრაციათა დამოუკიდებელი რვეული თუ აღბომი. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს: დ. გორდევეი იყო პირველი, რომელმაც შენიშნა, რომ ეს მინიატურები „...делались вообще не для этой книги“ (იგულისხმებღ S-5006.—გ. შ.).

აღნიშნული 86 მინიატურა რომ აღრე მართლაც სხვა ხელნაწერის კუთვნიღბა იყო, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოებაც: ერთადერთი მინიატურა (ფ. 148)²⁹, რომელიც მინიატურათა საერთო რიცხვს 87-მდე ზრდის და რომელიც დ. გორდევეისა და შ. ამირანაშვილის დათარიღებით გვიანდელია (მე-18 ს.) სწორედ მე-18 ს-ში გაღაწერიღი S—5006 ხელნაწერის ზომის ქალღღზეა შესრულებული. ესეც ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ მინიატურის ქალღღის ზომის შეტოღბა ხელნაწერთან სწორედ ხელნაწერში ჩაკვისას ხდებოღა.

ამას გარდა, რაც ყვეღაზე მთავარია, მინიატურათა ქართულ მინაწერებს შემოღუნახავს იმ თავდაპირველი ხელნაწერის ვარიანტული ჩვენებანი, რომლებიც განსხვავდებიან S—5006-ის შესაბამის აღგიღთა წაკითხვისაგან და ამდენად კიდევ ერთი ვახტანგამდელი ხელნაწერის მნიშვნეღობას იძენენ. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ მინიატურის სიუჟეტური კომპოზიციის გაღმოსაცემად ქართულ მინაწერებში აღაგ-აღაგ გამოყენებულღა პოემის ტექსტის აღგიღები. მოვიყვანოთ ზოგიერთ მათგანს:

1. № 34 მინიატურაზე გამოხატულ გრანგიღზე ჩაწერიღა:

„წიღნი : ვნახე : ვისი : იყო : ვისი მღაგავს : აღი გულსა“.

ხელნაწერის შესაბამის აღგიღში:

„წიღნი : ვნახე : მისი : იყო : ვისი : მწვეღდა : აღი : გულსა“.

2. № 56 მინიატურას მიწერიღი აქვს:

„ნავსა : ჩავეღ : ზღვასა : გავეღ : ზღვასა შიგან : გაეღაღადი“

²⁹ ეერ დაეთანხმებით შ. ამირანაშვილის თითქოს, ესაა მინიატურა „изображающая св. Георгия“ (Груз. миниатюра, М., 1966, стр. 41). ჟერ ერთი ყვეღანაირად მოუღონდელია ვეფხისტყაოსნის პერსონაღთა გვერდით წმ. გორგეს გამოჩენა და მეორეც: ეს მინიატურა ტექსტში ჩაკრულია იმ აღგიღს, საღაც გაღმოცემელია ტარიელთან ხელმეორედ წამრსული აუთანდიღის ლოცვა და ჩვენის აზრით, მასზე სწორედ მოღოველი აუთანდიღია გამოხატული: „ლოცავს, იტყვის: „მღაღო, ღმერთო ხმეღთა და ცათო...“

- ხელნაწერში (ფ. 123v):
„ნაესა : შევქვე : ზღუასა : შეველ : ზღუასა : შიგან : გაკლავდი :“
3. № 57 მინიატურის მინაწერი:
„ზახილი : მესმა : გავკვირდი : მოყმე : ამაყად : ყოიდა :“
ხელნაწერში (ფ. 126):
„ზახილი : მესმა : შევხედენ : მოყმე : ამაყად : ყოიდა :“
4. № 68 მინიატურის მინაწერი:
„ერთი : აღმა : ერთი : დაღმა : უგზოდ : ვლოდენ : შამბთა : ეჯით :“
ხელნაწერში (ფ. 165v):
„ერთი : აღმა : ერთი : დაღმა : უგზოდ : მივლენ : შამბთა : ეჯით :“
5. № 69 მინიატურის მინაწერი:
„მათ : ლაშქართა : ყოლბსა : შუა : ორბი : სითმე : გარდმოფრინდა :“
ხელნაწერში (ფ. 172v):
„მათ : ლაშქართა : ყოლბთა : შუა : ორბი : სითმე : გარდმოფრინდა :“
6. № 72 მინიატურის მინაწერი:
„იქი : წვეს : ძილად : იცოდე : ანუ ქვე : ჰპოვებ : მქლომელსა :“
ხელნაწერში (ფ. 186v):
„იქი : წვეს : ძილად : იცოდი : ანუ : ქვე : ჰპოვებ : მქლომელსა :“
7. № 76 მინიატურის მინაწერი:
„გზანი : დახედეს : შეკაზმულნი : ავიდეს : და : აძვრეს : ხერელსა :“
ხელნაწერში (ფ. 221v):
„გზანი : დახედეს : შეკაზმულნი : შევიდეს : და : გაძვრეს : ქერელსა :“
8. № 81 მინიატურის მინაწერი:
„შევიდეს : ნახეს : თინათინ : მკერეტთა : მიშცემი : ლხინისა :“
ხელნაწერში (ფ. 237v):
„შევიდეს : ნახეს : თინათინ : მკერეტთა : მამცემი : ჳირისა :“

როგორც ვხედავთ, მინიატურის მინაწერთა და ხელნაწერის ტექსტის დამოწმებულ ადგილთა შორის საგრძნობი და ხშირად მკვეთრი ვარიანტული სხვაობანია: ვისი მისი; მდაგავს მწვევედა; ჩავქვე შევქვე; გაველ შეველ; გავკვირდი შევხედენ, ვლიდენ მივლენ; ყოლბსა ყოლბთა; იცოდი იცოდე; დახედეს დახედეს; ავიდეს შევიდეს; აძვრეს გაძვრეს; ლხინისა ჳირისა.

რაც მთავარია, მინაწერებით დამოწმებულ ვარიანტებს ლიტერატურული ტრადიცია ეძებნება პოემის მე-17 საუკუნის საუკეთესო (A, F, R, Z, E და სხვ.) ხელნაწერებში³⁰ და არც ერთ მათგანს ზეპირი ხასიათი არა აქვს. აქედან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ:

თუკი მინიატურები თავიდანვე S—5006 ხელნაწერს ეყუთვნოდა, მაშინ რამ გამოიწვია მინაწერების წყაითხვების ასეთი საგრძნობი დაშორება ხელნაწერის ტექსტისაგან. ცხადია, ასეთი რამ მხოლოდ მაშინ იყო მოსალოდნელი თუ მინიატურები ადრე სწორედ იმ ხელნაწერზე იქნებოდნენ ჩაკრული, სადაც მათ მინაწერთა ეკვივალენტური წყაითხვები იყო დაცული.

შეიძლება აქ ვინმემ შემოგვედავოს: მინაწერის ხელი ამკარად არაკალიგრაფიულია და ამასთან საიდან ვიცით, რომ ის პალეოგრაფიულად S—5006 ხელნაწერის ხელზე უფრო ძველია? მაგალითად, შ. აშირანაშვილი. ხომ ამ ხელს „ცოტა უფრო გვიანდელადაც“ მიიჩნევს!³¹

მაგრამ ასეთი რამ გამორიცხულია და აი რატომ: S—5006 ხელნაწერის გადაწერისას რომ ეს მინიატურები უკვე მასში თანდათანობით, ტექსტის შესაბა-

³⁰ შტრ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ოთხ ნაკვეთად, 1960—1963 წწ., აღ. ბარამიძის საერთო რედაქციით; ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები, I, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966.

³¹ შ. აშირანაშვილი, დსახ. შრომა, გვ. 26—27.

მის ადგილას იკვრებოდა, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: მინიატურათა ზურგს არცთუ იშვიათად აჩნია ტექსტის გადაწერისას დაუშვრალი გეღნის ანაბეჭდები. ხოლო თუ S—5006 ხელნაწერის გადაწერის პროცესში მინიატურები შიგ იკვრებოდა, მაშინ წარმოუდგენელია რომ მინიატურათა მინაწერების ავტორს სხვა ხელნაწერით ესარგებლა, თუ არ S—5006-ით, თუკი მინაწერები მართლაც ხელნაწერის გადაწერის შემდეგ „ცოტა უფრო გვიან არის შესრულებული“, როგორც ამას შ. ამირანაშვილი ფიქრობს.

მაგრამ ასე არ მომხდარა: მინაწერები გაცილებით უფრო ადრეა (მე-17 ს. II ნახევარი) შესრულებული ვიდრე S—5006 გადაიწერებოდა (მე-18 ს. I ნახევარი) და სწორედ იმ ხელნაწერის მიხედვით, რომლის თავდაპირველ კუთვნილებასაც ეს მინიატურები შეადგენდნენ.

მაშასადამე, ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ S—5006 ხელნაწერის მინიატურები „ვეფხისტყაოსნის“ სხვა დასურათებული ხელნაწერიდანაა ამოღებული, რაც ამ უკანასკნელის საგრძნობი დაზიანებით უნდა იყოს გამოწვეული, რომლის მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

ამ საკითხს ორგანულად უკავშირდება S—5006 ხელნაწერის რედაქციული თავისებურებების საკითხიც: რით არის გამოწვეული, რომ S—5006 თავსა და ბოლოში მე-17 საუკუნის ვრცელი რედაქციული ტიპის (ს. ცაიშვილის მტკიცებით — D ტიპის)³² ხელნაწერს მისდევს, ხოლო შუა ნაწილში კი ვახტანგისეულ 1712 წლის ბეჭდური გამოცემის ასლს წარმოადგენს?

ამის მიზეზი და ხელნაწერის შექმნის ისტორია ჩვენ ასე წარმოგვიდგება: „ვეფხისტყაოსნის“ მე-17 ს. რომელიღაც ჩვენთვის უცნობი ვრცელი რედაქციული ტიპის დასურათებული ხელნაწერი საგრძნობლად დაზიანებულა მე-18 ს. I ნახევარში და დამდგარა ხელნაწერის ხელახალი გადაწერის აუცილებლობა. გადაწერისას, იქ სადაც ხერხდებოდა, გამოუყენებიათ ძველი დაზიანებული ხელნაწერის დასაწყისი და ბოლო ნაწილი, ხოლო შუა ნაწილი, ეტყობა, შეავსეს მაშინ უკვე გამოსული და გავრცელებული პოემის 1712 წლის ნაბეჭდი ვახტანგისეული რედაქციით. აგრეთვე ახალ ხელნაწერში ჩართეს ძველი ხელნაწერიდან ამოღებული მხატვრობაც, რომელიც ალაგალაგ შესამჩნევად არის დაზიანებული (იხ. მაგ., №№ 16, 47, 63 მინიატურები), ხოლო ზოგჯერ როცა ამის აუცილებლობა იყო, მისი რესტავრაციაც უტღიათ (იხ. №№ 25, 26, 27, 31, 37, 55 მინიატურები) და დაუმატეს კიდევ ერთი ახალი მინიატურა (იხ. № 65 მინიატურა: „მლოცველი ავთანდილი“). ამას გარდა, ვფიქრობთ, ხელნაწერის დაზიანების გამო პირველი ჭგუფის ზოგი მინიატურა საერთოდ უნდა დაღუპულიყო და S—5006-მდე არც მოუღწევია:

საქმე ისაა, რომ ამ ჭგუფის პირველ ხუთ (№№ 1—5) მინიატურას ქვედა მარცხენა კუთხეში შემორჩენილი აქვს ყველაზე ადრინდელი პაგინაცია, შესრულებული კალიგრაფიული მხედრული ასოებით: ა, გ, ე, ვ, ზ (მომდევნო მი-

³² ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 70, 132.

3. „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 3

ნიატურებს ეს ადგილი ჩვეულებრივ ჩამოხეული აქვთ და ამიტომ პაგინაციაც დაკარგული). ახლანდელი პაგინაციით 1—5 მინიატურის ნაცელად ძველით 7 მინიატურა (ა—ზ) გამოდის. ჩავარდნილია ბ და დ ასო. მაშასადამე, პირველი ჯგუფის ბ და დ მინიატურები მთლიანად დაიკარგა, ალბათ, ხელნაწერის ტექსტის ზოგ ფურცელთან ერთად.

ყოველ შემთხვევაში, სხენაირად არაბუნებრივი ჩანს და აუხსნელი რჩება, რაღა ალაგ-ალაგ იქნა გამოყენებული პოემის 1712 წლის ნაბეჭდი ვახტანგისეული რედაქცია, თუკი ეს ხელნაწერი, მის გარკვეულ მონაკვეთში მაინც (შუა ნაწილი), ამ გამოცემის ასლს წარმოადგენს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის შ. რუსთაევის სახ. ლიტერატურის
ინსტიტუტმა)

ივანე გიგინიანი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის წაკითხვისა და
გაგებვისათვის*

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი უკეთეს დიალოგთაგანია ავთანდილ-ასმათის ცნობილი დიალოგი. მოვიგონოთ ამბის განვითარების თანამიმდევრობა.

ავთანდილმა ქვაბამდე მისდია უცხო ყმას. „მან ყმამან ქვაბსა მიჰმართა, გავლნა წყალნი და კლდენია, ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახნა დიდნი ხენია, მას ზედა ჰვერტად გავიდა...“ „ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი...“, „იგი ყმა ცხენსა გარდახდა, ყელსა მოექლო მკლავითა“, „იზახლიან, მოთქმიდიან“. შემდეგ „სული დილო მან ქალმან“, „ქვაბს შეიყვანა ტაიქი“, „მას ყმასა შეჰხსნა, შეილო აბჯრისა წელმორტყმულობა“, „შინა შევიდეს“.

„გათენდა, ქალი გამოდგა“, „შავსა აუღვა ლავამი“, „შეკაზმა, მოაქვს აბჯარი“, ყმა და ის ქალი „ერთმანერთსა მოეხვივნეს“ და ვაჟი „მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა, შამბი გავლო, გაეშორა, თავი მინდორს გააგარა“.

ავთანდილმა გადაწყვიტა, შეეპყრო ქალი და მისგან გაეგო „მის ყმისა ამაბაეი“; ჩამოვიდა ხიდან, „ცხენი ახსნა“, „ზედა შექდა“ და ქვაბისაკენ გაემართა. ქვაბიდან „ქალი გამოიქრა“, „ეგონა, თუ: დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული“, მაგრამ „ვერ იცნა, სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა“, ამიტომ „გაიქცა, მიჰმართა ზახილით კლდესა და ხესა“. ავთანდილი ცხენიდან „გარდაიქრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა“.

ქალი იბრძვის და საშველად „ტარიელს ვისმე“ უძახის. ავთანდილი მუხლმოყრილი ეხვეწება, დამშვიდდეს და უამბოს, თუ ვინ არის ის „ტანსარო, პირბაკმიანი“. ქალი უარზეა; ავთანდილი ისევ ეხვეწება. ბოლოს, როცა ველარაფერი ათქმევინა, „თმითა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბრჩინა“. ავთანდილის მიერ გადადგმულმა ამ უკიდურესმა ნაბიჯმა სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ქალმა უპასუხა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი; თუ არ მომკლავ, არ მოვეკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი. რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახაეი? კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ შედგას ზედან თავი“. „ჩალად მიჩნს ყოელი სოფელი, მისთვისევე შემიწონია, ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მისანდლონია?“ — არის ქალის მტკიცე პასუხი.

* წაკითხულია მოხსენებლად თბილისის უნივერსიტეტში რუსთაველის სემინარის სხდომაზე 1967 წლის 28 დეკემბერს.

სტროფების სათელავეი ნაჩვენებია 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

ავთანდილი დარწმუნდა, რომ „არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა“, ქალი „გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირის, დაუწყო ცრემლთა ფრქვევა“, „კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულნალმობარია“.

ავთანდილმა დაინახა, რომ ქალმა „გონებანი ჩქარნი მისთვის დააწყყანარნა“, „მუხლნი მიუყარანა“ და პატიება და მიჯნურის შებრალება სთხოვა. მიჯნურის ხსენებაზე ქალმა „გულამოხეინჩვით დაიწყო ასკეცად ცრემლთა დინება“. ავთანდილი მიხედა, რომ „ამა სიტყვითა ქალს ფერი შეეცვალების“ და გამოუტყდა, რომ არის „მიჯნური ხელი ვინმე“ და რომ „მისმან მზეგან გამოგზავნა საძებნელად იმა ყმისად“. ამან გადაწყვიტა საქმე ავთანდილის სასარგებლოდ. ქალი მოლბა და ასე მიმართა ავთანდილს: „წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა ჩამოსთესი“, მაგრამ „აწ მოყვარე გიპოვინივარ ღისაგანცა უფრო ღესი“ და, „რათგან მიჯნურობა შენად ღონედ მოიგონე, არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამოზე“-ო.

ქალმა ასეთი პირობა დაუდო ავთანდილს:

აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები,
რასაცა ეძებ, მიხვდები, უცილოდ არ ასცილდები;
თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოებ, რაზომცა ცრემლსა კვილდები,
მიგზვდების მღურვა სოფლისა, მოკვდები, გა-ცა-სწილდები.

ავთანდილი ამის პასუხად ნაღვლიანი ირონიით საესე ცნობილ არაკს შეაგებებს ქალს კაში ჩავარდნილის შესახებ:

ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა:
ორნი კაცი მოვიდოდეს სადაურნი საღმე გზასა.
უკანმან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ქასა,
ზედ წაადგა, ჩაპყიოდა, ტირის, იძახის ვაგლან-ვასა.
ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიციოდე,
წაელ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე“.
მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუყვირდა შეტად კიდე,
შემოკვიცა: „არ გელოდე, სად ვაგეძქე, სად წაიდე?“

ეს არაკი მოთხრობილია პოემის 255-ე და 256-ე სტროფებში.

ამას მოსდევს 257-ე სტროფი, რომელშიაც ავთანდილი უკვე თავისი სიტყვებით იმასვე ეუბნება ქალს, რაც არაკის საშუალებით უკვე უთხრა. მოგვყავს ეს სტროფი 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,
სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა;
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,
თვარ ეისმცა ექმნა გორლითა შეკრვა თავისა მრთელისა!

ამ სტროფის შინაარსი, როგორც ჩანს, ზოგადად და მეტ-ნაკლებად მანც ერთგვარად ესმოდათ მკვლევრებს. ავთანდილი ეუბნება ქალს: დაო, ახლა ჩემი ყელის საბელი შენს ხელშია [გინდ წამიქერ ყელში საბელს, გინდ მომიფონებ, შემხსნი, ე. ი. გინდა არაფერს მიშველი და, მაშასადამე, მომკლავ, გინდა მიშველი და, მაშასადამე, ცოცხალს დამარჩენ]. რასაც მიზამ, შენ იცი, შენ ხარ ხელის (ვახელეზულის, გიჟის, შმაგის) წამალი (ხელის, შმაგის შველა შენ შეგიძლია), ჩემი ხელის აპყრობა (ხელის მომართვა, ხელის შეწყობა,

შველა) უშენოდ შეუძლებელია, თორემ ვის უქნია, რომ გორლით (გვარლით, ბლახისაგან შეგრეხილი თოკით) მრთელი (ჯანმრთელი, საღი, აუტიკი-ვარი, გაუტეხელი) თავი შეეკრა, შეეხვიაო.

მართლაც, თუ დავაკვირდებით ამ სტროფის ტაეპებს ცალ-ცალკე, დავრწმუნდებით, რომ სრულიად ნათელია შინაარსი პირველი და მესამე ტაეპებისა — აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა და რასაცა მიწამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა. დაეპებას იწვევდა მეოთხე ტაეპის შინაარსი მხოლოდ ერთი მხრით: აქ ნათქვამია, რომ მრთელი, ე. ი. საღი, აუტიკივარი, გაუტეხელი თავი გვარლით (გორლით) ვის შეუტრავსო. მაშასადამე, არამრთელ, ე. ი. გატეხილ თუ დაქრილ თავს გვარლით (გორლით) იკრავენ (იხვევენ). გვარლი (გორლი) კი ბლახისაგან შეგრეხილი თოკია, ამდენად, ამგვარი სახევეი მასალით თავის შეკვრა სახამუშო ჩანდა.

მეორე ტაეპის აგებულებაც არ ჩანდა მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელი. ამან ტექსტის მკვლევართა და გამომცემელთა ყურადღება მიიქცია. ასე, მაგალითად, ა. შანიძე წერდა: „ჩემი აპყრობა ხელისა“ ნიშნავს: მე რომ ხელი მოგიმართო, ან: მე რომ ხელი მოეუმართო. პირველი გაგება გამორიცხულია, რადგან ასმათს არ სჭირდება ავთანდილის დახმარება; მეორე გაგებაც შეუძლებელია, რადგან ჯერ ტარიელის შესახებ არაფერი უამბნია ასმათს. ამიტომ ჩემგან ფორმა უნდა შესწორდეს: სხვად უღონოა უშენოდ ჩემდა აღპყრობა ხელისა“. „ჩემდა“ იგივეა, რაც „ჩემთვის“, მაშასადამე, ტაეპის აზრი ასეთია: სხვაფრივ უშენოდ მე ხელს ვერავინ შემიწყობსო¹.

ამრიგად, ა. შანიძემ შემოიტანა კონიექტურა ჩემდა ჩემგან-ის ნაცვლად და მას ამ ტაეპის აზრი ასე ესმის: სხვაფრივ უშენოდ მე ხელს ვერავინ შემიწყობსო; სხვაგვარად: სხვაფრივ შეუძლებელია უშენოდ ჩემთვის ხელის შეწყობაო (სხვად — სხვაფრივ, ჩემდა — ჩემთვის...).

ტაეპის აზრი მართლაც ბუნდოვანია. სხვად ფორმის მნიშვნელობა მართლაც შეიძლება მხოლოდ სხვაფრივ იყოს. უღონო უძღურს ნიშნავს, ხელის აღპყრობა — შევლას, დახმარების გაწევას, ხელის შეწყობას. სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა ამის მიხედვით შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ამას: ჩემგან (ჩემ მიერ) შველა (ხელის შეწყობა, დახმარების გაწევა) უშენოდ სხვაფრივ უღონოა (უძღურია). აქ კი უკვე ყველაფერი ერთმანეთშია არეული. ჯერ ერთი ავთანდილი მართლაც ვერ იტყვია: ჩემგან აღპყრობა ხელისაო, ე. ი. ჩემ მიერ შველაო, რადგან ის კი არ შველის სხვას, არამედ თვითონ მას სჭირდება შველა; მეორეცაა და, ამ წინადადებაში შემასმენელია უღონოა, ხოლო რეალურ სუბიექტად მასთან გამოდის აღპყრობა ხელისა. უღონოა-ს და აღპყრობა-ს ერთ სინტაგმად შეკავშირება შინაარსობრივად შეუფერებელია. ამ მხრივ, ამგვარი გაგების კრიტიკა, წარმოდგენილი ა. შანიძის მიერ, სამართლიანი ჩანს ისევე, როგორც მის მიერვე ჩემგან ფორმის შეცვლა ჩემდა ფორმით, როგორც ქვევით დავინახავთ, წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ამ ტაეპის მართე-

¹ ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები, II. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოკვებისათვის: ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1956, გვ. 022; აგრეთვე: „მნათობი“, 1956, № 7 და ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, I, გვ. 95, თბილისი, 1966.

ბულად გაგებაში². მაგრამ ეს ცვლილება საკმარისი არ არის. ამ კონიექტურის შემოტანის შემდეგაც ტაეპი გაუგებარი რჩება; კერძოდ, არასგზით არ შეიძლება მას ის შინაარსი ჰქონდეს, რა შინაარსსაც ა. შანიძე დებს ამ ტაეპში: სხვაფრივ უშენოდ მე ხელს ვერაფერს შემიწყობსო. ტაეპში ყველაფერია მოცემული: არის სხვაფრივ (სხვად), არის უშენოდ, თითქოს მე-ც (ჩემად), ხელის შეწყობაც (აპყრობა ხელისა), მაგრამ არსად არის ვერაფერი (რეალური სუბიექტი) და ხელმეტია უღონოა. ამასთან, უშენოდ მე ხელს ვერაფერს შემიწყობს შეიძლება მხოლოდ ამას ნიშნავდეს: შენს დაუხმარებლად ხელს ვერაფერს შემიწყობს. აქ კი სრულიად გაუგებარია, ვის უნდა დაეხმაროს ასმითი ავთანდილისათვის ხელის შეწყობაში.

მეოთხე ტაეპის შინაარსის შესახებაც არაერთი შეხედულებაა გამოთქმული, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ჭერ ენახოთ, როგორაა წარმოდგენილი საანალიზო სტროფი გამოცემებსა და ხელნაწერებში.

პირველი ტაეპის დაწერილობაში გამოცემები მცირეოდენ განსხვავებას გვიჩვენებენ. ი. აბულაძის ორივე, დ. კარიჭაშვილის მეორე, ს. კაკაბაძის პირველ, კ. ჭიჭინაძის, პ. ინგოროყვას და 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებში იკითხება შენთა ხელთაა, დანარჩენებში (ვახტანგ VI-ის, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის პირველ და ს. კაკაბაძის მეორე გამოცემებში) — შენსა ხელსაა.

შესაბამისად ხელნაწერებში ვკითხულობთ: შენსა ხელთაა UV, შენსა ხელთ არის GH, შენსა ხელს არის N, შენთა ხელთაა FIZ, შენთა ხელთ არის JKOT. ჩემი საბელი J-ში გადასმულია: საბელი ჩემი.

მეორე ტაეპში ყველა ძველ გამოცემაში ერთგვარადაა წარმოდგენილი. ხელნაწერებშიც მცირე სხვაობაა: უღონოა უღონო ვარ L; ჩემგან ჩემი EGITZ.

ერთ-ერთ გვიანდელ ხელნაწერში (I') სხვად ფორმის ნაცვლად მოიპოვება ფორმა სხვა.

აღსანიშნავია ერთი ორთოგრაფიული ხასიათის ფაქტი: ხელნაწერებში იკითხება აპყრობა ან აპყრობა და არ გვხვდება აღ-პრევერბიანი ფორმა აღაპყრობა. აპყრობა იკითხება ვახტანგ VI-ის, დ. კარიჭაშვილის პირველ და ს. კაკაბაძის ორივე გამოცემაში. არქაულ აღაპყრობას მ. ბროსეს გამოცემა იწყებს და შემდგომი გამოცემები, განსაკუთრებით 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარეები, ამკვიდრებენ.

მესამე ტაეპის დაწერილობა გამოცემებში სავსებით ერთგვარადაა წარმოდგენილი. ხელნაწერებში გვაქვს ვარიანტი ლხენისა ხელისა-ს ნაცვლად. ეს ტაეპის შინაარსის თავისებურად გააზრიანების შედეგს წარმოადგენს. ლხენისა იკითხება ABEMNXZ ხელნაწერებში.

მეოთხე ტაეპის დაწერილობაში სხვაობები გვხვდება როგორც გამოცემებში, ისე ხელნაწერებშიც. ვახტანგის გამოცემაში, ყველა დანარჩენ გამოცემებში და FGHITUVXZ ხელნაწერებშია თვარ ვისმცა, დანარჩენ ხელნაწერებში — თვარა ვისმც (E-ში იკითხება მხოლოდ თუ არცა ვისმცა).

² ოღონდ, როგორც ქვემოთვე იქნება ნაჩვენები, „ვეფხისტყაოსნის“ ენას უფრო ჩემად ფორმა შეეფერება, ვიდრე ჩემდა ფორმა.

ვახტანგ VI-ის, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიკაშვილის (ორივე), ს. კაკაბაძის (ორივე), კ. ჭიჭინაძის, პ. ინგოროყვას და 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებშია გორლითა, ასევეა CFIR ხელნაწერებში. ი. აბულაძე ბეჭდავდა ფორმას გვარლითა. დ გამოცემაშია (ვტ კომისიის ლიტერით) გორგლითა³. სხვა ხელნაწერებშია: გორილითა L, გურალით Z, გირვლითა T, გვარგლითა I, გურგალით KO, შგრგვალისა H, მგვრგვალისა N, შგრვალისა G; დანარჩენებში გვარლითა იკითხება. J-ში ტაეპის პირველი ნაწილი ასე იკითხება: თვარ ვისმცა ექნას სიმგრგვლითა.

თავისა-ს ნაცვლად თვისა იკითხება ვახტანგ VI-ის გამოცემაში.

აქ წარმოდგენილი სურათი ხელნაწერთა და გამოცემათა ჩვენებებისა ცხადყოფს, რომ სტროფის პირველი და მესამე ტაეპების წაკითხვა მართლაც არ იწვევს რაიმე ეჭვს. მაგრამ ამავე ჩვენებებიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ საერთო ჰარმონიას არღვევს პირველ რიგში მეორე ტაეპი — სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა.

ამ ტაეპში პირველ ყოვლისა გასარკვევია უშენოდ ფორმის რაობა. ამის გამო აუცილებელი გახდება ერთგვარად გადაეუხვიოთ ძირითად კითხვას, მით უმეტეს, რომ ამასთანაა დაკავშირებული პოემის ზოგი სხვა სტროფის წაკითხვის საკითხიც.

„ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ხშირად გვხვდება უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ფორმათა ჩვეულებრივი წარმოება არსებით სახელთა ფუძეებისაგან უ- პრეფიქსითა და -ო სუფიქსით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

უ-ასაკ-ო, უ-სულ-ო

სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომქედლისა დნობილი,
 უ ასაკო და უ სულო, არსიტყვიერი, ცნობილი. (898)
 რათგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უასაკო,
 მაშა ლხინსა ვინ მოიმყის პირველ ჳირთა უმუშაკო? (879).

უ-ეკლ-ო

არ იყო, ვარდნი უ ეკლოდ არავის მოუტრებიან? (877)

უ-კაპარტ-ო

ცხენსა შემსვა უკაპარტო, წელთა არა არ შემაბა. (367).

უ-ღრუბლ-ო

გამოეგება ტარიელ, ჰმართებს ორთავე მზე დარად,
 ანუ ცით მოვარე უღრუბლო შუქთა მომთენდეს ქვე ბარად. (281).

³ იხ. ივეფხისტყაოსანი“, ტექსტი და ეარიანტები, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966. რუსთაელის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად გამოცემათა ვარიანტებში ნაჩვენებია, თითქოს ამ გამოცემაში გვარლითა იკითხებოდეს.

უ-ქვიტიკირ-ო

ქალაქი ჰქონდა მაგარი, საზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გაიშობ ზღუდესა უ ქ ვ ი ტ კ ი რ ო ს ა. (149)

უ-ცრემლ-ო

თავსა იცემდეს, არ იყო გული უ ც რ ე მ ლ ო, უ ლ ე ბ ი. (175).

უ-წამლ-ო

რად არა იცი, უ წ ა მ ლ ო არს ლები ესე ლებული. (303).

უ-ხორც-ო

ქაჭნი ყველა უ ხ ო რ ც ო ა, რამან შექმნა ხორციელად? (1245).
მაგრამ ქაჭნი უ ხ ო რ ც ო ნ ი რას აქნევენ, მიყვირს, ჭალსა?! (1246)

ყველა ამ შემთხვევაში საწარმოებლად არსებითი სახელის ფუძეა აღე-
ბული და, როგორც ითქვა, სავსებით ჩვეულებრივი წარმოება გვაქვს.

მაგრამ პოემაში ასეთი ჩვეულებრივი წარმოების გვერდით თავისებური
წარმოების მაგალითებიც გვხვდება: საწარმოებულ ფუძედ უ—ო აფიქსე-
ბიანი წარმოებისას ზედსართავი სახელის ფუძეა აღებული, რაც ჩვეულებ-
რივი და დამახასიათებელი არ არის.

უ-შმაგ-ო

მას უ შ მ ა გ ო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გააშქლაენოს? (29)
შენ თუ უ შ მ ა გ ო მგონიხარ, ვარშა ურია მე ლევი. (816).
სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უ შ მ ა გ ო, ცნობილი? (919).
ღია ღიღთა დამაქნება უ შ მ ა გ ო მ ა ნ ვით გააგო? (1604).

უ-ბოროტ-ო

უ ბ ო რ ო ტ ო ვის ასშია, რაცა საქმე საეშმაკო. (879).

უ-დიდ-ო

ენადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უ დ ი დ ო დ ა. (603).

უ-მაგრ-ო (ციხეუმაგრო)

არცა თუ ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ც ი ხ ე უ მ ა გ რ ო ნ ი ა. (400).

უ-ხშირ-ო (არუხშირო)

მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი არ უ ხ შ ი რ ო ნ ი. (123)

ამათ გვერდით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უ—ო აფიქსე-
ბიანი წარმოების ისეთი შემთხვევები, როცა ამოსავლად პირის ნაცვალსახე-
ლია გამოყენებული, უკეთ, პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის
ფორმა ან ის ფუძე, რომელიც პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის
ფუნქციით გამოყენებისას გვხვდება: მის-, ჩემ-, შენ-, თქვენ-. ამ გზით მიღე-
ბულია ფორმები: უ-მის-ო, უ-შენ-ო, უ-თქვენ-ო, უ-ჩემ-ო. უ-ჩვენ-ო
და უ-მათ-ო პოემაში არ გვხვდება.

ეს სიტყვები გამოცემებში, მაგალითად, 1957 წლის გამოცემაში, სხვადასხვა ბრუნვაშია წარმოდგენილი. უშენო — მოთხრობითში, მიცემითში, მიმართულებითსა და ნათესაობითში, უმისო — მიცემითში, მიმართულებითსა და ნათესაობითში, უჩემო — მიცემითსა და მიმართულებითში, უთქვენო — მიმართულებითში. ყველაზე ხშირად უშენო იხმარება სხვადასხვა ბრუნვაში.

უშენო მოთხრობითში:

- მოახსენა: უშენო მან გულმან რამცა გაიხარა! (160)
- მიუწერა: ემარის, რაცა უშენო მან ცრემლი ვღვარე. (1096).
- ნეტარ, რა ქმნას უშენო მან გულმან, შენგან დალახერულმან! (1295).

უშენო მიცემითში:

- უშენოსა პატრონობა ეის მივანდო, ვინ იქმს კარგა? (163)
- უშენოსა საჭლომი და ტახტი მისი ვისმცა მისცა? (176)
- უშენოსა ნუშეა ენახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა! (652)
- შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ქმართებს უშენოსა. (494)
- სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შევეკოვე! (505)
- შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი! (1303)

უშენო მიმართულებითში:

- არამ სიციოცხლე უშენოდ, ვარ აქამდისცა ნანითა. (1302)
- მუნ მისად ნახვად გავიდენ უშენოდ სპანი სხვანია. (551)
- უშენოდ მომხვდეს, რაღა ექმნა, არ ღია ღღეთა გრძელობა! (940)
- იტყვის: ჩემო, ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მღვმელი? (920)
- ოხერ სიციოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია! (1008)
- უშენოდ ჩემი სიციოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია! (1294)
- მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი. (1305)

უშენო ნათესაობითში:

- ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მებოს? (532)
- უშენოსა მოწონება ვისიყო გულსა მიცა, ღმერთი მომკლავს!... (417)

უჩემო მიცემითში:

- ვუთხარ: „მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხე!“ (629)

უჩემო მიმართულებითში:

- აწ დადეგ, იქი ნუ მიხვალ, იქმცა უჩემოდ ხალვასა. (1512)

უთქვენო მიმართულებითში:

- არ გათნვეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვიოქვამს კელა ღია. (39)
- მან უთხარა: დო, უთქვენოდ სხვა რამცა მეგონებოდა! (670).
- უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან ნიშატნი საჩანგდაფენი. (1445)

უმისო მიცემითში:

- აპა მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად. (703).

უმისო მიმართულებითში:

- უმისოდმცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა! (775)
- სამ წლამდის მითხრა დადენა უმისოდ ცრემლთა მილისა. (290)

უმიხოდ მყოფსა სწორად მიჩნს ჩემთვის დარბაზი და ხელი. (677)
 უმიხოდ მყოფი ვერ გავძლებ ქლომასა, ვერცა წოლსა. (768)
 მე უმიხოდ სოფელს ყოფა რათგან ჩირად არ მაღირდა... (846)
 უმიხოდ ნეხეთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად! (1253)

უმიხო ნათესაობითი:

თუ გინახავს, უმიხოსა ჩემი ლხინი ეთ ამტკიცი? (746)
 მაგრა ლხინი უმიხოსა ჩემგან ძნელად გაიძლებს. (646)

აქ წარმოდგენილი ნიმუშები, როგორც ითქვა, 1957 წლის გამოცემის ვითარებას წარმოგვიდგენს. ეს სურათი ასახულია ა. შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილ და გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“⁴. ხელნაწერებში ხშირად ერთმანეთშია აღრეული სხვადასხვა ბრუნვის ფორმები. დამახასიათებელია, რომ არც ერთი სიტყვა დასახელებულ გამოცემაში სახელობითის ფორმით არ გვხვდება, ხელნაწერებში კი სახელობითის ფორმა გვაქვს — უშენო. სათანადო შემთხვევები გამოცემაში მიმართულებითის ფორმითაა წარმოდგენილი — უშენოდ: ზოგჯერ აღრეულია სხვადასხვა ფუძეც: ხელნაწერებში ერთმანეთს ცვლის უთქვენოდ და უშენოდ, ისევე როგორც ხელნაწერებსა და გამოცემებშიც თქვენ და შენ ნაცვალსახელების ხმარებაა აღრეული. ამ ნიადაგზე ტექსტის აზრი ზოგჯერ არსებითად შეცვლილი და დამახინჯებულია.

ასეთ ფაქტთა მართებული დაფასებისათვის აუცილებელია ამ ფორმათა მნიშვნელობის გათვალისწინება. საქმე ის არის, რომ მიმართულებითი ბრუნვის ფორმათა მნიშვნელობა ზმნისართულია და, მამასადამე, განსხვავებული განსაკუთრებით სახელობით ბრუნვაში დასმული ამავე სახელების მნიშვნელობისაგან. უშენოდ ნიშნავს შენს გარეშე, შენი მონაწილეობის გარეშე, უჩემოდ — ჩემს გარეშე, ჩემი მონაწილეობის გარეშე, უმიხოდ — მის გარეშე, მისი მონაწილეობის გარეშე და ა. შ.⁵; ხოლო უშენო არის შენს გარდა სხვა, შენს ნაცვლად სხვა, შენს მეტი სხვა ან შენ რომ არ ჰყავხარ, ის. შესაბამისია მნიშვნელობა ფორმებისა უჩემო, უმიხო და სხვ.

ამის მიხედვით, პოემის სათანადო ტაეპების მნიშვნელობა, მაგალითად, ასეთია: „უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა?“ (163). ეს ნიშნავს ამას: შენს გარდა სხვას ვის მივანდო პატრონობაო. „უშენოსა ნუმცა ვნახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა!“ (652) ნიშნავს ამას: შენს გარდა სხვა ნუ გვენახოს პატრონი და ბატონიო. „შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხედეს მთვარე შენი!“ (1303) ნიშნავს ამას: შენს მზეს ვფიცავ, შენს გარდა სხვას არვის ერგება შენი მთვარეო. „ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მებოს“ (532) ნიშნავს ამას: ...უშენოსისა, ე. ი. შენს გარდა სხვისი პირი მზედ გამიხდეს, ტანი ხედ მექცესო. „თუ გინახავს, უმიხოსა ჩემი ლხინი ეთ ამტკიცი?“ (746) ნიშნავს ამას: თუ გინახავს [სხვა მოყვრობა და ფიც], უმიხოსისა (ე. ი. ჩემი, ვისაც ის არა მყავს) ლხინი (მხიარულება) როგორ ამტკიცეო და ა. შ.

⁴ ოლონდ სიმფონიაში სამოღვე შემთხვევაში ნათესაობითის ფორმები მიცემითაა შეჩვეული.

⁵ შლრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, შესაბამისი სტატიები.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ზოგიერთი სტროფი პოემისა: საინტერესოა, მაგალითად, 781-ე სტროფის მესამე ტაეპის ისტორია. ტაეპი ასე იკითხება 1957 წლის გამოცემაში: „მაგრა რა ექნა, უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი“. მაგრამ ვახტანგ VI-ის გამოცემაში უშენოსა-ს ნაცვლად იკითხება უშენომან. ეს წაკითხვა განმეორებულია მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის გამოცემებში, აგრეთვე დ. კარიჭაშვილის და იუსტ. აბულაძის პირველ გამოცემებში. დ. კარიჭაშვილის მეორე, იუსტ. აბულაძის მეორე, ს. კაკაბაძის ორივე, კ. კვიციანიძის, 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემებში, აგრეთვე პ. ინგოროყვას გამოცემაში უშენოსა დაიბეჭდა. 1966 წელს ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტში უშენომან დაიბეჭდა, ხოლო გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქციით გამოცემულში — უშენოსა. გამოცემებში ხელნაწერებში დაცული ვითარებაა ასახული: DEFGHIJKOQTUVYZ ხელნაწერებში უშენოსა იკითხება, სხვებში — უშენომან.

ასეთი ნაირგვარობა იშითაა გამოწვეული, რომ შინაარსის მიხედვით შეუძლებელი არც ერთი წაკითხვა არაა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განაწილდებოდა სტროფი ორად. ასე: მაგრა რა ექნა უშენომან, დამეცემის გულსა ბინდი —, თუ ასე: მაგრა რა ექნა, უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი. ძველადვე გადაწერელთა ერთ ნაწილს პირველი გაგებისათვის მიუცია უპირატესობა და უშენომან ვქმნა-ზმნისათვის შეუხამებია ბრუნვაში, ხოლო მეორე ნაწილს მეორე გაგებისათვის და უშენოსა დამეცემის-ზმნისათვის შეუწყვია. საესებით ასევე მოიქცნენ პოემის გამომცემლებიც.

პოემის ენის თვალსაზრისით არც ერთი კონსტრუქცია არაა შეუძლებელი და, ამდენად, რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება მართლაც ძნელია. შეიძლებოდა მხოლოდ დაგვესახელებინა ანალოგიური შემთხვევა, როცა უპირატესობა აშკარად პირველ ტიპს ენიჭება. 706-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე იკითხება: „ჩემი თქვი, რა ექნა ბნელქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“ ასეა ყველა ხელნაწერში და ყველა გამოცემაში. განხილული სტროფის მსგავსად არ იყო შეუძლებელი აქაც გვეჩონოდა სხვანაირი კონსტრუქცია: „ჩემი თქვი, რა ექმნა, ბნელქმნილსა მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“ —, მაგრამ არაა!

ზემოაღწერილ ფორმებში სხვადასხვა ფუძის აღრევის მაგალითად შეიძლება 629-ე სტროფის მეოთხე ტაეპი იქნეს დასახელებული.

როდესაც ტარიელმა მოისმინა ფრიდონისაგან, თუ როგორ ნახა ამ უკანასკნელმა ნესტანი, რომელიც ორ მონას მიჰყავდა კილობანით, მას „მოგმეტა ცეცხლთა სიცხე, ცხენისაგან გარდაიჭრა, თავი სრულად გაიციცხა“ და ეს უთხრა ფრიდონს: „მომაკლ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხე!“. ამ ტაეპში ყველამ გამოცემაში უჩემოსა იკითხება. ხელნაწერთა უმრავლესობაც ამ წაკითხვას გვაწვდის, მხოლოდ IZ ხელნაწერებში უშენოსა იკითხება. ეს წაკითხვა უთუოდ საყურადღებოა. საქმე ისაა, რომ გავრცელებულ წაკითხვას დიდი ნაკლოვანება მოეპოვება. მართლაც, „უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხე“—ო, რომ ამბობს ტარიელი, რა არის ამით ნათქვამი? ტარიელის გარდა ან უტარიელოდ არავის უნახავს ნესტანი? მაგრამ, როცა იგი ფრიდონს ეკითხება: უშენოსა ვისცა (ე. ი. შენ გარდა სხვა ვისმე) ენახამცა ისც ხეო — ამით გამო-

ხატულია ის იმედი, რომელიც ტარიელს გაუჩნდა ამ ამბის მოსმენის შედეგად: ნესტანის კვალი გამოჩნდა, იგი ფრიდონს უნახავს, მაშასადამე, შეიძლება სხვასაც ენახოს. მართლაც, ფრიდონმა „კაცნი უხმნა მასვე წამსა“ და უბრძანა: „ნავევბითა წადით, ზღვა-ზღვა მოიცურვეთ, მოგვინახეთ“-ო.

ბრუნვის ფორმათა აღრევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა პოემის 153-ე სტროფი, რომლის მესამე ტაეპის გაბატონებული წაკითხვა სრულს გაუგებრობაზე იყო დამყარებული და აზრს ტლანქად ამახინჯებდა. 1957 წლის გამოცემაში ეს სტროფი ასე იკითხება:

მიბრძანა: „მოიან ამბავი მის ყმისა დაქარგულისა,
მოხვიდე, სრულ-ვექმნა მამინდა შენი წადილი გულისა,
ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხვდეს ხისაცა რგულისა!“
მოძეა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.

უშენოდ წაკითხვა არის ს. კაკაბაძის, პ. ინგოროყვას და 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემებში და ЕFKOY ხელნაწერებში. დანარჩენ ხელნაწერებში და ვახტანგ VI-ის, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძისა და კ. პიჭინაძის გამოცემებში უშენო იკითხება. ეს უკანასკნელი წაკითხვა ერთადერთი მართებული წაკითხვაა. თინათინი ეუბნება ავთანდილს: ქმარი არ მინდა უშენო..., ე. ი. შენს გარდა სხვა, ტანაყრილი, აზრდილი ხის მსგავსიც რომ შემხვდეს, მერგოსო. უშენოდ წაკითხვა კუროზულ შინაარსს აძლევს ფრაზას. უარყოფითი შინაარსის ფრაზაში უშენოდ ფორმის ჩართვა ნიშნავს სხვას არაფერს, თუ არა ამას: ქმარი არ მინდა ისე, თუ არ შენთან ერთადო.

ამ ტაეპის ისე წაკითხვის შეუსაბამობას, როგორც 1957 წლის გამოცემაში იყო წარმოდგენილი, ჭერ კიდევ 1961 წელს მიქეცა ყურადღება „ფეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში. უნდა აღინიშნოს, როგორც სასიამოვნო ფაქტი, რომ 1966 წლის ორივე გამოცემაში ტექსტი გასწორებულია: უშენო იკითხება.

აი, სწორედ ეს უშენო ფორმა უნდა იყოს 257-ე სტროფშიც.

ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ერთ გვიანდელ ხელნაწერში (I') საანალიზო ტაეპში სხვად ფორმის ნაცკლად სხვა იკითხება⁶. სწორედ ეს წაკითხვა ჩანს მართებული და იგი გვასწორებინებს უმართებულო წაკითხვას — უშენოდ. უნდა იყოს უშენო, ერთად: სხვა უღონოა უშენო, რაც ნიშნავს: სხვა შენს გარდა, სხვა შენს მეტი უღონოა. შედგენილ შემასმენელს უღონოა ამ შემთხვევაში რეალურ სუბიექტად სხვა სავსებით შეეფერება (სრულიად შეუფერებელი იყო რეალურ სუბიექტად როგორღაც ნეაარაუდები აღმყრობა). ტაეპის პირველი ნაწილის ასე აღდგენა სავსებით ეგუება და ნათელს ხდის მთელი სტროფის შინაარსს. ამასთან, ეს აღდგენა სავსებით რეალურ საფუძველს ემყარება: წაკითხვა სხვა დადასტურებულია ხელნაწერ-

⁶ ამ ხელნაწერში სხვა მართებული წაკითხვებიც მოიპოვება, ისეთი, როგორც სხვა (ძველ) ხელნაწერებში არაა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მას ძველი, საყურადღებო დედანი უძვეს საფუძვლად.

ში, ხოლო უშენო ფორმის უშენოდ ფორმით შეცვლა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვეულებრივია პოემის ხელნაწერებსა და გამოცემებში.

ტაეპის პირველი ნაწილის აღდგენა შესაძლებლობას გვაძლევს ადვილად აღვადგინოთ ტაეპის მეორე ნაწილის მართებული წაკითხვაც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სინამდვილესთან მიახლოებული ჩანს ა. შანიძის კონიექტურა ჩემდა ჩემგან წაკითხვის ნაცვლად. მაგრამ, როგორც აგრეთვე აღნიშნული იყო, მოსალოდნელია არა ჩემდა ფორმა, არამედ ჩემად: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში სწორედ ეს და ამგვარი ფორმები იხმარება მაშინაც კი, როცა ასეთი ფორმები მნიშვნელობით თვის თანდებულისა ბადალია, ე. ი. როცა პირის ნაცვალსახელის ფორმა გვაქვს, აქ კი მსაზღვრელია: ჩემად აღმპყრობად. რაც შეეხება ჩემდა და მისთ. ფორმებს, ასეთი ფორმები პოემაში იშვიათია. (შდრ. ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი (1476); ესე ღმერთსა მისაგერელად მისად ჩვენთვის მოუგვრია (1233); იგი საქლნოდ მისად დავსხენ, ვისი შუქი მანათობდა (462); თუცა შენ ჩემად არა გცალს, სიცოცხლე მომძულეებია (1008); გული თქვენი მიპოვნია მისი შენად, შენი მისად (250); თორმეტი ჩვენად ისრისა მომრთმეულად, მოსახმარებლად (70)...).

ჩემდა წაკითხვა ა. შანიძეს ავულებებინა მომდევნო გამოთქმამ აღპყრობა ხელისა (უკეთ: აპყრობა ხელისა). აპყრობა ხელისა შეიძლება ვისთვისმე, მოცემულ შემთხვევაში მოუბარი ავთანდილისთვის, პირველი პირისთვის — ჩემთვის, ანუ ჩემდა, ჩემად. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ა. შანიძე ამას იქით არ წასულა და ტაეპი ბოლომდე არ გაუანალიზებია. ამის გამო ტაეპი საბოლოოდ მაინც გაუმართავი დარჩა.

ტაეპში ჩემად აღდგენილი სიტყვის მომდევნო სიტყვაც გადამახინჯებული ჩანს. უნდა იყოს არა აპყრობა (მით უფრო აღპყრობა), არამედ აქტიური მიმღობის ფორმა მიმართულებითს ბრუნვაში — აპყრობად. ერთად ტაეპის მეორე ნახევარი ასე იქნება: ჩემად აპყრობად ხელისა, ხოლო მთელი ტაეპი ასე: სხვა უღონოა უშენო ჩემად აპყრობად ხელისა, რაც ნიშნავს შემდეგს: სხვა შენს მეტი, სხვა შენს გარდა უღონოა, უძლურია ჩემად, ჩემთვის ხელის აპყრობად, ხელის აპყრობელად, ჩემთვის შემწედ, ჩემს დახმარად. სხვანაირად: შენს გარდა სხვას ჩემთვის დახმარების გაწევა, ჩემი შეელა არ შეუძლიაო, შენს გარდა სხვა უძლურია, რომ მე მიშველოს, დახმარება გამიწიოსო.

უკანასკნელ გამოცემებში ეს ტაეპი ასეა წარმოდგენილი: ა. შანიძისა და ა. ბარამიძისაში: სხვად უღონოა უშენოდ ჩემდა აპყრობა ხელისა, ე. ი. 1957 წლის გამოცემასთან შედარებით გატარებულია ა. შანიძის ზემოდასახელებული კონიექტურა.

გ. წერეთლისა და ი. აბაშიძისაში: სხვად უღონოა უშენოდ ჩემი აპყრობა ხელისა, ე. ი. აღებულია EGITZ ხელნაწერებში დადასტურებული ვარიანტი, რომელიც თავის მხრივ ტაეპის შინაარსის თავისებური გააზრანების შედეგია.

ქელის აპყრობა ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულში. ერთ შემთხვევაში ის ჩვეულებრივ ატირებულ სინტაგმას წარმოადგენს და ხელის (ხელუბის) ზეცისაკენ, მალა ამართვას ნიშნავს ლოცვის, ვედრე-

ბის ნიშნად. მეორე შემთხვევაში კელის აპყრობა ილიომატურ გამოთქმადაა ქცეული და შეეღას, შემწეობას, დახმარების გაწევას ნიშნავს. ეს მნიშვნელობები კარგადაა ასახული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: „ესე არს ზეცად მიმართ კელის განმარტვა სავედრებელად; კელის აპყრობად ითქმის უღონოთა და დავრდომილთა შეწევნა“.

„ვეფხისტყაოსანშიც“ ორივე ეს მნიშვნელობაა წარმოდგენილი. ორ შემთხვევაში გვხვდება პირველი მნიშვნელობით ზმნისართულად ხელ-აღუყრობით: „რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურვალი, ხელ-აღუყრობით ღმერთსა ჰმადლობს ცნობა-სრული, არა მთრვალი“ (1311); „ფრიდონ ღმერთსა ხელ-აღუყრობით უსაზომო მადლი მისცა“ (1381). შდრ. ხელ-განაპყრობით: „ინდოთ მეფე მხიარული ხელ-განაპყრობით ამას ხმობდა“ (1363); ხელ-განაპყრობილი: ხელ-განაპყრობილი გულითა არს ღმრთისა საესავეითა“ (1327).

მეორე მნიშვნელობა პოემაში წარმოდგენილია უარყოფითი მიმღეობის შემკველ კომპოზიტიში: ხელ-აღუყრობელი.

ნესტანდარეჯანი სწერს ქაჯეთის ციხიდან ტარიელს: „წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუყრობელსა“ (1307). ხელაღუყრობელი უპირისპირდება ხელაღუყრობილ-ს და ნიშნავს იმას, ვისაც შემწეობა, დახმარება არ ან ვერ აღმოუჩინებს. შესაბამისად, ხელაღუყრობილი ისაა, ვისაც დაეხმარნენ, უშველეს, შემწეობა აღმოუჩინეს. ასევე აქვს განმარტებული ეს სიტყვა ამ კონტექსტში ა. შანიძეს: „ხელაღუყრობელსა 1307,2 ხელ-მოუმართავს, უმწეოს“⁷.

მეორე შემთხვევაში ხელ-აღუყრობელად გვხვდება 94-ე სტროფში: „მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად, მან, გლახ, იგინი დახანდა მტერთაცა საწყალობელად: ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა თავსა ხელ-აღუყრობელად, ზოგსა გადაჰკრის მათრახი მკერდამდის გასაპობელად“.

ეს ხელ-აღუყრობელად განმარტებული აქვთ იუსტ. აბულაძეს და ა. შანიძეს. ა. შანიძის განმარტება ასეთია „ხელ-აუშვერლად“⁸, იუსტ. აბულაძის განმარტება კი ასეთი: „სხვების მიუმართავად, სხვისი დახმარების უთხოვენლად“⁹.

„დახოცნა თავსა ხელ-აღუყრობელად“, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ნიშნავდეს ამას: დახოცა ისინი ხელ-აუშვერლად-ო, ან ამას: დახოცა ისე, რომ სხვებს დახმარება ვერ სთხოვესო. ეს ნიშნავს: დახოცა ისე, რომ თავს ვერაფერი უშველეს, თავს ვერაფრით მოეხმარნენ, თავი ვერაფრით იხსნესო. აქაც, მაშასადამე, ისეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას, როგორც 1307-ე სტროფში.

ხელის მომართვის, შემწეობის, შველის, დახმარების მნიშვნელობით ეს გამოთქმა სხვადასხვა ვარიაციით (ზმნური, მასდარული, მიმღეობური ფორ-

⁷ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, დართული 1957 წლის გამოცემას, შედგენილი შანიძის მიერ.

⁸ იქვე.

⁹ ლექსიკონი, დართული 1937 წლის გამოცემას, შედგენილი იუსტ. აბულაძის მიერ.

მით) ძალიან ხშირად გვხვდება ქართული მწერლობის ძეგლებში. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში.

„ესე ნეტარი და ყოვლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა შშობელთაგან ღირსთა და პატროსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელნი შრომით და ქუეყანის მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ჰზრდიდეს გლახაკთა, და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა ქელის აპყრობასა, და სიმშვიდით და სიმდაბლით იყოფოდეს“¹⁰.

„ნუენ უდებ იქმნებინ, ნუცა ეშინინ, არამედ ძლიერი იგი უძღურსა მას ქელსა აღუპყრობდინ, და გულს-მოდგინშ იგი სულმოკლესა მას ნუგეშინის-სცემდინ...“¹¹.

„...დაჰკრნეს საკრველნი იგი, და დაშთა წმიდაჲ იგი უენებელად, რამეთუ ქრისტემან ქელი აღუპყრა მას“¹².

„...და შენ იყავ ყოველთა კაცთა მოწყალე და შენ იყავ ნავთსაყუდელ მყუდრო, რომელნი მოივლტოდიან შენდა, და ქირვეულთა შემწე და განწირულთა ქელის-ამპყრობელ და ბოროტთა სულთა განმდევნელ“¹³.

„და კუალად დედოფალმან და პარაკიმანოსმან ჰრქუეს, ვითარმედ: „შენ ოდენ ამთ ობოლთა ქელი აღუპყარ და, რადეა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩუენგან იძიენ“¹⁴.

„და კუალად მუნ აღკვდგინნის ღმერთმან მოურნენი და გუზრდიდიან, ვითარ-იგი ქრისტეს-მოყუარენი ძმანი ჩორჩანელი და ფარსმან, რომელთა-იგი ღიდად აღგჰპყრეს ქელი წყალობისაჲ, — ათას წილად მიაგვენ უფალმან“¹⁵.

„არამედ განაცრუეა ღმერთმან ზრახვაჲ მათი და ამო ყო აღძრეა მათი. რამეთუ კუალადეა ქელი წყალობისა აღგჰპყრა ღმერთმან და არა განგუთხინა წმიდამან ღმრთისმშობელმან ტაძრისაგან თვისისა“¹⁶.

„ვინაჲთგან მწყალობელი ვინმე და ქელის ამპყრობელი და განმგებელი საკმარ არს, რა ვყო გლახაკმან ამან და უნდომან“¹⁷...

„მაშინ არა-მადირსმან სიძობრსამან უბრძანეს იმედი შუელისა და ქელის-ამპყრობისა“¹⁸.

„[შანავეზი იყო] ქურიეთა და ობოლთა მოწყალე, მართლმსაჯულ და ქელის-ამპყრობელ...“¹⁹.

¹⁰ ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ: ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 321.

¹¹ ეფრემ ასურის სინანულისათვის: ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი, 1963, გვ. 17.

¹² წამებაჲ წმიდისა პანტელეიმონისი: ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი, 1963, გვ. 62.

¹³ იქვე, გვ. 65.

¹⁴ ცხორებაჲ იოკანესი და ეფთემესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჭავჭავაძის მიერ. თბილისი, 1946, გვ. 19.

¹⁵ იქვე, გვ. 52.

¹⁶ იქვე, გვ. 53.

¹⁷ იქვე, გვ. 26.

¹⁸ ისტორიანი და აზმანი შარკანდელთანი: ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ეველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1951, გვ. 64.

¹⁹ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება: იქვე, გვ. 440.

„შენ რასცა ჩემთვის იქმ, მას ღმერთსა ზედა იქმ; მას ემტერები, არა მე. ღმერთია ყოველთა დაღონებულთა ღონე და ქელის-ამჰყრობელი“²⁰.

„შემოქმედო ცისა და ქვეყნისაო, რომელსა ყოველნი გიძრწიან და ყოველთა ხელმწიფე ხარ ტბილად მხედველი, უღონოთა ხელის ამჰყრობელო, შენ მომეც ძლევა მას მძლავრსა ეშმაქსა ზედა და იხსენ იმდენი სული მისის სიბილწისაგან!“...²¹.

[„ქელმწიფე იყო]

თავდაბალი და მლოცავი, თვით ღვთისა მადიდებელი,
 ჰკვიანი, სამართლიანი, გლახათა ქელთ-ამჰყრობელი“²².
 „ვის უნდა მიჯნურობისა სურვილის ბაღით შეპყრობა,
 მაგრამ ანაზღად შეიპყრობს, ძნელია ხელის ამჰყრობა“²³

ყველა ამ მაგალითში ეს გამოთქმები სავსებით იმგვარი მნიშვნელობითა გამოყენებული, რაც მას „ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო სტროფში აქვს.

რჩება IV ტაეპი სტროფისა: თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკვრა თავისა მრთელისა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ ტაეპის დაწერილობის მხრივ გამოცემებში ზოგიერთ სხვაობას ვხვდებით. ვახტანგ VI-ის გამოცემიდან მოკიდებული დამკვიდრდა წაკითხვა გორლითა, მხოლოდ იუსტ. აბულაძე ბეჭდავდა გვარლითა ფორმას.

ხელნაწერებში აღმოგვაჩნდა, ერთი მხრით, გორლითა, ხოლო, მეორე მხრით, გვარლითა. შეგვხვდა ამ ფორმათა დამახინჯებული სახესხვაობები და სხვაგვარი ვარიანტებიც: გორილთა, მგვრვალისა, მგვრვალისა, გურგალვით, გირგვლითა, გურალით, მგვრგვალისა, გვარგლითა.

ყველა ხელნაწერი ერთხმად მხარს უჭერს წაკითხვას თავისა. გამოცემათაგან ვახტანგ VI-ის გამოცემაში თივისა იკითხება²⁴. ვახტანგის წაკითხვა გაიმეორეს მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა. მაგრამ ეს წაკითხვა გასწორდა გ. ქართველიშვილის გამოცემაში და შეიცვალა თავისა წაკითხვით (როგორც ჩანს, იმიტომ, რომ დაეყრდნენ ხელნაწერებს, ხოლო ყველა ხელნაწერში თავისა იკითხებოდა). აქედან მოკიდებული დამკვიდრდა ეს უკანასკნელი წაკითხვა და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ტაეპის შინაარსი ყველას ერთგვარად ესმოდა: თორემ ვის შეუკრავს გორლით მთელი (აუტკივარი, საღი, გაუტეხელი) თავიო.

²⁰ ვისრამიანი, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1938, გვ. 166.

²¹ რუსულდანიანი, ილ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 54.

²² შვიდი მთიები, კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1930, სტროფი 18.

²³ არჩილიანი, ტ. 1, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 128.

²⁴ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტებში, რომელიც რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა, ნაჩვენებია, თითქოს ვახტანგის გამოცემაში თივას იკითხებოდეს, მაგრამ ეს კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.

მაგრამ რას ნიშნავს გორლითა თუ გვარლითა?

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს გორალი და განმარტავს: გვარლი-ო. შეტანილი აქვს აგრეთვე გვარლი „ვეფხისტყაოსან-ზე“ მითითებით და განმარტებულიც — თივის თოკი-ო; ხოლო საბელ-ბუდე-ში უწერია, გვარლი არს საბელი თივათაგან შეგრეხილი-ო²⁵.

ვახტანგ VI თავის „თარგმანში“ წერს: გვარლი თივის თოკსა ჰქვან-ო²⁶. თეიმურაზ ბაგრატიონი განმარტავს: გორლა — ბალახისა გინა თივისა თოკი, დიახ სუსტი-ო²⁷.

დ. კარიჭაშვილის მიხედვით გორლი არის „თივისაგან დაგრეხილი საბელი, შესაყრავე“²⁸.

იუსტ. აბულაძის სიტყვით გორლი არის „სათივე თოკი, თივის შესაყრავე საბელი, ლელეკი“²⁹; „საბელი თივის ზვინის შესაყრავედ, თოკი“³⁰; „ბაწარი ან და თივის საბელი თივის ზვინის შესაყრავედ“³¹.

ს. კაკაბაძე განმარტავს: გორლი — თივის თოკი-ო³².

ა. შანიძემ აღადგინა საწყისი ფორმა გორალი (გვარალი) და განმარტა: ულო, ერთმანეთზე შეგრეხილი მძალი ბალახებისა თუ პურის ღეროებისაგან შესაყრავე ძნისა, თივისა. თეარ ვისმცა ექმნა გორლითა შეეკრა თავისა მრთელისა 257,4 — თორემ ვის უქნია მრთელი თავის შეეკრა სახვევლით³³.

გვარლის მნიშვნელობა სპეციალურად განიხილა მ. ალავეიძემ. მან დაადანტურა, რომ ლეჩხუმურ კილოში გვარალი იმასვე ნიშნავს, რასაც ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში ულო: მძალი ბალახისაგან თუ პურეულის ჩალის ღეროებისაგან შეგრეხილი თოკი, რომლითაც ძნებს კრავენ³⁴. გვარლის ეს მნიშვნელობაა მოცემული მ. ალავეიძის ლეჩხუმური კილოს სალექსიკონო მასალაზე მითითებით „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“³⁵

ამრიგად, გვარლის განმარტებაში მკვლევართა შორის ერთსულოვნება სუფევს. სულხან-საბა ორბელიანისაგან მომდინარე განმარტება საეჭვოდ არა-

25 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1965.

26 „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისი, 1937, გვ. ტკ.

27 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა. გ. იმედაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 38.

28 „ვეფხისტყაოსანი“, დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1920, გვ. 275.

29 იუსტ. აბულაძე, მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“: „ძველი საქართველო“ ტ. I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 122.

30 „ვეფხისტყაოსანი“, იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1926, გვ. 250.

31 იუსტ. აბულაძე, ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსნის“ 1937 და 1951 წლების გამოცემებს.

32 „ვეფხისტყაოსანი“, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბილისი, 1926, გვ. 195.

33 ა. შანიძე, ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წ. გამოცემას, გვ. 355.

34 მ. ალავეიძე, რუსთაველური „გვარალი“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბილისი, 1964, გვ. 187—189.

35 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბილისი 1951.

4. „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 3

ვის მიაჩნია: „გვარალი არს საბელი თივათაგან შეგრეხილი“. მაგრამ ასეთი მნიშვნელობის მქონე სიტყვა კონტექსტს არ შეესაბამება. მკვლევართა უმრავლესობას თითქოს არც იმაში შესდის ეჭვი, რომ 257-ე სტროფის IV ტაეპის „თავისა შრთელისა“ საღ, არაავადმყოფ, დაუზიანებელ, გაუტეხელ თავს ნიშნავს, ხოლო გვარლი დაქრილ-გატეხილ-დაზიანებული თუ ავადმყოფი თავის შესაკრავად ანუ შესახვევად არ გამოიყენება. ყოველ შემთხვევაში რუსთაველის ეპოქის საქართველოში კრილობის შეხვევის ასეთი წესი წყაროების მიხედვით არ დასტურდება.

მათლაც, „ვეფხისტყაოსანში“ კრილობის შესახვევის აღსანიშნავად მოიპოვება ტერმინი სახვეველი.

ტარიელი მოუთხრობს აეთანდილს: ხატაელებთან ბრძოლაში „ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა, არნაღებად“. ომიდან დაბრუნებულს მომეგება „ჩემი გამზრდელი ტკბილია“ (ე. ი. ფარსადან მეფე) და „ხელი გამიხსნა, შემომკრა მან სახვეველი ლბილია“ (სტროფი 465). მეორე ადგილას იგივე ტარიელი ამბობს: „ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომება“-ო (სტროფი 481). სხვა ადგილას ისევ წყლულის შეხვევაზეა ლაპარაკი, თუმცა არ ჩანს, თუ რით უხვევენ:

„ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლული შეუხვივნა,
ისრის პირნი ამოუხვნა, დაკოდილნი არ ატკივნა“. (598)

მაშასადამე, სათანადო შემთხვევებში წყლულს უხვევენ სახვეველით, ისიც ლბილი სახვეველით, თანაც ისე, რომ დაკოდილი ადგილი არ ატკინონ. ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგი იქნებოდა, რომ დაკოდილი გვარლით, ე. ი. თივისაგან (ბალახისაგან) შეგრეხილი თოკით, შეეხვიათ. ანდა წარმოვიდგინოთ ტარიელი, რომლის „მჭერეტელთა მოეცვა ქალაქი, შუქა და ბანი“, რომელსაც „ჰშვენოდეს ენიანნი კაბანი“, თითონაც „ფერმიზილგვარად შევნოდან“, როგორც „ვარდი, ცრემლითა ნაბანი“, და, „ვიწყა უჭკრეტლის, ბნდებოდის“; ტარიელი, რომელსაც „რიდენი რომე ეშოვნეს ქალაქსა ნატაელთასა, იგი ეხვიენეს, ჰშვენოდეს“, ტარიელი, მკდომარე „ადგილსა, მუნ, სადა ეამებოდა“; მას პირისპირ უზის „იგი მზე, გული ვისთვისცა კედებოდა“; იგი მალვით უჭკრეტს ნესტანს, ნესტანიც მალვით უჭკრეტს ნას; თვალს მოსწყვეტს ნესტანს და ტარიელს სიციოცხლე ეარმება; არის „სპა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა“; „ჯამი და კიქა ყველაი ფეროზისა და ლალისა“... ამ ტარიელს „ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა“ ჩამომებული აქვს გვარლით, თივისაგან შეგრეხილი თოკით!

ეს შეუსაბამობა ძველთაგანვე უგრძნიათ, დაუნახავთ. ეს დანახვა იმაში გამოიხატა, რომ ხელნაწერთა ერთი ნაწილის გადაშერღები ცდილობენ, როგორმე აიცილონ გვარლისა|ჯორლისა წაკითხვა და ამ შეუსაბამობას ბოლო მოუღონ. მათ გვარლისა|ჯორლისა ტექსტის დამახინჯებად მიუჩნევიან და პვერითი შედგენილობის მხრივაც და სემანტიკურადაც მსგავსი, ამახთან კონტექსტის შესაფერი სიტყვის ძებნა დაუწყიათ. ამის შედეგია, რომ G ხელნაწერში იკითხება მგვრვალისა, H-ში — მგრვვალისა, N-ში — მგვრვალისა, KO-ში — გურვალვით, I-ში — სიმგვრვვლითა და ა. შ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ვახტანგ VI-ის გამოცემაში ამ ტაეპში თავისა-ს ნაცვლად იკითხება თივისა: *შეკურა თივისა მრთელისა*. როდესაც იუსტ. აბულაძე საანალიზო სტროფს განიხილავდა, მან მეტად თავისებური ანალიზი წარმოგიდგინა ამ სტროფისა. ანალიზისას ვახტანგის გამოცემის წაკითხვას მიაქცია ყურადღება და შემოიტანა იგი მსჯელობის არეში. იუსტ. აბულაძე შემდეგს წერდა ამ ტაეპის შესახებ:

„ეს ადგილი ძნელი გასაგებია: თუ ისე წაეკითხავთ, როგორც ვახტანგის გამოცემაშია, მაშინ გორლი, ან გვარლი უნდა ნიშნავდეს თივის თოკს, თივის საბელს (იხ. საბა), თუ წაეკითხავთ „თავისა“-ს და არა „თივისა“-ს, მაშინ გვარლი უნდა ნიშნავდეს მტკივანის თავის შესაკრავს, ან შესახვევს, შეად. 814,4³⁶; შესაძლებელია, აქ „თავი მრთელი“ ნიშნავდეს „ჰკუა-სადს“, „არა შეშლილს“, „არა გადარეულს“, რადგან მხოლოდ გადარეული საჭიროებს ბაწრით შეკვრას, ან დაბმას. შეიძლება, აქ პირველს, ე. ი. ვახტ. ვარიანტსაც მიეცეს უპირატესობა და ეს ადგილი განიმარტოს ასე: „თივის მრთელ ზეინს რად უნდა კიდევ თოკიო? ვის უქნია ესო?!“³⁷

იუსტ. აბულაძის ეს მსჯელობა არსებითად განსხვავდება სხვა მკვლევართა შეხედულებებისაგან, ჭერ ერთი, იმით, რომ აქ განხილვის საგანდაა ქცეული ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე წაკითხვა თივისა. ამასთან, თივა გაგებულია ზეინის მნიშვნელობით, თუმცა გაუგებარია ამაზე დამყარებული განმარტება: „თივის მრთელ ზეინს რად უნდა კიდევ თოკიო“. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ მთელ მსჯელობაში ერთმანეთშია არეული სხვადასხვა სტროფის შინაარსი და სხვადასხვაგვარი შესაძლო გაგება ამ სტროფისა (ყერძოდ, გამოთქმა „თავსა მრთელსა რად შეიკრავ“ მკვლევარს ასე ესმის: „ჰკუა-სად“, „არა შეშლილ“, „არა გადარეულ“ თავს რად შეიკრავ თოკით, რად დაიბამო“ (NB: „მხოლოდ გადარეული საჭიროებს ბაწრით შეკვრას ან დაბმას“), ე. ი. თავი გაგებულია არა არსებით სახელად, არამედ ნაცვალსახელად. საბოლოოდ, მკვლევარის გარკვეული აზრი, გარკვეული დასკვნა არსად ჩანს.

1916(?) — 1918 წლებში ნ. მარს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის მიზნით. მას არც პოემის ხელნაწერები ჰქონია ხელთ და არც ვახტანგ VI-ის გამოცემა. მას ხელთ ჰქონია დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის და ს. კაკაბაძის გამოცემები პოემისა. ნ. მარს ნაშრომში³⁸ ჩვენთვის საინტერესო სტროფიცაა განხილული. უკანასკნელ, მეოთხე, ტაეპში ნ. მარს წარმოდგენილი აქვს კონიექტურა ზეინისა თავისა წაკითხვის ნაცვლად, ხოლო კარიჭაშვილ-აბულაძე-კაკაბაძის გამოცემათა წაკითხვა თავისა ვარიანტად აქვს გამოტანილი. ამ ვარიანტს ერთვის ნ. მარს შენიშვნა: „თივისა? в Раче—ზეინი“. იქვე წარმოდგენილია გვარლის განმარტება: „გორლი=გვარლი «соломенная веревка»“(1).

36 აქ ალბათ უნებლიე შეტეომა მოსვლია მკვლევარს და, როგორც ჩანს, უნდა იგულისხმებოდეს 876-ე სტროფი (იუსტ. აბულაძის გამოცემის 757): ბრძენი ბარ და გამორჩევა...

37 „ვეფხისტყაოსანი“ იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1926, გვ. 204.

38 ნიკო მარსი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კონიექტურები და შენიშვნები დაურთეს მერი გუგუშვილმა და ლალი ძოწენიძემ, თბილისი, 1965, გვ. 96.

აქედან ჩანს, რომ ნ. მარს გვარლი ესმოდა ჩვეულებრივი, გავრცელებული მნიშვნელობით, ხოლო ამასთან მიაჩნდა, რომ ამ მნიშვნელობის შეგუება კონტექსტთან ძნელია.

ვახტანგის გამოცემაში დადასტურებული წაკითხვა თივისა კორექტურული შეცდომა არ უნდა იყოს მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წაკითხვა დღეს ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ხელნაწერში არ მოიპოვება. ყოველ შემთხვევაში კორექტურულ შეცდომად არ მიუჩნევიათ არც მ. ბროსეს და არც დ. ჩუბინაშვილს, რომელთაც ეს წაკითხვა გაიმეორეს თავიანთ გამოცემებში. კორექტურულ შეცდომად არ მიუჩნევიათ ის არც დავით რექტორს და არც პეტრე ლარაძეს, რომელთაც აგრეთვე ეს წაკითხვა შეიტანეს მათ მიერ გადაწერილ ხელნაწერებში. კორექტურულ შეცდომად არ მიუჩნევია ეს წაკითხვა არც ვახტანგის გამოცემის აღმდგენელს ა. შანიძეს, თუმცა კი არ გამოუყენებია იგი საანალიზო ტაეპის შესახებ მსჯელობის დროს.

როდესაც ამ ტაეპის გავრცელებულ წაკითხვას — თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკვრა თავისა მრთელისა — ასე ააზრიანებდნენ: „თორემ ვის უქნია მრთელი თავის შეკვრა სახვევლით“³⁹, რატომღაც არ მიჰქცევია ყურადღება იმას, რომ ასეთი გაგება არათუ ნათელს არ ხდოდა მთელი სტროფის შინაარსს, არამედ, პირიქით, აბნელებდა მას, რამდენადაც სრულიად არ შეეფერებოდა კონტექსტს.

მართლაც, სტროფის პირველ სამ ტაეპში აი რას ეუბნება ავთანდილი ასმათს: „ახლა, დაო, შენს ხელშია ჩემი ყელის საბელი [გინდა, მომკლავ, ყელში წამიჭერ, დამახრჩობ, გინდა — ცოცხალს დამარჩენ]; შენს გარდა სხვა ვინმე უღონოა, უძლურია ჩემს შემწედ, ჩემს დამხმარედ; რასაც მიზამ, შენზეა დამოკიდებული, ხელის წამალი შენ ხარ“-ო. ამას სრულიად აღარ შეეფერება მეოთხე ტაეპში წარმოდგენილი დასკვნა: „თორემ ვის უქნია მრთელი თავის შეკვრა სახვევლით“-ო.

სამაგიეროდ, ზემომოყვანილ კონტექსტს შესანიშნავად შეეფერება დასკვნად უკანასკნელი ტაეპის ასეთი წაკითხვა: „თვარ ვისმცა ექმნა გვარლითა შეკვრა თივისა მრთელისა“, სადაც გვარლი სწორედ თივისაგან შეგრეხილ საბელს, თოკს, ულოს ნიშნავს, ხოლო თივა — თივის ზვინს. მთელი ტაეპი კი ამას აღნიშნავს: „თორემ მთელი ზვინის გვარლით (თივისაგანვე, ბალახისაგანვე შეგრეხილი მცირე, „ღიახ სუსტი“ თოკით) შეკვრა ვის გაუგია“-ო.

ავთანდილისათვის ერთადერთი იმედი ასმათიდაა, მხოლოდ მისგან შეუძლია ავთანდილს ტარიელის ამბის გაგება, ასმათის საშუალებით უნდა მიღწეოს მან თავის დიდ მიზანს, მხოლოდ ასმათის დახმარებით შეუძლია მას მეფე-მიწურის დავალების შესრულება „წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს თუნდა შორად!“). სხვა გზა ავთანდილს აღარა აქვს, სხვა საშუალება მიზნის მისაღწევად მას აღარ მოეპოვება, თორემ თავისთავად ასმათი „მცირე გვარლია“ და ამ „მცირე გვარლით“ მთელი თივის, თივის მთელი ზვინის შეკვრა (ე. ი. ავთანდილის დიდი მიზნის შესრულება) როგორ შეიძლება!

³⁹ ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, დართული 1957 წლის გამოცემა, გვ. 355.

ასმათი აქ შედარებულია გვარლთან, ხოლო ავთანდილის დიდი მიზანი — ტარიელის ამბის შეტყობა და, მაშასადამე, თინათინის დავალების შესრულება — მთელ თივასთან, თივის მთელ ზვინთან.

თივას სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „მოთიბული კმელი ბალახი“-ო. თანამედროვე ქართული ენის მთის კილოებში ამჟამადაც დატულია ეს სიტყვა მოცეცილი და გამხმარი ბალახის გარკვეული ზომის ბულულის, ზვინის მნიშვნელობით.

ხევსურეთში „თივას საწვირთო-ებად (ბულულებად) აგებენ... დიდი ბულული კოლნაბო იქნება, უფრო დიდი — ზვინი... ერთი კაცის ტვირთ თივას (შატილურ საწვირთო-ს) არხოტელები კოლ-ს ეძახიან, უფრო მოზრდილს კი (ორ ტვირთ თივას) — საქარე-ს... საწვირათ-ის ორხალა-თი კონავენ, ოღონდ აქ ტვირთების ჯაქეს თივანი ეწოდება (და არა ორხალანი, როგორც ძნის ტვირთების ჯაქეს ერქვა). საწვირთოსაც თივა-ს ეძახიან ხოლმე: იტყვიან „ათ თივა მამავალ სათიბე“-ო, ე. ი. სათიბე, რომელზედაც ათი თივა, ათი საწვირთო ითიბება“⁴⁰.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ „ტვირთების ჯაქეს თივანი ეწოდება“, რომ „საწვირთოსაც თივა-ს ეძახიან“, რომ თივა გამოყენებულია სათვალავ ერთეულადაც, მოსათიბ ადგილს იმის მიხედვით შეაფასებენ, თუ რამდენი თივა გამოვა მოთიბვის შემდეგ.

ასევე სათვალავადაა გამოყენებული თივა ხევსურულ ხალხურ ლექსში:

ხუთშაბათ გათენებასა ურემ წავიდა მთისაო,
სავათენებოდ შამაქდა თხორუს თავ წვერის ძირაო,
დაკონენ თორმეტნი თივანი ნაბაკურაის პირაო.
ზე ფიცხი, ძირში ყინული, სათრელი ეშმაქისაო⁴¹.

ასეთივე ვითარებაა ფშაურშიც:

„წავიდი, ავხვეტოდი და თივა აუაგოდი“⁴².

„დიდულის იქით, დასწერივ, იფნიანაია. იფნიანა ტყიან-ველიანი დიდი გორია, მეედანი ლამაზი, სამთო და საზამთრო ბოსლები ზენა სოფლებისა, ეხლა კი სათიბად არის გაშვებული, შვლებისა და ირმების საიალაღა: ზაფხულის დანავარდობენ, ზამთრის კი თივებს უღუბვენ კოლექტივსა“⁴³.

ეგვეე ვითარება მშვენიერად აქვს აღწერილი ეაყა-ფშაველას.

„მინამ თოვლი არ მოვიდოდა, თივის მოტანა სახლში ყოვლად შეუძლებელი იყო. თოვლში უნდა ჩამოთრილიყო დაბლა, ქალაში და იქიდან ხარით და მარტულში უნდა თითო თივა, კაით და სახლით მაგრა შაკონილი, გამოვბათ ერთი ხაისათვის და ისე მოეთრინათ სახლში“⁴⁴.

აქაც თივა გარკვეული სათვალავი, საზომი ერთეულია.

40 ა. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 226.

41 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 203.

42 ივ. გიგინეიშვილი, ე. თოფური, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961, გვ. 127. იქვე, ფშაური ლექსიკონი, გვ. 591.

43 თამარ ხელაშვილის მიერ დაწერილი ტექსტიდან.

44 ეაყა-ფშაველა, ფშაველი და მისი წუთისოფელი: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII, თბილისი, 1964, გვ. 133.

პროფ. ვ. შადურის ცნობით, საეცებით ამგვარივე მნიშვნელობითაა გამოყენებული ტერმინი *თივა* და ამგვარადვე სათვალავ ერთეულს წარმოადგენს ის მოხეურშიც: მოხეურში ჩვეულებრივი ყოფილა გამოთქმა *ნახევართივა*ც.

აგებულ თივის ზეინს „გადააკრავენ ხოლმე დაგრეხილი ბალახის „თოკს“. ამ „თოკს“ ალერდი ეწოდება“⁴⁵. ამას იმიტომ შერებია, რომ ქარმა თივა ვერ მიფანტ-მოფანტოს. „სახელწოდება „ალერდი“ მოდის ამავე სახელწოდების ბალახიდან, რომელიც მაგარია და კარგად იგრინება“⁴⁶.

ფშავისა და ხევსურეთის შესანიშნავი მცოდნის ალექსი ოჩიაურის სიტყვიერით „ალერდი“ სამგვარია: პირველია წნელის ალერდი. წნელს წვერებით ერთნაირიზე გააბამენ, ძირებს გაუმწვეტებენ, გადაუჭირებენ თივას. თივის ორივე მხარეს მიწაში დაარქობენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთ მხარეზე ამოაძრობენ ალერდს მიწიდან, რამდენადაც საჭიროა, მოსჭრიან, ჩაამწვეტებენ და ისევ მიწაში ჩაარქობენ, რომ მაგრად გადაეჭიროს თივას. ეს იმიტომ, რომ თივა რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწვეს და ალერდი მალა რჩება. ალერდი თუ მაგრა არა აქვს გადაკრული, თივას ქარი დაშლის. მეორეა თივის ალერდი. ნელ სუფთა ბალახს დაგრეხენ, თივას ორივე მხარეს გამოცხვრიან და ალერდს გადაახვევენ თივაზე და ორივე მხარეს მონასკეებენ. მესამეგვარი ალერდი გადაეკიდება დიდ თივის ზეინზე და ორივე მხარეს გრძელ ქეებს შეაბამენ. თივა რომ დაიწვეს, ქეებიც თან-თან ჩაცოცდება ქვევით და ალერდიც მაგრა უქერს“.

ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ მთაში აგებული თივა ქარმა არ დაშალოს. მაგრამ, როცა თივის შეკრა არის საჭირო იმისათვის, რომ მთიდან ქალაში ჩამოიტანონ, იმავე აღ. ოჩიაურის თქმით, ხალს იყენებენ. ხალი ჯოხია, რომელიც „ძირში თივას ედება, როცა მთიდან უნდა წამოიღონ. თოკს მოაბამენ თავშიაც, ბოლოშიაც, კაცსაც შეაბამენ და გადაუჭირებენ. ხევსურეთში ორხალიც იციან: ორ ჯოხს წვერებით ერთიმეორეზე გადააბამენ, თავებზე თოკს შეაბამენ და გადაუჭერენ“⁴⁷.

პროფ. ვ. შადურის გადმოცემით, დაახლოებით ამგვარადვე იქცევიან თივის მთიდან ვაკეში ჩამოტანისას ხეში⁴⁸.

წარმოდგენილი მასალა მრავალმხრივია საინტერესო. ჯერ ერთი, ყველგან დადასტურებულია ტერმინი *თივა* გარკვეული ზომის ბულულის, ზეინის მნიშვნელობით, ამასთან, *თივა* სათვალავ ერთეულადაც კია გამოყენებული, ე. ი. გარკვეული ზომის ზეინია. ეს კი საეცებით ეგუება ამ სიტყვის მნიშვნელობას, წარმოდგენილს საანალიზო ტაქსში. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე გარემოება. სიტყვა *გვარალი* გვარალი ამჟამად მხოლოდ ლეჩხუმურ კილოში მოიპოვება. მთის კილოებში ბალახისაგან შეგრეხილი თოკის მნიშვნელობით ალერდი გვხვდება. ამრიგად, ალერდის მნიშვნელობა ემთხვევა გვარლის მნიშვნელობას, თანაც ალერდს იმავე მიზნით იყენებენ, რა მიზნითაც გვარლს, ან რა მიზნითაც გვარლის გამოყენებაა საეარაულებელი. ხოლო ალერდით თივას არ კრავენ, არ კონავენ. ალერდს მხო-

⁴⁵ ა. ჭინჭარული, დასახლებული ნაშრომი, გვ. 226.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ შდრ. ა. ჭინჭარული, დასახლებული ნაშრომი, გვ. 203.

⁴⁸ პატივმულ ალექსი ოჩიაურს და პროფ. ვ. შადურს მადლობას უძღვნით მეტად საუარაღებო ცნობების მოწოდებისათვის.

ლოდ გადახვევენ თივას იმისათვის, რომ ქარმა არ გაფანტოს. მაგრამ, როცა თივის შეკვრა სურთ (მთიდან ჩამოსათრეულად), მაშინ ალერდის გამოყენება შეუძლებელია, რამდენადაც ქალამდე თუ ვაკემდე არც ალერდი ჩამოკყვებათ და არც თივა. თივას ხალ-ორხალით, კავით და საბელ-თოკით კრავენ, კონავენ. ასეა ფშავსა და ხევსურეთში, ასეა ხევში, ამას ადასტურებს ვაჟა-ფშაველა თავის „ფშაველსა და მის წუთისოფელში“ („თითო თივა კავითა და საბლით მაგრა შაკონილი...“).

ასეა, რომ ჩვენს საანალიზო ტაეპს კავშირი აქვს პოემის 878-ე სტროფთან, რომლის შესახებ გაკერით ზემოთაც გეჭონდა ბაასი. აეთანდლილი ასწავლის ტარიელს:

ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა ღმრულად,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულად?
ვისთვის ჰკვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულად,
თავსა მრთელსა რად შეიკრავ? წყულსა ახლად რად იწულად?

როგორც ვხედავთ, აქაც მრთელი თავის შეკერის უმიზნობაზეა ლაპარაკი. ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ ამ და 257-ე სტროფში ერთი და იგივე აზრი იყოს გატარებული, თვით სიტყვები და გამოთქმებიც კი მეროდებოდეს: თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკვრა თავისა მრთელისა და თავსა მრთელსა რად შეიკრავ. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთი გაგება ტაეპისა არ აღმოჩნდა კონტექსტის შესაფერისი. მერმე, თუ გვარლი მართლა ისაა, რაც მკვლევართ ჰგონიათ და რაც ჩვენც ქვეშაირტებად მიგვაჩნია, მაშინ ეს სიტყვა მრთელ თავს აღარ შეეფერება.

მიუხედავად ამისა, დასახელებულ სტროფებს შორის კავშირი მაინც უდავო ჩანს. 257-ე სტროფის საანალიზო ტაეპში რომ ხელნაწერები თავისა წაკითხვას წარმოგვიდგენენ, ამ წაკითხვის საფუძველი 878-ე სტროფია, სწორედ ამ სტროფის მიხედვით უნდა გადაკეთებულიყო თივისა თავისა-დ. ამისათვის იმ ფაქტსაც უნდა შეეწყო ხელი, რომ მსაზღვრელად გამოყენებული სიტყვა მრთელისა მრავალმნიშვნელობიანი იყო, ყოველ შემთხვევაში ორი ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა: მრთელი — მთლიანი, ერთიანი, დაუნაწევრებელი და მრთელი — ჯანმრთელი, სალი, დაუზიანებელი, გაუტეხელი.

ეს ორგვარი მნიშვნელობა ამ სიტყვისა თვით „ვეფხისტყაოსანშივე“ კარგად ჩანს. პოემაში მოიპოვება მრთელი, მისი -ა სუფიქსიანი ვარიანტი მრთელა და მრთელ- ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვა მრთელობა, მრთელ-სახელის ფუძისაგან ნაწარმოები ზმნა ვნებითი გვარისა გამიმრთელდა და მიმლეობის ფორმა მამრთელელებელი.

მთლიანის, ერთიანის, დაუნაწევრებელის მნიშვნელობითაა ნახმარი მრთელი ქვემოპოყვანილ სტროფებში:

ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ-დანადები ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, ყუთლისა, მეტად ხასისა. (1438)

ელა უძღვნა თვითო ფარდული, გარდასაყრელი ყელისა,
მკრველად დათილისა თვალისა, იაგუნდისა მრთელისა. (1466)

ასეთივე მნიშვნელობა აქვს მრთელისა მსახლერელს საანალიზო ტაეპ-ში: თივისა მრთელისა — მთელი თივისა, მთლიანი თივისა, მთელი ზეინისა.

ხოლო ამ სტროფებში მრთელს ჭანმრთელის, საღის, ჭანსაღის, დაუზინებელის მნიშვნელობა აქვს:

ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:

თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი“. (240)

იქით და აქათ მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია,

მე მოვახსენე: „პატრონო, გული აწ უფრო მრთელია“. (356)

„თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წულუსა ახლად რად იწულულებ?“ (876)

ჩემი რა ცნიან, სცევედიან თავებსა მათსა მრთელსა. (560)

მე მვიკირს ჩემი სიცოცხლე, ასრე დარჩომა მრთელისა. (501)

ტყვეთა მრთელთა ცა არ აკლდა კენესა, მართ ვითა სნეულთა. (452)

თქვენ ჰირად გიუო შიგანთა პოვნა კაცისა მრთელისა. (1395)

მე ვით ღირს ვარ ამას, რომე თეაღნი ჩემნი გვერტედენ მრთელსა! (674)

გამიმრთელდა გული წულუო, ახლა დაჯეე ცეცხლთა შრებად. (1119)

შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელბეღელი წულულისა. (1025)

შემდგომ ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში მრთელ- ფუძე გამარტივდა რ-ს ამოღებით და მთელ- ფუძე მივიღეთ, ამასთან მრთელ- ფუძეც შემორჩა სალიტერატურო ენას. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებშიც გვხვდება მრთელის პარალელურად ვარიანტი მთელი. დამახასიათებელია, რომ მთელ- ვარიანტი სისტემებზე გვხვდება GHJT, ზოგჯერ აგრეთვე KNO ხელნაწერებში.

ამრიგად, სალიტერატურო ენაში გაჩნდა ერთისა და იმავე მნიშვნელობის მქონე ორი ვარიანტი ერთისა და იმავე ფუძისა. ამან შემდგომ მნიშვნელობათა დიფერენციაცია გამოიწვია: მრთელ- ფუძეს შერჩა ჭანმრთელის, ჭანსაღის, საღის მნიშვნელობა, ხოლო მთლიანის, ერთიანის, დაუნაწერებელის მნიშვნელობა მთელ- ფუძეს დაუკავშირა.

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ ძველი გადაწერებები, როგორც ჩანს, გრძობდნენ, გვარლით თავის შეხვევას რომ უხერხულობა ახლდა, და ცდილობდნენ შეეცვალათ ეს სიტყვა უფრო შესაფერით, რამდენადაც ასეთი წაკითხვა აეჭვებდა მათ. ერთგვარი დაეჭვება გამოსკვივის თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებიდანაც: „ბალახისა გინა თივისა თოკი, ღიახ სუსტია“-ო, — წერს იგი. იმის გახზავას, რომ გვარლი ღიახ სუსტია, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდა მნიშვნელობა, თუ ამ ტაეპში წინ თივისა წაკითხვა იქნებოდა. ასევე დაეჭვება გამოსკვივის იუსტ. აბულაძის მსჯელობიდანაც, როცა მკვლევარი ამბობს, რომ „თავი მრთელი“ შეიძლება აღნიშნავდეს „ქკუა-საღს“, „არა შეშლილს“, „არა გადარეულს“, რადგანაც მხოლოდ გადარეული საქიროებს ბაწრით შეეკრას ან დაბმასო.

უცხო ენებზე პოემის თარგმნისას თარგმანს საფუძვლად ჩვეულებრივ გავრცელებული გაგება ედებოდა, მაგრამ ზოგ მთარგმნელს შეუშინებია აქედან გამომდინარე ის უხერხულობა, რომელზედაც ზემოთ იყო მსჯელობა. მარჯორი უორდროპი საანალიზო ტაეპს ასე თარგმნის: „Otherwise who would bind his sound head with hay-ropes?“ ე. ი. სიტყვა-სიტყვით: სხვაგვარად ვინ შეიხვევს ჭანსაღ თავს თივის თოკით? მაგრამ ყველაფერს ამას მთარგმნელი უმატებს: „(? like a madman)“ — (გიჟივით?).

შ. ნუტუბიძეც არსებითად ამავე გზას ადგას, ოღონდ ეს სიგიჟესთან დაკავშირება მან ნათარგმნ ტაქეშივე წარმოადგინა: „Псвязать глзву без рапы сумасшествием мне мнится“.

ბოლოს, ტაქეშა თანამიმდევრობის შესახებ საანალიზო სტროფში.

FGIRTZ ხელნაწერებში გამოცემებიდან ცნობილ თანამიმდევრობასთან შედარებით განსხვავებული თანამიმდევრობა გვხვდება ტაქეებისა: გადასმულია მეორე და მესამე ტაქეები. ჩვენთვის უდავოა, რომ სტროფში ტაქეების ბუნებრივი თანამიმდევრობა სწორედ ამ ხელნაწერებშია წარმოდგენილი.

თუ ამ ფაქტს და ყოველსავე ზემოთქმულსაც გავითვალისწინებდით, მაშინ საანალიზო სტროფი ასეთ სახეს მიიღებდა:

აწ, დაო, შენთა ხელთა ჩემი საბელი ყელისა:
 რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა.
 სხვა უღონოა უშენო ჩემად ამყრობად ხელისა,
 თჳარ ვისმცა ექმნა გვარლითა შეკრვა თივისა მრთელისა!

ეს კი ნიშნავს შემდეგს:

ახლა [იმის შემდეგ, რაც ყველაფერს მოგიყევი, ყველაფერი გაცნობე], დაო, შენს ხელთა ჩემი ყელის საბელი (თოკი). რასაც მიზამ, შენ იცი [ამ საბელს, გინდა — მომიფონებ, მომხსნი, გინდა — წამიპერ ყელში], შენ ხარ წამალი შეშლილისა, გახელებულისა [მიჯნურობისაგან, უცხო მოყმის ძებნისაგან]. შენს გარდა სხვა, შენს მეტი სხვა, უძლურია, უღონოა იმისათვის, რომ მე ხელი შემიწყოს, რომ მე მიშველოს, თორემ ვის შეუკრავს მთელი (მთლიანი) თივა, თივის მთელი ზეინი გვარლით, თივისაგან (ბალახისაგან) შეგრეხილი „დიახ სუსტი“ თოკით?! [შენ, სუსტ ქალს, როგორ შეგიძლია მე მიშველო!].

ვახტანგ VI-ის გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ დიდი მოვლენა იყო რუსთაველის გენიალური პოემის შესწავლის ისტორიაში. დიდია მისი მნიშვნელობა პოემის შესწავლისათვის ამჟამადაც. მაგრამ, მეორე მხრით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ გამოცემისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებამ, რაც ჩვენში გარკვეულ ხანებში გაბატონებული იყო, დიდად შეაფერხა პოემის ტექსტის შესწავლის საქმე: ვახტანგის გამოცემის წაკითხვები, ბევრჯერ კორექტურული შეცდომებიც კი, პირდაპირ, უცვლელად გადმოდიოდა შემდგომს გამოცემებში, მათი დასაბუთებაც ხდებოდა და, ამდენად, მცდარი ფორმები მკვიდრდებოდა.

1937 წელს აკ. შანიძემ აღადგინა ვახტანგ VI-ის გამოცემა და დაურთო გამოკვლევები და მეცნიერული აპარატი. ამ გამოცემით გაირკვა ერთი ძირითადი საკითხი რუსთაველოლოგიისა — ვახტანგის გამოცემის რაობის საკითხი. ამ ახალ გამოცემაში გასწორდა მრავალი კორექტურული შეცდომა 1712 წლის გამოცემისა. მიუხედავად ამისა, რუსთაველის პოემის შემდგომს გამოცემებში მაინც დარჩა არაერთი გაუგებრობა, რომელთა წყაროს სწორედ ვახტანგის გამოცემა წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი გაუგებრობის შედეგი იყო ის კუროიზული გარემოება, რომელიც პოემის 1445-ე სტროფის გარშემო

შეიქმნა რუსთველოლოგიაში: ამ სტროფის მესამე ტაეპი — უთქვენოდ მყოფ-
სა არ გვიღან ნიშაგნი, ნა-ჩანგ-ღაფენი — ამ სახით იბეჭდებოდა პოემის ყვე-
ლა გამოცემაში და ნებისმიერი ინტერპრეტაციების საგნად იყო ქცეული, სანამ
არ გაირკვა, რომ ამ ტაეპის ამგვარი წაკითხვა მხოლოდ და მხოლოდ ვახტან-
გის გამოცემის კორექტურულ შეცდომას წარმოადგენს, ხოლო პოემის ხელ-
ნაწერებში ეს ტაეპი სავსებით ნათლადაა წარმოდგენილი ამ სახით: უთქვე-
ნოდ მყოფთა არ გვიღან ნიშატნი საჩანგღაფენი⁴⁹.

ყოველივე ამის გამო, ერთი შეხედვით კაცს შეიძლებოდა ეფიქრა: წა-
კითხვა თვისა ვახტანგის გამოცემაში ამავე რიგის ფაქტი, ე. ი. კორექტურუ-
ლი შეცდომა ხომ არააო. მაგრამ ზემოთაღ იყო აღნიშნული და პოემის
257-ე სტროფის აქ წარმოდგენილი ანალიზიდან, ეფიქრობთ, ჩანს,
რომ ვახტანგ VI-ის გამოცემის წაკითხვა თვისა არ წარმოადგენს კო-
რექტურულ შეცდომას. ეს ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანია, როცა ვახ-
ტანგის გამოცემაში მოიპოვება ისეთი წაკითხვა, რომელიც ჩვენამდე მოღ-
წეულ არც ერთ ძველ ხელნაწერში არაა დადასტურებული. ეს ფაქტი იმაზე
მიუთითებს, რომ ან ვახტანგს ხელთ ჰქონდა ისეთი ხელნაწერი, რომელ-
შიაც ასეთი წაკითხვა იყო და რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, და ვახ-
ტანგი ამ ხელნაწერის წაკითხვას დამეყარა; ან კიდევ, შეიძლება, ვახტანგს
ასეთი ხელნაწერი არ ჰქონდა, მაგრამ ტექსტის ანალიზის თუ, შეიძლება,
გარკვეულ ტრადიციაზე დამყარების შედეგად ეს წაკითხვა თვითონ მან შეი-
ტანა ტექსტში. ორივე შემთხვევაში ეს ფაქტი ვახტანგ VI-ის რედაქტორუ-
ლი მუშაობის მაჩვენებელია.

⁴⁹ ამის შესახებ იხ. ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის
ზოგიერთი საკითხი (ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე): „მაცნე“, 1966, № 3, გვ. 209—
213.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ალ. პარაშიძემ)

თაბილა მგალოვლიშვილი

კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე
საკითხავის წყაროს დადგენისათვის

კირილე იერუსალიმელი ცნობილი სასულიერო ავტორია. მან სახელი გაიქვეა თავისი 24 საკითხავით (სიტყვით). მეცნიერთა უმრავლესობის ვარაუდით, იგი დაიბადა დაახლოებით 315 წელს; იერუსალიმის ეპისკოპოსად დაინიშნა 348 წელს. არიანელებთან ბრძოლაში მას რამდენჯერმე მოუხდა საეპისკოპოსო ტახტის მითრევა. როგორც იერუსალიმის ეპისკოპოსი, 381 წელს იგი მონაწილეობას იღებს კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებაში. კირილე იერუსალიმელი გარდაიცვალა 386 წელს, 18 მარტს¹. ამ დღეს არის დაწესებული მისი ხსენება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებში².

ლიტერატურული ტრადიციით მას მიეკუთვნება 18 სიტყვა განცხადებისათვის, .5 — საიდუმლოებათათვის, პროკატილია, ეპისტოლე კონსტანტინე მეფისადმი და რამდენიმე საკითხავი, რომელთაგან მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული.

კირილე იერუსალიმელის სიტყვათა უძველესი ქართული თარგმანები შემოგვინახა მრავალთავებმა. მრავალთავებში გვხვდება მხოლოდ 11 სიტყვა, ამთგან 7 არის განცხადებისათვის და 4 — ჯერის გამოჩინებისადმი მიძღვნილი საკითხავი. ძველ ქართულ ლექციონარებში კი (პარიზის, ლატალის) გვხვდება კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს თარგმანი.

შრომაში ჩვენ შევეხებით მხოლოდ იერუსალიმში ჯერის გამოჩინებასთან დაკავშირებულ საკითხავებს, რომელთაც უძველესი ქართული ხელნაწერები — მრავალთავები კირილე იერუსალიმელს მიაწერენ. ეს საკითხავებია:

1. იანუარსაკითხ (მაისსა ზ) გამოჩინებაჲ ჭუარისაჲ, რომელი გამოუჩნდა კონსტანტინე მეფესა მდინარესა ზედა დანუბსა... (დაცულია შემდეგ მრავალთავებში: sin—32-33-57, A—1109, A—19, A—95, A—144, ათონის 11)³.

2. პონებაჲ პატროსნისა ჭუარისაჲ (sin—32-33-57, A—1109, A—95, A—144, ათონის 11).

¹ J. Quasten, Cyril of Jerusalem, Patrology, The golden age of greek patristic literature, 1960, v. III, გვ. 362—363.

² G. Garritte, Le calendrier Palestino- Géorgien, Du sinaiticus 34 (X^e siecle), Bruxelles, 1958, გვ. 179.

Архиепископ С е р г и й, Полный месяцеслов востока, т. 2, 1901, гв. 110.

³ ხელნ. ინსტ., sin—32-33-57 — 864 წლის სინური მრავალთავე; A—1109 — უდაბნოს მრავალთავე X ს.; A—19 — სენური მრავალთავე X ს.; A—95 — პარზლის მრავალთავე X—XI ს.; A—144 — X ს.; ათონის 11 — ათონის მრავალთავე, XI ს.

3. პონება წმიდათა სამშუქულთაჲ (sin—32-33-57, A—1109, A—95, A—144).

4. საკითხავი ჭუარისათჳსეჲ (A—144).

ამ ოთხი საკითხავიდან პირველი სამი სიუჲეტურად ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ფაქტურად ერთი ნაწარმოების თარგმანს წარმოადგენს — ერთი და იმავე ამბის თხრობაა სამ ნაწილად. ამთჳან ცალკე ღგას მეოთხე — „საკითხავი ჭუარისათჳსეჲ“, რომელიც შესხმის ფორმით არის დაწერილი. ოთხივე საკითხავი გადმოღებულია შესანიშნავი, გამართული ქართულით და სრულიად განსხვავდება კირილე იერუსალიმელის სიტყვათა სხვა დანარჩენი თარგმანებისაგან, რომლებიც ბერძნული დედნის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს და საკმაოდ ხელოვნური და მძიმეა სტილის მიხედვით. საკითხავებში მოთხრობილია ქრისტიანულ სამყაროში საკმაოდ გავრცელებული ლეგენდა კონსტანტინე იმპერატორის მოქცევის შესახებ.

უძველესი ცნობა, რომელიც კონსტანტინეს გაქრისტიანებას ეხება, ეკუთვნის ლაქტანციუსს. ამ ავტორის თხზულება, რომელშიაც ჩვენთვის საინტერესო ცნობებია გადმოცემული, დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 313—315 წლებში⁴. შემდეგი ცნობა ეკუთვნის ევსეხი კესარიელს. კონსტანტინეს მოქცევის ამბავს იგი ორჯერ მოგვითხრობს: პირველად თავის საეკლესიო ისტორიის მე-9 წიგნში, ხოლო მეორედ კი კონსტანტინეს ცხოვრებაში⁵. კონსტანტინე იმპერატორის გაქრისტიანების ამბავს გადმოგვცემენ სოკრატე და სოპროენიც თავიანთ საეკლესიო ისტორიებში⁶. კონსტანტინეს მოქცევის ფაქტს კარგად იცნობენ კირილე იერუსალიმელი⁷, ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი⁸, X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი⁹ და სხვანი.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხავთაგან პირველად შევეხებით მე-4 საკითხავს — „საკითხავი ჭუარისათჳსეჲ“. ეს საკითხავი კირილე იერუსალიმელის სახელით გვხვდება მხოლოდ ერთ მრავალთაჲში A—144 (X ს.). ბერძნული წყაროს ძიებისას აღმოჩნდა, რომ იგი არ ეკუთვნის კირილე იერუსალიმელს. ეს არის ნაწილი ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ნაწარმოებისა: *ἀπόδος εἰς τῆς ἑσπερας τῆς ἡμέρας καὶ ἡσπέρης τῆς ἡμέρας*¹⁰. ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ამ საკითხავის მთლიანი თარგმანი გვხვდება იოანე ზოსიმეს მიერ გადაწერილ ხელნაწერში, აღ. ცაგარელის აღწერილობით № 92 (986 წლი-

⁴ В. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, т. III, Петербург, 1913, 83. 9.

⁵ Eusebius, Die griechischen christlichen Schriftsteller der ersten drei Jahrhunderte, *Eis τὸν βίον τοῦ μακαρίου Κωνσταντίνου βασιλέως*, ტ. I, Leipzig, 1902, გვ. 20—22.

⁶ Сократ, Церковная история, СПб., 1850, გვ. 10. Созомен, Церковная история, СПб., 1851, გვ. 23—24.

⁷ Migne, *Patrologiae graecae*, t. 33, col. 1165—1170.

ლატალის ლექციონარი Rt—VII, № 2. გვ. 467—472. პარიზის ლექციონარი Rt—VIII, № 3 (III), გვ. 484—488.

⁸ ხელნ. ინსტ., Q—762, 113v.

⁹ *Πατριάρχης ἑκκλησιαστικῆς, Φωτισμοῦ τῆς Ζητιῆς, ὑποσημειώματα*, 1871, 83. 83.

¹⁰ Migne, *Patrologiae graecae*, t. 87, col. 4016—4076.

სა)¹¹. ეს ხელნაწერი დაკარგულად ითვლებოდა. ამ უკანასკნელ ხანებში კი იგი აღმოჩნდა პრინსტონის უნივერსიტეტში (გარეტის კოლექცია № 24). მის შესახებ ცნობები გამოაქვეყნა ჟერარ გარიტმა¹². ჩვენს განკარგულებაშია ამ ხელნაწერის ფოტო.

ხელნაწერი შეიცავს ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ზემოთ დასახელებული ნაწარმოების მხოლოდ ნაწყვეტს. ტექსტს აკლია დასაწყისი და დაბოლოება, რის გამოც არა ჩანს არავითარი ცნობა ტექსტის ავტორის შესახებ. ხელნაწერის აშიაზე სხვადასხვა ადგილას გვხვდება სამი სათაური: 1. საკითხავი ჭუარის გამოჩინებისაჲ (18v—19r, 26v—27r); 2. საკითხავი ჭუარის პოენისაჲ (82v—83r, 94v—95r); 3. ჭუარის პოენისაჲ საკითხავი (66v—67r). ეს სათაურები, რომელიც არ უკავშირდება ტექსტის სიუჟეტს და განსხვავებული ხელითაჲ არის მიწერილი, ჩვენი აზრით, შედარებით მოგვიანაოა.

მეორე ხელნაწერი, რომელშიაც ეს საკითხავია შეტანილი, არის Q—762 (XIII—XIV ს.). ამ ხელნაწერში ტექსტის ავტორად დასახელებულია ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი: „საკითხავი პოენისათჳს პატიოსნისა და ცხოველის-მყოფელისა ჭუარისა, აღწერილი ალექსანდრეს მიერ კვარელ მონაზონისა, რომელსა ევედრნეს მრავალ-გზის წმიდანი მამანი“¹³.

ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ეს ნაწარმოები აშკარად განიცდის კირილე იერუსალიმელის სიტყვების გავლენას: მეორე ნაწილში ვხვდებით XV სიტყვით შთაგონებულ ადგილებს, ასევე იყენებს ავტორი VII და XVIII სიტყვებს. მესამე ნაწილი კი, როგორც ბიპაინი აღნიშნავს, წარმოადგენს კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს მიბაძვას¹⁴. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტექსტის მესამე ნაწილი კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს მხოლოდ მიბაძვას კი არ წარმოადგენს, არამედ აქ სრულიად გადაუმუშავებლად ჩართულია ნაწყვეტი ეპისტოლეს ტექსტისა. ბერძნულ დედანში ეს ნაწილი ცალკე არ არის გამოყოფილი, ქართულში კი გვხვდება შემდეგი სათაურით: „მამისა შუკსა, გამოჩინებაჲ პატიოსნისა ჭუარისაჲ“¹⁵. ეს ნაწილი მოგვითხრობს იერუსალიმში ჭერის გამოჩინების ამბავს: „მაშინ მყისსა შინა გამოუჩნდა ზედა წინა გოლგოთასა ზეითი შუა სამხრის ოდენ ჭუარი ფრიად დიდებული, ნათლითა ბრწყინვალითა შემკული, რომელმან დაფარა ბრწყინვალეობა მზის თუალისაჲ თჳსითა ბრწყინვალეობითა. ესე იყო ცხადად, წინაშე თუალთა ყოველთა მკვდრთა ქალაქისათა, დიდთა და მცირეთა, მორწმუნეთა და ურწმუნეთა; .და იყო მათ ეამთა ეპისკოპოსად იერუსალემსა ზედა კვრილე ბრძენი, რომელსა მოელო მთავრობაჲ მაქსიმე მოწამისაგან...“¹⁶ შემდეგ მას მოსდევს ნაწყვეტი ეპისტოლედან, რომელიც ასე მთავრდება: „ესე მი-

¹¹ A. Ц а г а р е л и, Памятники грузинской старины, Палестинский сборник, т. IV, Петербург, 1888, გვ. 239—240.

¹² G. Garitte, Aventures et mésaventures, d'un manuscrit géorgien (Le cod. Garret 24 Princeton), Bedi Kartlisa, № 52—53, Paris, 1937, გვ. 43—52.

¹³ ხელნ. ინსტ., Q—762, 86r.

¹⁴ E. Bihain, Saint Cyrille de Jerusalem, Le Mésion, LXXVI, 3—4, 1963,

გვ. 321.

¹⁵ ხელნ. ინსტ., Q—762, 126v.

¹⁶ ხელნ. ინსტ., Q—762, 127v.

წერა კვირილე ეპისკოპოსმან კოსტანტინე მეფესა და აუწყა, რამეთუ ამის სასწაულისა ძალითა, რომელ უზესთაეს იყო სასწაულთა ქუეყანისათა, მრავალნი ათასნი შეეძინნეს ქრისტიანეთა სარწმუნოებასა იერუსალემსა და ყოველთა ადგილთა...¹⁷ ტექსტი გრძელდება ჩვენთვის საინტერესო საკითხავით, რომელიც შესხმის ფორმით არის დაწერილი, X საუკუნის მრავალთაგანში (A—144) ცალკე საკითხავადაა გამოყოფილი და კირილე იერუსალიმელს მიეწერება.

ეს შეცდომა, საფიქრებელია, გამოწვეულია იმით, რომ ამ ტექსტში იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების ეპიზოდი დაკავშირებულია კირილე იერუსალიმელის სახელთან და აქვეა ნაწყვეტი მისივე ეპისტოლედანაც, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ჩვენთვის საინტერესო ტექსტი. ამის გამო იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ტექსტიც კირილე იერუსალიმელს ეკუთვნის.

ამრიგად, „საკითხავი ჯუარისათვისე“, რომელსაც ხელნაწერი A—144 კირილე იერუსალიმელს მიაწერს, ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ნაწარმოების ნაწყვეტს წარმოადგენს. ქართული თარგმანის შედარებამ ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ბერძნულ საკითხავთან დაგვარწმუნა, რომ ქართული ტექსტი ბერძნულის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს.

განვიხილოთ დანარჩენი სამი საკითხავი. კირილე იერუსალიმელის თხზულებათა არც ერთ ბერძნულ გამოცემასა და არც ერთ გამოკვლევაში, რომელიც კირილე იერუსალიმელისადმი მიძღვნილი, მითითებაც კი არ არის იმის შესახებ, რომ კირილეს მსგავსი რამ დაეწერა. მხოლოდ ქართული, კობტური და არაბული ვერსიები მიაწერენ ამ საკითხავებს კირილე იერუსალიმელს.

იერუსალიმში ჯვრის გამოჩინებისა და ჯვრის პოვნისადმი მიძღვნილი ლეგენდები საკმაოდ პოპულარულია მთელ მსოფლიოში. ამის ნათელი დადასტურებაა ამ ლეგენდების შემცველ საკითხავთა მრავალი ვერსიის არსებობა. ჯვრის გამოჩინების ქართული საკითხავები შეიცავს როგორც კონსტანტინე იმპერატორის დროს ჯვრის გამოჩინების ამბავს, ასევე ელენე დედოფლის მიერ ჯვრის პოვნის ეპიზოდს.

ვიდრე ჯვრის გამოჩინების საკითხავთა ქართულ თარგმანებს უშუალოდ შევეხებოდეთ, განვიხილავთ იმ სირიულ ლეგენდებს, რომლებიც ამ ციკლის წყაროდ ითვლება.

1686 წელს დუბლინში ლოფტუსმა გამოსცა ჯვრის ორჯერ გამოჩინების სირიული ტექსტის ინგლისური თარგმანი¹⁸. ამ წიგნის შესავალში ნათქვამია, რომ ეს თარგმანი შესრულებულია ძველი სირიული ხელნაწერიდან¹⁹, რომელიც დღეისათვის დაკარგულად ითვლება, თუმცა ნესტლიმ შეძლო მიეგნო იმ სირიული ხელნაწერისათვის, რომელიც ლოფტუსის თარგმანის იდენტურია²⁰. ეს არის ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი add. 12174, გადაწერილი 1196 წელს. ლოფტუსის თარგმანსა და ლონდონურ add. 12174-ში შემონახულია სირიული მოთხრობა ჯვრის ორჯერ პოვნის შესახებ, პირველად—

¹⁷ ხელნ. ინსტ., Q—762, 129v.

¹⁸ Dudley Loftus, An History of the Twofold Invention of the Cross, Dublin, 1686.

¹⁹ E. Nestle, De Sancta Cruce, Berlin, 1869, გვ. 2—3

²⁰ იქვე, გვ. 5.

რომში, პეტრესგან მოქცეული იმპერატორ კლავდიუსის მეუღლის მიერ, რომლის სახელია ლოფტუსის მიხედვით Patronica — პატრონიკა, ლონდონურ ხელნაწერში კი Pivniqi — პტრენიკი. ეს ლეგენდა პროტონიკე ლეგენდის სახელითაა ცნობილი; მეორედ — კონსტანტინე იმპერატორის დედის ელენეს მიერ.

1868 წელს ჯვრის გამოჩინების სომხური ვერსია გამოაქვეყნა ალიშანმა²¹. გამოცემელი აღნიშნავს, რომ მის მიერ გამოცემული სომხური ტექსტი შეიცავს ავგაროზ შეფის წერილსა და ლაბუზნიას მიერ დედის მოქცევის ისტორიას. დასახელებული წერილი გვაცნობს, თუ რა მოუთხრო თადეოზმა მეფე ავგაროზს ქრისტეს შესახებ. მან მეფე ავგაროზს ამცნო არა მარტო ის სასწაულები, რაც ქრისტემ მოახდინა, არამედ ისინიც, რაც მისი ამაღლების შემდეგ მისი სახელით მოხდა. ერთ-ერთ სასწაულად დასახელებულია ჯვრის პირველი გამოჩინება (I ს.), ანუ პროტონიკე ლეგენდა. ლეგენდას აკლია დასასრული, რომელიც ჯვრის მეორედ გამოჩინების ამბავს გულისხმობს. ეს აიხსნება იმით, რომ მისი ავტორია მოციქულების თანამედროვე ლაბუზნია. მოთხრობა მთავრდება შენიშვნით, რომ იაკობი, იერუსალიმის ეკლესიის მთავარი, რომელმაც ეს ამბავი საკუთარი თვლით იხილა, ამის შესახებ სხვა მოციქულებს წერილობით ცნობებს აწვდიდა და ისინიც, თავის მხრივ, მოახსენებდნენ მას, რაც მათთან ხდებოდა²².

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთი სომხური ხელნაწერიდან იგივე ნაწყვეტი 1867 წელს იქნა გამოქვეყნებული ვიქტორ ლანგლუას მიერ²³. როგორც ალიშანი, ასევე ლანგლუაც თვლიდნენ, რომ სომხური ტექსტი თარგმნილი უნდა ყოფილიყო სირიულიდან სომხური ლიტერატურის ოქროს ხანაში²⁴. ამ ტექსტის სირიული დედანი კი ჯერ კიდევ 1864 წელს გამოსცა კიურეტონმა²⁵.

ალიშანის აზრით, მის მიერ გამოცემული სომხური ტექსტი ზემოთ დასახელებული, კიურეტონის მიერ გამოქვეყნებული სირიული დედნის თარგმანია. კიურეტონის მიერ გამოცემულ ტექსტს კი აკლია ჯვრის გამოჩინების ლეგენდის ერთი ნაწილი. ამ დასკვნამდე ნესტლი მივიდა მას შემდეგ, რაც მან Doctrina Addaei-ს სრულ სირიულ ტექსტს მიაკვლია²⁶.

²¹ Alishan, Laboubnia, Lettre d'Abzar ou histoire de la conversion des Édesséens par Laboubnia écrivain contemporain des Apôtres, traduite sur la version Arménienne du V-me siècle, Venezia, 1868.

²² ნესტლი, დ.ს.ს. ნაშრომი, გვ. 65—66.

²³ V. Langlois, L'éroubna d'Édesse, Histoire d'Abzar et de la prédication de Thaddée traduite pour la première fois sur le Manuscrit unique et inédit de la Bibliothèque Impériale de Paris, 1867. იგივე ნაწყვეტი 1872 წელს მიეღობისა და ლანგლუას მიერ აღმოაჩინებელი იქნა Fragmenta Historiarum Graecorum-ის მეზუე ტომში. გვ. 313—331.

²⁴ ნესტლი, დ.ს.ს. ნაშრომი, გვ. 66.

²⁵ Cureton, Ancient Syriac Documents relative to the earliest establishment of Christianity in Edessa and the neighbouring countries, from the year after Our Lord's ascension to the beginning of the fourth century, London, 1864.

²⁶ ეს მთლიანი ტექსტი მოთავსებული იყო ნიტრის უდაბნოს მართიის მონასტრის იმ ოთხ ხელნაწერთა შორის, რომელიც ბერძენმა პაპმა (როცა ამ მონასტრის ბიბლიოთეკა ბრიტანეთის მღვდელმა შეისყიდა) გადაშალა და 1652 წელს პეტერბურგში გაუღო. ფილოსოფა 1276 წელს ტექსტი გამოაქვეყნა ინგლისური თარგმანით: Phillips, The Doctrina of Addaei the Apostle, Cambridge, 1676.

გასარკვევია რა მიმართებაა Doctrina Addaei-სა და პროტონიკე ლეგენ-
დას შორის.

ერთ-ერთ სამოცდაათ მოციქულთაგანის თადეოზის აქტები წარმოადგენს
მეფე ავგაროზსა და ქრისტეს შორის მიმოწერას. ედესის მეფე ავგაროზი
ქრისტეს სახელით გადაარჩინა თადეოზმა, რის შედეგადაც მთელმა ედესამ
მიიღო ქრისტიანობა. ეს მიმოწერა საკმაოდ ცნობილი იყო მთელ მსოფლიო-
ში. იგი შეადგენს ლეგენდების კრებულს, რომელიც წერილობით III საუ-
კუნეში შეიქმნა. Doctrina Addaei-ც ფაქტიურად იგივეა, მხოლოდ აქ ემა-
ტება ახალი ეპიზოდი: მაცნე ანანიას ქრისტეს ხატი მიაქვს მეფე ავგაროზ-
თან, რომელიც მას საპატიო ადგილს მიუჩენს თავის სასახლეში²⁷.

ჯვრის გამოჩინების ტექსტების ზემოთ დასახელებული გამოცემების გა-
რდა, ცნობილია 4 ბერძნული ვერსია²⁸.

1. Ἰησοῦς τῆς εὐρέσεως τὸν ναίειν καὶ ἴσθαιον σταυρῶν

დასაწყისი: ἔτος ἡγῆσθη πριακωσισθῶν ῥίτων τὸν παῖδου τὸν σατῆρος ἡμῶν
'Ιησοῦ Χριστοῦ, ἣ τὴ Ζήτῆταις καὶ ἀνεῖρεται τὸν ζῶντων σταυρῶν ἐγένετο κατὰ τὸν
καιρὸν ἐξῆλθεν βροχιασούτος κ.λ.

2. Ὁπασαία Κωνσταντινου τὸν μεγάλου βασιλέως περὶ τῆς εὐρέσεως τὸν σταυρῶν
დასაწყისი: ἐν ἔτει ἐβδόμῳ τῆς βασιλείας Κωνσταντινου...

3. Τὸν ναίειν σταυρῶν Ζήτῆταις καὶ ἐξεῖρηται. ἔτους διακωσισθῶν πριακωσισθῶν
ῥίτων Ζήτῆταις καὶ ἐξεῖρηται ἐγένετο περὶ τὸν σταυρῶν.

4. Ὁπασαία Κωνσταντινου τὸν μεγάλου βασιλέως περὶ τῆς εὐρέσεως
ναίειν σταυρῶν

დასაწყისი: Ἐν ἔτει ἐβδόμῳ τῆς βασιλείας Κωνσταντινου τὸν μεγάλου βασι-
λέως...

სიორიულ ვერსიათა შორის უნდა დავასახლოთ: ა) მე-7 საუკუნის ბრი-
ტანეთის მუზეუმის № 14644 ხელნაწერის ტექსტი; ბ) პარიზის № 12174
ხელნაწერის ტექსტი; ც) ზახაუს № 222 ხელნაწერისა და ერთი მესობოტამი-
ური ხელნაწერის ტექსტი.

ჯვრის გამოჩინების ლეგენდების ტექსტების ყველა არსებული ვერსიისა
და Doctrina Addaei-ს შედარების შედეგად ნესტლი მივიღა იმ დასკვნამდე,
რომ ჯვრის გამოჩინების ლეგენდების პირველწყაროა Doctrina Addaei²⁹. შე-
დარებისას ამოსავალი იყო ამ ვერსიათა ქრონოლოგია.

ვინაიდან ქართულ საკითხავთა წყაროს ძიებისას ქრონოლოგიას გარკვეუ-
ლი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მასზე შევჩერდებით. ჯვრის გამოჩინების
პირველი ბერძნული ვერსიის მიხედვით კონსტანტინეს ჯვარი გამოუჩნდა უფ-
ლის ჯვარცმის შემდეგ 303 წელს, ე. ი. 335 წელს. ამავე წლის მეორე თვის
28 რიცხვში ელენე დედოფალი მიდის იერუსალიმში. ჯვრის გამოჩინების
დღესასწაული ამ ვერსიის მიხედვით დადებულია 14 სექტემბერს.

მეორე და მეთხუთე ბერძნული ვერსიით, კონსტანტინე იმპერატორმა ჩე-
ნება იხილა თავისი მეფობის მეშვიდე წელს. 233 წელს ელენე დედოფალი
წავიდა იერუსალიმში. დღესასწაული დაწესებულია 14 სექტემბერს. მესამე

J. Quasten, *Initiation aux Peres de L'Eglise*, vol. I, Paris, 1955, გვ. 161.

²⁸ E. Nestle, *Die Kreuzauffindungslegende*, *Byzantinische Zeitschrift* 4, 1895, გვ. 332—333.

²⁹ E. Nestle, *D: Sancta Cruce...*, გვ. 72.

ვერსიის მიხედვით, ელენე დედოფალი იერუსალიმში მიდის 233 წელს. ბრიტანეთის მუზეუმის № 14644 სირიული ხელნაწერის მიხედვით 351 წელს, 28 პაისის ელენე დედოფალი მიდის იერუსალიმში, შემდეგ კი აწესებს ჭვრის გამოჩინების დღესასწაულს.

პარიზის № 12174 სირიული ხელნაწერის ტექსტით კონსტანტინე თავისი მეფობის მეშვიდე წელს ნახავს ჭვრის გამოჩინებას. ამ ვერსიის მიხედვით უფლის აღდგომიდან ჭვრის მეორედ აღმოჩენამდე 201 წელი იყო გასული. 28 აგვისტოს ელენე დედოფალი მიდის იერუსალიმში ჭვრის საძებნელად. დღესასწაული აქაც 14 სექტემბერსაა. ზახაუს № 222 სირიული ხელნაწერისა და პარიზის № 12174 სირიული ხელნაწერის ქრონოლოგია ერთი და იგივეა.

პოლდერის აზრით, ყველა იმ ტექსტში, სადაც მითითებულია „აღდგომა უფლისა“, რაც ქრონოლოგიურად არ შეესაბამება ტექსტში მოთხრობილ ამბავს, უნდა ვივარაუდოთ „ჭვრის დამარხვა ტრაიანეს დროს“³⁰. თუ ამ ფაქტს მივიღებთ ამოსავლად, მაშინ 233 წელს ადვილად ასახსნელი იქნება: 201 წელი ზახაუს №222 სირიული ხელნაწერის მიხედვით გასულა. ჭვრის პირველიდან მეორედ აღმოჩენამდე. ამას თუ დაეუმატებთ ქრისტეს წლოვანებას, მივიღებთ 233 წელს. ამრიგად, ლეგენდის ყველა ტექსტი, რომელიც 233 წელს ასახელებს, გულისხმობს ტრაიანეს დროს ჭვრის დამარხვას (1 ს.) ე. ი. მის პირველად აღმოჩენასაც, ერთი სიტყვით პროტონიკე ლეგენდას.

პროტონიკე ლეგენდის შესახებ კი ჭერ კიდევ ადრე ნესტლიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს მოთხრობა თავდაპირველი ფორმით *Doctrina Addaei*-ში გვხვდება³¹. ამას იგი ამტკიცებდა ლიპსიუსის საწინააღმდეგოდ, რომელიც ფიქრობდა, რომ ჭვრის პირველი გამოჩინების მოთხრობა (პროტონიკე ლეგენდა) მეტად ზერელედ იყო დაკავშირებული თადეუსის აქტებთან და იგი დამოუკიდებელი სახით არსებობდა *Doctrina Addaei*-ში ჩართვამდე. ამას იგი ასაბუთებდა იმით, რომ ეს ეპიზოდი, როგორც დამოუკიდებელი ნაწილი, შემოგვინახა ზოგიერთმა სირიულმა და სომხურმა ხელნაწერმა³². მაგრამ ლიპსიუსის მოსაზრებას ეწინააღმდეგება ზახაუს № 222 სირიულ ხელნაწერში დატული ცნობა, სადაც ამ ეპიზოდის ავტორად ნეტარი თადეუსია (*Addaus*) დასახელებული³³; ეს კი ურყევი საბუთია იმისა, რომ პროტონიკე ლეგენდა *Doctrina Addaei*-დან მომდინარეობს.

ზახაუს № 222 სირიული ხელნაწერი საინტერესოა იმითაც, რომ აქ პროტონიკე ლეგენდის ეპიზოდი გრძელდება წარწერით: „მოსდევს მეორე მოთხრობა წმინდა უფლის ჭვრისა“³⁴, რომელიც კონსტანტინე იმპერატორისა და ელენე დედოფლის ამბავს მოგვითხრობს. ე. ი. ჭვრის მეორედ გამოჩინების ტექსტის საფუძველსაც პროტონიკე ლეგენდა წარმოადგენს.

დღეისათვის, ბერძნულ და ლათინურ ნიადაგზე პროტონიკე ლეგენდის წარმოშობის არავითარი კვალი არა ჩანს; ეს კი საფუძველს გვაძლევს გავიზიაროთ ნესტლის მოსაზრება, რის მიხედვითაც ყველა ლეგენდა, რომელიც

³⁰ E. Nestle, *Die Kreuzauffindungslegende...*, გვ. 338.

³¹ E. Nestle, *De Sancta Cruce...*, გვ. 339.

³² E. Nestle, *Die Kreuzauffindungslegende...*, გვ. 339.

³³ იქვე.

³⁴ E. Nestle, *De Sancta Cruce...*, გვ. 389.

ელენესა და კონსტანტინეს ლეგენდებს გულისხმობს, მომდინარეობს პროტონიკე ლეგენდიდან (ჯერის პირველი გამოჩინების ლეგენდა), რომელიც თავდაპირველი სახით *Doctrina Addaei*-შია შემონახული.

როგორც ვხედავთ, ჯერის გამოჩინებისა და პოენის ლეგენდები საკმაოდ გავრცელებული იყო მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ამ ლეგენდების საფუძველზე შექმნილი საკითხავები შემონახულია სირიულ, ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, კობტურ, სომხურ და ქართულ ენებზე. ამთაგან ზოგიერთი ვერსია ავტორად ასახელებს კირილე იერუსალიმელს (ქართული, კობტური, არაბული), ზოგი კი უაეტოროა.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ლეეეს სიტყვები, რომ ჯერის გამოჩინების იდეალურ გამოცემასთან საქმე გვექნება მხოლოდ მაშინ, როცა სამ სვეტად იქნება წარმოდგენილი ლეგენდების სირიული, ბერძნული და ლათინური ტექსტები³⁵. ჩვენი აზრით, ამას უნდა დამატოს ქართული, სომხური, არაბული და კობტური ვერსიებიც.

უძველესი ქართული ხელნაწერების — მრავალთავეების — საკითხავთა წყაროს დადგენის მიზნით ქართული ტექსტი შევეუდარეთ ჯერის გამოჩინების საკითხავთა ყველა ვერსიას. შეჭერების შედეგად ამ საკითხავთა შორის შესაძლებელი გახდა ორი რედაქციის გამოყოფა: 1. კობტური, არაბული და ორი სომხური ტექსტი; 2. ქართული, სირიული, ბერძნული, ლათინური, სომხური, არაბული (დამატებითი პარაგრაფები ალექსო ხელნაწერში).

განვიხილოთ თითოეული რედაქცია და მასში შემავალი ვერსიები:

კობტური ვერსიისათვის გამოვიყენეთ ბუდგეს მიერ გამოცემული კობტური ტექსტი, რომელსაც ინგლისური თარგმანიც ერთვის³⁶. კობტური ტექსტი გამოქვეყნებულია *Oriental* № 6799-ის მიხედვით, რომელიც გადაწერილია 1053 წელს. ეს ხელნაწერი მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ტექსტს შეიცავს³⁷.

ჯერის გამოჩინების ლეგენდა პოპულარულია არაბულ სამყაროშიც. იგი მრავალი ვარიანტით არის გავრცელებული ზეპირ და წერილობით. გ. გრაფის ცნობით ელენეს მიერ სამშუქალთა პოენის ამბავი, რომელიც ქართულ მრავალთავეებში მე-3 საკითხავად არის შეტანილი, გვხვდება კაიროს ხელნაწერებში № 46 (1757 წ.) და № 728 (მე-17 ს.), რომლებიც მას კირილე იერუსალიმელს მიაწერენ³⁸.

გარდა ამისა, ჯერის გამოჩინების საკითხავების არაბული ვერსია ვამოქვეყნებული აქვს პ. კარალის³⁹. კარალი თავის გამოცემაში ეყრდნობა ალექსო ხელნაწერს (რომელიც გადაწერილია კაზაპიას მონასტერში 1558 წ.) და უფრო ადრეულ ბაქარჭის ხელნაწერს. განსხვავება, როგორც ვამომცემელი აღნიშნავს, ამ ორი ხელნაწერის ტექსტებს შორის მკირეა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ დამატებით პარაგრაფებს, რომლებსაც ალექსო ხელ-

³⁵ E. Nestle. Die Kr. uzauffindungslegende... 23. 320—321.

³⁶ E. A. Wallis Budge, *Miscellaneous Coptic Texts*, London, 1915

³⁷ იქვე. 25. XIV

³⁸ G. Graf, *Geschichte des christlichen arabischen Literatur*, Studi Tesli 118, 1959, გვ. 336.

³⁹ P. Carali, *ارتفاع الصليب* Mašriq, 1933—1934.

ნაწერში ვხვდებით⁴⁰. ეს ფაქტი არ შეიძლება წყაროს განსხვავებას მივაწეროთ, რადგანაც ეს ხელნაწერები, გარდა ამ დამატებითი პარაგრაფებისა, ერთმანეთს ემთხვევა სიტყვასიტყვით, თვით შეცდომებშიაც კი. კარალის აზრით, ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელია, თუ დავუშვებთ, რომ ალექსის ხელნაწერის მხოლოდ დამატებითი პარაგრაფები მომდინარეობენ სხვა წყა-

როდან — არა *مير القديس كيرلس*-დან, არამედ ძველი სირიული გადმოცემებიდან, რომლებიც *اكتشاف الصليب* შეიცავენ⁴¹. ე. ი. მკვლევარის აზრით, დამატებითი პარაგრაფების წყაროა ჯერის გამოჩინების ის სირიული ლეგენდები, რომლებიც შემოგვინახეს უძველესმა (V—VI ს.) სირიულმა ხელნაწერებმა.

კოპტური და არაბული ვერსიები (ალექსის ხელნაწერის დამატებითი პარაგრაფების გარდა) ახლოს დგას ერთმანეთთან. ორივე ვერსიის სიუჟეტი ერთი და იგივეა (მის მსგავსს მეორე რედაქციის ვერსიებს შორის ვერ ვპოულობთ): ორივე იწყება ციტატით ფსალმუნიდან, თხრობის პირველ ნაწილში მოქმედი პირია თვით კირილე, არაბულ ვერსიაში ზოგჯერ გვხვდება კოპტური ლექსიკაც. კარალის მიერ გამოცემული არაბული ვერსიის განხილვისას ჯერ კიდევ გრაფმა შენიშნა, რომ იგი კოპტურიდან უნდა მომდინარეობდეს⁴².

არაბული და კოპტური ვერსიების შეჯერების შემდეგ ჩვენ საყვარელით ვიზიარებთ გ. გრაფის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. საილუსტრაციოდ ლეგენდის ფინალური ნაწილიც საკმარისია. აქ ჯერის დღესასწაულის თარიღად ორჯერ გვხვდება 14 სექტემბერი: თუ ერთ არაბულ ხელნაწერში ეს თარიღი ნახმარია არაბული ფორმით — *شهر ايلول*⁴³, მეორეში ორივეჯერ გვხვდება ამ თვის კოპტური დასახელება — *شهر من عشر*⁴⁴, და არა მარტო აქ. ამ ტექსტში რამდენჯერმეა ეს თარიღი დასახელებული და ყველგან იგი კოპტური ფორმით არის ნახმარი.

აქვე არ შეიძლება არ დავასახელოთ ჯერის გამოჩინების ის ორი სომხური ვერსიაც, სადაც აგრეთვე კირილეა მოქმედი პირი. პირველი — ეს არის 1868 წ. ალიშანის მიერ გამოცემული „ლაბუზნია“⁴⁵ და მეორე — უხტანესთან მოცემული ჯერის პოვნის ეპიზოდი⁴⁶. სამწუხაროდ, ალიშანის ეს გამოცემა ხელთ არა გვაქვს და მის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ მოკლე შინაარსის მიხედვით, რომელსაც ე. ნესტლი გადმოგვცემს⁴⁷. რაც შეეხება უხტანესს, აი, რას მოგვითხრობს იგი:

⁴⁰ იქვე, გვ. 547.

⁴¹ იქვე, გვ. 848—849.

⁴² G. Graf, Paul Carali, *Or. Christ.*, 32, 1935, გვ. 276.

⁴³ P. Carali, დასახ. ნაშრომი, გვ. 848—849.

⁴⁴ იქვე, გვ. 535—536.

⁴⁵ Alishan, დასახ. ნაშრომი.

⁴⁶ *П. Х. м. н. с. т.*, გვ. 104—105.

⁴⁷ E. Nestle, *De Sancta Cruce...*, გვ. 65—66

კონსტანტინე თავის დედას ელენეს აგზავნის იერუსალიმში ჭვრის მოსაძიებლად. ჩავიდა თუ არა ელენე იერუსალიმში, შეკრიბა მღვდლები, პურორიათა უხუცესები და გამოკითხა მათ ჭვრის შესახებ. მათ არ მოისურვეს ჭვრის ადგილმდებარეობის გამხელა და უარი განუცხადეს დედოფალს: არ ვიცითო. ამის შემდეგ აწამეს ვინმე ნეტარი კირილე, რომ როგორმე ამით ეპოვნათ ჭვარი. იპოვნეს ჭვარი, სიხარულით წამოიღეს ქალაქში, დაადეს მკვდარ ყრმას, რომელიც დასასაფლავებლად მიჰყავდათ. იგი მყისვე გაცოცხლდა. დაინახა რა ეს ნეტარმა დედოფალმა, შევებით აღიესო, ჰმადლობდა და აღიდებდა ღმერთსა. გაიხარა აგრეთვე ყველა მორწმუნემ, ხოლო პურიანი აღიესნენ სირცხვილით. ქრისტეს მიმართ რწმენითა და სურვილით აღესილმა ნეტარმა დედოფალმა ელენემ მოითხოვა მაკხოვრის სამსჯვალნი კირილესაგან. ნეტარი კირილე წაიღია „თხემის ადგილზე“ სხვა მორწმუნე ძმებთან ერთად და დიდი გოდებით ილოცა. უეცრად რალაცამ გაიბრწყინა. აიღეს და მიუტანეს დედოფალს. ხოლო მან წამოიღო შვევით, მოუწოდა თავისთან ერთ კაცს, სარწმუნოსა და გონიერს და უთხრა: აიღე ეს სამსჯვალნი და გააკეთე მისგან ღილები მეფის ცხენის აღვირისათვის, რათა იგი იყოს იარაღი, ხელმწიფის ყველა მტრის მძლეველი. სიხსნევით შემკობილმა ნეტარმა წმინდა დედოფალმა სურვილით მოიძია და იპოვა მაკხოვრე ნებელი და წმინდა ნიში და, როდესაც მიიღო სამსჯვალნი, წაიღია კონსტანტინე მეფესთან და აუწყა ყველა მომხდარი ამბავი, გაიხარეს ერთად და აღიღეს ღმერთი⁴⁸.

საინტერესოა, რომ აქაც, ისევე, როგორც არაბულსა და კობტურ ვერსიებში, ჭვრისა და სამსჯვალთა პოვნის ეპიზოდი თითქმის ერთნაირია; მოქმედი პირი აქაც კირილეა. ამგვარი რამ (გარდა არაბული და კობტური ვერსიებისა) ამ ლეგენდების არც ერთ სხვა თარგმანში არა გვხვდება. ე. ი. რალაც საერთო ჩნდება ამ ორ სომხურსა და კობტურ-არაბულ ტექსტებს შორის, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ: თუ ზემოთ განხილული არაბული ვერსია კობტურიდან მომდინარეობს, ასევე შესაძლებელია, რომ ამ ორი სომხური ტექსტის წყაროც იგივე იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჭვრის პოვნის ეს ოთხი ვერსია ცალკე რედაქციად უნდა გამოიყოს.

მეორე რედაქციაში გავაერთიანეთ ბერძნული, ლათინური⁴⁹, სომხური, სირიული, არაბული (ალეპოს ხელნაწერის დამატებითი პარაგრაფები) და ქართული ვერსიები.

ქართული საკითხავების წყაროს დადგენის მიზნით ქართული თარგმანი შეეუდარეთ ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომ უცხოურ ტექსტს.

ბერძნული ვერსიისათვის გამოვიყენეთ ნესტლის მიერ გამოცემული უძველესი ტექსტი: 'Οπασία Κωνσταντίνου τῆς μαρτύρου βασιλέως παρὶ τῆς εὐρήσεως τοῦ ἑαυτοῦ σαυροῦ⁵⁰.

⁴⁸ П. С. Успенский, стр. 104—105.

⁴⁹ ლათინური ვერსია ბერძნულის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს, ამიტომ მასზე ცალკე აღარ შეეჩერებოთ.

⁵⁰ E. Nestle, Die Kreuzauffindungslegende..., стр. 324—332.

ეს ტექსტი ე. ნესტლიმ გამოსცა იმ ნუსხის მიხედვით, რომელიც ი. რენდელ ჰარისმა გამოსაქვეყნებლად გადასცა მას. ამ ხელნაწერის შესახებ ცნობებს იძლევა გარდტაუზენი თავის სინის ბერძნულ ხელნაწერთა აღწერილობაში (№ 493 VIII საუკუნე)⁵¹. ეს ნუსხა ბევრად უფრო აღრინდელია დანარჩენ ბერძნულ ხელნაწერებზე, რომლებმაც ჯერის გამოჩინების ლეგენდის ტექსტი შემოგვინახეს. ჩვენთვის საინტერესო საკითხავენებს ჯერის გამოჩინების შესახებ ზემოთ ხსენებულ სინურ ხელნაწერში (№ 493) ბოლოს ერთვის აგრეთვე კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე, რომელიც გამოქვეყნებულია — P. Gr., t.33, col. 1165.

ლეგენდის სომხური ვერსიისათვის ვისარგებლეთ მატენადარანის № 80 (მე-17 ს.) და № 3782 (მე-18 ს.) ხელნაწერების ტექსტით, რომელიც პროფ. ილია აბულაძის ხელით არის გადმოწერილი და დღეს მის არქივში ინახება⁵².

ჯერის გამოჩინების ლეგენდის ერთ-ერთ ვარიანტს ეხვდებით კირილე იერუსალიმელის ცხოვრების სომხურ ვერსიაშიაც: *Գատուժխն սրբոյն Կիրղի Երուսաղեմի Հայրապետին*, რომლის ნაწილიც ვენის მხითარისტა ბიბლიოთეკის № 224 ხელნაწერის ძეხედვით გამოაქვეყნა ე. ბიჰანიმა⁵³. ეს ხელნაწერი გადაწერილია 1428 წ. კარაპეტ კოლუსის მიერ.

კირილე იერუსალიმელის ცხოვრების სომხური ტექსტი შედგება ხუთი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ნაწილისაგან. ჩვენთვის საინტერესოა ამ ცხოვრების II ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს იერუსალიმში ჯერის გამოჩინების ამბებს. სწორედ ამ ნაწილშია მოთავსებული კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე კონსტანტინე მეფისადმი, რომელიც ასევე იერუსალიმში ჯერის გამოჩინებას ეძღვნება და ამ ლეგენდის უცნობი ტექსტი. სამწუხაროდ, ბიჰანი არ აქვეყნებს ამ ტექსტს, მაგრამ მის წყაროდ იგი თვლის კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს კონსტანტინე მეფისადმი და დღეისათვის დაკარგულ უცნობ ძეგლს, რომელშიაც აღწერილი იქნებოდა იერუსალიმში მომხდარი ჯერის გამოჩინება⁵⁴.

აკად. ნ. მარის აზრით, ჯერის გამოჩინების ლეგენდის ქართული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს სირიულიდან. აქვე იგი არც სომხურის გავლენას უარყოფს: „За такую древность их говорит не только то, что они найден в рукописи 864 года, но и замечательная архаичность языка, употребление сирийской формы названия Спасителя (მშია, resp. მშიჰა)... В этих древнейших грузинских текстах мы умеем переводы, сделанные с армянского или во всяком случае выполненные под влиянием армянского языка“⁵⁵.

აკად. კ. კეკელიძემ ამ საკითხავთა შესახებ გამოთქვა შემდეგი ვარაუდი: ქართული ვერსია „დღესდღეობით ცნობილს ბერძნულ ვერსიებს, დასაწყის-

⁵¹ იქვე, გვ. 383.

⁵² ჯერის გამოჩინების ლეგენდის სომხური ვერსიის თარგმანი, ნ. აკინანის აზრით, შესრულებული უნდა იყოს IX საუკუნეში (Հանդես ամսօրեայ, 1948, სვ. 131).

⁵³ E. Bihan, Saint Cyrille de Jerusalem, Le Muséon, LXXVI, 3—4, 1963, გვ. 341—348.

⁵⁴ იქვე, გვ. 322.

⁵⁵ Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме в поездку 1902 г., Собщ. Импер. Прав. Палест. общ., т. XIV, г. II, 1903, გვ. 20.

სისა და დასასრულის მიხედვით, მთლიანად არ უდგება, სამაგიეროდ ის ემთხვევა სირიულ ვერსიას, განსაკუთრებით კი სომხურს, რომელიც ჭერჯერობით გამოცემული არაა, მაგრამ ცნობილია სხვადასხვა ხელნაწერით⁵⁶. შემდეგ ავტორი აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ტექსტში გვხვდება სირიული ლექსიკური ერთეულები („მშია“, „შიმონ“), რომელთა საფუძველზეც აკად. ნ. მარი ამ ტექსტს სირიულიდან თარგმნილად თვლიდა, ხოლო იგივე სიტყვები სომხურ ვერსიაში მოცემულია ბერძნული ფორმით („მესია“: „შიმონ“), ქართული თარგმანი მაინც სომხურიდან უნდა მომდინარეობდეს. აკად. კ. კეკელიძის აზრით, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები⁵⁷: 1. ბერძნულში ვერ დაიძებნა ტექსტი, რომელსაც ქართული და სომხური თარგმანი დასაწყისისა და დასასრულის მიხედვით უდგებოდეს. 2. სირიული ვერსიით ელენე დედოფალს წარუდგება ჭერ 3000 კაცი, შემდეგ 2000, შემდეგ 1 000, ამის მომდევნოდ 30, უკანასკნელად იუდა. ქართულ-სომხურით კი — 3 000, 1 000, 200 და იუდა. 3. პირველმოწამე სტეფანე სირიულით არის ძმა იუდას მამის სიმონისა, ქართულ-სომხურით კი ძმა თვით იუდასი. 4. პაპა იუდასი ზაქეოსი სირიულით არის საიდუმლო მოწაფე ქრისტესი — ნიკოდემოსი, რომელიც მასთან ღამე დადიოდა. ქართულ-სომხურმა ეს არ იცის.

განვიხილოთ თითოეული ეს ფაქტი:

1. აკად. კ. კეკელიძე იყენებს Bibliotheca Hagiographica Graeca-ში დაბეჭდილ ბერძნულ ტექსტს. მაგრამ აქ გამოქვეყნებულია ჭერის გამოჩინების ბერძნული ტექსტის მხოლოდ ნაწყვეტები, რომლებიც გრეტსერის, ჰოლდერის, ნესტლისა და სხვათა გამოცემებიდან არის ამოკრებილი⁵⁸. ჩვენ კი ხელთ გვქონდა ნესტლის მიერ გამოქვეყნებული VIII ს.-ის უძველესი ბერძნული ტექსტი. ნესტლის მიერ გამოქვეყნებული სრული ბერძნული ტექსტის შედარებამ BHG-ს ფრაგმენტებთან, ნათელი გახადა, რომ ფრაგმენტები მისდევს ნესტლის გამოცემას, ე. ი. ორივე ბერძნული ტექსტი ერთი რედაქციისაა. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ბერძნულ-ქართულ-სომხური ტექსტების დასაწყისებს:

ქართ.: მეშვდესა წელსა სუფევასა კოსტანტინე დიდისა მეფისასა, თთუ-
ესა აწნისასა...⁵⁹

ბერძნ., (აკად. კ. კეკელიძის მიერ გამოყენებული)

Ἐν ἔτει ἐπιδήματῃς βασιλείας Κωνσταντίνου τοῦ μεγάλου βασιλέως μὲν ἰβουα-
πίου...⁶⁰

სომხ. *მამიჩნ სქნსერიოქი ქაფაიროიქხანს ყიսთანგიჩანიიქი მსხ ქაფ-
აიოიქი კამახანს არაყ...*⁶¹

⁵⁶ კ. კეკელიძე, „მოქცევა ქართლისაჲს“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტრადიციები, ლიტერატურული ძიებანი, 1. 1943, გვ. 21.

⁵⁷ იქვე, გვ. 21.

⁵⁸ Bibliotheca Hagiographica Graeca, par F. Halkin, Bruxelles, 1909, გვ. 57—58.

⁵⁹ ხელნ. ინსტ., სიწ—32-33-57.

⁶⁰ BHG..., გვ. 57.

⁶¹ ჭაიჩინოვი, ერ. № 80.

ბერძნ.: (ჩვენს მიერ გამოყენებული)

Ἐν ἑαί: ἐξέμψαφ τῆς παλαιάς Κωνσταντίνου τῆς μαρτυρίας παλαιάς, μαρτυρία Ἰακωβῆ⁸².

როგორც ვხედავთ, ორივე ბერძნული ტექსტის დასაწყისი ერთნაირია და ქართულ-სომხურიც მას მისდევს.

ნესტლის მიერ გამოცემული ბერძნული ტექსტის შედარებამ ქართულ-სომხურ ვერსიებთან ნაწილობრივ შეცვალა აკად. კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილი ქართულ-სომხურ-ბერძნულ ვერსიათა ურთიერთმიმართების სურათი და ქართული ტექსტების განსაკუთრებული სიახლოვე სომხურ ვერსიასთან საცილობელი გახდა.

თავისი ვარაუდის დამამტკიცებელ მეორე საბუთად აკად. კ. კეკელიძე იშველიებს იმ ფაქტს, რომ სირიულ ვერსიაში ელენე დედოფალს წარუდგება ჯერ 3000 კაცი, შემდეგ 2000, 1000, 30 და ბოლოს იუდა, ხოლო ქართულ-სომხურით კი — 3000, 1 000, 200 და იუდა. ჩვენს ბერძნულ ტექსტში პირველად: ἀνθρώποι—3000 კაცი; მეორედ ἀνθρώποι χίλιοι—1000 კაცი; მესამედ: ἀνθρώποι πνευματικοί—500 კაცი. შედარებისას აღმოჩნდა, რომ სომხური ბერძნულს მიყვება. აქაც გვაქვს 500 კაცი—*არა ἄλλο ἄριστοι*, ნაცვლად აკად. კ. კეკელიძის მიერ აღნიშნული 200 კაცისა და ბოლოს იუდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ქართული ვერსია სომხურს ცილდება და ცალკე დგას.

ერთგვარი დამთხვევა ქართულ და სომხურ ვერსიებს შორის თავს იჩენს მხოლოდ მესამე მაგალითის განხილვისას. ორივე ამ ვერსიაში იხმარება ნაცვალსახელი „შენი“. ქართ.: „ძმასა შენსა სტეფანეს“⁸³, სომხ. *სიყარა დიაშ სთიქანსისი*⁸⁴. პირველმოწამე სტეფანე ბრიტანეთის მუზეუმის №12174 სირიული ხელნაწერის მიხედვით არის ძმა იუდას მამის სიმონისა, ბრიტანეთის მუზეუმის № 14644 სირიული ხელნაწერის მიხედვით კი — იუდას პაპის ძმა. ბერძნულ ვერსიაში გვაქვს: τῶν ἀνθρώπων Ἰούδα καὶ σίμωνος⁸⁵. აკად. კ. კეკელიძეს მეოთხე საბუთად მოჰყავს ის ფაქტი, რომ იუდას პაპა ზაქეოსი სირიულით არის ქრისტეს საიდუმლო მოწაფე ნიკოდიმოსი, ქართულ-სომხური ვერსია კი ამ ეპიზოდს არ იცნობს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამ ეპიზოდს არც ჩვენ მიერ გამოყენებული ბერძნული ტექსტი იცნობს.

ამგვარად, ამ საბუთებით ვერ მტკიცდება ქართული ტექსტის სომხურიდან თარგმნის ვარაუდი და მოტანილი საბუთები სრულიადაც არ გამორიცხავს ქართული ტექსტის სხვა ვერსიებიდან (ბერძნულიდან, სირიულიდან) თარგმნის შესაძლებლობას.

ქართულ, ბერძნულ და სომხურ ვერსიათა შეჯერების შედეგად შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ ქართული ტექსტი ახლოს დგას ბერძნულთან, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ტექსტში გვხვდება მთელი რიგი განსხვავებები; განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ ტექსტში სირიული

⁸² Byzantinische Zeitschrift, 4, 1895, გვ. 324.

⁸³ ჯ. ნ. ს. ს. — 32-33-57.

⁸⁴ მარტინოვიჩი, ვ. № 80.

⁸⁵ B. Z. Z., 4, 1895, გვ. 327.

ფორმით დადასტურებული სამი სიტყვა, რომელთა არსებობა ახსნას თხოვლობს, მით უმეტეს, თუ გავიზიარებთ თვალსაზრისს, რომ ბერძნული ტექსტი სირიულიდან მომდინარეობს. რაც შეეხება სომხურ ვერსიას, იმ ტექსტის მიხედვით, რომლის გამოყენების საშუალებაც ჩვენ გვქონდა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ ქართულის დედნად ან წყაროდ.

ქართული ტექსტის სირიულ ვერსიასთან შესადარებლად გამოვიყენეთ ნესტლის მიერ გამოცემული სირიული ტექსტები⁶⁶: 1. ბრიტანეთის მუზეუმის №12174 (1196 წ.) — ჯვრის პირველი და მეორე აღმოჩენის ისტორია; 2. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 234 (V—VI ს.) — ჯვრის პირველი აღმოჩენის ისტორია. 3. ბრიტანეთის მუზეუმის № 14644 (VI ს.) — ჯვრის მეორე აღმოჩენის ისტორია.

ქართული და ჩვენს ხელთ არსებული სირიული ტექსტების შედარებით აღმოჩნდა, რომ ქართული სიუჟეტურად ახლოს დგას ჯვრის მეორედ გამოჩენების სირიული ხელნაწერის ტექსტთან, მაგრამ მის თარგმანს არ წარმოადგენს. სირიული და ქართული ვერსიების მიმართებასთან დაკავშირებით აუცილებელია განვიხილოთ სამი სიტყვა: „შიმონი“, „მშია“, და „ბარაკიელი“, რომელიც უძველესმა ქართულმა ტექსტმა შემოგვინახა.

ში მონ: „რამეთუ ზაქეოს, მამის მამამან ჩემმა, ამცნო მამასა ჩემსა შიმონს“ — A—1109 (სიმონ — sin—32-33-57, გვ. 229a). „ესე მამცნო მამამან ჩემმან შიმონ. A—1109 (სიმონ sin—32-33-57, გვ. 229b).

შესაბამის ბერძნულ ტექსტში გვაქვს: Ζαχαριος γαρ ο πατριος μου δεσχευετα ο πατριος μου...⁶⁷.

...ნაშაჲ მოი: დესაესილათი ო პატრიჲ მუს სიმონ...⁶⁸.

სომხურში: *Ջաքէոս հաւն իմ պատուիրեաց հաւրն իմոյ Սիմոնի*⁶⁹.

*Ջაკո պատուիրեաց հայրն իմ Սիմոն...*⁷⁰

ორივე შემთხვევაში ბერძნულ და სომხურ ტექსტებში გვაქვს „სიმონი“. მშია: „ეკრძალე, შეილო ჩემო, რაჯამს ძიებაჲ იყოს ძელისაჲ მის, რომელსა ზედა მშია ჯუარს-ეცუა“. (sin—32-33-57, გვ. 229a)

ბერძნული: βλέπε τέκνον ὅταν μέλλῃς ἑσθῆσθαι: τὸν ξάλογον ἐφ' ᾧ πατέρισαν οἱ πατέρες ἡμῶν τὸν Μεσσίαν⁷¹.

სომხური: *տես որգեսაკი, գի խնդիր լինსլոց է փայտին յորում գՄնա-խայն*⁷².

აქაც „მშიას“ ნაცვლად ბერძნულსა და სომხურში გვაქვს „მესია“.

აქად. აკ. შანიძის აზრით, „მშია“ და „შიმონ“ ასურული ფორმებია, რომელთაც სომხეთზე უნდა გამოეელოს და რომლებიც, უძვეელია, ძველი ლიტერატურული გზების მაჩვენებელია. „ეს შენიშვნა დღესაც ძალაში რჩება, — განაგრძობს ავტორი, — მაგრამ სომხეთზე გამოვლა შეიძლება აუცი-

⁶⁶ E. Nestle, De Sancta Cruce., გვ. 7—38.

⁶⁷ Byzantinische Zeitschrift, 4, 1895. გვ. 325.

⁶⁸ Byz. Z., გვ. 327.

⁶⁹ Ճառարնոսիր, Եր. № 80.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ Byz. Z., გვ. 327.

⁷² Ճառարնოսիր, Եր. № 80.

ლებელი არ იყოს⁷³. და მართლაც „მშია“-სა და „შიმონ“-ის ნაცვლად სომხურში გვაქვს *Միմոն*—სიმონ და *Մեսիակ*—მესია.

ბ ა რ ა კ ი ე ლ ი: სულხან-საბა ორბელიანთან ბარაკიელი განმარტებულისა: „მსახური, წინაშე მდგომი“. „რომელი იგი შეფესა ნებაჲს, ბარაკიელმან მან არა უწყის“⁷⁴. „ბარაკიელი“ გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ჯერის გამოჩინების საკითხავშიაც: „ვითარცა ისმინე ბარაკიელისა მის შენისა, მოს-ჭსი და უჩუენენ ძუალნი იოსებისნი, ეგრეცა აწ, თუ გნებაჲს, გამოგვიცხადე ჩუენ დაფარული იგი ფასი“ (sin—32-33-57, გვ. 231b). მრავალთავეებში A—144 და ათონის 11-ში შესაბამის ადგილას გვხვდება „ბარაკიელი“, ხოლო A—1109-სა და A—95-ში — „მონა“.

ბერძნული: ...αμαξ̄ ἐκ̄ ἰερουσαλ̄ τ̄ῃς̄ μερᾱπον̄τος̄ σοῡ Μωῡσε̄ος̄ κᾱῑ ἀνε̄β̄εῑς̄ ἐκ̄ τ̄ῆς̄ ἰερ̄οῡσ̄ᾱλ̄ῃ̄ς̄ τ̄ῆς̄ ἡ̄μᾱς̄ Ἰ̄ω̄ᾱη̄μ̄, ὁ̄ν̄τᾱς̄ κᾱῑ ὄν̄, εἰ̄ μ̄ἐ̄λεῑς̄, ἑ̄ᾱν̄ε̄ρᾱσᾱν̄ ἡ̄μ̄ῖν̄ τ̄ῶν̄ κ̄ε̄κ̄ρῡμ̄ε̄ν̄ον̄ θ̄ε̄σᾱῡρον̄...⁷⁵.

სომხური: ...*որպէս Լուար ժառայլն քոմ Մոյսէակս և...*⁷⁶

ბერძნული მერაპონ და სომხური *ժառայլ*—აღნიშნავს „მსახურს“, „მონას“. „ბარაკიელი“, როგორც სოციალური ტერმინი, განხილული აქვს ზ. ალექსიძეს შრომაში: „უძველესი ქართული სოციალური ტერმინები“, რომელშიაც იგი ეხება სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ადგილს სინური მრავალთავეიდან. ავტორი აღნიშნავს: „ქართულ ტექსტებს გარდა „ბარაკიელი“ ჩვენ ვერსად დავადასტურეთ, ეტიმოლოგიაც ბუნდოვანია, თუმცა ცა სემიტური (resp. სირიული) სამყაროსაკენ მიგვიითითებს. შესაძლებელია ეს იყოს ხ̄rāḫ̄ და alāh̄ სიტყვებით შედგენილი კომპოზიტი. მაშინ „ბარაკიელი“ გაგებული იქნებოდა როგორც ღმერთის (უფლის) წინაშე მუხლმოყრილი, რაც თითქოს შეეფერება მის სინონიმებს“⁷⁷.

ჩვენს ხელთ არსებულ სირიულ ხელნაწერებში „მშია“ და „შიმონ“, რა თქმა უნდა, ასევეა ნახმარი, რაც შეეხება ბარაკიელს, მის ნაცვლად გვაქვს ḫbdā, რაც „მონას“, „მსახურს“ ნიშნავს. გამორიცხული არ უნდა იყოს ქართულში ამ სირიული ფორმების ზეპირად ხმარება, თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ ჩვენს ხელთ არა გვაქვს ის სირიული ტექსტი, რომელიც ქართულ თარგმანს დაედო საფუძვლად.

სირიულ ვერსიასთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ქართული საკითხავის დაბოლოება: „ხოლო აღესრულების საკსენებელი პატიოსნისა ჭუარისაჲ თთუესა ვარდობისასა ორას და სამ წლისა შემდგომად ამალლებისა“... (sin—32-33-57, 234v).

ჯერის დღესასწაულის ასეთი თარიღი ჯერის გამოჩინების ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ვერსიაში არა გვაქვს. აქ საყურადღებოა 203 წელი ქრისტეს ამაღლების შემდეგ, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა მიგვანიშნებდეს მხო-

⁷³ ავ. შანიძე, სინური მრავალთავეი 864 წლისა, თბ., 1959, გვ. 328.

⁷⁴ სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. IV, 1965, გვ. 99.

⁷⁵ Byz. Z., გვ. 329.

⁷⁶ Ճառքնոխբ. Եր. № 80.

⁷⁷ ზ. ალექსიძე, უძველესი სოციალური ტერმინები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1, 1963, გვ. 171—172.

ლოდ სირიულ ვერსიაში ხსენებულ 201 წელზე „შემდგომად ამაღლებისა“. ეს თარიღი მიგვითითებს იმ დროზე, რაც ჯვრის პირველ და მეორე გამოჩინებათა შორის გასულა.

ყოველივე ეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტექსტი ჩვენს ხელთ არსებული არც ერთი სირიული ტექსტის ზუსტ თარგმანს არ წარმოადგენს, შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უძველესი ქართული ხელნაწერების — მრავალთავეების ზემოთ განხილული სამი საკითხავი თარგმნილია ჩვენთვის დღეისათვის უცნობი სირიული ვერსიიდან, საიდანაც ითარგმნა ქართული ვერსიის შესაბამისი ბერძნული ტექსტიც.

რაც შეეხება ალექსო ხელნაწერის დამატებითი პარაგრაფების არაბულ ტექსტს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის წყაროდ კარალის მიაჩნია ჩვენ მიერ უკვე განხილული ჯვრის გამოჩინების სირიული ვერსია. კარალი არ აქვეყნებს ამ დამატებითი პარაგრაფების ტექსტს, ვინაიდან იგი არა თვლის მათ კირილე იერუსალიმელის ნაწარმოებებად⁷⁸. ჩვენ შევძელით გავცნობოდით კარალის მიერ გადმოცემულ ამ დამატებითი პარაგრაფების მხოლოდ სიუჟეტს⁷⁹, რომელიც სირიული ვერსიის ილენტურია.

დღეისათვის ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მრავალთავეების ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ოთხი საკითხავი, რომელიც იერუსალიმში ჯვრის გამოჩინებას ეხება და რომელსაც უძველესი ქართული ხელნაწერები კირილე იერუსალიმელს მიაწერს, არ ეკუთვნის ამ ავტორს. ამათგან ერთი — „საკითხავი ჭუარისათვის“ (A—144) — არის ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ნაწარმოების თარგმანი, დანარჩენი სამის წყაროს წარმოადგენს ჯვრის გამოჩინების სირიული ლეგენდა, ამ ლეგენდის წყარო კი პროტონიკე ლეგენდაა, რომელიც თავდაპირველი სახით Doctrina Addaei-შია შემონახული.

⁷⁸ P. Carali, დასახ. ნაშრომი, გვ. 745.

⁷⁹ იქვე, გვ. 745—747.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

მთავრ ავსაჯანოვილი

ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ ხალხური წყაროების
საკითხისათვის

მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ალ. ყაზბეგს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი იყო ხევის ცოცხალი მემკვიდრე. ალ. ყაზბეგმა თავისი გმირები სიბრძნით აღჭურვა. ეს სიბრძნე მწერალმა ხალხთან ყოფნაში შეითვისა და შეისისხლხორკა.

ყაზბეგის მისვლა ხალხთან, მისი სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა ნაკარნახევი იყო სამშობლოს დაცვის ინტერესით. მისმა კალამმა ამაღლებულად დაგვიანახვა მთიელთა მგვრძობიარე, პატიოსანი და კაცთმოყვარე გული.

ალ. ყაზბეგის მოთხრობებსა და რომანებში მრავალგზის ეხედებით ხალხური თქმულებებისა და ადამ-წესების გამოყენებას¹. მწერალი სინამდვილიდან იღებს ტიპურ და დამახასიათებელ მოვლენებს. ვკითხულობთ მის მხატვრულ პროზას და ჩვენ თვალწინ გადაიშლება XIX ს-ის მთის ცხოვრების ნათელი სურათი.

„ხევისბერი გოჩას“ ღირსება სწორედ ის არის, რომ მასში შემოქმედებითადაა გამოყენებული ხალხური წყაროები: მოხვეური თქმულება „ჩაძინებული“, მთის ყოფა-ცხოვრება, მთიელთა წესჩვეულებები და სხვ. ამ ნაწარმოებში ალ. ყაზბეგმა გადაგვიშალა მთიელი ხალხის ცხოვრების ხელისშემშლელი პირობები, გაგვაცნო, თუ რა გავლენა ჰქონდა ხალხზე საწესო ტრადიციებს.

ავტორის განცხადება, რომ მას „ხევისბერი გოჩას“ შინაარსი „სიტყვა-სიტყვით“ უამბო ღინჯა ხულებმა, უფრო სარწმუნოს ხდის მწერლის მიერ ხალხური თქმულების „ჩაძინებულის“ გამოყენებას. ჩვენს ხელთ არსებული „ჩაძინებულის“ სამი ვარიანტი (ჩაწერილი გ. თევდორაძის, ი. ჩქარეულისა და ე. ავსაჯანოვილის მიერ) სხვადასხვა დროს არის ჩაწერილი და გამოქვეყნებული. თქმულების ვარიანტებს ბევრი საერთო მომენტი აქვს ყაზბეგის მოთხრობასთან. საერთოა მთავარი გმირების სახელები: ხალხური — ვანისე, ყაზბეგის — ონისე, გუგუნა — გოჩა, გაა — გუგუა. განსხვავებულია ქალის სახელები: მართა და ძიძია. მსგავსი ადგილებია: საწველიდან მომავალი მათიყოსა და ვანისეს შეხვედრა, ხევისბერის არჩევა, ლაშქრობა მოხვევებზე, მამის მიერ შვილისათვის ნაროვნის გადმოსავალის ჩაბარება, მოლაღატეთა დასჯა, ხევისბერის მიერ შვილის სიკვდილით დასჯა, მისი სამტვერის ტყეში დასახლება და სიკვდილი.

ხალხური თქმულება „ჩაძინებულთან“ ძლიერ სიახლოვეს ამქდავენებს

¹ ხალხურ სიტყვიერებასთან ალ. ყაზბეგის შემოქმედებითი დამოკიდებულების შესახებ იხ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 156—162; „ალ. ყაზბეგი მთის პოეზიის შემქრებელი“; ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, 1956, გვ. 133—185 და სხვ.

„ხევისბერი გოჩას“ ისეთი ძლიერი ადგილი, როგორცაა თავდაიწყებიდან გამოსული ონისეს გახლემა მისი სანგრის მებრძოლთა დაღუპვის გამო.

შედარებისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე მსგავს ადგილს ხალხურ თქმულება „ჩაძინებულნი“² და „ხევისბერ გოჩადან“.

„ჩაძინებულნი“ ხალხურ ვარიანტში (ჩამწერი ე. ავსაჩანიშვილი) ნათქვამია: „იმავე დღეს მართა თავის ტოლ-ამხანაგებით ხილობ წავიდა. მართას სურდა ვანისეს ნახვა. ქალმა მართლაც თვალი მოჰკრა ვანისეს. სხეების შეუმჩნეველად გზას გადაუხვია და ყმაწვილ კაცისაკენ გაემართა. ვანისემ შორიდან დაინახა საყვარელი ქალი, საგუშაგო მიატოვა და ქალის შესახველად გაემართა“.

მსგავს ეპიზოდს ვხვდებით ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“, როდესაც ონისე და ძიძია ერთმანეთს ხვდებიან: „ერთბაშად ქალები გაბრუნდნენ სრულიად სხვა მხრისკენ და ონისემ კი სიხარულით კინაღამ შეჰკივლა, რადგანაც დაინახა, რომ ძიძია დანარჩენს ამხანაგებს გამოშორდა და პირდაპირ მოხვეისაკენ წამოვიდა“².

თქმულების ერთ-ერთ ვარიანტში ნათქვამია „ჰქვიდან შემცდარი გუგუნაი დასახლებულა სამტვერის ტყეში და იქ ცხოვრობდა სანამ ერთ ზამთარს დიდახვეს არ ჩაიჩუშქრა“.

„მხოლოდ, — წერს ალ. ყაზბეგი, — სამტვეროს ტყე გადაიქცა ყველასთვის მოსარიდებლად, რადგანაც აქ ჩასახლდა ჰქუაზედ შემცდარი გოჩა და გამვლელ-გამომვლელს შეიღზედ ამბის კითხვით არ უსვენებდა. ის ყველას ეპატიეებოდა თავის სახლში და უამბობდა, რომ შეიღს მოელოდა შორი გზიდან. მერე დაუწყებდა მუქარას, რომ შეეტყობინათ რა მოუვიდა ონისეს, და ბოლოს შემზარავის ღრიალით გაათავებდა.“

ესე მიდიოდა მოხუცის დღეები იმ დრომდის, სანამ ერთ ზამთარს თოვლს ეიწრო ხეში არ ჩაეჩუშქრა“³.

ცხადია, მწერალი შემოქმედებითად იყენებს ხალხურ თქმულებას და ქმნის მაღალმხატვრულ ნაწარმოებს. მაგ., ხალხურ თქმულების ორ ვარიანტში (გ. თედორაძისა და ი. ჩქარეულის) ზოგადად არის ნათქვამი: «ღატრიალებულა ცუდი ამბავი, ხალხში ხმებმა იგრიალა, რომ „მტერი შემოგვესიაო“ ან „იმ ღამეს რაღაც ხმაური ატყდა. მტერი შემოსევია მოხევეთა სოფლებს“. ამისაგან ალ. ყაზბეგმა შექმნა ძლიერი ეპიზოდი ნუგზარ ერისთავის სისხლიანი ლაშქრობისა. ალ. ყაზბეგის განცხადების თანახმად, ხევისბერი გოჩას პროტოტიპია ხალხური თქმულების გუგუნა, მაგრამ „ჩაძინებულში“ არაფერია ნათქვამი ხევის მმართველზე ან ხევისბერზე. მწერალს ეკუთვნის ხევისბერის დიდებული მხატვრული სახის შექმნა და სხვ.

ჩანს, დროთა განმავლობაში ალ. ყაზბეგის „ხევისბერმა გოჩამაც“ მოახდინა გველენა თავის ხალხურ პირველწყაროზე. მაგალითად, ი. ჩქარეულის მიერ ჩაწერილი ხალხური ვარიანტის მიხედვით ვანისე შეყვარებული ქალის ქმრის ხანჯლით იღუპება, ჩვენ მიერ ჩაწერილ ვარიანტში კი ვკითხულობთ: „გუგუნას (=გოჩას. — ე. ა.) გაუკვირდა, რომ თავის გაზრდილმა ასეთი საქმე დამართა და თავისი ხელით მოუსპო სიცოცხლე თავის შვილს, მოსკრა თავი და მოჭრილი ვანისეს თავი შორს გაისროლა, როგორც უწმინდური რამ,

² ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, 1948, გვ. 281.

³ იქვე, გვ. 314.

ამის შემდეგ შეიშალა ბეჩაეი გუგუნაი“. ცხადია, თქმულების აღნიშნული ფინალი აღ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩადან“ მომდინარეობს,

რა თქმა უნდა, ხალხურ „ჩაძინებულსა“ და აღ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ შორის მსგავსებასთან ერთად განსხვავებდაც ვხედავთ. ბევრი მომენტი ხალხური თქმულებისა არ გვხვდება ყაზბეგის მოთხრობაში: მამის მიერ ხმლის გადაცემა ქალის ქმრისათვის შვილის მოკვლის მიზნით, ქალის ქმრის შეხვედრა მეტოქესთან, მათ შორის დიალოგი, მოკლული შვილის თავის მიტანა მამასთან და სხვ. თავის მხრივ, „ხევისბერი გოჩა“ შეიცავს მრავალ ეპიზოდსა და სურათს, რომელიც მხოლოდ ამ ლიტერატურული ნაწარმოების კუთვნილებაა. უპირველეს ყოვლისა, როგორც აღვნიშნეთ, თქმულებაში ზოგადად არის ლაპარაკი მოხევეთა სოფლებში მტრის შემოსევაზე, კონკრეტულად არაა აღნიშნული რომელი შემოსევა იგულისხმება აქ და მწერალს ეკუთვნის მძინვარე ფეოდალის ნუგზარის შემოყვანა ნაწარმოებში. აღ. ყაზბეგის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია: სამების ტაძართან თემობისა და მთიელი მწყემსების ერთსულოვანი საბრძოლო განწყობილების აღწერა, ბრძოლაში ლეკებისა და ოსების გამოყვანა, გუგუნას მიჩნევა მოლაღატედ და მრავალი სხვა. თქმულებაში არ არის აღწერილი ონისეს შინაგანი განცდები, სინდისის ქეჯნა, რაც მაღალმხატვრულად აქვს მოტეხული მწერალს. სამშობლოს სიყვარულს, ერისადმი მსახურებას ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი ხალხურ თქმულება „ჩაძინებულში“. აღ. ყაზბეგმა წინ წამოაწია პატრიოტული მოტივი, გვიჩვენა ქართველ მთიელთა უანგარო სიყვარული მამულისადმი.

აღ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩაში“ ხშირად ვხვდებით ხალხური პოეზიის ნიმუშებს, ადათ-წესებს, სიმღერებს. აქვე მოცემულია მწერლის საინტერესო მოსაზრებანი ხალხურ ტრადიციებზე, მათს ხასიათსა და შესრულების წესებზე. ეს ხალხური ჩვეულებანი და სიმღერები ემსახურება ხალხში სამშობლოს სიყვარულის განმტკიცებასა და ვერაგი მტრისადმი სიძულვილის გაძლიერებას.

აღ. ყაზბეგმა „ხევისბერი გოჩას“ შესავალი საქორწილო ცერემონიის აღწერას მიუძღვნა. თქმულებაში ამ საწესო ტრადიციის შესახებ არაფერია ნათქვამი. მწერალი აღწერს ხალხურ საქორწილო სიმღერებს. ერთ-ერთ საქორწილო სიმღერას სიმღერა-გოდება ეწოდება. მას მღერიან პატარძალი და მისი ამხანაგი ქალები. „ხევისბერი გოჩაში“ ვკითხულობთ: ძიძიას მეგობარმა ქალებმა „დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგარძობელი სიტყვებით ყმაწვილ ქალს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასაღმებდნენ და ტირილითა და კოცნით თვითონაც ესალმებოდნენ“⁴.

აღ. ყაზბეგი „ხევისბერი გოჩაში“ აღწერს ნეფე-პატარძლის კერაზე შემოტარების საწესო ტრადიციას. კერაზე შემოტარების აღწერის დროს მწერალი გულისხმობს არა ცეცხლს, არამედ პატარა „სიფროს“, სადაც ანთებულ სანთლებთან ერთად ჯერის ფორმით გამოკრილ პურსა და მარილს დებდნენ. აღნიშნული წესი გარკვეულ მიზანს ემსახურება. კერძოდ, წესი პატარძლის შემოტარებისა ქმრის ოჯახში გვიჩვენებს იმას, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხი კერას, ოჯახის დედაბოძს. ქმრის ოჯახში შესვლისას საკვირო იყო პატარძალი ზიარებოდა ქმრის სახლს, მის კერას, სახ-

⁴ აღ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, 1948, გვ. 252.

ლის კულტს, ოჯახის ყველა წევრსა და ნათესავს. ამის შემდეგ ჩაითვლება ოღონდ იგი ოჯახის სრულყოფილებიან წევრად.

მწერალი „ხევისბერ გოჩაში“ მიმართავს საგმირო პოეზიის ნიმუშებს. ამ მხრივ საინტერესოა სიმღერა „ჯვარული“. „ცოტა ხანიც და გაისმა წვრილი წკრილა ხმა „ჯვარულისა“. მას მისცეს ბანი და ჰაერი დაიფარა მედიდურის, ძლიერის და ამერთადერთის საჯაკაცო სიმღერის ხმით, რომელიც თავის პარმონით კაცს გაიტაცებს და სმენას დაუტყობს, ძლიერებით ძვალსა და რბილს აუთრთოლებს, სისხლს აუჩუხჩუხებს და სახელის გამოჩენას მოაწყურვებს. ამ სიმღერას მხოლოდ მთაში მღერიან, მხოლოდ იქაურს მედიდურს ბუნებას შეეძლო ამისთანა პარმონიული ხმის დაბადება!...

ამ სიმღერას მღერიან ხოლმე მხოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქორწილში“⁵.

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ როლს ანიჭებს ალ. ყაზბეგი ხალხურ საგმირო პოეზიას. მწერალმა აქვე გვიჩვენა საგმირო პოეზიის მიზანდასახულობა, მისი როლი და ფუნქცია. საგმირო ლექსები და თქმულებები ყაზბეგის გმირების ნუგეშის მიმცემია.

„ხევისბერ გოჩაში“ გამოყენებული ყველა სიმღერა აღმზრდელი დანიშნულებისაა. როდესაც ონისე გულში იკრავს ძიძიას გათოშილ სხეულს, ცდილობს მის გათბობას, ავტორი ხალხური სიმღერით ცდილობს გამოაფხიზლოს ონისე და თავისი მოვალეობა მოაგონოს:

„გაუსვი და გამოუსვი, ვითომ ჭიანჭურიაო,

მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო“.

ალ. ყაზბეგი „ხევისბერ გოჩაში“ იყენებს შრომის სიმღერას „ჩემო ხელის მომკიდევო“. ამ სიმღერას ასრულებენ ქალები პატარძლის წყაროზე გაყვანის დროს. ამ წესის შესახებ მწერალი მოგვითხრობს: „გათავდა ქორწილი. მხიარულების პირველმა დღეებმაც გაიარეს. პატარძალიც სწორებმა წაიყვანეს, ჩვეულებისამებრ, წყლის მოსატანად, იქ გაუჭრეს საბიზგინები და უმღერეს ამ შემთხვევისათვის შემოღებული ლექსი:

ჩემო ხელის მომკიდევო,

ტაგანაი ამკიდევო“⁶.

ალ. ყაზბეგი აღწერს გასამართლების ხალხურ საწესო ტრადიციას. ცნობილი იყო გასამართლება ჩაქოლვით ან მოკვეთით. „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით ჩაქოლვის განაჩენი გამოუტანეს ორ ოსს, რომელთაც მტრის ჯარს მოხვევთა მისადგომები ასწავლეს.

„ხევისბერ გოჩაში“ გვხვდება აგრეთვე დამწყალობნების საწესო რიტუალის აღწერა დამწყალობნების საგანი ხდებოდა ის, ვინც თავი გამოიჩინა კეთილი საქმით.

ალ. ყაზბეგის მიერ „ხევისბერ გოჩაში“ ხალხური თქმულების, ადათწესებისა და სიძღვრების გამოყენება ნიმუშია მწერლის მიერ ხალხთან ახლო ყოფნისა, ხალხური სიტყვიერებისა და ჩვეულებების შემოქმედებითი გამოყენებისა.

⁵ ალ. ყაზბეგი, ოხულებანი. ტ. II, 1948, გვ. 249.

⁶ იქვე, გვ. 267.

აჰმად აბაშიძე

წარმართულ ლეთაებათა საკითხი ქართული ზნაობისთვის
მიხედვით

სტატიის პირველი ნაწილის მიზანია ქართული წარმართული რელიგიის ღმერთების, გამოქვაბულის ქალღმერთ და ნადირთ მწყემს დალისა და ღმერთების ერთი მონაკვეთის, დალის იგივეობის მტკიცება.

საყურადღებოა წმ. გიორგის 363 ნაწილად დაქრის მითი. 363 ან 365 ემთხვევა დროის აღმრიცხველი ერთ-ერთი პერიოდის, წელიწადის დღეთა რაოდენობას. წმ. გიორგის 363 ნაწილად დაქრის მითი მომდინარეობს უძველესი ქართული ხალხური წარმოსახვიდან, რომლებიც ნატურ-მითების სახით შემოგვრჩა საკულტო სიმღერებში, ძირითადად ფერხისაებში.

სენახურ ფერხისაებში მოთხრობილია მონადირის ტრაგიკულ ბედზე. მონადირე, როგორც „ღმერთის რჩეული“, ახლო ურთიერთობას ამყარებს ნადირთა მფარველ ულამაზეს ქალ დალთან. მოწინავე პიროვნებამ (მონადირის სახით) ვერ შეძლო კეთილი სულიერი ძალების მოთხოვნილებათა შესრულება, რისთვისაც უარყოფს დალი მას და ღუბავს. დალი თუმცა კეთილი, მაგრამ მაინც სულიერი არსებაა, მონადირის ცოდვები კი ფიზიკური სხეულის მატარებელი არსების ცოდვებია: დალის არ შეძლო გაეგო ადამიანური „ტკივილები“. დალის მიერ მონადირის დაღუპვა შედეგია ადამიანურ და სულიერ ძალთა დაპირისპირებისა.

ფერხისაებში საზოგადოება დასტირის მოწინავე ადამიანს, ე. ი. საკულტო, ადამიანურ ხვედრს. ქალ ღმერთების მიერ მონადირის კლდის წვერიდან გადმოვდება და ნაწილ-ნაწილ დაშლით ანდა კლდეზე „გაგლესით“ სიკვდილი ნატურ-მითური მომენტია წმ. გიორგის ცხოვრებაში მოთხრობილი ნაწილებად წმინდანის დანაწევრების მითისა. ხოლო საერთოდ კი მიგვაჩნია დროში მცხოვრებ ადამიანთა წუხილის შესანიშნავ სიმბოლოდ.

ღმერთება დალის ასტრალური სახე რომ ღმერთის ვარსკვლავია (ციცქარი), ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა კლდის ქალ დალთან დაკავშირებული მასალის ფართო მიმოხილვა.

ძველად კოლხები ცის მნათობებს აღმერთებდნენ და მთიებს სცემდნენ თაყვანს. მაგალითად, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთ გუნდს, ცის ბურჯებს, დილას, განთიადს; უგალობდნენ ლოცვის დროს: „მზეშინას“, „თინას“, „ოდილას“, „შედილას“ და სხვ.!

აქად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „დილა“ მართო დილის აღმნიშვნელი სიტყვა კი არ არის, დროის ამ მონაკვეთის ღმერთებაა: იგივე, რაც ბაბილონური

„დილბატი“² (დროის მონაკვეთის ღვთაება), საიდანაც მიღებული გვაქვს ქართული დილა.

შევვეცადოთ ვაჩვენოთ, რომ დილა, ცისკარი, იგივე გამოქვაბულის ღვთაება — კლდის ქალი დალია, შემდგომ ნადირთ მფარველად აღიარებული.

დალი უბრალო ქალი არ არის, ის ნადირობის ღვთაებაა. აკად. ნ. მარის ცნობით, ზოგჯერ „აფსად“-იც ეწოდება, — წერს პროფ. მ. ჩიქოვანი. იგი უარყოფს აკად. ნ. მარის აზრს აფსადისა და დალის იგივეობის შესახებ და განაგრძობს დალის დახასიათებას. „დალი თეთრ კლდეში ცხოვრობს, ჰყავს ჩვილი ყრმა და ინტიმური კავშირი აქვს მონადირესთან“³.

პროფ. ელ. ვირსალაძის აზრით, „დალი“, „ალი“, „პალი“, „პალლეუ“ ქალღვთაების, უფალის, პატრონის უძველესი სახეებია, რომლებიც მატრიარქალური პერიოდიდან მომდინარეობს იბერიულ-კავკასიურ ადგილობრივ პანთეონში...

დალი ღვთაების ნიშნების მატარებელი ხდება. ამას მოწმობს მისი ასტრალიზაცია, ამასვე მოწმობს მისი სახელწოდებანი: „ტყაში მათა“ და „დიოფალი დალ“...⁴.

აკად. გ. ჩიტაიას აზრითაც, ცისკარი, განთიადი, რიყრაჟი, ალიონი, დილა ცისკრის ვარსკვლავითურთ შშის ამოსვლის კომპლექსს ეკუთვნიან, რომელშიც ვენერა, აფროდიტეც იგულისხმება. იგი ვენერას, აფროდიტეს და ცისკრის ვარსკვლავს შემერულ და ძველ აღმოსავლურ დილბატთან აიგივებს⁵.

ცნობილია აგრეთვე ფნიკიელი ქალღვთაება ასტარტა — ნაყოფიერების, სიყვარულისა და ქორწინების ღვთაება. აგი ბერძნულ-რომაულ პერიოდში აფროდიტად გარდაიქმნა. ასტარტას კულტი ბაბილონიდან და ასირიიდან მომდინარეობს, სადაც იშთარად უხმობდნენ⁶.

ამრიგად, დალი ზემოთ ნახსენები ქალღვთაებათა ტოლ-სწორია, მხოლოდ ნატურალური მითია, კვლავ ცოცხალი, მოქმედი, იბერიულ-კავკასიურ მითთა ძიების საძიკველი, რომელზედაც მთლიანი კავკასიის მითოლოგიაა აშენებული. მას მსოფლიოს მითებში აქვს ქვეშარიტი შესატყვისები, ასეთებია: იშთარი, ასტარტა, დილბატი, აფროდიტე, ვენერა და სხვ. ყველა ესენი ცნობილია ცისკრის ვარსკვლავებად.

დალის ასტრალური სახეც ცისკრის ვარსკვლავია. დალისაგან სასიკვდილოდ გამეტებული ბეთქილი სინათლისა და ბინდის გაყრის ქამს იღუპება:

სინათლე და სიბნელე იყოფა,
ბეთქილი კლდეებში ეარდება...

კლდეზე დაკიდებული მონადირე ელის ცისკრის ვარსკვლავს, თან ეშინია გათენებისა:

თენდება, ნუმც რას თენდება,
დიღო ღამეო ზლისაო
ამოხვალ ნუმც რას ამოხვალ
ცისკარო თენებისაო...⁷.

2 ივ. ჭავჭავაძის შვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. 1, 1960, გვ. 150.

3 მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1, 1959, გვ. 155.

4 ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 112.

5 გ. ჩიტაია, „აქარული დათვაბუყა“: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X—13, გვ. 325.

6 Мифологический словарь, М., 1965.

7 ელ. ვირსალაძე, დასახ. შრ., გვ. 112.

დალისგან დასაღუპავად განწირულ მონადირეს ცისკრის ვარსკვლავიკ პირს უბრუნებს:

ღილის ცისკრის ვარსკვლავი ამოღის,
მონადირე კაცს თვალი არ მოჰკრამ.

ღვთაება დალის უკეთ განზოგადებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, გავეცნოთ კლდისა და კლდის გამოქვაბულის შესახებ ძველი დროიდან არსებულ ზოგიერთ ცნობას.

აკად. ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, რომ ძველი ქართველები თურმე სხვა-სთან ერთად თავყვანს სცემდნენ აგრეთვე „კლდის პირთა“⁹. ძველ ქართულ ცნობას, რომ საქართველოში „უჩინოთა ჰმსახურებენ“... ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს. თუშებს „აქეთ კლდე დიდი მაღალი და... მივლენ და შესწირავენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა და თაყვანს სცემენ კლდესა მას“¹⁰. თბილისშიც ძაღლის უბანში მტკვართან კლდის პირას ერთი სალოცავი იყო, სადაც „ჯოჯობა“ დღეს ხალხი მიდიოდა და გამოქვაბულში შემავალი და მლოცველი შაქარს უტრევებდა ხოლმე ჯოჯობებსა¹¹. თუშეთსა და სევსურეთში კლდისადმი თაყვანისცემას დღესაც შეხედებით.

მითური გმირებიც ძირითადად კლდესთან არიან დაკავშირებულნი. პროფ. მიხ. ჩიქოვანი მითური გმირების (ღმერთკაცების) შობის აუცილებელ ადგილად კლდეში გამოკვეთილ მღვიმეებს თვლის. იგი წერს: „ამირანის დედის საცხოვრებელი ადგილი რომ გამოქვაბულია, ეს მარტო სვანურმა სიტყვიერებამ არ იცის. ასეთი შეხედულება მესხეთ-ჭავჭავაძეთშიც არსებობს, რომ კვაბუკის დედა მაღაროში — მღვიმეში ცხოვრობდა. დალის საცხოვრებლის ასეთი დახასიათება ანალოგიურია პეროდოტეს მიერ ისტორიზებული ერთი სკვითური ლეგენდისა, რომლის მიხედვით პერაკლეს შემთხვევითი თანამეცხედრე გამოქვაბულში ბინადრობდა. ქართული მითოლოგია ამ საკითხში ხელს ართმევს წინა აზიისა და ანტიკური ქვეყნების მითოლოგიას. ზევსი გამოქვაბულში იშვა. ასევე ბნელ მღვიმეში დაიბადნენ: მითრა, დიონისე, ჰერმესი. ქრისტე ხომ ბეთლემის ერთ ბნელ „ბოსკლში“ დაიბადა. ადრინდელი ქრისტიანობის პერიოდის მწერლებს იესო სწორედ მღვიმეში ნაშობად ჰყავთ მიჩნეული. იერონიმი თავის წერილში მოგვითხრობს, რომ მის დროს თამუზგის დაბადებას იმ მღვიმეში დღესასწაულობდნენ, სადაც ქრისტე დაიბადა“¹².

შეგვიძლია დავუმატოთ: სომხური მითოსის გმირები ბალდასარი და სანასარი კლდიდან ამოვარდნილი წყაროთი ჩაისახნენ. ნართი სოსლანი კლდეში იშვა და სხვ.

ბოლოს ამირანს კლდეში აბამენ¹³; ურარტუელი მჰერი კლდეში შედის; მით-

8 სვანური პოეზია, 1939, ტ. 1, გვ. 285.

9 ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, საქართველოს ისტორია, ტ. 1, 1950, გვ. 88.

10 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, 1941, გვ. 105.

11 ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, დასახ. შრ., გვ. 88.

12 მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, ტ. 1, გვ. 155.

13 ერთი ვარიანტი: „ამირანი ღმერთმა ზალმა ლოდზე მიაჯაქვა“: მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, ტ. II, გვ. 184.

რა კლდეში ცხოვრობს; სომეხი მხერი კლდეში ჩასახლდა; იესო ქრისტე გამოქვაბულში იშვა და კლდეშივე კრძალავენ¹⁴.

კლდე სიმეგრის განსახიერებაა; თუ ნათელი და გამჟვირვალეა ბროლს ვეძახით. კლდე ბროლის დაბალი სახეა სიმეგრისში ნაგულისხმევი. ბროლი უნდა ვიგულისხმოდ სინათლს, სიმტკიცის, ცეცხლის ბუდედ დედამიწაზე.

ბროლი ხშირად გვხვდება გმირთა ყოფაში ხან კლდის და ხან ბროლის სახით. მათ სახეობებს კი ჩვენ პატიოსან ქვებს ან თვლებს ვეძახით: „და წარმეყვანა მე სულითა მთასა მალალსა და დიდსა და მიჩვენა ქალაქი წმინდაი იერუსალიმი. გარდამავალი ზესით ღმერთისაგან.

და აქედან დიდებით ღმერთისა. მნათობი მისი მსგავსი იყო ქვასა პატიოსანსა, ვითარცა ქვასა იასპას ბროლის სახესა“ (გამოცხადება იოანესი 21, 10—11). ნ. ჩუბინიშვილის „ქართული ლექსიკონის“ განმარტებით, თვალთა პატიოსანთა ზოგადი სახელია. შემდეგ: „და იყო მოსწორებანი ნაშენები ზღუდისა მისისაი იასპი და ქალაქი იგი ოქროი წმიდაი მსგავსი ქიქისა წმინდისა“ (გამოცხადება იოანესი 21, 18).

„ქიქას“ კეთილგანამოძონობილ ქურქელს უწოდებს ნ. ჩუბინიშვილი. „კაყი არს ქვა ცეცხლის მშობელი“ (ს.-ს. ორბელიანი). როგორც ვიცით, ძვირფასი ქვები ანუ თვლები ძირითადად ბროლის ქვის ნაირსახეობაა. წინაპრები მის მრავალფეროვნებას ღვთის თვალთა მრავალფეროვნებაში გულისხმობდნენ. „მათ კამეთუ ვინ შეურაცხყო, დღეთა მცირეთა და მადლიერებდენ და იხილონ ქვა კასტირონი ხელსა შორის ზორობაბელისასა, შეიღწა ესენი თვალნი უფლისანი არიან, ზედ დამხედელნი ყოვლისა ქვეყანისანი“ (წინასწარმეტყველება ზაქარიასი 4, 10). აქ სამყაროს შვიდი ძირითადი ფერა უნდა ვიგულისხმოდ.

ფიზიკურ ნივთიერებათაგან ბროლის ქვა სამყაროს შვიდფერთა და მის მრავალსახეობათა ყველაზე კარგი შემთვისებელი და შემკრებაა. ახლა ცის თალი წარმოვიდგინოთ ისე, როგორც გამოჩენილ ქართველ ლექსიკოგრაფს ს.-ს. ორბელიანს აქვს წარმოსახული: „...მერმე მეორე მძურელი ცა, და მერმე პირველი მძურელი ცა, რომელიც ყოველთა ცათა აღმოსავლეთი დასავლეთ გარდაბრუნებს და მსგავსი არს ბროლისა“¹⁵.

ბროლის კარის გასნას კი ანიშნებდათ მზის წინ მავალი ვარსკვლავი, რომელსაც ძველმა ქართველებმა ცის კარი შეარქვეს.

მზის ამოსვლა „ცისკრის“ გაღებასთან იყო დაკავშირებული. როგორც ცნობილია, კარებს საერთოდ და ცის კარებს კერძოდ ძველ აღმოსავლეთში სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა¹⁶.

კოსმოსური ენერგია, მზე ცის თალის მიღმა; ცის თალი კი ბროლის არის. ასეთივე ენერგია დედამიწაზე კლდე-ბროლში შენიშნეს ადამიანებმა. ქართული ზეპირსიტყვიერება სავსეა მავალითებით, სადაც ღვთაება ცეცხლური ენერგიის სახითა ჰყავთ წარმოსახული. იგი სინათლესთან ერთად, ენერგიასაც ავლენს ბოროტ ძალებთან საბრძოლოდ. ხევსურთა ღვთისშვილები ცეცხლური ენერგიის მატარებელნი არიან. ასეთი ენერგია კი ბროლის სახეობებში არის მნიშვნეული ხალხურ სიტყვიერებაში.

¹⁴ ქრისტეს ერთმა ახლობელმა პილატეს გამოსთხოვა ცხედარი: „და დადგა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოუკვეთია კლდისაგან და შიგორეა ლოდი დიდი კარს მას საფლავისას და წავიდა“ (მათე 27.60).

¹⁵ ს.-ს. ორბელიანი. სიტყვის კონა, 1949, გვ. 428.

¹⁶ გ. ჩიტაია, დასახ. შრ., გვ. 323.

ხალხმა ასეთი ენერჯის ბუდედ, როგორც ვთქვით, ბროლი, კლდე მიიჩნია. მასში გამოსკრა მღვიმე და შიგ ქალღვთაება მოათავსა, რომლის ასტრალურ სახედ ცაზე ცისკრის ვარსკვლავი აღიქვა.

კლდის გამოქვაბულის ოქროსთმიანი ქალის შვილი, გამოქვაბულის ენერჯია ამირანში შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ქრისტიანობას წინამორბედი მითრახზმის ფუძემდებელი ღვთაება მითრა — მეზრძოლი, ცეცხლური ენერჯის მატარებელი — კლდიდან იშვა, ამიტომ მისი საშლოცველოები გამართული იყო კლდეში; სადაც კლდე და გამოქვაბული არ იყო, აშენებდნენ. წმ. გიორგის უძველესი სახის თავყვანისცემაც კლდის გამოქვაბულთან იყო დაკავშირებული კავკასიაში¹⁷. კლდეში იშვა აგრეთვე ცეცხლის სახით ნართი სოსლანიც.

ამრიგად, უმშვენიერესი ქალღვთაება ნადირთ მწყემსი და მონადირეთა მფარველი ოქროსთმიანი დალი, ბერძნული აფროდიტე, აღმოსავლური დილბატი და სხვ., რომელთა ასტრალური სახე ცისკრის ვარსკვლავია, ქრისტიანულ ეპოქაში სათნო ღვთისმშობლის სახემ შეცვალა. განსხვავებას მხოლოდ საზოგადოებრივი ეთიკის ევოლუციაში ვხედავთ. ანტიკურ ხანაში ქალღვთაება აფროდიტეს კეთილშობილება მისი ჰაეროვანი გარეგნობით წარმოიდგინეს. შემდგომი პერიოდის მორალურად განწმენდილი გონი კი ქალღვთაების შინაგანი სათნოებით დაინტერესდა. ასეთივე ევოლუცია განიცადა რელიგიურ-ფილოსოფიურმა ეთიკამ ამირანიდან იესო ქრისტემდე. ბოროტებასთან ხმალ-შუბით მეზრძოლ მითრას, წმ. გიორგის უძველესი სახის (ამირანი და სხვ.) მაგიერ შემწყნარებელი და ცოდვათა მიმტვევბელი იესო ქრისტე მოგვევლინა. ეს ღვთაებანი კი ზემოთ ნახსენებ ქალღვთაებათა შვილებად ითვლებიან. ჩვენს მიზანს შეადგენდა მოგვეძებნა მატერიალურ-ნივთიერი საფუძველი ზემონახსენებ ღვთაებათა იგივეობრივი წარმოსახვისათვის.

წმინდა გიორგის ცხოვრების სასწაულების შედარება კავკასიურ ნატურ-მითურ სიუჟეტებთან გვაფიქრებინებს, რომ წმინდა გიორგის ძველისძველი სახე კავკასიური სულიერი კულტურის ნაყოფია. ვეცადოთ მოვძებნოთ წმინდა გიორგის შესახებ უძველესი სახის მასალები, ქართულ ზღაპრების გარდა, ხალხურა ზეპირსიტყვიერების სხვა ენარებშიც. ასეთ ენარად მიგვაჩნია ქართული ხალხური ფერხისაები, რომლებიც ხალხური ზეპირსიტყვიერების უძველეს ენარს მიეკუთვნება. იგი ღღესაც სრულდება ხალხურ ღღესასწაულებში ძველი სახით (სიმღერით, ცეკვით).

წმ. გიორგის უძველესი სახის 363 ან 365 ნაწილად დაქრა და წელიწადის ღღეთა რაოდენობრივი იგივეობა კი გვაიძულებს, რომ წმ. გიორგის უძველესი სახის ნატურ-მითური მომენტი ქართველი მონადირის ტრაგიკულ სიკვდილში ვეძიოთ. ეს მომენტი უძველეს ქართულ ხალხურ შემოქმედებაში (ფერხისაებში) გვაქვს შემორჩენილი. ფერხისაის ტექსტებს ადრეულ საუკუნეებში ძირითადად მონადირული ყოფა ჰკვებავდა, ხოლო შემდგომ საზოგადო გმირთა სახეები გაუჩნდა.

მონადირეობა მეურნეობის უძველესი სახეა. საზოგადოების ყოფის გარე-ერაყზე მონადირეობამ შეასრულა უღიღესი როლი ადამიანთა ფსიქოლოგიის

¹⁷ წმ. გიორგის ღვთაებრივი ცეცხლური ძალა კარგად აქვს ნაჩვენები მკვლევარ ლ. კვირიკაშვილს: „მანე“, 1969, ვ. 99.

ჩამოყალიბებაში; მონადირეობა იყო სასიცოცხლო წყარო არსებობისათვის ბრძოლაში¹⁸.

საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიური ექსპედიციების დროს ძველსძველი საომარი სამეურნეო იარაღების აღმოჩენამ გვიჩვენა, რომ კავკასიის უძველეს (ძირითად) სამეურნეო წყაროს მონადირეული ყოფა წარმოადგენდა.

საყურადღებოა პროფ. მ. ჩიქოვანის მსჯელობა ქართველ ტომთა მონადირეობის წარსული სახის შესახებ: „ოდესღაც მონადირეობა ქართველი ტომების ერთ-ერთ მთავარ მოსაქმეობას შეადგენდა. ცხადია, პრიმიტიული ნაღის მქონე ადამიანისათვის მხეცის დაჭერა კოლექტიური თანამშრომლობის საფასი იყო: ამის გამო რელიგიურ რიტუებს, ფერხულს, ლოცვასა და მიძღვნას ერთეულ პიროვნება კი არ ასრულებდა, არამედ მთელი ჯგუფი, გუნდი. თანდათანობით ასეთი გუნდური სამსახური დღესასწაულს სახეს იღებდა და წლის განსახლებულ პერიოდში სრულდებოდა; ეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი ყუთზე რაზე ნადირობდა უმთავრესად და წლის რა დროს. მონადირის უფლებები, მოკლულ ცხოველის ჩაოდნობა და სეზონი ღვთაების მიერ მტკიცედ რეგლამენტირებულია, სწორედ ამნაირადვე რეგლამენტირებული იყო მონადირეთა დღესასწაულები“¹⁹. ალ. რობაქიძე წერს: „... I-ს. ძე. წ-ით საქართველოს მთიან ზოლში ბინადრობდნენ მთელი რიგი ტომები, რომელთა არსებობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს გარეული ნადირი და გარეული ხილეულ-მცენარეულობა წარმოადგენდა“²⁰. ქართული სამონადირეო ეპოსი, კერძოდ „დაღუპული მონადირის ციკლი“, კარგად შეისწავლა ე. ვირსალაძემ.

მკვლევრები თანხმდებიან, რომ მონადირეობა საქართველოს მთიანეთში გვიანობამდე ეკონომიკის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ყოფაშიც. „საქართველოში ნადირობა ოდითვე „წმინდა“ საქმედ იყო მიჩნეული. ასევე „წმინდად“ ითვლებოდა სანადირო ადგილები და ზოგიერთი ნადირიც. სანადიროდ წასვლის წინ მონადირე ვალდებული იყო ტაბუირების რთული სისტემა დაეცვა, რათა ნადირობის რთული სისტემა არ შეელახა“²¹. მონადირეს სასტიკად ჰქონდა აკრძალული სანადიროდ წასვლის წინადღებებში უშვარი სიტყვების წარმოთქმა. სანადიროდ წასვლის წინ ვაჟი არ უნდა გაჰკარებოდა არათუ უცხო ქალს, საკუთარ ცოლსაც კი; განსაკუთრებით უნდა მორიდებოდა მონადირე ფეხმძიმეს ან ქალს მენუხის პერიოდში. სანადიროდ წასული მონადირის ცოლს ქმრის დაბრუნებამდე მთელი რიგი ტაბუ უნდა დაეცვა: ეკრძალებოდა თმის გაშლა და დაბანა; უნდა მორიდებოდა ცხიმიან საჭმელს, განსაკუთრებით ღორის ქონს, და არ უნდა გაეზილა თავისი ქმრის სანადიროდ ყოფნის ამბავი“²².

მონადირეული ჩვეულებებისადმი მიძღვნილი საგალობლები, რიტუალები და სხვა საიდუმლო წესები მრავლად გვაქვს შემორჩენილი. სამონადირეო რიტუალი სცილდება კერძოდ, მონადირულ ხასიათს და ფართო რელიგიის მაღალ დონეს აღწევს. მონადირეული ცხოვრება პრეისტორიულ კავკასიაში წამყვან აღ-

18 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1950, გვ. 212.

19 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 62.

20 ალ. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის ვადმონაშთობა რაქაში, 1941, გვ. 146.

21 ე. ვირსალაძე, დასახ. შრ., გვ. 26.

22 იქვე, სამონადირეო ყოფა საქართველოში იმდენად გავრცელებული ჩანს, რომ ქრისტანული მოძღვრება იძულებული შეიქნა სანადიროდ გასასული ლოცვები შემოეღოთ. ლოცვები შედღრღიერი იყო. კვირის სხვადასხვა დღეს სხვადასხვა ლოცვას უფარდებდნენ.

გილზე ჩანს სხვა სამეურნეო, საყოფო ჩვეულებებთან ერთად. ამიტომაც მითური სიუჟეტების ძირძველობა სამონადირეო ეპოსში უნდა ვეძებოთ.

ამირანისა და მისი ძმების (ან ბიძების) სათავგადასავლო ამბებიც ხომ საწინააღმდეგოა წასვლით იწყება: „სანადიროდ წასულიყვნენ ამირან და ძმანი მისნი“.

მონადირეობა, როგორც საზოგადოებრივ ყოფაში უფრო ადრეული სოციალური ფენა (ფორმა), ღვთაებებთან ურთიერთობაში გვევლინება. ამირანსაც ისევე, როგორც სხვა სამონადირეო ეპოსის გმირებს, ოქროსრქიანა ირემი ხვდება. „ჩვენ ვეთანხმებით მკვლევარს, როცა ის აცხადებს, რომ ამირანი მონადირეთა წრეში წარმოიშვაო. ეს უეჭველად სწორი დებულებააო“, წერს ალ. ლლონტი წერილში „მიჯაჭვული გმირის პრობლემა ქართულ ეპოსში“, რომელიც პროფ. მ. ჩიქოვანის „ქართული ეპოსის“ პირველი წიგნის გამოსვლას მიუძღვნა²³.

სვანურ სამონადირეო ეპოსში „თეთრი მანგური“ ეკითხულობთ:

წასულხარ ჯიხვებზე სანადიროდ,
დაგამებია თურმე გამოქვაბულში,
დაგინთია დიღა ცეცხლი,
ჯიხვის მწვადი შეგიწვავს,
— დროს დალი გსტუმრებია
— თეთრი მანგურ, მშვიდობით მომიხვე!
რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?
— დამიღამდა აბა რა მექნა?
— წასვლა-დაბრუნებას ცუდს გიზამდი,
მაგრამ ამისთანა ადამიანი მენანებო.

— აბა, როგორ არის ჩემი საქმე? —
ამას მანგური ეკითხება.
ახე, მე ვერ გაგიშვებ,
საუყარლად თუ არ გამირიგდები,
მაგრამ ცოლი და შვილი მყავს.
იმით ამით არა დაუშვავლებათ რა;
მაგრამ არსად გაამუდავნო;

ამაღამ ერთად წყებთან,
ლხინი და სიამოვნება ბლომად
ქენებათ²⁴.

ეს ადგილი გვაგონებს უსუპის მზეთუნახავის კოშკში დარჩენას. დალიც ულამაზეს ქალად არის ცნობილი ქართულ სამონადირეო მითებში.

ოსური ნართების გმირებიც ხშირად სამონადირეოდ დადიან და იქ ხვდებოთ მსგავსი თავგადასავლები. მაგ.: ურიზმაგს კლდეებში ულამდება, შედის გამოქვაბულში, სადაც ულამაზესი ქალი ხვდება და სარეცელის გაყოფას სთხოვს²⁵.

აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს ფერხისაების უმრავლესობა გლოვად დალის მიერ დაღუპული გმირისა. სიმღერებში მითური მონადირის დაღუპვა უმთავრესად კლდიდან ჩამოვარდნით ხდება. ზოგი ფერხისაის შინაარსით კლდიდან გმირი ნაწილ-ნაწილ ცეცხლად, ზოგით კი ზედ ეგლისება.

მონადირის კლდიდან ჩამოვარდნა და მიწაზე ნაქერ-ნაქერ დაცივება საინტერესო მინიმუმების მიზეზიც ხდება. ჩვენ ვიცით წმ. გიორგის ცხოვრებიდან, რომ წმ. გიორგის ბორბალზე აკრავენ და ნაწილებად კრიან. საიდან მიიტანეს ქართველებმა წმ. გიორგის 363 ნაწილად დანაწევრება და არა სხვა უფრო ადვილ სათქმელ ციფრად? მიზეზი ერთია: ქართულ ხალხურ აზროვნებას ტრადიციულად შემორჩენილი ჰქონდა მითური მონადირის სიკვდილი სწორედ ნაწილ-ნაწილად დაქრით. ეს ეპიზოდები ისე მტკიცედ იყო ხალხში შესისხლბორცებული, რომ შემდეგ, როცა წმ. გიორგის ბორბალზე დაქრის მომენტი შემოიტანა ქრისტიანობამ, ხალხმა წმინდანი დაანაწევრა 363 ნაწილად და თი-

²³ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1961, 1, გვ. 281.

²⁴ სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 277.

²⁵ ნართები (ოსური ხალხური ეპოსი), 1947, გვ. 244.

თო ნაწილს თითო ეკლესია მიაწერა. ასეთ გაგებას რასაკვირველია ეკლესიაც ამაგრებს: როგორც ვიცით, ყოველ ეკლესიას კურთხევისას უნდა ჰქონდეს რომელიმე წმინდანის სხეულის რაიმე ნაწილი.

მითური მონადირის ნაწილ-ნაწილ ჩამოცვივნის სიმბოლური მხარე სწავ კუთხით უნდა აიხსნას. საწყისად აქ მხოლოდ ერთი მდგომარეობაა: მონადირე მაღალად მდგომი პიროვნებაა, რომელიც „საიქიოს აუცილებლად ცხონებულია“. ფერხისაის ვარიანტების მიხედვით, კლდიდან ჩამოვარდნილი მონადირე ნაწილ-ნაწილ იშლება, ან კლდეზე ეგლისება. მნიშვნელობა არა აქვს დაღუპვის ფორმებს, მთავარია, რომ მონადირე სულიერი ძალების მიერ „შეტყუებით“ იღუპება.

გავიანზოთ მონადირის დაღუპვის მიზეზები: მონადირე ნადირთა მწყემსთან დადებულ პირობებს არღვევს. ყველა ის მიზეზი, რომლის გამოც ნადირთა მწყემსი დასაღუპად იმეტებს ზეადამიანს, მონადირეს, მოკვდავი, უბრალო ადამიანის ცოდვებია. ბევრ შემთხვევაში სულმდაბალი პიროვნების: 1. არ გამოქვა თუ შემხედი და ჭიხეებს მოგაკვლევინებ! -2. არ იხარბო, ბევრი ჭიხვი არ მოკლა, გინდაც შემთხვევა მოგეცეს, იკმარე, რასაც გაძლევ! 3. არ იმარუშო! და სხე.

ჩვეულებრივი თვალთ შეხედვისას გვეჩვენება, რომ დალსა და მონადირეს შორის დადებულ პირობებს უბრალო მომავლადეიცი შეასრულებს, მაგრამ ეს ყოველდღიური ლოცვით მიმავალ მამაც მონადირეს უჭირს. მონადირეს კლდის ანგელოზების, ჭიხეების მწყემსი დალი მიწიერი ადამიანის სისუსტეს ამჩნევს და ღუპავს. შემორჩენილი ფერხისაების შინაარსი მარტო ერთ ადამიანზე კი არა, საერთოდ ადამიანურ სისუსტეებზე უფრო მოთქვამს, როცა მონადირის ტრაგედიას იხსენებს. აქ დალი მხოლოდ სულის სიძლიერის შემმოწმებლად შეიძლება ვიგულისხმოთ. მონადირე განზოგადებულია მითურ მონადირეში. მონადირეც, მიუხედავად იმისა, რომ გამოირჩევა მაღალი კაცური თვისებებით, მაინც ადამიანია და ხორციელისათვის დამახასიათებელ სისუსტეებთან უნდება ბრძოლა — სანამ ხორცს ატარებს, სანამ დროში ცხოვრობს.

ფერხისაებში („ბეთქილი და დალი“) საყურადღებოა ერთი ადგილი: როცა დალი ბეთქილს შეიტყუებს მიუვალ კლდეებზე, შესძახებს: „—შენ მოლაღატე ხარ და მაგიერს მიგიძღენი!“. დალის ასეთი მიმართვის მიზეზია ის, რომ დალიმ მონადირეს აუკრძალა, მის გარდა სხვასთან ინტიმური ურთიერთობის გაბმა. გადმოცემით, მონადირე არღვევს დათქმულ პირობას, რისთვისაც დალი ღუპავს.

დალისა და მონადირის ურთიერთობაზე როცა ვმსჯელობთ, ვგულისხმობთ ე. წ. მონადირულ მორალს, რომლის დაცვაც სავალდებულოა და მეთვალყურედ ბუნებრივი ძალები იგულისხმება. ასეთი ძალის განსახიერებად მიგვაჩნია დალა. დალის მონადირესთან ურთიერთობა კი გვაგონებს მლოცველს, რომელიც ცდილობს პირდაპირი კავშირი გააბას ობიექტთან. სვანი მონადირე მიმართავს ცისკარს, რომელიც დალის, ადგილის დედის, ასტრალური სახეა; აქ მონადირე გვაგონებს ბერს, რომელიც ლოცვით იწრთობს სულს.

მიწიერ ყოფას მოწყვეტის მსურველმა მონადირემ ვერ შეძლო მისწვდო-
მორა იმ ქვეყნის ხილვებს. მას წინ აღუდგება რძალთან ცდუნება, რაც ამქვეყნი-
ური ცხოვრების სიტკბო-სიმწარის ზიარებადღა ნაგულისხმევი და მისი ტრაგე-
დიის მიზეზად ითვლება.

მითურ გამირს ზეციურ წვდომაში ხელს უშლის მიწიერა ცხოვრების ტკბო-
ბის ძლიერი ცდუნება. გამირებიც ტრაგიკულია იმიტომ, რომ არ შეუძლია
მთლიანად მოწყდეს ადამიანურ ყოფას.

მონადირის ტრაგიკული სიკვდილის გაანალიზება ქმნის საფუძველს შემ-
დეგი ფიქრისათვის, რომ წმ. გიორგის 363 ნაწილად დაქრის ქართული გადმო-
ცემის საფუძველი უხსოვარი დროიდან შექმნა ქართველმა ხალხმა მითებში,
კერძოდ სამონადირეო მითებში. ადამიანური ტყვილების ღრმად გააზრებამ
ხალხი სწორ დასკვნამდე მიიყვანა:

1. სანამ ადამიანი არსებობს სხეულში, ის სრულად ვერ დააყმაყოფილებს
კეთილი სულიერი ძალების მოთხოვნებს.

2. განსხვავებას მიწიერსა და ზეციურ ძალებს შორის სხეული ქმნის; ფი-
ზიკურმა ადამიანმა შესაძლოა შეიმეცნოს, შესრულება კი უძნელდება; ამიტომ
მოთქვამს ხალხი: „საბრალო, ბეთქილ, საცოდავო ბეთქილ“.

3. მონადირის ნაწილ-ნაწილ დაშლით სიკვდილია, ადამიანის დროში ყოფნას
სიმბოლოდაა ნაგულისხმები.

მონადირის ტრაგედია ნატურ-მითური მომენტია წმ. გიორგის 363 ნაწილად
დაქრის ქართულ ქრისტიანული მითისა. მონადირე იღუპება ზეციურ და მი-
წიერ ყოფას შორის გაორებულში. ამ გაორების ნაყოფია ნაწილ-ნაწილად ჩამოც-
ვნილი მისი სხეული. ადამიანის ფიზიკური არსებობა მიწიერებისა და სულიერ-
რების განმყოფ სიმბოლოდ ითვლება. ფილოსოფიის თვალსაზრისით მიწიერსა
და სულიერ ყოფას დროის არსებობაც თიშავს (მატერიის არსებობის ფორმა
დროა); მონადირეც დროში იღუპება. 363 ნაწილი კი დროის გაზომვის მხო-
ლოდ ერთ-ერთი სახეა, გვაქვს აგრეთვე 12 თვე, კვირა და სხვ. 363 რიცხვი
მიტომ დამკვიდრდა, რომ ქართული ტრადიციული მაგიური რელიგიით თითოე-
ულ დღეს თავისი მფარველი ვარსკვლავ-ანგელოზი ჰყავს. ეს უამრავი მაგალი-
თით დასტურდება; განსაკუთრებით შემოგვრჩა შელოცვებში, რომლებიც
ხალხური ზეპირსიტყვიერების უძველეს ფორმებს შეიცავს. მაგ., „ლოცვა ნა-
დირისა“: „ღმერთო, ღმერთო ჩამოყარე ცხრაკლიტული ბეჭედი, ნადირ კბი-
ლი შოუყარი. ჩააგდე ზღვაში, ნუ ამოუშვებ ჩვენი საქონლის კვალში, ფეხი
ნაბდისა, კბილი ბამბისა; სამოცდასამნო ძმანო ვარსკვლავნო, შენ დაიფარე
ჩვენი საქონელი ნადირის კბილისაგან“²⁶.

63 ძმა ვარსკვლავი—363 ვარსკვლავს გულისხმობს. ეს რიცხვი წლის დღეთა
რაოდენობას ემთხვევა. ჩვენი აზრით, ასეთი გააზრება ემთხვევა წმ. გიორგის
ძველისძველ სახესაც. ხალხი ერთ სახეში აღიქვამენ წმ. გიორგისა და 363 ვარს-

კვლავს: „წყალობს ღმერთი წმინდაო გიორგი ჭვარი პატიოსანი, დეიკავი წმინდაო გიორგი სამას სამოცდახუთო ანგელოზო. არგე ღმერთო ლოცვა ჩემი, ბრძანებაა თქვენი“²⁷. როგორც აღვნიშნეთ, 365 და 363, ანუ უბრალოდ 63 ვარსკვლავი, გინდა ანგელოზი, წმინდა გიორგის ძველ სახესთან არის გაიგივებული.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ 365 ვარსკვლავი ყველა თანასწორი ძმებია; მათ შესაძლებლობებს ხალხი ერთმანეთისაგან არ ასხვავებს. „სამოცდასამო ძმანო ვარსკვლავნო“, — ასე უწოდებს შემლოცველი, ან კიდევ — „წმინდაო გიორგი, სამას სამოცდახუთო ანგელოზო“ და სხვ. ასეთი მაგალითები უამრავი გვხვდება ხალხურ შელოცვებში.

27 იქვე, № 1999.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტმა)

ზოგადი იანუარი

ტრადიციისა და ნოვატორიზმისათვის ხოსროვის რომანში
„შამს ო თოლრა“

სპარსული ისტორიული მხატვრული პროზის განხილვისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ XI—XII საუკუნეებში ჩასახულ ხალხურ დასთანებს ანუ რომანებს, რომელთა წრეშიც ფაქტიურად საძიებელია თანამედროვე სპარსული ისტორიული რომანის ელემენტები.

კლასიკური ლიტერატურის გვერდით ირანში არნახული წარმატებით სარგებლობდა „ადაბიათე ამიანე“ („მდაბიური ლიტერატურა“), რომლის გავრცელება და მასებში ფართოდ დანერგვა დაკავშირებულია „ყისა-ხანების“ („სახალხო მთქმელები“) სახელთან.

„ყისა-ხანთა“ (მთქმელთა) ინსტიტუტი ირანში უნდა აღმოცენებულიყო IX—X საუკუნეებში. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ შედარებით ადრინდელი სპარსული დასთანის „სამაქე აიარი“, ვიდრე XI—XII ს. მრავალტომიან რომანად ჩამოყალიბდებოდა, ირანში ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ IX ს-ში.

„ყისა-ხანთა“ ძირითად ბირთვს დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ქმნიდნენ. მათი დიდი ნაწილი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა. ცხოვრების ამგვარი პირობები სავსებით შეესაბამებოდა მათ მიზნებსა და ამოცანებს. „ყისა-ხანებს“ ვერ დააკმაყოფილებდა მსმენელთა ერთი და იგივე წრე და აუდიტორიის შეცვლის მიზნით იძულებული იყვნენ ხშირად ემოგზაურათ. ზოგი „ყისა-ხანი“ თავისთავში ორ ფუნქციას აერთიანებდა. იგი ავტორიც იყო ამა თუ იმ დასთანისა და მისი დეკლამატორიც. დახლოვებული „ყისა-ხანის“ „საშემსრულებლო პროგრამა“ მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მან ზეპირად იცოდა მრავალი დასთანისა და ჩინებულად ფლობდა ამ მასალის მსმენელამდე მიტანის ხელოვნებას.

ხალხურ დასთანებს თავისი ხასიათის მიხედვით ორ ნაწილად აჯგუფებენ: ისტორიულ-საგმირო და საფალავნო-სათავგადასავლო დასთანები¹. პირველის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ „აბუ მუსლიმ-ნამე“, „ამირ ჰამზას ისტორია“, „ისქანდერ-ნამე“. მეორის მავალითად კი გამოდგება „ბახთიარ-ნამე“, „ბაჰრამი და გოლანდამი“, „ოთხი დერევის ისტორია“ და სხვ. დასთანის ჟანრის თხზულებანი გარდა შინაარსისა, ერთმანეთისაგან მხატვრული ფორმითაც განსხვავდებიან. მათი ერთი ნაწილი ჩარჩოვანი პროზის ნიმუ-

¹ Ю. Е. Борщевский, Персидская народная литература, с.5. „Плутовка из Багдада“, М., 1963, гл. 11.

შეზღვევა („ბახთიარ-ნამე“, „ოთხი ღერვიშის ისტორია“). მრავლად არის ისეთი დასთანეცი, რომელსაც არ ზღუდავს ჩარჩო და კომპოზიციით ტიპიურ რომანს ემსგავსება („ბაპრაში და გოლანდამი“, „ყაპრამან-ნამე“, „ამირ არსლანი“). თითქმის ყველა დასთანე მარტივი და გასაგები სტილით გამოირჩევა.

სახალხო მთქმელებს თავისებური ლიტერატურული განათლება შეჰქონდათ მასებში, ხეყწდნენ და ავითარებდნენ მათ მხატვრულსა და ესთეტიკურ გემოვნებას. როცა ელაპარაკობთ „ყისა-ხანთა“ საზოგადოებრივ ფუნქციებზე, პირველ ყოვლისა ვგულისხმობთ არა მხოლოდ იმას, რომ ისინი ხელს უწყობდნენ მსმენელთა ლიტერატურული ცოდნის გაფართოებას, არამედ იმას, რომ მათ თავისი „განმანათლებლური“ მოღვაწეობით დაღუპვას გადაარჩინეს ათეულობით უნიკალური სიუჟეტი.

კლასიკური მწერლობის გვერდით შექმნილმა ხალხურმა ლიტერატურამ გაუფლო საუკუნეებს და მას დღესაც მრავალი მკითხველი და მკვლევარი პყავს. მართო ის ფაქტი, რომ აღნიშნული ეპიკური გასულ საუკუნეშიც ინარჩუნებდა არსებობას, ხალხური ლიტერატურის დიდ სიყვარულსა და აღიარებაზე მეტყველებს. სპარსული ხალხური დასთანების დიდი როლი სხვა ერების ლიტერატურულ ცხოვრებაში ნათლად ჩანს ი. ბორშივესკის სიტყვებიდან: თუ ინდოეთი ძველთაგანვე ლიტერატურული სიუჟეტებით კვებავდა მსოფლიო ხალხთა მწერლობას, დასთანური ლიტერატურა ინდოეთში ირანიდან შევიდა².

როგორც ამ ტიპის ძეგლების შესწავლამ და ანალიზმა გვიჩვენა, სპარსული ისტორიული რომანის ერთგვარ სათავედ ან ლიტერატურულ წინაპრად ხალხური დასთანები უნდა ვივარაუდოთ. თუ ისინი ეკუთვნიან თხზულებებს, რომელნიც კლასიკური ლიტერატურისა და ფოლკლორის მიჯნაზე დგანან³, პირველი სპარსული ისტორიული რომანები გარდამავალი საფეხურია დასთანებსა და ტიპიურ ისტორიულ რომანს შორის. თუ ხალხურ დასთანებში გაბატონებული ადგილი უყავია ფანტასტიკურ ელემენტს, ძირითადი ყურადღება ექცევა ამბავს და ერთგვარად მიჩქმალულია ფსიქოლოგიური მომენტი, ისტორიული ელემენტები ხშირად ჰკარგავს რეალურ სახეს და ზღაპრულ სამოსელში ეხვევა, ამ მხრივ პრინციპული სხვაობა გვაქვს ახალფეხადგმულ სპარსულ ისტორიულ რომანში. ეს უკანასკნელი მკვეთრად უპირისპირდება ხალხურ დასთანებს თავისი პრობლემატიკით, კომპოზიციური წყობით, ისტორიული მასალისადმი დამოკიდებულებით, ფსიქოლოგიური დეტალების ჩვენებით. დასთანებისაგან განსხვავებით, ისტორიული რომანის ავტორი ხასიათებს განვითარებაში, დინამიკაში იძლევა; მეტადგილს უთმობს მოქმედ პირთა სულიერი დრამის ჩვენებას. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დასთანების სახელწოდებით ცნობილი თხზულებანი ხალხური შემოქმედებიდან იღებენ სათავეს, ისინი ლიტერატურულ ფაქტად არ ქცეულან. სპარსული ისტორიული რომანი, ცხადია, ბევრ საერთო თვისებას ამჟღავნებს ხალხურ დასთანებთან, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ იგი თავისი სპეციფიკით ახალ საფეხურს ქმნის სპარსული მწერლობის განვითარე-

² ი. ბორშივესკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

³ აღ. გვახარია, სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, თბ., 1968,

ბის ისტორიაში. აღნიშნული ეპიზოდის შექმნა, ვფიქრობთ, უშუალო შედეგია დასთანური ლიტერატურის შემდგომი დახვეწისა და განვითარებისა. ამიტომაც არის, რომ მასში ასახვას პოულობს ბევრი ისეთი მომენტი და თვისება, რაც შეუძლებელია ახასიათებდეს „აბუ მუსლიმ-ნამეს“, „დარაბ-ნამეს“ და ა. შ.

სპარსულ ისტორიულ რომანში, ერთი მხრივ, გამოხატულება ჰპოვა თავისებურად გადახარშულმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ, ხოლო, მეორე მხრივ, იგი დიდად არის დავალებული დასავლეთეუროპული (განსაკუთრებით ფრანგული) და არაბული რომანებისაგან. ამიტომაც არის, რომ ჩვენ მიერ დასახელებულ ძეგლებს, იქნება ეს „აბუ მუსლიმ-ნამე“ თუ „ამირ ჰამზას ისტორია“, თავიანთი ხასიათისა და შინაარსის მიხედვით მხოლოდ პირობითად შეგვიძლია ეუწოდოთ ისტორიული რომანი.

სპარსული ისტორიული რომანის ეპიზოდი (იმ გაგებით, როგორც იგი ჩვენ თანამედროვე ეტაპზე გვესმის) თავის არსებობას XX ს. გარიჟრაჟიდან ითვლის. აღნიშნულ პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოდის ჭკუფი მწერლებისა, რომლებსაც გარდა წმინდა ლიტერატურული ძიებისა, ამოძრავებდათ მაღალი პატრიოტული ზრახვები შეექმნათ ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც „წარსულის დიდებულ ფონზე მთელი სისრულით გამოჩნდებოდა აწმყოს სავალალო კონტრასტები“. ეს ის დროა, როცა ბევრისათვის ძველი ძვირფასია და საყვარელი, ახალი გაურკვეველი და მტრული⁴. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა მათი დაინტერესება ისტორიული თემატიკით. მოკლედ: ისტორიული ფაქტების მხატვრულად ხორცშესხმის სურვილმა ისინი ლიტერატურული ფორმების გადაფასებამდე მიიყვანა. ასე ჩაეყარა საფუძველი ირანში ახალ ლიტერატურულ ეპოსს.

1910—1921 წლებში ირანში რამდენიმე ისტორიული რომანი დაიწერა. პირველ რომანისტთა თაობას, რომლებმაც ხელი მიჰყვეს ისტორიული თემების დამუშავებას, ირანის წარსული სურათების მხატვრულ გარდასახვას, ეკუთვნიან: მირზა ბაყერ ხოსროვი („შამსი და თორა“, დაიბეჭდა 1910—1911 წ.)⁵, შეიხ მუსა ნასარი („სიყვარული და ძალაუფლება“ — 1916 წ.),

⁴ მ. გორკი, საუბარი ახალგაზრდებთან, თბ., 1967. გვ. 176.

⁵ ქობოლოგიურად „შამსი და თორა“ გახდა ნიშანდობილი ეპიზოდის დაბადებისა. მართალია, სანათი-ზადე ქერმანი რომანი დაწერა ჯერ კიდევ 1900 წ., მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი ლიტერატურულ ფაქტად იქცა მოგვიანებით, 1921 წ. ამ მხრივ გაოცებას იწვევს აზერბაიჯანის უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნებული ა. დაღაშევის წერილი, რომელიც ეხება შეიხ მუსა ნასარის რომანს და ასეა დასაბუთებული: Первыи исторический роман в современной персидской литературе, Ученые записки, серия востоковедения, Баку, 1968, № 5, გვ. 60—66. ასევე სადავო ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რომანი „სიყვარული და ძალაუფლება“, რომელიც პირველად შეისწავლა ე. ბერტელსმა, მეცნიერული და მხატვრული თვალსაზრისით თითქოს შემდგომში აღარავის განუხილავს (იქვე, გვ. 66). ა. დაღაშევი, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამოარჩენია ისეთ ავტორთა გამოკვლევები, როგორებიც არიან ე. ბრაუნი, ფ. შახალსკი, ბ. ალავი, ჰ. ჯამშაღი. იგი იმორჩილებს მხოლოდ და მხოლოდ ე. ბერტელსისა და დ. კომისაროვის ნაშრომებს.

სანათი-ზადე ქერმანი („შურისმამიებელნი მაზდაკისათვის“ — 1920—1921 წ.),
პასან ბადი („ძველი თქმულება“ — 1921 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ „შამსი და თორათი“ მრავალი მეცნიერი იყო
დანიტერესებული (ე. ბერტელსი, ი. მარი, ფ. მახალსკი)⁶, მის შესახებ ჭრ-
ჭრობით არ მოიპოვება მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ვრცლად
და ყოველმხრივ შეისწავლიდა რომანს.

როგორც აღნიშნული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული და შინაარსობ-
რივი ანალიზი გვიჩვენებს, ხოსროვის ლიტერატურული კონცეფციის ჩამო-
ყალიბებისას განმსაზღვრელი როლი ითამაშა სპარსულმა კლასიკურმა მწერ-
ლობამ. რომანს აშკარად ემჩნევა საადი შირაზელის დიდაქტიკის გავლენა.
„შამსი და თორა“ ტიპური გაგრძელებაა სპარსული ლიტერატურის პროგ-
რესული ტრადიციებისა. მის მთავარ გმირს შამსს შენარჩუნებული აქვს
ეროვნული კოლორიტი და კონკრეტულობა.

რომანის ერთ-ერთი წამყვანი მოტივია პატრიოტული მოტივი. გარდა-
ამისა, ნაწარმოებში გაშუქებულია კეთილისა და ბოროტის დაპირისპირების,
ფრინველებთან ადამიანის მეგობრობის, მშობლის შეგონების ტრადიციუ-
ლი მოტივი და სხვ. რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამართლიანი
მეფის საკითხის განხილვას, პოლიგამიის პრობლემას, რელიგიის, ფატალიზმის
შესახებ მსჯელობას და ა. შ. სამართლიანი მეფის საკითხის გადაწყვეტაში ხო-
სროვი არსებითად იზიარებს თავისი დიდი წინაპრების საადისა და ნიზამი გან-
ჯელის თვალსაზრისს.

მწერლის შემოქმედებითი მეთოდის გარკვევაში, ეფექტობთ, ერთგვარი
დახმარება უნდა გავეიწიოს იმ მხატვრული ხერხების განხილვამ, რასაც იყე-
ნებს ავტორი „შამსი და თორაში“. დავიწყოთ შედარებებით.

ავტორი გმირის პირისახეს აღარებს ციურ სხეულებს მზეს, მთვარეს⁷;
ბაგეს — ახლად გაშლილ ვარდის კოკორს. თვალები შედარებულია ქურციკის
თვალებთან და მეპრავში მოვლევარე ჩირაღდანთან; წარბები — თალთან, კი-
სერი — სპილოს ძელის სვეტთან; ცხვირი — ვერცხლის ხმალთან, კბილები —
მარგალიტთან, თმა — აბრეშუმთან, მუშკთან. ტანის აღსანიშნავად მეტწილად

⁶ E. Э. Бертельс, Персидский исторический роман XX века, Проблемы лите-
ратуры Востока, Л., 1932; Ю. Н. Марр, О романе Хосреви „Шемс и Торра“, т. 108,
ЗрОмები, ტ. 108, 1964; F. Machalsku, Historyczna Powiesc Perska, Krakow,
1952; მისი ე, „Szams i Torra“ M. B. Chosrowięg z Kermanszahu, Krakow, 1959;
Персидский исторический роман XX в., сб. Сообщения польских ориенталистов, М.,
1961.

⁷ შდრ. „მთვარის სახიანი მხეველები ენახე“; ბახთიარ-ნაჰე, ლენინგრადი, 1926, გვ. 14;
„სამოცი მთვარის სახიანი მხეველი მის წინ იდგა: ბაპრამი და გოლანდამი, გვ. 25; შამ-
ნა-მე: „ერთი ემაწვილი დაიბადა, როგორც მანათობელი მთვარე“ (დ. კობიძე, სპარსუ-
ლი ქრესტომათია, თბილისი, 1963, გვ. 56); ვისრამიანი: მხედართმთავრები და ჭარის
წინამძღოლები სათითაოდ მთვარესა და ვარსკვლავს ჰგვანდნენ, მათ შორის მზესავით იყო
რამისი, თვალები ნარგის უვავდა და ლოუა — ასკილს (ფაზრ აღ-დინ გორგანი, ვის-ო-რამი-
ნი, თეირანი, 1959, გვ. 111).

გამოყენებულია სარო⁸. ხოსროვი შედარების მიზნით იყენებს ფარშავანგს⁹; გმირი შედარებულია ანგელოზთან, სამოთხის ჰეროდთან¹⁰. ავტორი გმირის ტირილს აღარებს გაზაფხულის ღრუბელსა და წვიმას¹¹. მრავლად მოიპოვება ასეთი სახის შედარებანიც: (თორა) ტირიფვით კანკალებს¹². უარყოფითი პირი შედარებულია მითოლოგიურ არსებასთან — გველეშაპთან. თორღელის სისწრაფე გაიგივებულია ჩიტის ფრენასთან¹³.

შიგადაშიგ ხოსროვი გმირის ძალისა და სიმამაცის წარმოსაჩენად იშველებს ლეგენდარულ პიროვნებებს. მაგ., ფაზლუია ეკითხება თორას: „ხათუნ, თქვენი ქმარი როსთომ დასთანია თუ საამ ნარიმანი, ამ გულად მეომრებს რომ სძლიოს?“¹⁴.

ხშირად პერსონაჟის შესახებ ნაწარმოებში ლაკონიურად არის ნათქვამი: საწუთროს თვალს მისებრი ლამაზი არ ენახა¹⁵, ანდა: ანგელოზს გააგივიებდა და ფერიას აცდუნებდა¹⁶.

გვხვდება ორიგინალური შედარებებიც, მაგრამ მათი ხვედრითი წონა საკმაოდ მცირეა. მაგ. თორღელი ეუბნება ჰომას: თქვენ სახეს წარმოვიდგენ თუ არა, წვიმაში მოხვედრილ ბელურასავით სხეული მიკანკალებსო¹⁷.

ნაწარმოებში შემდეგი სახის მეტაფორებია შესული: „მთვარე (თორა) მზის (შამსის) ზურგზე შექდა“¹⁸. შამსისა და თორას მეტაფორად გამოყენებულია მარგალიტი: „ნება ამ ქალბატონისაა, რომელსაც ამ ძვირფასი მარგალიტის (შამსი) სადარი (თორა) ხაზინაში ჰყავს“¹⁹.

რომანში უხვად არის იდიომები, ანდაზური თქმები, სენტენცია-აფორიზმები: „ღღეს ყველას შენი მონობის საყურე ყურზე გვაქვს“²⁰. „ამ კაცმა ჰა

8 შღრ. „აბანოდან როგორც ლალი სარო, ისე გამოვიდა“; ამირ არსლანი, გვ. 432; „ლამაზმანს სახე მთვარესავით ჰქონდა, თმა მუშვივით შავი, ტანი საროს უგადა“; ოთხი ღერვიშის ისტორია, გვ. 21.

9 შღრ. „ღელღელი ადგილიდან წამობტა. მთვრალი ფარშავანგივით მის შესახვედრად გამოეშურა“; ამირ არსლანი, გვ. 427.

10 შღრ. „ფერიავ, საიდან მოდიხარ? აღამიანი არ იქნება ისეთი ლამაზი“: საადი, ქოლიათი, გვ. 406. საადის აღნიშნული ციტატი დამოწმებულია „ბაჰრამი და გოლნდამი“.

11 მსგავსი შედარება, როგორც ვიცით, ფართოდ გამოიყენება სპარსულ ძეგლებში: შღრ. „მესამე ღერვიშმა მუხლებზე წამოიჩოქა, გაზაფხულის ღრუბელივით თვალთაგან ცრემლი ღერა...“: ოთხი ღერვიშის ისტორია, გვ. 137; „გაზაფხულის წვიმასავით იტრია“; ამირ არსლანი, გვ. 11.

12 შამსი და თორა, ტ. 1, გვ. 276; შღრ. ტირიფვით კანკალებს; ამირ არსლანი, გვ. 153.

13 ტ. 3, გვ. 50; შღრ. „ჩიტვით სწრაფად ავიდა ბანზე“; ბაჰრამი და გოლნდამი, გვ. 25; „ჩიტვით ავიდა... მალდა“; ამირ არსლანი, გვ. 475.

14 ტ. 2, გვ. 22; შღრ. „უკეშმარიტად, შენ რომ საქმე გააკეთე, როსთომ დასთანია და საამ ნარიმანსაც არ გაუკეთებიათო“; ამირ არსლანი, გვ. 523.

15 ტ. 1, გვ. 393.

16 ტ. 1, გვ. 355.

17 ტ. 3, გვ. 285.

18 ტ. 1, გვ. 42.

19 ტ. 1, გვ. 101.

20 ტ. 3, გვ. 97.

ჩემთვის გათხარა და თვით ჩავარდაო“²¹. „კედელში თავგია და თავს ყური აქვს, ამიტომ შენი საილუმლო კედელსაც დაუმალო“²². „არავის უსწავლია ჩემგან ისრის სროლა ისე, რომ ბოლოს ჩემთვისვე არ დაემიზნებინოსო“²³. „ძალი თუ პირს ზღვაში ჩააყოფს, ამით ზღვა არ წაიბილწებაო“²⁴. სპარსული მხატვრული აზროვნებისათვის უცხო არ არის სახე: მთვარე შენთან შედარებით ისეა, როგორც ვარსკვლავი მთვარესთან“²⁵.

ფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, ხოსროვი „შამსი და თორაში“ ზედმიწევნით მისდევს ტრადიციას.

ასტრალური სამყაროდან შედარება-მეტაფორების მომარჯვება, როგორც ცნობილია, ორიგინალურ მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე სპარსულ მწერლობაში. ციური სხეულები შედარების მიზნით ფართოდ გამოიყენებოდა ჭერ კიდევ ისეთ სწორუპოვარ ძეგლებში, როგორებიცაა „შამს-ნამე“²⁶, „ვისრამიანი“ და ა. შ.

სპარსულ კლასიკურ მწერლობასა და ხალხურ დასთანებში უამრავი მაგალითი გვაქვს იმისა, როცა შედარება-მეტაფორებად ნახმარია ძვირფასი თვლები, ავი და კეთილი სულები (ღვეი, ანგელოზი), ყვავილთა თუ მცენარეულობათა (სარო) სამყარო.

შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ არქაულია შედარება „ფარშავანგივით მოიკაზმა“; „შვიდი ყალბით მოიხატა“ და სხვ.

ფ. მახალსკი საგანგებოდ მიუთითებს ისეთ ტრადიციულ მხატვრულ ხერხებზე, როგორიცაა „ერთგულების საყურის ყურზე ჩამოკიდება“, „გაზაფხულის ღრუბელივით ატირება“ და ა. შ.²⁷.

როგორც ვნახეთ, ფორმით ახალ ნაწარმოებს ხოსროვიმ ვერ შეურჩია შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებანი და ტრადიციის ტყვეობაში დარჩა. მწერლის შემეცნებაში ისე ძლიერად იყო გამჭდარი კლასიკურ მწერლობაში დამკვიდრებული პოეტური სახეები, რომ მიუხედავად ენარის სიახლისა, ხოსროვიმ ვერ შეძლო გარდატეხა მოეხდინა ამ მიმართულებით.

მხატვრული ხერხებიდან რომანში დიდ გასაქანს პოულობს ჰიპერბოლა. აღნიშნული ხერხის მომარჯვებითა და მისი გამოყენების ფორმებით ხოსროვი მიჰყვება სპარსული ფოლკლორისა და კლასიკური ლიტერატურის მიერ გავალულ გზას. მოვიტანთ ნიმუშებს.

ბავშვის არაჩვეულებრივი გარეგნობის ხაზგასასმელად ავტორი მიუთითებს, რომ თორა დღითი დღე იზრდებოდა და ექვსი თვისა ერთი წლისას

²¹ ტ. 3, გვ. 184. შდრ. „ორშოს გვითხრიდი გზაზე, მაგრამ შენ თვითონ ჩავარდი იმ ორშოში“: ბუსთანი, თეირანი, 1968, გვ. 45.

²² ტ. 3, გვ. 318, შდრ. „კედლის წინ რასაც იტყვი ფრთხილად იყავ, რათა არ აღმოჩნდეს კედლის უკან (ეინმეს) ყური“: გოლესთანი, მოსკოვი, 1959, გვ. 422.

²³ ტ. 1, გვ. 292.

²⁴ ტ. 1, გვ. 174.

²⁵ ტ. 1, გვ. 204.

²⁶ აღნიშნული ფაქტი საინტერესოდ აქვს განხილული დ. კობიძეს ნაშრომში: სპარსული ლიტერატურა, ტ. 11, თბ., 1947, გვ. 58—60.

²⁷ ფ. მახალსკი, მ. ხოსროვი ქერმანშაჰელის „შამსი და თორა“, კრავი, 1959, გვ. 257. (პოლონურ ენაზე).

ჰგავდაო²⁸. შღრ. „შაჰ--ნამედან“ ზურაბის მაგალითი: „როცა ერთი თვისა გახდა, ერთი წლისას ჰგავდაო“²⁹.

გმირის პოტენციური ძალის წარმოსაჩენად რომანში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მის ხმას, ძახილს.

თოღრა ცდილობს ფაზლუიას ჩამოშორებას და შამსის სხვა ღირსებებთან ერთად მის „არაჩვეულებრივ“ ხმასაც ასახელებს: „(შამსის) მამაკური (ვაჟაკური) ყვირილი (ძახილი) რომ გაიგო, მხნეობას (გულადობას) დაკარგავო“³⁰. შღრ. „შაჰ--ნამედან“ ზურაბისა და როსტომის შებრძოლების მაგალითი: „(ზურაბმა) ერთი საშინლად დაიღრიალა, ლომის მსგავსი როსტომი ძირს დასცა“³¹.

მსგავსი პარალელი გვაქვს „ყაჰრამან--ნამეშიც“: „ყაჰრამანმა ისე დაიყვირა, რომ მხედართმთავრები და გულადნი შიშმა აიტანა“³². ასევეა „ოთხი ღერევის ისტორიაში“: „იმ გულადმა ისე დაიღრიალა, რომ მთელი ბაღი შეაზანზარა“³³. შღრ. „ბახთიარ--ნამე“: „ერთი დაიღრიალა და ოცდაათი ათასი მეომარი დახოცა“³⁴. აღნიშნული ღეტალი მეორდება „ამირ არსლანშიც“.

გმირის მიერ ცხოველის ორად გაპობა ანდა მოსისხლე მტრის მკერდამდე ხმლით ჩასხება საყვარელი მხატვრული ხერხია ხოსროვისათვის. შამსის ყოველი შერკინება მხეცებთან მათი შუაზე გაყვეთით მთავრდება. მსგავსი მაგალითები უხვად გვხვდება დასთანებში. „ყაჰრამან--ნამეს“ მიხედვით მისი მთავარი გმირი ყაჰრამანი ვისაც კი დაჰკრავდა ხმალს, ჰორფა კიტრით ორად გააპობდა³⁵. ასევეა „ამირ არსლანში“, „ოთხი ღერევის ისტორიასა“ და ა. შ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხოსროვი ბრძოლის სცენებშიც ბევრ საერთო ღეტალს სესხულობს დასთანებიდან. „შამსი და თოღრას“ ერთ-ერთი პერსონაჟის (ისა) ბრძოლა ლომთან ახლოს დგას ბაჰრამის („ბაჰრამი და გოლანდამი“) ნიანგთან შერკინების ეპიზოდთან.

საბრძოლო ეპიზოდებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთი ასეთი შტრიხი. მონღოლთა და არაბთა შერკინებისას, შამსის ცხენს ფეხი ორმოში ჩაუვარდება და პატრონს უნაგირიდან ვადმოავდებს, ლაშქარს შიშის ზარი მოიციავს; ამით ისარგებლებს მტერი და მონღოლებს სასტიკად შემუხსრავენ. (შღრ. „ბახთიარ--ნამე“; დაუმარცხებელი გმირი, რომელიც მტრის ათობით მეომარს განგმირავს, ბრმა შემთხვევის მსხვერპლი ხდება — უეცრად ხოლადადის ცხენს ფეხი თავვის სივრცეში ჩაუვარდება, წაიფორხილებს და მხედარს ძირს დასცემს. მტრები დაატყვევებენ გმირს)³⁶.

შესამჩნევია, რომ ამა თუ იმ შემთხვევის გამო „შამსი და თოღრას“ გმირები პირახვეული იბრძვიან. ასევეა „აბუ მუსლიმ--ნამეში“, „ამირ არსლანში“ და სხვ.

28 ტ. 2, გვ. 22.

29 სპარსული ქრესტომათია, გვ. 56.

30 ტ. 2, გვ. 22.

31 სპარსული ქრესტომათია, გვ. 74.

32 ყაჰრამან--ნამე, ლითოგრაფიული გამოცემა, გვ. 10

33 ოთხი ღერევის ისტორია, გვ. 69.

34 ბახთიარ--ნამე, გვ. 5.

35 ყაჰრამან--ნამე, გვ. 7.

36 ბახთიარ--ნამე, გვ. 5.

ზოგჯერ ესა თუ ის პერსონაჟი გარკვეულ სიტუაციაში ვინაობის დამალვის მიზნით ტანსაცმელს იცვლის. ანალოგიური ვითარება გვაქვს „ბაპრამ და გოლანდამში“: უფლისწული ბაპრამი ქურდის (შაბროუ) ძველმანებში გამოეწყობა და სატრფოს სანახავედ მიეშურება.

„შამსი და თოღრაში“ ასახული ბატალური სცენები ახლოს დგას „შამს-ნამეს“ შესაბამის სცენებთან.

თუ თვალს გადავაკვლებთ შუა აზიის ხალხთა ლიტერატურას, დავინახავთ, რომ მკვლევარები უზბეკურ ეპოსში საბრძოლო მეგობრობის სპეციფიკურ ფორმად მიიჩნევენ ორ გმირს შორის არსებულ კავშირს, რასაც საფუძვლად უდევს სისხლზე ან „ღედის რძეზე“ დამყარებული ძმობა (ძუქუმტე — ემიქლომ)³⁷.

საბრძოლო მეგობრობის დასახელებული ფორმა არეკლილია „შამსი და თოღრაშიც“. ამის მაგალითია შამსისა და ომიღვარის კავშირი. აქვე გვინდა მიუთითოთ ერთ გარემოებაზე. „ძიძიშვილის ინსტიტუტი“, ჩვენი აზრით, სპეციფიკური არ უნდა იყოს სპარსული მწერლობისათვის; უნდა ვივარაუდოთ, რომ ხოსროვის ის სხვა ხალხთა ლიტერატურის გავლენით აქვს ნახმარი. ი. მარი თვლის, რომ ხოსროვითან შეინიშნება სიტყვა حمشير (ძიძიშვილი, შდრ. უზბეკური „ემიქლომ“ — მ. ი.). სიტყვა „და“ სპარსულად არის خواه ان حمشير, რაც შეეხება حمشير — იგი სპარსულში არ იხმარება. რომანში კი გვხვდება ფრაზა, სადაც ნაწარმოების გმირი შამსი ამბობს: მე მყავს ძიძიშვილი, რომელიც حمشير-ად მერგებაო³⁸.

მაგრამ ი. მარი არა გვეგონია, მართალი იყოს, როცა საერთოდ უარყოფს სიტყვა „ჰამშირ“-ის გამოყენებას სპარსულ ენაში. ბევრ სპარსულ ლექსიკონში განმარტებულია მისი მნიშვნელობა. „ჰამშირ“ არის ერთ-ერთი იმ ორ ყმაწვილთაგან, რომლებიც ერთი ძუძუთი იკვებებოდნენ და ერთმანეთს ძუძუძუმტედ ერგებიან³⁹. ხოლო თვით ინსტიტუტი „ძიძიშვილობისა“, ვიშეორებთ, ნაკლებად არის დამახასიათებელი სპარსული მწერლობისათვის.

ფ. მახალსკის თავის შრომებში გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „შამსი და თოღრაში“ გამორიცხულია პეიზაჟის აღწერა⁴⁰. ჩვენ დაეუმატებლით, რომ ამ მხრივ, დასთანებთან შედარებით ხოსროვი წინ არ წასულა. რომანში გვაქვს მხოლოდ პეიზაჟის ელემენტები.

რაკი „შამსი და თოღრას“ ტრადიციასთან მიმართებით ვიხილავთ, ურიგო არ იქნება, მიუთითოთ რამდენიმე ნიშანდობლივი დეტალი.

ერთ-ერთ სცენაში ხოსროვი მედინაში მოსალოცად ჩასულ ფერდოუსს გვიხატავს. მლოცველთა შორის იმყოფება ახალგაზრდა ეგვიპტელი უფლისწული. მზადდება ნიადაგი სასიყვარულო ინტრიგისათვის. დაბრკოლებას ქმნის ჩადრი, რომელიც ფარავს ქალის პირისახეს და უფლისწულს არ შეუძლია მისი დანახვა. ამ სიტუაციაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ბუნების სტიქია, ერთბაშად ამოვარდება ქარი, ქალს ჩადრს აუფრიალებს და სახეს

³⁷ В. М. Жирмунский, Х. Т. Зарифов, Узбекский народный героический эпос, М., 1947, გვ. 324.

³⁸ ი. მარი, ხოსროვის რომანი „შამსი და თოღრა“, თსუ შრომები, 108, 1954, გვ. 216.

³⁹ ალი აქბარ ნაფისი, გვ. 3965.

⁴⁰ ფ. მახალსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 253.

გამოუჩინეს. ქარის მიერ ქალის სახის გამოჩენის დეტალი საკმაოდ ძველია, იგი თავს იჩენს „ვისრამიანსა“ და „ბახთიარ-ნამეში“⁴¹.

კლასიკური და დასთანური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ტრაგედია (ქალს ათხოვებენ მისთვის არასასურველ მამაკაცზე, რომელიც ქორწინების ღამესვე იღუპება ქალზე გამიჯნურებული გმირის ხელით)⁴², ხოსროვით მცირე ვარიანტული სახეცვლილებით გადმოიტანა „შამსი და თოღრა-ში“.

რომანში წარმოდგენილია სპარსული მწერლობიდან ცნობილი გამიჯნურების სამი ვარიანტი: გამიჯნურება უნახავად, ერთი ნახვით და სიზმრის დახმარებით. პირველის ნიმუშად გამოდგება ბუღაის თოღრაზე გამიჯნურების მაგალითი. მეორე ვარიანტშიც მთავარ როლს ასრულებს თოღრა, რომელიც ერთი ნახვით მოხიბლავს მოჰამედს, ფაზლუიას და ა. შ. დასასრულ, გვაქვს მაგალითი იმისა, როცა ქალ-ვაჟი სიზმარში ნახავენ ერთმანეთს და გამიჯნურდებიან. ასე ეყრება საფუძველი ფერდოუსისა და ეგვიპტის უფლისწულის სასიყვარულო თავგადასავალს.

ნაწარმოებში არ დასტურდება გამიჯნურების მეოთხე ვარიანტი: სურათით გამიჯნურება. აქ თითქოს ძველი მასალის ახლებურად გააზრებასთან გვაქვს საქმე; შეყვარებული ქალი იხმობს მხატვარს (ბაჰრამს), საიდუმლოდ მიაწავლის ვაჟის სამყოფელს და მისი სურათის დახატვას სთხოვს. ქალი მრავალგზის შეხვედრია ვაჟს; გულში ჩაეარდნია მისი სიყვარული, მაგრამ თანაგრძნობა ვერ მიუღია.

ცხადია, ამ შემთხვევაში სურათის სპარსული ფოლკლორის მსგავსად უნახავად გამიჯნურების ფუნქცია როდი ეკისრება. ვფიქრობთ ამ ეპიზოდს გაცილებით რეალური საფუძველი აქვს სურათით გამიჯნურებასთან შედარებით⁴³. რომანში გვაქვს იმის მაგალითიც, როცა ვაჟი თავის პორტრეტს დაახატვინებს მხატვარს და დანიშნულს მიაერთმევს.

ზედმეტი არ იქნება მივუთითოთ, რომ ხოსროვის უნახავად გამიჯნურება არ მიაჩნია ჭეშმარიტი ტრაგედიის ნიმუშად და ერთგვარი ირონიით უყურებს მას (უნახავად გამიჯნურდება რომანის ერთ-ერთი უარყოფითი პერსონაჟი საად ედ-დინი).

ნაწარმოებში სახეცვლილად გვევლინება ძველი ლიტერატურული ტრადიციები. შამსი შემთხვევით აღმოაჩენს თავისი სახელოვანი წინაპრის აზად

41 იხ. ალ. გვახარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 20; შირ. „უეცრად ქარი ამოვარდა. (მეფე) ქეკელის კუთხიდან ქალიშვილს მოჰკრა თვლი და გული ნანადირევად ექცა“, ბახთიარ-ნამე, გვ. 2.

42 შირ. ამირ არსლანი, გვ. 147.

43 „ბაჰრამ და გოლანდამშიც“ აღინიშნება მსგავსი მაგალითი. მოხუცი სოფლადგარა, როცა ჩინეთის მეფის ულამაზეს ასულს გოლანდამს იხილავს, სიყვარულით აღიზნება, მაგრამ რადგან იცის, რომ ვერ შესძლებს ქალის დაპატრონებას, მხატვრებს მის სურათს დაახატვინებს, ვაჰრობას თავს მიანებებს, აიშენებს სასახლეს და გოლანდამის სურათის ცქერით იოხებს ვულს. რუმის უფლისწული ბაჰრამი კი შემთხვევით წააწყდება გოლანდამის სურათს და თავდავიწყებით გამიჯნურდება (გვ. 6—7). დაახლოებით ასეთივე სცენა გვაქვს „ოთხი დერვიშის ისტორიაში“. ერთ ვაჟარს (შაჟი ნუყმანი) მოხიბლავს ხელმწიფის ასულის სილამაზე, მაგრამ იცის, რომ იმ ობოლ მარგალიტს ვერ ჩაივდებს ხელთ, მატროვებს აღებ-მოცივობას, მოიწვევს ხუროთმოძღვრებს, მხატვრებსა და მოქანდაკეებს, მათ უკაცურად გილას სენაკს ააშენებინებს და ლაშაზი ასულის ქანდაკებას გამოაკეთებინებს. მოხუცი განდევნილით ცხოვრობს და თავს ქანდაკების ტრაგიულით ინუგეშებს (გვ. 65).

ად-დოვლეს ხმალს, მაგრამ მას არც დანიშნულებისამებრ იყენებს და არც რელიქვიად ინახავს⁴⁴. ყველასათვის მოულოდნელად თარხანის ტიტულის მოსაპოვებლად მას აბალა ყაენს მიაართმევს. არაბთა და მონღოლთა შორის ომის დაწყების წინ ილხანი ნაჩუქარ ხმალს უკანვე უბრუნებს შამსს იმ პირობით, რომ შემუსროს მტერი და მონღოლებს წარმატება მოაპოვებინოს. მაგრამ როგორც ირკვევა, შამსი ფარულად მოელაპარაკება არაბთა სარდალს. ხმალს ერთხელაც არ მოიქნევს და ბრძოლის ველიდან გაიქცევა.

ეგვიპტეში ჩასული შამსი საგვარეულო ხმალს ჩალის ფასად გაჰყიდის. მოტანილი მაგალითი ცხადყოფს გმირის ინდიფერენტიზმს წინაპართა საომარი იარაღებისადმი და მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მშვიდობიან“ ბუნებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი სწორუბოვარი რაინდია, ყოველთვის ცდილობს თავი აარიდოს შეტაკებას და მკლავის ძალას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყენებს.

ყოფთი დეტალები და ადათ-წესები ხოსროვის რომანში შედარებით უკეთ არის მოხაზული, ვიდრე დასთანებში („ბახთიარ-ნამე“, „ყაპრამან-ნამე“, „ამირ არსლანი“).

ავტორი საინტერესოდ აღწერს აღმოსავლურ ქორწილს, სტუმრის მიღების ცერემონიას, სიძისა და პატარძლის დამოკიდებულებას; მიუთითებს ყალიმის რაოდენობას, სექტის გავლენას საქორწინო აქტზე, განქორწინებისათვის საჭირო ფორმალურ მხარეს და ა. შ.

ნაწარმოებში ოსტატურად არის ნაჩვენები გლოვის რიტუალი, მიცვალებულის დამარხვა მუსლიმანური (თორა, აბულქასანი) და მონღოლური წესით (აბეშ ხათუნი).

ხოსროვი გულდასმით აღწერს ოფიციალური პირის რეზიდენციას, ფეოდალის საცხოვრებელ ბინას, საოჯახო ინვენტარს. იგი ეხება აღმოსავლურ სამზარეულოს, ასახელებს ფქვილით, ხახვითა და ერბოთი შემზადებულ კერძს — ფიაზბაის და ა. შ.

ნაწარმოებში გამოძახილი ჰპოვა ირანელთა ერთ-ერთმა უძველესმა ჩვევამ: ქალ-ვაჟთა ბავშვობიდანვე დაწინდებამ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თორღელი არღევს აღნიშნულ პირობას და ცოლს სურვილისამებრ თხოვლობს. საერთოდ შეიმჩნევა, რომ ავტორი ისწრაფვის მეტი თავისუფლება მიანიჭოს გმირებს და არ შეზღუდოს ისინი წინასწარ არსებული დოგმებით.

ფორმის მიხედვით „შამსი და თორა“ ლექსნარევი პროზის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს. ასეთი პროზის ელემენტები შორეულ წარსულშია საძიებელი (განსაკუთრებით მოიკიდა მან ფეხი შუა საუკუნეებში). ამ ფორმით მრავალი ინდური, არაბული თუ სპარსული წარმოშობის ძეგლი დაიწერა. ლექსნარევი პროზის საუკეთესო ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ „გოლესთან“, „სინდბად-ნამე“ და სხვ. ჩართული ლექსები ხშირია დასთანურ ლიტერატურაშიც: „ბაპრამი და გოლანდამი“, „ოთხი დერევისის ისტორია“ და ა. შ.

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „შამსი და თორას“ უშუალო წინამორბედი, მეცხრამეტე საუკუნის ხალხური დასთან „ამირ არსლანი“, სადაც განსაკუთრებით კარბობს ლექსჩართვა. მასში შეიმჩნევა მოხმობილი

44 შტრ. ყაპრამანის ხმალს:

ავტორთა სიუჟეტე. ამ ავტორთაგან უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს: საადი, ნიზამი, ჰაფეზი, ჰათეფი, ქაშანი, ყანი, იალმა და სხვ.

როგორც ვხედავთ, ხოსროვი თავის წინაპრებს ბაძავს მხატვრული ნაწარმოების ფორმითაც და „შამსი და თორაში“ პროზისა და პოეზიის თავისებურ სინთეზს იძლევა.

ნაწარმოებში დამოწმებულია ფრაგმენტები ფირდოუსის „შაჰ-ნამედან“, საადის მხატვრული მემკვიდრეობიდან, ჭელალ ელ-დინ ბალხის კრებულიდან, დაბოლოს გვაქვს თვით ხოსროვის მიერ გალექსილი სტრიქონები.

უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსები ესადაგება კონტექსტს და არ არღვევს მის აზრობრივსა თუ ლოგიკურ მთლიანობას.

როგორც მოსალოდნელია, ავტორისათვის ძირითად სალექსო წყაროდ რჩება საადის „ქოლიათი“.

როცა „შამსი და თორაში“ ჩართულ ლექსებზე ვმსჯელობთ, ვერ ვიტყვი, რომ აქ ლექსნარევი პროზის რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ლექსითი მასალა მასში ისევეა შეტანილი, როგორც შუა საუკუნეების პროზულ ძეგლებში.

ცნობილია, რომ საადის თხზულებებიდან ციტატა ბევრ სპარსულ დასთანშია დამოწმებული (მაგ.: „ბაჰრამი და გოლანდამი“, „ამირ არსლანი“ და სხვ.). თავის რომანში ხოსროვის დიდი შირაზელი პოეტი მოქმედ პირად გამოჰყავს, ცდილობს ახსნას, რა სიტუაცია და ვითარებაში მოუხდა მას ამა თუ იმ ლექსის დაწერა და ვინ იყო პოეტის შთაგონების ობიექტი. აღნიშნული მოვლენა რომანისტიც ფანტაზიის ნაყოფს ემყარება და მას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე რეალური საფუძველი.

მკვლევართა უმრავლესობა დადებით შეფასებას აძლევს „შამსი და თორას“ ენასა და სტილს. ე. ბერტელსის აზრით, ხოსროვის ნაწარმოების ენა გაცილებით ახლოს დგას ცოცხალ სასაუბრო ენასთან, ვიდრე სანათი-ზადე ქერმანის რომანის ენა, თუმცაღა განსაკუთრებული სიმდიდრით არ გამოირჩევა⁴⁵. ი. მარი აღნიშნავს, რომ რომანის ენა ძალიან სასიამოვნოა, ლაკონური და ნათელი. ხანდახან ავტორი მართლაც „ხარკს უხდის ძველ სიტყვიერ ტრადიციას“, მაგრამ ჩვეულებრივ უაღრესად ხატოვანია და ცოცხალი. ყოველი ნაწილი, დაახლოებით 250 გვერდამდე, თითქმის ფოლიანტია. ლექსიკური მასალა დაუშრეტელია⁴⁶. ფ. მახალსკის აზრით, „შამსი და თორას“ ენა და სტილი განსხვავდება როგორც კლასიკური პროზის („თუთი-ნამე“, „ანვარე სოჰაილი“), ასევე თანამედროვე ირანელი ნოველისტების ენისა და სტილისაგან. ავტორის მეტყველება უახლოვდება ირანულ წრეებში შექმნილ ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებას⁴⁷.

სპარსული ლექსიკის შესწავლისას ი. მარი საკუროდ თვლიდა „შამსი და თორას“ ენობრივი მონაცემების გათვალისწინებას. ცნობილია, რომ ი. მარმა შეადგინა ამ ნაწარმოების ლექსიკონი, რომელშიც მრავალი სიტყვა და გამოთქმაა შესული. მკვლევარის აზრით, სიტყვა آ რომანის მიხედვით ნიშნავს: განსაკუთრებულს, უცნაურს, დამახასიათებელს. გამოთქმას

⁴⁵ Е. Э. Бертельс, Персидский исторический роман..., გვ. 118.

⁴⁶ ი. მ. მარი, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

⁴⁷ ფ. მახალსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 257.

لبراگريدن ტუჩის მოკენეტა — „შამსი და თორას“ ავტორი ხმარობს დუმილის მნიშვნელობით. სიტყვა ს (ბრძან.) ნიშნავს — მოდი ერთი اورا دور — შორიდან, شاد — შემოსაქრავი, ساجد — დაეა, პაექრობა და ა. შ.⁴⁸.

ხოსროვი გაურბის ენობრივ ანაქრონიზმებს. მართალია ფ. მახალსკი, როცა წერს: „შამსი და თორასში“ გამორიცხულია დასავლეთევროპული ლექსიკა⁴⁹. ჩვენი მხრით დაუშვებებთ, რომ მთელს რომანში ამ კანონზომიერებიდან გვაქვს ერთადერთი გამონაკლისი; მოსალოდნელი |اخس (შდრ. საადისთან) ნაცვლად⁵⁰. كايستان (|اخس-ს ხმარება დასტურდება „ამირ არსლან-შიცა“⁵¹).

ცნობილია, რომ რომანისტთა ერთი ჯგუფი გარდასულ ეპოქას აღადგენს ენობრივი კოლორიტის დაკეთით, ე. ი. არჩევენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რაც დამახასიათებელი იყო ისტორიის განსაზღვრული პერიოდისათვის (კ. გამსახურდია). რომანისტთა მეორე ჯგუფს კი ნაწარმოებში შეაქვს თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ლექსიკა (ლ. ფიხტვანგერი). თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ ერთადერთ ნიმუშს, ხოსროვი რომანისტთა პირველ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ. ამის ნათელსაყოფად შემდეგი მაგალითიც კმარა: იგი „ბიძის“ აღსანიშნავად ხმარობს სიტყვას: كاك და იქვე განმარტავს: იმ ღროს (იმ ეპოქაში) ბიძის (ღელის ძმას) ქაქუს ეძახდნენ⁵².

მკვლევარები მიუთითებენ, რომ სანათი-ზადე ქერმანიმ პირველმა შემოიტანა სპარსულ ლიტერატურაში უცხოური სიტყვები: პოლიტიკა, ფოსტა, კონფერენცია და ა. შ.⁵³. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქერმანის რომანებზე ადრე დაისტამბა „შამსი და თორას“, სადაც დასტურდება ერთადერთი უცხოური სიტყვის ხმარება, მაშინ ამ თვალსაზრისით პირველი სიტყვა უეჭველად ეკუთვნის ხოსროვის.

შესამჩნევია, რომ ხოსროვის რომანში აღარ მეორდება ხალხური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სტანდარტული სტილისტიკური ფორმულები, რომლითაც ჩვეულებრივ იწყება ან მთავრდება ესა თუ ის დასტანი⁵⁴.

შესაძლოა მთლიანად რომანის სტილი არ იყოს უაღრესად ნატიფი და რაფინირებული⁵⁵, აქა-იქ შეიმჩნეოდეს ლექსიკური ერთეულების სიჭრელე (არაბიზმების სახით), მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ეს უაღრესად დიდი მოკულობის რომანი იკითხება შეუწელებელი ინტერესით, და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, მას ადვილად აღიქვამს ყველა კატეგორიის მკითხველი.

⁴⁸ აღნიშნულ საკითხზე იხ. უფრო ვრცლად ი. მარის არქივი, ლენინგრადი, ფონდი 95, აღწ. 1, № 23, Материалы к роману Хосрви „Шемс и Тогра“...

⁴⁹ ფ. მახალსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 257.

⁵⁰ ტ. 2, გვ. 203.

⁵¹ ამირ არსლანი, გვ. 1.

⁵² ტ. 2, გვ. 22.

⁵³ X. T. Короглы, Современная персидская проза, М., 1958 (მანქანაზე გადაბეჭდილი ნაშრომი).

⁵⁴ შდრ. ყარაჰან-ნამე, აბუ მუსლიმ-ნამე, ბაქრაბი და გოლანდამი, ოთხი დერვიშის ისტორია, ამირ არსლანი.

⁵⁵ ამ მხრივ უარყოფით როლს თამაშობს ტრადიციული მრავალსიტყვაობა.

ისტორიული ფონის გაძლიერების მიზნით, ავტორს ქარბად მოჰყავს ამონაწერებიც ამა თუ იმ წყაროდან. ისტორიკოსის მშრალი მეტყველებიდან მოქმედ პირთა დიალოგებზე უეცარი გადასვლით ზიანდება ნაწარმოების საერთო მხატვრული ქსოვილი, რასაც თან ახლავს სტილის აღრევაც. თუმცა— და გამონაკლისის სახით დაიკებნება შემთხვევები, როცა ისტორიული თუ გეოგრაფიული შინაარსის მქონე ციტატების ჩართვა შედარებით უმტკივნეულოდ და ბუნებრივად ხდება. ამის ნათელი ნიმუშია საადის საუბარი შამსთან ფირუზაბადის დაარსების შესახებ და სხვ.

რომანმა, როგორც ითქვა, ქარბად შეიწოვა კლასიკური ლიტერატურის ტრადიციები, ბევრ რამეში დაესესხა სპარსულ ხალხურ დასთანებს, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ამცირებს მის როლსა და მნიშვნელობას. მთავარი მაინც ისაა, რომ, როგორც ბ. ბელინსკი იტყოდა, მასში ღვივის ნამდვილი რომანის თესლი⁵⁶. აღნიშნულმა ნაწარმოებმა სათავე დაუდო ახალი სპარსული ისტორიული რომანის განვითარებას და დღევანდელი სპარსული რომანისტიკის შესწავლა წარმოუდგენელია „შამსი და თოღრას“ მონაცემების გათვალისწინების გარეშე.

აქ მივუთითებთ ერთ პარალელს ეგვიპტური ლიტერატურიდან. ვ. გულიზადე ალი მუზარაჟის ნაწარმოების კრიტიკისას, მიუთითებს მის დადებით მნიშვნელობაზეც: მისი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენდა ეგვიპტურ ლიტერატურაში ეპიკური პროზის გამოყენების ერთ-ერთ პირველ ცდას და შეიცავდა რომანის ელემენტებს⁵⁷, ხოლო დ. კომისაროვი ზუსტად და ლაკონიურად განსაზღვრავს ისტორიული რომანების მნიშვნელობას XX ს. სპარსული პროზის განვითარების თვალსაზრისით. იდეურ-მხატვრული ნაკლოვანების მიუხედავად ახალმა ისტორიულმა რომანმა, რომელიც წარმოიშვა მწერალთა ძიების შედეგად, რათა ახალი ხერხებითა და ფორმებით ასახულიყო სინამდვილე, შეასრულა სათანადო როლი თანამედროვე სპარსული პროზის ჩამოყალიბების საქმეში⁵⁸.

„შამსი და თოღრას“ განხილვის შემდეგ აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ ხოსროვი ღრმად ეროვნული მწერალია. მას კლასიკურ ლიტერატურასთან ანათესავებს არა მარტო ანალოგიური მოტივები და ეპიზოდები, არამედ სტილისტიკური ხერხებიც. მიუხედავად ამისა, „შამსი და თოღრასათვის“ დამახასიათებელია ტრადიციისა და ნოვატორობის სინთეზი. ჩვენ გზადაგზა მივუთითებთ იმ სიახლეზე, რაც დასტურდება ხოსროვის რომანში, მაგრამ არ შეიძლება „ბახთიარ-ნამესა“, „ყაჰრამან-ნამესა“ და ამ ტიპის დანარჩენ ძეგლებში. ზოგად ხაზებში „შამსი და თოღრას“ ნოვატორული როლი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

პირველ ყოვლისა, ახალია თვით ნაწარმოების სტრუქტურა: „შამსი და თოღრა“ არის ტრილოგია ანუ რომანი გაგრძელებებით — გაერთიანებული ერთი თემით, იდეური შინაარსით, პერსონაჟებითა და მოქმედების განვითარების ძირითადი ხაზებით.

⁵⁶ ბ. ბელინსკი, ჩრეული თხზულებანი, ტ. I, თბ., 1952. გვ. 121,

⁵⁷ В. М. Гулizada, Становление романа как жанра в современной египетской литературе (автореферат), М., 1968, გვ. 19.

⁵⁸ Д. С. Комиссаров, Очерки современной персидской прозы, 1960, გვ. 47.

რომანში ორი თაობის, მამისა და შვილის, თავგადასავალია გადმოცემული. ცნობილია, რომ გაგრძელებები უხვად მოეპოვება ფირდოუსის „შაპ-ნამესაც“. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, „ბარზუ-ნამე“, მესამე თაობის წარმომადგენლის (ზურაბის ვაჟის) საგმირო ამბავს ეძღვნება. მაგრამ ანგარიშგასაწევი და საგულისხმოა ის გარემოება, რომ „ბარზუ-ნამე“ დამოუკიდებელ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება და ფირდოუსის მიმბაძველის მიერ არის შექმნილი. ანალოგიური ვითარებაა დასთანებში. მაგ. „ყაპრამან-ნამე“ მოღწეულია მცირე ვერსიით, თუმცა მისი ვრცელი ვერსიაც არსებობდა. როცა ამ ძეგლებს ვიხილავთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვერსიები ჩნდებოდა თანდათანობით სხვადასხვა ავტორთა მონაწილეობით (ასე მოაღწია ჩვენამდე სამ ტომად გაერთიანებულმა დასთანმა „სამაქე აიარ“). „შამსი და თორღა“ თავიდან ბოლომდე ერთი ავტორის მიერ დაწერილი ტიპური ტრილოგიაა და იგი ძირფესვიანად განსხვავდება სპარსული ლიტერატურის ადრეული ძეგლებისაგან.

რომანში უდავო სიახლეა წყაროების დამოწმება, ისტორიული მასალის სიჭარბე, კონკრეტულ-ისტორიული პირობების თანმიმდევრული ასახვა. (მღრ. დროისა და ადგილის ბუნდოვანი კოორდინატები დასთანებში). სიახლეს წარმოადგენს მოვლენათა ისტორიული ანალიზი. დასთანებისაგან განსხვავებით, წინგადადგმული ნაბიჯია გმირთა ხასიათის ფსიქოლოგიურ ასპექტში განხილვა. შამსის, მარიაშის, ომიდვარის ფსიქოლოგიურად მოტივირებულ საქციელს უპირისპირდება დასთანების პერსონაჟთა უმიზნო, მექანიკური მოქმედება.

„შამსი და თორღას“ შესწავლამ ხელი უნდა შეგვიწყოს მთავარი და არსებითი საკითხის გარკვევაში: განვითარების რა ეტაპები განვლო სპარსულმა ისტორიულმა რომანმა, დროთა ვითარებაში როგორ იცვლებოდა ამ ქანრის შემადგენელი ნაწილები, როგორ ხდებოდა „ტრადიციის გადალახვა და ისტორიული ეპოქების ახლებურად წარმოსახვა“⁵⁹.

პირველმა სპარსულმა ისტორიულმა რომანმა „შამსი და თორღა“ ხელი შეუწყო რომანისტთა ახალი თაობების აღზრდას, თანამედროვე სპარსულ პროზაში ამ საყურადღებო ქანრის დამკვიდრებას.

59 გ. ზაუტაშვილი, ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის კომპოზიციის ზოგიერთი საკითხი, ლიტ. ძიებანი, XIII, 1961, გვ. 147.

ნაწილი სსსკმ

„წარტყუნებად იერუსალჟმისადს“ შესწავლის ისტორია

ძველ ქართულ ლიტერატურაში თარგმნილ ძეგლთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „წარტყუნება იერუსალჟმისაჲ“. ამ თხზულებაში ასახულია ისტორიული ფაქტი VII საუკუნის დასაწყისის ბიზანტიის იმპერიის ცხოვრებიდან. რღვევის გზაზე მღვარ იმპერიას დიდი ზიანი მიაყენა იმპერატორ ფოკას რვაწლიანმა სამარცხვინო მმართველობამ (602—610). ამას ერთვოდა გარეშე მოძალადეთა განუწყვეტელი შემოტევებო. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ სპარსეთის შაჰები.

610 წელს კეისარ ფოკას თავს დაესხა მხედარმთავარი ჰერაკლე და ჩამოაგდო იგი ტახტიდან. 5 ოქტომბერს დილით წმინდა სტეფანეს ტაძარში ჰერაკლე იმპერატორად აკურთხეს¹. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართულ მატთანეს. იგი ამის შესახებ გვაუწყებს: „გამოჩნდა საბერძნეთს კაცი ერთი, თვისი მავრიკ კეისრისა, სახელით ერაკლე. ამან მოკლა ფოკას კეისარი და დაიპყრა საბერძნეთი“².

614 წელს (ჰერაკლეს მეფობის მეოთხე წელს) ბიზანტიის იმპერიას თავს დაატყდა დიდი უბედურება: სპარსეთის შაჰმა ხოსრო II ფარვიზმა ისე დალაშქრა პალესტინა (რომელიც იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო) და მისი ცენტრი იერუსალიმი, რომ მას შემდეგ ამ მხარეშე წელში გამართვა ველარ შეძლო³. სპარსელებმა უმოწყალოდ გაანადგურეს და გაძარცვეს იერუსალიმი და მისი შემოგარენი. ათასობით ქრისტიანი დახოცეს და ნაწილი დაატყვევეს ზაქარია პატრიარქთან ერთად, წარიტაცეს ქრისტეს ძელი ცხოველი. „მას ეამსა მანრეე მეფემან ქასრე წარმოტყუენა იერუსალემი და წარიყვანა ძელი ცხოვრებისა“, — აღნიშნულია ჩვენს მატთანეში⁴. ჰერაკლემ მოიკრაბა ძალი და საპასუხო ლაშქრობა მოაწყო სპარსთა წინააღმდეგ: „განძლიერდა იგი და მიიყვანნა დასავლეთით თურქნი. და შეკრიბნა სპანი ურიცხვნი, და წარმოემართა სპარსეთად, ძებნად ძელისა ცხოვრებისასა და მოვიდა პირველად ქართლს“⁵.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ასე გადმოგვცემს ამ ამბებს: „წარვიდა ჰერაკლე და შემუსრა ბაღდადი და შეიპყრა ხუასრო მეფე და მოღებად სცა ძელი ცხოვრებისა და იწყო ბრძანებით მშენებად იერუსალჟმსა. და მოდისტოს დასუა პატრეაქად“⁶.

¹ Ю. Кулаковский, История Византии, т. 3. Киев, 1915, стр. 26—29.

² „ქართლის ცხოვრება“, I, ს. ყუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 223.

³ Н. П. Кондаков, Археологическое путешествие по Сирии и Палестине, СПб., 1904, стр. 174.

⁴ „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 223.

⁵ იქვე, გვ. 223—224.

⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1964, გვ. 96.

აღსანიშნავია, რომ ჰერაკლეს ბრძოლაში სპარსთა წინააღმდეგ ქართველებიც მონაწილეობდნენ⁷. უფრო მეტიც, ჰერაკლეს ჯარისა და მეთაურთა მთავარ დასაყრდენ ძალას ქართველები, მათ შორის ლაზებიც, შეადგენდნენ⁸.

მოგზაურობისათვის მე უკვე დიდი ხანია ექისი-შვიდიოდე წლის საშუალო კეიცი ვიყიდე, რომელიც წარმოშობით ადგილობრივი წებუდავცე ჩინის იყო.

3.2. Глагол *происходить* управляет именительным падежом и родительным падежом с предлогом «от»: $N_n^1 V$ от N_g^2 . В данной синтаксической конструкции при переводе на грузинский язык следует различать две разновидности:

3.2.1. Когда N^1 — существительное одушевленное. В этом случае в грузинском имеем конструкцию, по рисунку синтаксических связей аналогичную приведенной нами в пункте 3.1.

Например:

Ржевский происходит от древнего боярского рода. (Пушкин, Арап Петра Великого).
 წარმოიშობა რევესკი ძველი ბოიარული გვარიდან იყო.

3.2.2. Когда N^1 — неодушевленное существительное, а N^2 — одушевленное: $N^1_{(неодуш)} V$ от $N^2_{(одуш)}$. Глагол в данной конструкции не имеет синонимической замены «быть по происхождению». При переводе на грузинский язык русскому глаголу V в составе данной структуры а грузинском соответствует глагол V^1 , и приведенной русской конструкции в грузинском языке соответствует конструкция, не отличающаяся характером своих синтаксических связей от исходной русской структуры. Например:

По рассказам, лет двести тому назад здесь поселился разбойник Пермяков... от него и произошло настоящее население Пермяковой. (Мамши-Сибиряк, Бойцы).
 გადმოცემით, ორასიოდე წლის წინათ აქ დასახლდა ყაჩაღი პერმიაკოვი... სწორედ მისგან წარმოიშვა ახლანდელი პერმიაკოვის მოსახლეობა.

3.3. Русский глагол происходить может управлять также именительным падежом и предложным с предлогом «в»: $N^1_n V$ в N^2_p . Грузинским соответствием для глагола происходить в составе данной конструкции является глагол „მოხდობა“ требующий именительного падежа и дательного с послелогом -ში: $N^1_n V N^2_{d+ში}$. Например:

Андрей догадался, что в доме произошла какая-то ссора. (Бубёнов, Белая берёза).
 ანდრია მიხვდა, რომ საშლიში რაღაცა უსიამოვნება მოხდა.

В движущейся толпе произошло волнение. (Л. Толстой, Война и мир).
 მოძრავ ხალხის გროვაში აღელვება მოხდა.

3.4. Наконец, глагол происходить может управлять именительным падежом и творительным с предлогом «между»: $N^1 V$ между N^2_i . В данном случае грузинским соответствием русского глагола происходить могут быть глаголы მოხდობა и გამართვა, которые управляют именительным падежом и дательным с послелогом შორის: $N^1 V' N^2_{d+შორის}$. Выбор одного из двух названных глаголов в качестве грузинского соответствия русскому глаголу происходить в составе рассматриваемых конструкций зависит от сочетаемости/несочетаемости названных глаголов с тем или иным словом, входящим в синтаксическую структуру. Ср.: მათ შორის კამათი გაიმართა — გაიმართა, а не* „მოხდა კამათი“. Или:

Какое-то предчувствие говорило им, что происходит между ними, это происходит в последний раз. (Фадеев, Молодая гвардия).
 რაღაცა წინაგანზნობა ეუბნებოდა მათ, რომ ის, რაც ხდება მათ შორის, ეს ხდება უკანასკნელად.

4.0. Подведем некоторые итоги.

4.1. Грузинские падежные эквиваленты для русских форм именительного падежа должны определяться с учетом особенностей управления грузинского глагола, выступающего в качестве лексического соответствия русского глагола, управляющего именительным падежом.

Однако грузинский глагол — наиболее сложная языковая категория — имеет в большинстве случаев две разновидности валентностей: лексическую (= семантическую) и позиционную (= грамматическую). Эта последняя стандартно меняется в соответствии с определенными морфологическими условиями.

4.2. Для удобства поиска и определения грузинского соответствия к беспредложным падежным формам русского языка при АП и, в частности, поиска и определения грузинского эквивалента для русских форм именительного падежа мы сочли необходимым подразделить все глаголы грузинского языка на отдельные типы моделей управления, в которых учитывается как лексическая, так и синтаксическая валентность грузинского глагола.

4.3. При АП с русского языка на грузинский на этапе составления русского словаря основ особо следует учитывать те глаголы, грузинские эквиваленты которых связываются с управляемыми ими словами иными, нежели в русском, синтаксическими связями (ОНД). Эта информация очень важна при синтезе грузинской фазы.

4.4. Поставив перед собой цель — автоматическое определение грузинских падежных эквивалентов для русских беспредложных падежных форм, мы в ходе работы решали ряд побочных задач. Так, нам пришлось давать ряд рекомендаций составителям словаря с тем, чтобы правильно был найден для исходного русского глагола его грузинский эквивалент, от которого затем зависит удачный выбор искомого грузинского падежного соответствия.

Другим важным фактором, определяющим часто успешное выполнение поставленной нами задачи, является точное знание лексико-семантических свойств компонентов модели управления русского исходного глагола. Поэтому мы в ряде случаев проделываем такой анализ русских глагольных моделей управления.

Особое место занимают случаи с устойчивыми словосочетаниями.

4.5. При бинарном переводе лексический эквивалент в языке, на который переводят, представляет собой или прямое соответствие данной лексической единицы языка, с которого переводят, или является прямым соответствием одной из возможных синонимических замен исходного слова.

(Представил: Институт языкознания АН ГССР)

ლეილა ნაზარაიშვილი

ერთი სამართო. ქართველური ძირის შემსახვბ

საერთო-ქართველური ძირების გამოვლინების თვალსაზრისით ყურადღე-
ბას იქცევს სევანური სიტყვა მ გ ჯ კ ა მ, რომელსაც სევანურის ბალსქვემო-
ურ (აგრეთვე ლენტეხურსა და ლაშხურ) კილოში რამდენიმე მნიშვნელობა —
„ვარსკვლავი“, „ნაპერწყალი“, „ციცინათელა“ აქვს¹.

ამ მნიშვნელობებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშან-თვისება: ნ ა თ ე ბ ა .
ე ლ ვ ა რ ე ბ ა , ც ი ა ლ ი ...

მ გ ჯ კ ა მ სიტყვაში შესაძლებელი ხდება ჰკ ძირის გამოყოფა. ამის სა-
ფუძველს იძლევა:

ა. სემანტიკურად მასთან ახლო მდგომი ზმნები და ნაზმნარი სახელები.
რომლებშიც უნდა გამოიყოფოდეს ჰკ ძირი:

ბჟე. ლიჭკვეილიჭკვლუნე „ციმციმი, ციალი“
აჭკვეილაჭკვლუნე „ციმციმებს“
აღჭკვეილაღჭკვლუნე „იციმიციმა“

შესაბამისი მიმღებობები:

მჭკვეილმჭკვლუნე „მოციმიციმი“
ღჭკვეილღჭკვლუნე „აციმციმებული, აცილებული“
ნაჭკვე, ნაჭკვუნე|ნაჭკვლუნე, ნაჭკვლუნუნ „ანაციმციმები“
ლაჭკვეილაჭკვლუნა „საციმციმებელი“
უჭკვეა|უჭკვლუნა „გაუნათებელი“

ლენტეხურსა და ლაშხურში დასტურდება:

ლიჭკივე, ლიჭკივე „სუსტი ნათება“, „ბრწყინვა“, „ციმციმი“
ჭკივე|აჭკივე „ბრწყინავს“, „ციმციმებს“
აღაჭკივე „გაბრწყინდა“...

მიმღებობები:

მეჭკივე „მბრწყინავი“: მ გ ჯ კ ა ი ვ ე თერალ „მოციმიციმი,
მოელვარე თვალები“.

ღეჭკივე „გაბრწყინებული“
ღეჭკივე „გასანათებელი“
ნაჭკივე „განაბრწყინები, განანათები“
ლაჭკივა „გასანათებელი“

შდრ. ლნტ., ლშხ. მგჟკიოლ „ციცინათელა“ (ყინი.), ლშხ. მგჟკმარ „ვარ-
სკვლავები“, ლნტ. მგჟკმარ „ნაპერწყლები“.

¹ ბზ-ში (||ლნტ., ლშხ.) ამ მნიშვნელობების მატარებელია სულ სხვა ძირის შემცველი
სიტყვა: ა ნ ტ ყ ვ ა ს გ | ა მ ტ ყ ვ ა ს გ. შდრ. ძვ. ქართ. მ ო ტ ყ ე ნ ა რ მ „მოგოზგოზე“..., სვ.
ლიტყებ „შეწვა“, ლნტ. ტ ყ ვ ა ს კ „პატარა ნაპერწყლები“, მეგრ. ტ ყ ვ ა ც- ი ტ ა-
ტ უ ნ ი (ნაპერწყლების ყრიოთ)“.

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ მ გ ჯ კ ა მ სიტყვის ჰე ძირი ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ზმნურ ჰე ძირს უკავშირდება, ხოლო თვით ეს სიტყვა წარმოშობით მოქმედებითი გვარის მიმღეობა უნდა იყოს, რომელსაც ამჟამად დაუკარგავს ასეთი გაგება.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ბალსზემოურში არ დასტურდება მ გ ჯ კ ა მ მიმღეობის ამოსავალი ზმნური ფორმა (შდრ. ბქე. ლიქვევე...): პირიქით, ზმნებისა და მასდარისათვის ამ კილოში სწორედ ეს სიტყვა გამხდარა საწარმოებელ ფუძედ. მაგალითად:

ლი-მჰეგმ-ე „ნაპერწყლის ყრა“

ა-მჰეგმ-ე „ნაპერწყლებს ყრის, ბრწყინავს“

ზმნის ამგვარი მეორეული წარმოება მიმღეობისაგან ბუნებრივია სვანურისათვის. შენიშნულია, რომ სახელზმნების საწარმოებელ პრეფიქსებსა და ფუძეებს შორის ამჟამად უფუნქციო მ თანხმოვანი წარმოშობით აწმყო დროის მიმღეობის პრეფიქსია. მ პრეფიქსი სახელის ფუძეში რჩება მასდარის თავსართით წარმოების დროსაც. ეს ამოსავალი ფორმა სწორედ ბალსზემოურშია დაცული. მაგალითად:

ლი-მ-ჰ-ე (—*ლი-მე-ჰ-ე) „დამწიფება“ (შდრ. მე-ჰ-ი „მწიფე“)

ლი-მ-შვრ-ე (ბზ.) —*ლი-მე-შვრ-ე „წყენა“ (შდრ. მე-შერი „მაწყინარი“) (ლზმ.) ლი-მ-ჩაღ—(ლნტ.) ლი-მე-ჩაღ „სიბერე“ (მე-ჩი „ბებერი“).

ამავე რივისაა აწმყოს მიმღეობის საწარმოებელ ფუძედ გამოყენება ნაპრეფიქსიანი ნაწყოს მიმღეობისათვის:

(ლზმ.) ნა-მ-ჰედჷ—(ლნტ.) <ნა-მე-ჰედჷ „მოსული“ (მე-ჰედ „მომსვლე-ლი“)².

მსგავსი წარმოება ლენტეხურსა და ლაშხურშიც დასტურდება: ლი-მჰეკამ-ე „ციმციმი, ბრწყინვა, ნაპერწყლების ყრა“, ა-მჰეკამ-ე „ნაპერწყლებს ყრის“. ეს მოვლენაც უნდა მიუთითებდეს ჰე ძირისა და მიმღეობის საწარმოებელი აფიქსების გამოყოფის შესაძლებლობაზე.

ბ. სვანურის ამავე კილოებში დასტურდება ანალოგიური წარმოების სიტყვა: მ გ ლ ა მ „ალი“: ძელაშ მ გ ლ ა მ ახბგდ „ილიას ალი მოედო“ (ლიბგდ „ცეცხლის გაჩენა, (ალის) მოდება“)³. შესაბამისი მასდარული ფორმებია:

ბქე. ლიჰლალ „ელვა, გაელვება“ („გაალება“)

შდრ. ||ლიჰლალენე თვეთნად „თეთრად ელვა“

ლიჰლიელ „ელვა“ (ბჩ.)

ლიჰლალ „ელვა“ (ბზ.)

მასდარული ფორმები ნაწარმოებია ჰელ („ალი“) სახელისაგან, რომელშიც მ ფონეტიკური დანართია⁴. ხოლო მიმღეობა კი მასდარული ფორმებისგანაა ნაწარმოები⁵: მამ, მგლამ←*მგჰლამ←*მგჰელამ. მასში უდავოდ გამოი-

² მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ნაზალურ თანხმოვანთა დაკარგვისა და განვითარების საკითხისათვის სვანურ ენაში, იპმ, VI, 1954, გვ. 184.

³ მაგალითი მოგვაწოდა მ. ქალდანმა.

⁴ ცნობილია, რომ სვანურისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა ფუნქციური შემართვა. იხ. ჩ ბ. პარტამ „ბოსტანი“, უშე. ჰაშმა „ეშმაკი“; შდრ. ქართულიდან შესულ სიტყვებში: ქართ. არაყი, ბზ. პარაყ; ქართ. ალი, ბქე. ჰელ; ქართ. ევეი, ბქე. ჰეჰჷ... ს. ე ლ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 122—123.

⁵ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, I, სვანური ენა. I. ზმნა, თბილისი, 1961, გვ. 213.

ყოფა მგ- პრეფიქსი და -ამ სუფიქსი და ამდენად ლ (—ველ) ძირის გამოყოფა ექვს არ უნდა იწვევდეს. მ გ ლ ა მ ამჟამად გასუბსტანტივებული მიმღეობა ჩანს.

ამგვარად, სვანურში, ერთი მხრივ, სემანტიკურად ახლომდგომი ჰკ ძირის შემცველი ზმნური ლექსიკური ერთეულები, ხოლო, მეორე მხრივ, ანალოგიური წარმოების მაგალითი (მგ-ლ-ამ), აგრეთვე ზემოთ განხილულ სახელ-ზმნათა ხელახალი წარმოების შემთხვევები სვანურში საფუძველს იძლევა მგ ჰკ ა მ სიტყვაში ჰკ ძირის გამოსაყოფად. მგ-ჰკ-ამ, ისევე, როგორც მგ-ლ-ამ, გასუბსტანტივებული აწმყო დროის მიმღეობა ჩანს. იგი უნდა ნიშნავდეს „მანათობელს“, „მოელვარეს“, „მოკაშაშეს“, „მოციმციმეს“...

ამ ძირის შესატყვისები სხვა ქართველურ ენებშიაც იძებნება. კერძოდ ჰანურში, სარფის მეტყველებაში დასტურდება ჰკ(ვ) ძირის შემცველი ზმნა, რომელიც სემანტიკურად ახლოს დგას ზემოთ აღნიშნულ სიტყვებთან:

ო-ჰკ-უ||ო-ჰკ-ინ-უ „გავარვარება“, „გამოწევა“ (მაგ., კეცისა...).

ქაუმეში თხილი ჰკ ვ ე ი კიცის ქოგაობლათან — „ჩურჩხელისთვის თხილს გახურებულ კეცზე დაყოიან“⁶.

არ ხჩინიქ ძურნიშა არ კიცი ქომულუ გამომჰკ ვ ი ნ უ შე ნ ი — „ერთმა დედაბერმა ფურნეში ერთი კეცი მოიტანა გამოსაწვავად“⁷.

მყო(რ)აქ დილო გემო ჰკ უ ფ ს — „მზე ძლიერ მაცხუნებს, მწვავს“ (სარგ.).

ჰანურში ყურადღებას იქცევს აგრეთვე სიტყვა პინჰკუ, რომელიც სარფის მეტყველებაში ცივინათელას ნიშნავს და ჰკ კომპლექსს შეიცავს⁸.

მეგრულში იგივე ჰკ ვ კომპლექსი გვაქვს სიტყვაში გ-ო-ჰკ ვ ა ქ-უა „ციმციმი, ბრწყინვა“, რომელიც დადასტურებული აქვს ი. ყიფშიძეს ლექსიკონში: ი ჰ კ ვ ა ქ უ მურიცხი — „ვარსკვლავი ციმციმებს“.

ცაქ მურიცხეფით გ ი ი ჰ კ ვ ა ქ უ — „ცა ვარსკვლავებით აციმციმდა“⁹.

აქაც ჰკ კომპლექსს ვ ახლავს (ჰკ ვ-).

სვანურში ამჟამად ლაბიალური უ თანხმოვანი ჰკ ძირთან არ დასტურდება, მაგრამ ზანურისა და ქართულის მონაცემების საფუძველზე ხერხდება მისი აღდგენა. ამაზე ქვემოთ.

ამგვარად, ზემოთგანხილულ სვანურის, ჰანურისა და მეგრულის მაგალითებში ჰკ(ვ) საერთო ძირი ჩანს.

როგორც ცნობილია, ქართული ჰ-ს ფონეტიკური შესატყვისია ზანურში ჰკ (ქართ. ჰ ე დ ვ ა — ზან. ჰ კ ა დ — სვ. შ კ ა დ), მაგრამ ამასთან არის შემთხვევა, როცა ქართულში ჰუ გვაქვს ჰაჰ-ს შესატყვისად. ზანური ჰკ ვ და ქართული ჰვ ძირეული მასალის შესატყვისობის მაგალითს წარმოადგენს:

ქართ. ჰიანჰველა — ძვ. ქართ. ჰი-ნ-ჰუ-ელ-ი

ჰან. დუ-მ-ჰკუ||დი-მ-ჰკუ

⁶ არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, I — ხოფური კოლოკავი, თბილისი, 1929, გვ. 156.

⁷ ი. ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, ტფილისი, 1939, გვ. 8.

⁸ საკითხი ისმის ამ სიტყვის მიმართებისა ჰან. ნოპინწკალე-სთან „ნაერწყალი“.

⁹ И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (инверского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914.

შდრ. მეგრ. კვი-კვი-ტი-ა||ჭვი-ჭვი-ტი-ა¹⁰.

შდრ. სვ. მგრშკ „ვიანქველა“

ამგვარად, აქ გვაქვს ქართ. ჰვ, ზან. ჰვგ, სვ. შკ; შესატყვისობა¹¹.

ზან. ჰკ, სვ. ჰკ (და არა შკ) შესატყვისობა უნდა მიუთითებდეს უფრო ადრინდელ (დენაფორიკატიზაციამდელ) ენობრივ საფეხურზე. შდრ. ზანურ-სვანურ აფორიკატა შესატყვისობის სხვა შემთხვევები:

ქართ. ჰრა — მეგრ. ჰვირუა — ჰან. ოჭკოროუ||ოჭვიროუ — სვ. ლიჭკვერე
ძველი ჰვეში ჰჩინელ
ძვ. ქართ. მოწყუედა ჰვეალუა ლიჭკეე||ლიჭკეე¹².

თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოგანხილულ შესატყვისობას, ქართულში შეიძლება დაგვეძებნა ჰვ ძირის შემცველი სიტყვები, რომლებიც სემანტიკურად ახლოს დგანან სვანურისა და მეგრულ-ჰანურის ზემოთ განხილულ სიტყვებთან. ასეთებია: გამოსჭვივის, გამჭვირვალე, ჰვირი, სჭვირს¹³. ჰვ ძირის შემცველი სიტყვები ქართულში შინაარსით ყველა „სინათლეს“, „შუქს“, „ნათებას“¹⁴ უკავშირდება. საილუსტრაციოდ მოგვეყვას ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“:

თერთა კბლთათ გამოკრთების თერთი ელვა ვითა ჰვირი (135)

...შენთა შუქთა შემომადგამ, ბნელსა გულსა ვითა მჭვირსა
შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა (409)

ვარლსა ზღუნდეს, ბაგეთაგან კბილნი თერთნი გამოსჭვირდეს (279).

შუა ძოწსა და აყისა სჭვირს მარგალიტი ტუუები (1146)

ამავე მნიშვნელობით გვხვდება ჰვირს სიტყვა თეიმურაზ I-ის „მაჯამაშიც“:

¹⁰ არს. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 114; თ. გამყრელიძე, სიბილანტოა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959, გვ. 77.

¹¹ ცნობილია დენაფორიკატიზაციის (სპირანტიზაციის) პროცესი სვანურში (ჰ→შ, ჭ→ე...), რაც უფრო გვიანდელ პოლენადა მიჩნეული (ე. თ. თ. ურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იპმ, XII, 1960, გვ. 151—155; გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იპმ, IV, 1953, გვ. 46—47; თ. გამყრელიძე, დენაფორიკატიზაცია სვანურში, გაღაწერის წესები დიქტონულ ფონოლოგიაში, თბილისი, 1968).

¹² საინტერესოა ამის შესახებ კ. ჯ. შმიდტის მოსაზრება: „გადაქარბებულად მეჩვენება სვანურში ქართულიდან ან ზანურიდან ნასესხებად ჩათვლა იმ სიტყვებისა, რომლებიც სვანურში თავის აფორიკატენ ინარჩუნებენ (სვ. ჰარლუ: ქართ. ძარლვი, მეგრ. ჰარლვი) სურდურ Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache von K. H. Schmidt, Wiesbaden, 1962, გვ. 60.

¹³ გამჭვირვალე — სინათლის შუქის გამტარებელი: გამჭვირვალე, ვითა ბროლი (გ. ტაბიძე), განმ. ლექსიკონი, II, 1951; ჰვირი — სხივი (რამეში გამოტანებული) ||ძვ. შუქი; განმ. ლექს. VIII, სჭვირს — ძვ. იგივეა, რაც გამოსჭვივის. — იმ ელემენტის გამოყოფის საფუძველს გააძლევს ამჭვრად მხოლოდ ჰვირ ჰვიე (გამოსჭვივის) ფუძეთა შეპირისპირება.

¹⁴ ქართულში შესაძლოა გვქონდა *ჰვის ტიპის ზმნა, შდრ. თრთის, ძრწის, კრთის... რომელსაც შინაარსით უნდა გამოეხატა (გამო)ნათება, ელვარება; ციმციმი, ცილი:

იგ არს პატიუთა მიზეზი, სად ვარდს ქვეშ ბროლი სქვირაესო, სული მას მიჰყავს, არ ვიცი, ჩემთვის რა გაუპირავსო¹⁵.

ვე ძირი უნდა გვეჩვენოს სიტყვებში: ქართ. ქვერეტა, ქვერიტე. საინტერესოა, რომ სევანურში მათი შესაბამისი სიტყვა ვე ძირის შემცველია: ლტ. ლაქკივა — „ქვერიტე“, „ქუჭრუტანა“.

ამ სიტყვაში წარმოდგენილი ჰქვავ < *ჰკჷივ ფუძე უნდა იყოს ზუსტი შესატყვისი ქართ. ჰჷივ ფუძისა, რომელიც შემონახულია სიტყვაში — გა-მო-ს-ჰვივ-ის.

სვ. ლაქკივა < *ლაქკჷივა (ქართ. *საჰჷივე). ეგვე ფუძე უნდა იყოს წარმოდგენილი სვ. მასდარში ლიქკივე < *ლი-ჰკჷივე; ხოლო ი-სა და გ-ს მონაცვლეობა ბუნებრივია სევანურში: ლიქკვე < *ლიქკჷვე; ლიქკ-გლუნე < *ლიქკჷგლუნე...¹⁶.

ამრიგად, ქართველურ ენებში დასტურდება უძველესი საერთო ზმური ძირი ჰქვ|ჰვე: სახელდობრ, სევანურში, ზანურში ჰქ(ვ)-ს სახით, ხოლო ქართულში ჰვ-ს სახით.

Л. А. НАДАРЕЙШВИЛИ

ОБ ОДНОМ ОБЩЕКАРТВЕЛЬСКОМ КОРНЕ

Резюме

В статье дается попытка выделить корень ჰქ(ვ) ღკ(v) в семантически близких словах сванского и мегрело-чанского языков (св. მგქკამ მაღკამ „звезда“, „искра“, „светлячок“; ლიქკვე || ლიქკლუნე; ლიქკივე ličkave || ličkəlune; ličkive „мерцание“... чан. ოქკუ || ოქკინუ očku || očkvinu „накаливание“, „выжигание“, мегр. გოქკვაქკუა gočkvačkua „мерцание“, „блистать“).

Предполагается, что этот корень должен соответствовать грузинскому ჰვ ღv, засвидетельствованному в семантически близких словах ჰვირი ღviri „просвет“, გამოსჰვივის გამაჰვივის „просвечивает“ и т. п.

Исходя из основы груз. ჰვივ ღviv предполагается наличие ვ v и в сванских словах: ლაქკივა < *ლაქკივა lačkiva < *lačkivna „щель“, „просвет“; ლიქკივე < *ლიქკივე ličkive < *ličkivne „мерцание“...

Таким образом, древнейший общекартвельский корень представлен в сванском и занском в виде ჰქ(ვ), ღკ(v), в грузинском — ჰვ ღv.

¹⁵ თეიმურაზ I, აღ. ბარამიძისა და გ. ჩაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934, გვ. 114,2.

¹⁶ სვ. მგქკამ-ში ჴ-ს აღღენა შესაძლებელია ჩანს: *მე-ჰკჷ-ემჷ — მე-ჰკ-ემჷ — მე-ჰკ-ამ, შდრ. სე-ჴჷირი — ჴირჷ „ჴური“.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში)

იზა ჩანტლაძე

საზოგადო და გეოგრაფიულ სახელთაგან მომდინარე ადგილის
ზმნისართები სვანურში

ცნობილია, რომ მარტივი (უთანდებულო) მიცემითი ძველ ქართულსა და თანამედროვე დიალექტებში გამოიყენება ადგილის გარემოების ფუნქციით როგორც საზოგადო, ისე გეოგრაფიულ სახელებში. დღევანდელ სალიტერატურო ენაში ამგვარ მნიშვნელობას თანდებულიანი ფორმები შეესაბამება, თუმცა ძალზე იშვიათად, გამონაკლისის სახით, შესაძლოა, ძველი კონსტრუქციის ნაშთებიც შეგვხვდეს. ამ მხრივ ზანურისა და მით უფრო სვანურის ვითარება შედარებით სტაბილურია. ცოცხალ მეტყველებაში საკმაოდ მყარ მდგომარეობაშია ე. წ. ლოკალური მიცემითი. რაც შეეხება ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენას, აქ კიდევ უფრო ხშირია ადგილის გარემოების გადმომცემი უთანდებულო მიცემითი. ამრიგად, აღნიშნული თვალსაზრისითაც ქართულთან შედარებით სვანურს არქაული სახე დაუცავს. როგორც ჩანს, ლოკალური მნიშვნელობით მიცემითის ხშირად გამოყენებამ სვანურის გრამატიკული ანალიზის პირველ ავტორს გ. როზენს ლოკალური ბრუნვა ცალკე გამოაყოფინა და მისი მწარმოებელი სა მიცემითის ფორმანტთან დააკავშირებინა¹.

მარტივი მიცემითი ყველაზე ხშირად სვანურ იდიომატურ გამოთქმებსა და გაქვევებულ საქცევებში გვხვდება. ასეთ შემთხვევებში ძნელდება მიცემითის თანდებულიანი ფორმებით შეცვლა. ახალ ქართულში მიცემითი ბრუნვის მიერ ძველი ფუნქციების დაკარგვის ტენდენცია შეინიშნება, რასაც ძირითადად თანდებულები წარმართავენ². სვანურის შესახებაც შეიძლება იგივე გავიმეოროთ, ოღონდ მხოლოდ ნაწილობრივ; ე. წ. ადგილის მიცემითი სვანურში დღეს ისეთ კონსტრუქციებშიც კი იხმარება, რომელთაც ქართულში უთანდებულოდ ვერ გამოვიყენებთ. ქართულ-სვანური ანალოგიური კონსტრუქციების მთლიანი იდენტიფიკაცია ყოველთვის შესაძლებელი არ არის. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ ლოკალური ცნების აღმნიშვნელი სიტყვა სვანურში ზოგჯერ ზმნის პირმიმართი სახელია, ირიბი დამატებაა. მისი პირი ზმნაში აისახება და ამიტომ ბუნებრივია, თუ ასეთი სიტყვა, როგორც წესი, მარტივი მიცემითის ფორმით წარმოგვიდგება. ახალ ქართულში ამგვარ წინადადებებს ან ორივეგვარი კონსტრუქცია შეესატყვისება (ე. ი. ირიბი ან უბრალო დამატების შემცველი, შესაბამისად, მარტივი თუ თანდებულიანი მიცემითი), ან მხოლოდ ერთი და ისიც თანდებულის შემცველი:

¹ G. Rosen. Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische. Philologische und historische Abhandlung der Königl. Akademie der Wissenschaften zu Berlin, 1845, გვ. 420.

² ე. ბაბუნაშვილი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში (სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით), სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1, თბ., 1956, გვ. 398, 402; ნ. ბესიძე, თანდებულო სვანურში (ბალსზემოური კილოს მასალების მიხედვით), თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 7, თბ., 1955, გვ. 293.

ამხე ტოტშე დეცხ სოჯდური — ერთი ხელთ ცას || ცაჲჲ ჰკილია (სე. პრაზ. ტექსტ., I, ბზ. კილო, 364, 23); ლახვარს მესე ზნდენა—მთებს || მთებზე თოელი სდებია (სე. პრაზ. ტექსტ., II, ბჟე. კილო, 244, 23); ამალიბელარს ხოჩა ჯანარსი ზაბეშ—ასეთნარებს კარგ ზარგზსაც || ხარგზზეც აბამენ (ლუშ., არს. ონ., 6, 24); გვიფლდის ზოდგარ— გულს || გულში აბგერა (სე. პოეზ., 16, 32); დლილ კოჲას ზელღეაღა—ღალი კლდეში მშობიარობს (იქვე, 268, 1); დლილ კოჲას ჰა ლახსგია—ღალი კლდედან გადმოიხედა (იქვე, 272, 36); დლილ კოჲას იფიფელე—ღალი კლდეში მოსთქემას (იქვე, 268, 19); მოსალოდნელი იყო თითქმის „კოჲას ზეფიფელე“ ან „კოჲასგა იფიფელე“; ჰოჩულ შგორის ზებევე ი—ჰოჩულ დეკაში (შვერში) იმალება (იქვე, 14, 52); აღიში ვოლას ზელზიგე—აღიში მყინვარზე სახლობს (იქვე, 216, 61); ლახშგლს... გელზაპლი ზეზგე—ლახამულაში ლახამულელი ცხოვრობს (II, 281, 9—10); შდრ. ლახშგლს || ლახშგლისგა იხვეჲ ზეანარ—ლახამულაში ცხოვრობენ სეანები (ბჟეჲ.); რაშხ ჩოხჭახ—გადმოხტა რამიდან (I, 115, 11), ან გერგულ ჩოხჭახ ჩვევ-ვიორგი გადმოხტა ცენეღაჲ (იქვე, 321, 5)..

თავდაპირველად ლოკალური ცნების აღმნიშვნელი სიტყვების უმრავლესობა ზმნებთან ორგანულად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო. მათი წარმომადგენელი მორფემა ზმნაში არსებობდა. ამიტომ გვექონდა ასეთი შესიტყვებანი: „კლდეს ემშობიარება“ და არა „კლდეში მშობიარობს“, „კლდეს გადმოხედა“ და არა „კლდიდან გადმოიხედა“, „შქერს ემალება“ და არა „შქერში იმალება“, „მყინვარს ესახლება“ და არა „მყინვარზე სახლობს“...

ამგვარი კონტექსტები უხვადაა ძველი სვანური სიმღერების ენაში. იგი არც თანამედროვე ცოცხალი მეტყველებისთვისაა უცხო. მას შემდეგ, რაც მარტივი მიცემითი ძალიან ხშირად გამოიყენებოდა ლოკალური მნიშვნელობით, თანდათანობით მოწყდა იგი ზმნას, იქცა მეორეხარისხოვან წვერად (ჩერ, აღბათ, უბრალო დამატებად, შემდეგ კი ადგილის გარემოებად); მაგრამ მიცემითი სხვა ფუნქციებითაც იყო დატვირთული. როგორც ჩანს, მათგან დიფერენციაციის გამო ამა თუ იმ ადგილისა ან მიმართულების გამოხატვა იყისრა ზმნის პრევერბმა („დლილ კოჲას ჰა ლახსგია“), მანამდე კი მარტივი მიცემითი ზინც იხმარებოდა ლოკალური მნიშვნელობით, ოღონდ მისი წარმომადგენელი ზმნაში აღარ იყო (შდრ. „კოჲას იფიფელე“ და არა „ზეფიფელე“). მას შემდეგ, რაც პრევერბისეული ელემენტები სახელდება დაუკავშირდა, რათა ლოკალური შინაარსი კიდევ უფრო მკრტი ინტენსივობით გამოხატულიყო, მივიღეთ თანდებულისანი ფორმები. ამრიგად, სეანურმა ფი, ჩუ, სგა/სკა, ჰა ნაწილაკები ორი ფუნქციით აღჭურვა. მატერიალურად ერთი და იგივე ელემენტი ზმნასთან პრევერბის მოვალეობას ასრულებდა, სახელთან — თანდებულისას, ორსავე შემთხვევაში კი ადგილსა თუ მიმართულებას აღნიშნავდა³. ახალი ფორმების გვერდით არსებობას განაგრძობდა უთანდებულო მიცემითი. ამიტომ ბუნებრივია, თუ სვანური ერთსა და იმავე კონტექსტებსაც კი გადმოსცემს როგორც ძველი, ისე შედარებით ახალი კონსტრუქციებით. ყველაზე ხშირად მარტივი მიცემითი და -ისგა თანდებულისანი ფორმა ენაცვლება ერთმანეთს; თანდებულისანი ფორმები ქარბობს ლაშხურ-ლენტეხურში (ჩვენ ხელთ გვექონდა არსენ ონიანის მიერ შეკრებილი და ნ. მარის რედაქტორობით გამოცემული ლაშხური ტექსტების — „ლუშნუ ამბვარ ლგლანხუ შუ-

³ იქ, სადაც სათანადო ილუსტრაციას არ ახლავს შესაბამისი გვერდისა თუ სტრიქონის მაჩვენებელი აღნიშვნები, ივლისსმება სვანურ-ქართული ლექსიკონის (ხელნაწ.) მონაცემები ან სვანეთში ყოფნის დროს ჩვენ მიერ შეკრებილი მასალები.

⁴ ე. თ. ფ. რ. ი. ა, სვანური ენა, I, ზმნა, შრომები, თბ., 1967, გვ. 63; Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X., Тбили., 1890, გვ. XLVII; G. Deeters. Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930; გვ. 16.

მი ნინშუ“ ბალსზემოური ვარიანტი, რომელიც შეადგინა მ. გუჭეჩიანმა. შედარებისას ირკვევა, რომ ლაშხურ თანდებულის ფორმებს მეტწილად მარტივი მიცემითი ენაცვლება ბალსზემოურში;

1. ს- ისეა (ბზ., ბქვ.), ისეა (ლნტ.), ისა (ლშხ., ლნტ.)⁵

ქორს || ქორსიგა—შინ, სახლში (ზ. სვ.); ქორს || ქორისა (ლშხ. 18, 13—15); ქორს მერდე (ლშხ., 7,13)—შინ მყოფი || ქორისა მერდას? (იქვე, 11,7)—შინ მყოფს; ტაბაგანს (ბზ.) || ტაბაგისა (ლშხ., 44,28)—ტაბაკთან; ბარჯას (სვ. პ., 86,69), ბარჯს (იქვე, 44,10) || ბარჯილისეა (იქვე, 214,33)—ბეკვი; გვამას (სვ. პ., 56,8) || გვამარისეა (I, 3,2)—მკარღში; კოჭას (სვ. პ., 268,19) || კოჭისეა (იქვე, 326,32)—კულეში; მურყევას (სვ. პ., 224, 131; 78,58; 6,3; I, 1,11) || მურყევამისეა (სვ. პ., 178,4; I, 2,1; 145,26)—კოშკში; გვალს || გვალისეა (ბქვ.)—გვალში; ქალას, ქალასს (სვ. პ., 168, 22—25; 152,14; 154, 68) || ქალასეა (I, 63,26) || ქალასთესეა (I, 63,21)—ბეობაში; პილს || პილსთესეა (ბზ.), პილსთესეა (ლშხ.)—პირას; ცხესს || ცხესთესეა (ბზ.)—ტყეში; ხაშესს || ხაშესთესეა—სამოთხეში; ნაღბესს || ნაღბესთესეა (ბზ.)—ციხეში; ბაშხანს (ბზ.) || ბაშხანსა (ლნტ.)—ბაშხანში; ძირის (სვ. პ., 272,37) || ძირისეა (II,206,1)—ძირას, ძირში; ცხესს || ცხესთესეა (ბზ., ბქვ., ლშხ., 13,26)—ტყეში; ცხესტარს (სვ. პ., 162,42) || ცხესტარისეა (იქვე, 66,1), ცხესტარისას (ლშხ., 13,29), ცხესტარისკა (სვ. პარზ. ტ., ლნტ., III, 16,13)—ტყეებში; ნენჩას (II, 225,38) || ნენჩაისეა (იქვე, 229,4)—წიწვიან ტყეში; ხოფლარს (II, 1,19) || ხოფლარისკა, ხოფლარისეა (III,14, 23—39)—სოფლებში; ლახასს (ბზ.) || ლახასისა (III, 189,30)—საღორეში; ლეგვარს (სვ. პ., 252,17) || ლეგვარისკა (III, 120,20)—წიხვებში; ლუცას (სვ. პ., 62,10) || ლუცისეა (II, 16,11), ლიციას (იქვე, 123,33), ლიცობას (იქვე)—წყალში; ლუცარს (ბზ.) || ლიცარისა (ლშხ., 2,30)—წყლებში; კუხს || კუხისეა (ბქვ.)—კუბოში; ლახეს (I, 12,32; II, 84,27; III, 95,32; 15,11; 71,2; 36,7; 16,5... ლშხ., 12,34; მეგმ. ეახ., 9,32) || ლახესისა (III, 95,33; მეგმ. ეახ., გვ. 24)—ტყეში; ლახტარს (I, 48, 17; II,225,30) || ლახტარისეა (II, 225,28), ლახტარისკა (III, 15,30—38), ლახტარისა (მეგმ. ეახ., გვ. 14)—ტყეებში; ტუხას (სვ. პ., 6,18), ტუხისს (ბზ.) || ტუხისეა (II, 84,8), ტუხისკა (III, 45,18)—ლეღეში;

2. ს—თე (ენნ)

ბარჯას (სვ. პ., 242, 14; 36,3), ბარჯს (სვ. პ., 272,33) || ბარჯთე (სვ. პ., 192,94; I, 2 07,17; III, 224,17), ბარჯენ (I, 167,25); თხუნ (I, 24,19; სვ. პ., 54, 48—71; 256, 39; 172,23; 272,50); თხუნას (სვ. პ., 160,36; 64, 24; 2,9; 100,6; 162,18; 136, 15), თხუნს (სვ. პ., 62,8) || თხუნთე (სვ. პ., 36,14; 206,57; 272,48; 100,69; 304,50; I, 65, 20)—თავზე; ლარტეს (ბზ.) || ლარტეთე (სვ. პ., 220,49)—ქამარზე; ნებგვას (სვ. პ., 76, 55) || ნებგვათე (იქვე, 80,33)—ღუბლზე; ლიცს (ბზ.) || ლიცთე (სვ. პ., 252,3)—წყალზე; ჩევეს (სვ. პ., 278,49) || ჩოქთე (ლშხ.)—ჩოქზე; გიშას (სვ. პ., 40,25) || გიშეთე (III, 113,6)—მიწაზე; კას (სვ. პ., 116,9) || კათე (იქვე, 92,74) || კერანჯა (ბზ.)—კერიის ფიტელ ქვაზე; ადგილთე (III, 95,25) || ადგილს, ადგის (ბზ.)—ადგილას; თანწლთე (I, 37,23), თანწლენ (I, 53,3), თანწლთე (ლშხ., 13,4) || თანწლს (I, 37, 12; სვ. პ., 34,170)—უნდატარზე; ხუნს (სვ. პ., 4,11) || ხუნთე (იქვე, 124,70)—ძირას; ლუკვარას || ლუკვარენ (ბზ.)—საწილზე; ფატანს || ფატანთე (ბზ.)—პერანგზე; თეგარს || თეგართე (ბზ.)—ხის ჩხირზე; ცვარს || ცვართე (ბზ.)—ცვარზე; კახს || კახთე (ბზ.)—კახაზე; ყორს (სვ.პ., 96,8)

5 მაგალითები მოგვაქვს კონტექსტების გარეშე ადგილის სიმციროს გამო. საილუსტრაციო მასალის შემდეგელი წინადადებები, ძირითადად, იდენტური ან მსგავსი მნიშვნელობისაა.

6 ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში ორივე ფორმა დასაშვებია, მაგრამ უფრო ბუნებრივია მარტივი მიცემითი; ვა იქიდანაც ჩანს, რომ უთანდებლო ფორმებს უფრო მოხები და საშუალო თაობა ხმარობს, თანდებულობებს კი მეტწილად ახალგაზრდობა.

7 მიუხედავად იმისა, რომ „ქორს მერდე“ თითქმის გაქვეყნებული გამოთქმა და მეტწილად მარტივი მიცემითი გადმოიქცემა, აქაც შესაძლებელია თანდებულისი ფორმა.

8 მიცემითში პირველადია, რა თქმა უნდა, „თხუნ“ ფორმა, „თხუნას“ კი უფრო გვიანდელია, რასაც სპეცილისტები სვანური ბრუნების უნიფორმაციის ტენდენციით და ყოველგვარი ტიპის სისტემაში სანაირან მიცემითის გაბატონებით ხსნიან. ეს კი სვანურ ენაზე ქართლის დიდი გავლენის არსებობის შედეგიც ჩანს.

|| ყორფი (I, 108,8), ყორფი, ყორისგა (ბქე.)—ქარზე; ამარაის (ლშპ.) || მამარფი (ბზ.), მამარქა (ლხმ.)—ამარას, ამარაზე; ზოგახ (სვ. პ., 30,116; 178,7) || ზოგფი (სვ. პ., 90,39; III, 119,10), ზოგენს (სვ. პ., 58,3; I, 172,13), ზოგქა (სვ. პ., 258,4)—ხილზე; ტუბას (სვ. პ., 186,4), ტუბის (სვ. პ., 32,136) || ტუბფი (სვ. პ., 228, 16)—ხეობაში; გვეშს (ბზ.) || გვაშეფი (ბქე.)—საქმეზე, საქმის შესახებ; შვეს || შვეფი || შვეფეფი (ბქე.)—ფერღობზე.

3. ს—ქა

ხალვსე || ხალვქა (ბქე.)—ღობეზე (შღრ. გურული „ალაგეზე“); ქარქს (ბქე.) || ქარქჳა (II, 226, 2—3)—მთის ვადასასელებზე (ზედმ. „ხორხზე“); კოქს (სვ. პ., 270,16) || კოქჳა (III, 123,25)—კლდეზე; ზარქას (სვ. პ., 285,9; 234,49); ზარქს (II, 283,11) || ზარქჳა (III, 121,32), ზარქალქა (სვ. პ., 142, 19)—მხარზე, მხრებზე.

4. ს—ჩუ

ზოგს (სვ. პ., 260,4) || ზოგჩუ (ბქე.)—ხილზე (ზემოდან ქვემოთ); კოქს || კოქჩუ (ბქე.)—კლდეზე; ყიას (ბქე.) || ყიაჩუ (I, 285,4)—ყელში; ღწრს (ბქე.) || ღწრჩუ (II, 16,24)—ღარში (შეროში).

5. ს—თე

დილეგსუ (ბქე.) || დილეგთმე (I, 195, 14)—დილეგში; ლახს (ლშპ.) || ლახთე (ბზ.)—მთაში; კოქას || კოქთე (სვ. პ., 288, 8—10)—კლდეზე, კლდედღე; ქალაჩს (ბზ.) || ქალათე (ლშპ.)—ქვინარეში; ლეცახ (სვ. პ., 62,10) || ლეცთე (ლშპ., 15,5);

ათხე როსტომ აჩნდ ქვედია ქვეყანას — ახლა როსტომი წავიდა შორეულ ქვეყანაში (I, 208, 18—19; ხაზგასმულ ფორმას სქოლიოში ტექსტის ჩამწერის, ა. ქ. შ ა ნ ი ძ ი ს მეტად საყურადღებო შენიშვნა ახლავს: ცილობა შეიქმნა დამსწრეებს შორის: „არა ქვეყანას უნდა და არა, ქვეყანათე“-ო).

ზემოთ მოტანილ პარალელურ ფორმებს შორის ზოგჯერ მცირეოდენი სემანტიკური სხვაობაცაა. ე. წ. წინდებულ-თანდებულისა⁹ (resp. ზმნისართული წინდებულის¹⁰ შემცველი) სახელები უფრო კონკრეტულად მიუთითებენ ამა თუ იმ ადგილზე: ასე მაგალითად: „ეჭა კინჩხუ ათხვილ“ იმას ნიშნავს, რომ უსათუოდ შიგნით, ქვევით, სიღრმეში ხდება მოქმედება; „კინჩხუი“ აუცილებლად ზემოდან, გარედან მოხვედრაზე მიგვიითებს, მაშინ, როდესაც „კინჩხს ათხვილ“ უფრო ზოგადი მნიშვნელობისაა, დაუნაწევრებელია — „ზე“—საც შესატყვისება და „ში“—საც.

სახელსა და ზმნის თანდებულისა და პრევერბის ფუნქციით შეიძლება დაერთოს მატერიალურად როგორც ერთი და იგივე, ისე განსხვავებული ელემენტები:

წინწილ ქარჩქ კვტხე ვწანსიენე—წიწილა მუხის წვერზე ახტა (II, 10,32; ფიციანი. ჩუ ლაყეიენე—ფიციანი. დაგაწიენს (სვ. პ., 328,10) || ფი ლაყეიენე (იქვე, გვ. 127)...

როცა ერთდროულადაა ნაჩვენები მოქმედების როკორც აღკალქვეპარეობა , ისე მიმართულება, გამოყენებულაა ორთანდებულაანი ფორკები .

ვ' ოჩად ზავართეფი—ვედით უღელტეხილამღე („კენ-ზე“, I, 34, 11); ტაბანგს ვე იკუჯს ბანდარტეფი—ტაბაკს იღებენ სკამიდან („გან-ზე“, II, 76, 3—4); ბეფშილ სკასოგენან ზიჭოჯან—ბაქში ჩაუღდათ ტომარაში („გან-ში“, III, 123, 30—31); ხგა მელელი კორთეხგა¹¹ შესულა სახლში („კენ-ში“, სვ. პ., 156,16)..

⁹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ს. ტერმინოლოგიით: სენაური ენა, გვ. 63.

¹⁰ ვ. დ. ე. ტ. ე. რ. ს. ტერმინოლოგიით (Die adverbialen Präverbien): Das kharthweli-sche Verbum, გვ 15—24.

¹¹ შღრ. სგა მერღელხიმდ ქარჩქთეხგა — შესულართ შინ (სვ. პ., 156, 87). ეს ფორმა მესალოდნელი არ იყო, რადგან სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსახრებათა მი-

როგორც ჩანს, სახელზეც და ზმნაზეც ე. წ. წინდებულ-თანდებულის ერთ-დროული დართვის საჭიროება გამოწვეული იყო ამა თუ იმ ადგილისა ან მიმართულების კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით გამოხატვისათვის, ლოკალიზაციის ხაზგასმისათვის. ამაზე ორი გარემოება მიგვიითბებს. ჯერ ერთი ის, რომ ადგილმდებარეობის აღნიშვნისათვის სრულიად საკმარისია ზმნის პრევერბი, სახელზე მისი დართვა აღარაა აუცილებელი, რის შედეგადაც ერთ: და ორთანდებულის ფორმები შეიძლება თავისუფლად შეენაცვლოს ერთმანეთს.

ჩი მეზა თეგა || მეჯ:თე იხა ღზი — ეველა ოჩხიწი შედიან (II, 233, 7—8); ისა ატბ მულგ უჭირდ კიბღენთეგა || კიბღენისგა — დააბრუნა მეწისქვილემ კილბანში (I, 59, 36—37); უწენეღბ ღკაფე მეგამფი || მეგამჟოფე — აიღნენ განაჟაფ ხეზე (III, 121, 15—16); ფი || სკა) ხენღესკლ ტაფანა || ტაფანოხა — ადებო ტაფაზე 'ში' (იქვე, 34, 31); ქორხენისა || ქორხენ ღაბტიხებ — სახლიდან შეეპასუნენ (ღმწ., 16, 11); წირი დროჟი ფაღრინებ საუღართეი (მზ. საუღართე) — წირვის დრის მღღინ საუღრისკენ (ღმწ., 32, 34); მეორე მხრივ, ისიცაა საყურადღებო, რომ თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი პრევერბი თუ თანდებული რამდენჯერმე შეიძლება განმეორდეს წინადადებაში (ქა, ქა ქორხენქა, ქა! — გარეთ სახლიდან, გარეთ! — ბქე.)¹².

იშვითად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სახელთან თანდებული წარმოდგენილია, მაგრამ იგივე მატერიალური ელემენტი პრევერბის სახით აუცილებელი აღარაა. ამგვარი ვითარება ქრონოლოგიურად შედარებით გვიანდელი ჩანს:

ღნა უჩანღ მეჯჟოფე — გოგო ავილა ხეზე (I, 369, 36), მაგრამ: ღნა... მეჯჟოფენ მჩხედ (იქვე, 373, 7).

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ სვანური პრევერბ-თანდებულების განვითარების ადრეულ საფეხურზე შესიტყვებაში სრულიად საკმარისი იქნებოდა ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, პრევერბის არსებობაც. ცალ- და განსაკუთრებით ორთანდებულის ფორმები შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი ჩანს.

მოსალოდნელია, რომ ლოკალური ცნების აღსანიშნავად საზოგადო და გეოგრაფიული სახელები ერთსა და იმავე ვითარებას გვიჩვენებდეს. არსებითად ეს ასეცაა, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევებში შედარებით უკეთაა დაცული ლოკალური სემანტიკის გრამატიკული გამოხატვის სისტემა, რა თქმა უნდა, ინოვაციებს აქაც აქვს ადგილი, მაგრამ კონსტრუქციები შედარებით უფრო მწკობრია:

ადგილის გარემოების გადმომცემი გეოგრაფიული სახელი გრამატიკულად სრულიად გაუფორმებელია, წარმოდგენილია ოდენ ფუძე¹³. ამ ფაქტს შესაძ-

ბედით, ძველ ქართულსა და სვანურში თანდებულები ანალოგიურად უკავშირდებიან საზოგადო და საკუთარ სახელებს ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით. სვანურში ყველა თანდებული ადამიანთა საკუთარ სახელებს, ზოგიერთ ზოგად სახელს (ხელმწიფო, ბაბ, მუ, ღი...) და ნაყელსახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში, სხვა შემთხვევაში ყოველთვის მიეციბი გააქვს, ამიტომ თუ სრულიად ბუნებრივია „სგაე ხოვღაბ ყარწოჟსგა“ — შემოუტანიათ ყარასას (სვ. პ., 164, 68), „სგა მეღღელხიშღ ქორწოჟსგა“ — მოულოდნელია.

12 ე. თ. ფ. უ. რ. ა., სვანური ენა, I, ზმნა გვ. 66;

ა. დ. ვ. ი. ა. ნ. ი., ფი, ჩუ, ქა და სგა წინდებულთათვის სვანურში, იქვე, VI, ა. ბ. 1954, გვ. 459.

13 ისგა თანდებულთან დაკავშირებით ნ. ა. ბ. ე. ს. ა. მ. შენიშნავს: „სვანურს... შემონახული აქვს ძველი ვითარება. „ისგა“ თანდებულის ფორმების ნაცვლად ძალიან გავრცე-

ლოა დაქმნის ფონეტიკური საფუძვლები (ყოველ შემთხვევაში ბალს-ქვემოთში მიანც). ასეთი სიტყვა ჩვეულებრივ ერთზე მეტმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი სახელია (გამონაკლისია „ჩუბტევე“ და „დოლსვიფ“). ამასთანავე ყველაზე უკეთ თავდაპირველი სახე რ სონანტზე დაბოლოებულ—ერ და -არ სუფიქსიან სახელებს დაუკავთ. ლოკალური ცნების აღნიშვნისას ბალსქვემოთურ კილოში თითქმის შეუძლებელია ასეთ შემთხვევებში მიცემითის ფორმის გამოყენება (ჭუმბერ, ლამხერ, ლეშდერ, ლდრერ, თავარ... ხეიზგე, ხეარდ, ხეიმშავ, ლგგ — ქუბერში, ლამხერში, ლეშდერში, ლდრერში, თავარარში... ეცხოვრობ, ვიყავი, ვმუშაობ, დგას და ა. შ. და არა — ქუბერს, ლამხერს, ლეშდერს, ლდრერს, თავარარს...).

ქუნთერ (სვ. პ., ბზ., 236,61)—ქუნთერი; ჩოლარ (I, 51,12; 451,9; III, 56,20; 98,2)—ჩოლარში; ლენქარ (I, 29,28)—ლენქარი; კუბრლეფაშ (I, 277,11; II, 247, 13)—კესრილიფაშში (ზედ. „კესრის ნატრახაუეში“); იურსალაშ (I, 74,10)—იურსალაში; ლახირ (I, 23,1)—ლახირში; ტუბერ (I, 3,17)—ტუბერში; კახე (ბზ.)—კახეთში; ახლშენ (ბზ.)—ახალშენი; უშხანარ (II, 1,17; 1,8; 2,14)—უშხანარში; მახერ (II, 1,24)—მახერში; კოლანარ (II, 1,15)—კოლანარში; ქუბერ (II, 228, 6—24; 226, 16—32)—ქუბერში, კუბერი (II, 227,37)—ქუბერში; აფხუთ (II, 82,21—32)¹⁴—აფხუთში; ლეშდერ (II, 201,32)—ლეშდერში; ვაღდერ (II, 207,13)—ვაღდერში; ტახდერ (II, 128,30)—ტახდერში; ზეფდ (II, 121,17; 127,33)—ზეფდში; უხვიერ (II, 121,17)—უხვიერში; შდხირ (II, 247,14)—შდხირში (ზედ. „თოლანსი, თოლანარში“); დეცერ (II, 316,32)—დეცერი; ცნლერ (II, 316,24); ჩირთარ (სვ. პ., ბქე., 158,23)—ჩირთარში; ზეფდ (III, 96,32; 107,27)—ზეფდში; ლექმეთ (III, 111, 27—28; 112,7)—ლექმეთში; კოფირ (III, 23,15)—კოფირში; ბავარ (III, 95,15)—ბავარში; ლექვარ (III, 67,10)—ლექვარში; ცნლერ (III, 95, 5—11)—ცნლერში; ვუღოდ (III, 111, 20)—ვუღოდში; ქალირ (III, 17,36)—ქალირში; ცხუშალ—(III, 103,13)—ცხუშალში (ენი. ფ.); ცხუმელი (III, 17,35; 18,1)—ცხუმელი (ენ. ფ.); შდრ. დოლსვიფს (I, 23,24; II, 1,32)—დოლსვიფში; ჩეიხტევე (II, 227,37), ჩუბტევე (სვ. პ., უშგ. 212,1)—ჩუბტევეში;

არც ერთ შემთხვევაში არ შეგვხვებოდა „დოლსვიფ“ და „ჩუბტევე“ ადგილის გარემოების მნიშვნელობით, მოსალოდნელი კი იყო, რადგანაც ეს სახელები ერთზე მეტმარცვლიანები და ამასთანავე თანხმოვანფუძიანები არიან; მაგრამ ისინი საზოგადო სახელებისაგან მომდინარეობენ. ამ უკანასკნელში კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ოდენ ფუძე აღარ იხმარება ლოკალური მნიშვნელობით. როგორც ვიანა, ამ სიტყვათა მიცემითობაში გარკვეული წვლილი უდევს მათ რთულ შედგენილობასაც. „დოლსვიფ“ და „ჩუბტევე“ კომპოზიტებია („დოლის მოედანი“, „ქვემო ხევი“), ხოლო მათი მეორე კომპონენტები ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი სახელებია, რომლებიც დამოუკიდებლად ხმარების დროს ყოველთვის მიცემითის ფორმითაა წარმოდგენილი ადგილის გარემოების გადმოცემისას.

ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები ლოკალური შინაარსს, როგორც წესი, მარტივი მიცემითის ფორმით გამოხატავს:

შეხლება ე. წ. ადგილის მიცემითის ფორმები, ხშირად მიცემითის ნიშნის გარეშე. მაგ.: შვანს არღა—სვანეთში იყო; ალექსანდრე იზგა მულაბ—ალექსანდრე ცხოვრობდა მულაბში“ (თანდებული სვანურში, გვ. 293).

14 ერთ შემთხვევაში „აფხუთ მერღად“ (აფხუთში, აფხუთის(?) მყოფებმა) გამოყენებულია „შვანაშ მერღად“ კომპლექსის გვერდით. ამიტომ აქ შეიძლება „აფხუთ მერღად“ ფორმაც გვეყარაუდებინა; რაკი ბალსქვემოთურში ჩვეულებრივ არ იყარება ქართული სისტემის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ „აფხუთ“ ოდენ ფუძეა და ადგილის გარემოების აღმნიშვნელია.

კალს (I, 4,3; მეგ. ეახ., გვ. 9)—კალში; შვწნსი (II, 285,10)—სვანეთში; მუშს (I, 47,19)—მუშში; სუტს (სვ. პ., უშგ., 88,83)—სუტში; შოლს (II, 129, 16—29)—შოლში; შგზს (II, 225,34)—შიგში; ნაქს (II, 224, 33; 225,15)—ნაქარაში; დოლს (II, 4,28)—დოლში; სწვს (III, 95,32)—სავეთში; სკალდს (III,97,37)—სკალდში; ლწშს (ბზ., ლზ., 13,10; 24,13; 27,13...).

ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები ყოველთვის სანიანი ფორმებით გვხვდება, ამასთანავე შეინიშნება, რომ ზოგიერთი მათგანი თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში თანხმოვანფუძიანია და ამიტომ შესაძლოა გაუფორმებელი სახითაც იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ძველი სვანური სიმღერების ენაში მათ ზოგჯერ აღმოაჩნდებათ ე. წ. უტყუი ხმოვანი სიტყვის ბოლოს. ცხადია, ასეთი სახელებიც ხმოვანფუძიანთა რიგში ჩადგებიან და მიცემითის სან'საც დაირთავენ:

ღუქას (სვ. პ., ლზ., 158,4)—ღუქაში; ზაჯას (სვ. პ., ბზ., 6,13; უშგ., 170,30)—ზაჯაში; კლან¹⁵ (სვ. პ., ბზ., 50,104; 152,18)—კალაში; საწევას (სვ. პ., ბზ., 12,3)—საწევანში; ლენჭურას (სვ. პ., ბზ., 50, 85; 92,55; ლზბ. 19,20)—ლენჭურაში; ზახხვას (სვ. პ., უშგ., 22,25)—ზესაბაში (ზღრ. ბზ., ზსხხვს); ცანას (სვ. პ., ბზ., 226,2)—ცენაში; ზულეს (სვ. პ., ბზ., 198,14)—ბელუში; სარაგას (სვ. პ., უშგ., 170,32)—სარაგაში; უბაჩანის (სვ. პ., უშგ., 170,35)—უბიანაში; ჩეობაჩანის (სვ. პ., უშგ., 170,21)—ჩეობიანაში; კარეტის (სვ. პ., უშგ., 240,55)—კარეტში; ქელდის (სვ. პ., ბზ., 222,80)—ქელდში; მესტიახ (სვ. პ., ბჟვ., 138,4; I, 32,11)—მესტიაში; ლატობის (სვ. პ., უშგ., 86,50; 214,14; II, 201,8)—ლატალში; ბეჩის (სვ. პ., ბზ., 230,81; I, 3,29; II, 2,25; 81,6)—ბეჩოში; უშგულას¹⁶ (სვ. პ., ბზ., 178,1)—უშგელის (?), ზღრ. უშგულს (სვ. პ., ბზ., 10,73)—უშგულში; ყარჩას (I, 20,31)—ყარჩაში; ქართანის (II, 1,9)—ქართანში; შიხრას (II, 14,26)—შიხრაში; ლელტახს (I, 57,6)—ლენტახს (III, 12,36; 10,15)—ლენტახში; სამეგრელოს (III, 93,34)—სამეგრელოში; ლესემა¹⁷(?) (III, 12,36)—ლესემაში; ვჭრის (ლზბ., 52,18)—ხერში...

ნაგენეტივარი გეოგრაფიული სახელები უძველესი წარმოებისაა, რადგანაც ყველა ქართველურ ენაში ერთ პრინციპზეა აგებული. უნდა აღინიშნოს, რომ, როცა მათ ადგილის გარემოების მნიშვნელობა აქვთ, როგორც წესი, წარმოდგენილი არიან ფუძის სახით. მიცემითი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ არც ნაგენეტივარი საზოგადო სახელები:

¹⁵ სოფელ კალის სახელწოდება აქ მოხვდა იმიტომ, რომ იგი ძველ სვანურ სიმღერებში არქაული ფორმითაა (კალა) წარმოდგენილი. ყოფილი ხმოვანფუძიანი სახელი თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში თანხმოვანფუძიანთა რიგში დგას (კალ), მაგრამ რაკი ერთმარტყლიანია, ამიტომ ადგილის გარემოების გამოხატვისას მაინც ისევე ფორმდება (ხანიანი მიცემითით), როგორც ხმოვანფუძიანი სახელი.

¹⁶ სიმღერა „უშგულას მახეღვაჟარ ანუ უშგულ ლასმა“ ჩაწერილია მ. გუჭეჯიანის მიერ სოფ. ხალდუში (ბზ.) 70 წლის ბ. გასევიანის თქმით. 1936 წ. დაბეჭდილი ტექსტის პირველ სტრქონს სქოლიოში ახლავს შენიშვნა: „ღელანშია — უშგულ ლასმა ბილღაულად“; „ღასმა“ გაუგებარია, მაგრამ ამ კონტექსტში ოდენ ფუძით გადმოცემული გეოგრაფიული სახელი რომ ადგილის გარემოების მნიშვნელობითაა გამოყენებული, ეს თითქოს უდავოა: უშგულ — უშგულში.

¹⁷ აქ, ალბათ, კორექტურული ან ტექსტის ჩაწერისას დაშვებული შეცდომაა, რადგანაც არც ერთი ხმოვანფუძიანი სახელი, არც თანამედროვე ცოცხალ მეტყველებასა და არც ძველი ხალხური სიმღერების ენაში ოდენ ფუძით არ გვხვდება ადგილის გარემოების გადმოცემისას.

ჭიჭლაშ (ე. ახობაძე, 159,40)—ჭიჭლაშში; მიჭერიშ (სე. პ., 157,12)—მიჭერიშში; ჩაუაში (170,17)—ჩაუაშში; ჩხელაშ (I, 1,15)—ჩხელაშში; კოლაშ (28,9)—კოლაშში; კერაშ (13,33)—კერაშში; ენბეშ (ბზ.)—ეაბეშში; ჰადღელაშ (II, 224,29)—ჰადღელაშში; ქურაშ (127,7)—ქურაშში; ბარაშ (122,1)—ბარაშში; მახაშ (III, 12,5)—მახაშში; უწრაშ (12,8)—უწრაშში; ყვედარეშ (12,9)—ყვედარეშში; ლადარეშ (12,32)—ლადარეშში; ლეჯადარეშ (13,15)—ლეჯადარეშში; წანაშ (12,16; 13,23; 91,18; 107, 9—16)—წანაშში; ქუთაშ (117,12)—ქუთაისში; სანაშ (ლხზ., 1,18; 28,16)—სანაშში; სანაშ (29,8)—სანაშში; ქაიშ (25,17)—ქაიშში; ჰაიში (29,8)—ქაიშში; თხუმარაშ (:, 64,15; სე. პ., 122,41; 280,28; 122,40; 86,38; 164,61)—სასთუმალში, სასთუმალთან, სასთუმალთან; კეშარაშ (სე. პ., 164,61)—ფერხით.

რასაკვირველია, გამონაკლისები აქაც არის:

მია ხეჲ თხუმარაშ ხასკერენა—მისი ცოლი სასთუმალთან მქარა (1, 384, 2—3).

სევანურ პოეზიაში ნაგენტივიარ სახელებსაც შეიძლება დაერთოს ე. წ. უტყვი ხმოვანი, რომლის შემდეგ არც მარტივი მიცემითაა მოულოდნელი:

ქა მისია ჩუბელიშა—გამიხვევია ჩუბელიშისკენ (სე. პ., 238,40); ჩანაშის ლამხელ ჩოლური—ჩანაშში შემხვია ჩოლური (იქვე, 220,54).

ამრიგად, ადგილის გარემოების ფუნქციით გამოყენებული გეოგრაფიული სახელები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ როგორც ოდენ ფუძით (ნაგენტივიარი და ერთზე მეტ მარცვლიანი თანხმოვანფუძიანი სიტყვები), ისე მარტივი მიცემითის ფორმით (ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი და ყველა ხმოვანფუძიანი სიტყვა). ესაა გარკვეული კანონზომიერება, რომელსაც შესაძლოა გამონაკლისი არც ჰქონოდა სევანური ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე, მაგრამ თანდათანობით მიცემითის ხანი გავრცელდა ყველა სახელში. აღნიშნულ პროცესი საზოგადო სახელებში გაიცილებათ უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, რამაც ხელი შეუწყო მის ფართო გავრცელებას გეოგრაფიულ სახელებშიც, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო ფუძე. ამის შედეგი უნდა იყოს ოდენ ფუძიანი და ხანიანი მიცემითის შემცველი სახელების პარალელური ხმარება როგორც პოეზიის ენაში, ისე თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ხანიანი გავრცელება ყოველგვარ გეოგრაფიულ სახელთან თვით სევანურის დიალექტთა შიგნით კარგახანია დაიწყო, მაგრამ დღეს ეს პროცესი ყველაზე მეტად ლაშხურ-ლენტეხურში იგრძნობა. ამ შემთხვევაში კი ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციასთან ერთად მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც ქართლის ძლიერი გავლენა. ბალსზემოურსა და ბალსქვემოურსში მოხუცი და საშუალო თაობა ძირითადად მისდევს ჩვენ მიერ შენიშნულ კანონზომიერებათა სისტემას, მაშინ, როდესაც ახალგაზრდობისთვის პარალელურად დასაშვებ ფორმებად ითვლება როგორც ოდენ ფუძე, ისე ხანიანი მიცემითი. თუ ჩვეულებრივია „ჭებულ, ჭუბერ, აფხუთ, ღეშდერ (ჭებულში, ჭუბერში, აფხაზეთში, ღეშდერში)“ და მისთანა ფორმები, ახალგაზრდობისთვის სრულიად ბუნებრივია ჭებულ|ჭებულს, ჭუბერ|ჭუბერს, აფხუთ|აფხუთს, ღეშდერ|ღეშდერს... პარალელური წარმოება. აქაც, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევეია ქართული სკოლის, წიგნის, პრესის, რა-

18 ამ სიტყვის შემდეგ სევანურ ლექსში გვაქვს „ლაშგარ“. ასე რომ, „მიჭერიშ ლაშგარ“ ერთი შეხედვით, შესაძლოა, ვინმეს მსაზღვრელ-საზღვრული ეგონოს, მაგრამ, რომ აქ ადგილის გარემოების შესაბამისი შინაარსია, ჩანს შემდეგი მაგალითიდანაც: „მიჭერიშ ზაგარ რუსიშ ლაშგარ ჩუ ლუზორილხ“ — მიჭერის მთაზე რუსის ლაშქარი შეკრებილა: სე. პ., 62, 1—2.

დიოს გავლენა; გეოგრაფიულ სახელებთან ხანიანი ფორმების მომრავლებაში ქართულის როლი სვანურთან მხოლოდ ამეამინდელი კონტაქტის შედეგით არ უნდა განისაზღვრებოდეს. ძველი ქართულის ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში, რომლებიც ასე თუ ისე ცნობილია სპეციალისტებისათვის, ლოკალური მნიშვნელობის ოდენ ფუძით გადმოცემა არ ხდება. რაკი ძველთაგანვე ჩვეულებრივი იყო ქართულისათვის ხანიანი მიცემითის ამგვარი მნიშვნელობა, ბუნებრივია, არც სვანურისთვის იქნებოდა უჩვეულო გეოგრაფიული სახელის მსგავსი გაფორმება:

კახეთ (ბზ.) || კახეთს (ლზს.)—კახეთში; ინდოეთ (ბზ.) || ინდოეთს (ლზს.)—ინდოეთში; ტუბერ (I, 3,17), ტუბერს (ბზ.) || ტუბერს (ლზს.), ტუბერს (II, 14,7)—ტუბერში; ბაჟარ (III, 14,2) || ბაჟარს (იქვე, 14, 9—10)—ბაჟარში; ჭიშ (ლზს., 26,19) || ჭიშს (ბზ.)—ჭიშში; მახაშხი¹⁹ (III, 17,9; 112,31)—მახაშხი; ყუდარუშ (8,34)—ყუდარუშში; წანაშს (11,26)—წანაშში; კახეშს (იქვე)—ხაჩეშში; კიხულდაშს (მეგმ. ეპ., გვ.19)—კიხულდაშში; უკლუშს (ლზს.)—უკლუშში; ჩოღორს²⁰ (III, 4,32; 115,27), ჩოღორს (მეგმ. ეპ., გვ. 25)—ჩოღორში; ჩოღორსნი (ლზს., 22,17) || ჩოღორსი (ბზ.)—ჩოღორშიც. ხეშკილ (სვ. პ., ბზ., 98,14) || ხეშკილს (I, 28,29)—ხეშკილშიც; ცხუმელი (III, 17,37) || ცხუმელი (იქვე, 18,6)—ცხუმელშიც; ლახშელ (II, 282,11; 283,37; 284, 4) || ლახშელს (იქვე, 281, 21—31), ლახშელს (I, 2,16; სვ. პ., ბზ., 276,6)—ლახაშელაში. ლახაშელს (II, 70,11)—ლახაშელშიც; ლეხაშელს (II, 70,12)—ლეხაშელშიც; კახელელი (სვ. პ., ლზს., 158,1)—კახელელიშიც; მელი (III, 8,34; 112,30)—მელიშიც; ცხმალს (III, 11,27)—ცხმალშიც.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ერთმანეთის გვერდით, ერთი და იგივე გეოგრაფიული სახელი შეიძლება შეგვხვდეს ხან ოდენ ფუძით, ხანაც — მარტივი მიცემითის ფორმით. უნიფიკაციის ტენდენცია მძლავრია. ასე მაგალითად, ერთ რომელსავე კონტექსტში რამდენიმე სხვადასხვა აგებულების სახელი (ნაგენტივარი, ხმოვანფუძიანი თუ თანხმოვანფუძიანი, სულერთია, რამდენ მარცვლიანიც უნდა იყოს იგი) ერთნაირადაა (მარტივი მიცემითით) გაფორმებული, მოსალოდნელი კი იყო სხვადასხვაობა. კნინობით სახელებში კანონზომიერების დადგენა თითქოს ძნელდება, რადგანაც სისტემატურად ენაცვლებიან ერთმანეთს ოდენ ფუძე და ხანიანი ფორმები. ძველი სვანური სიმღერების ენისა და კნინობით სახელთა დღევანდელი ნათესაობითის ფორმების (-ა-შ) მიხედვით კნინობითის სუფიქსებს ბოლოში ა ხმოვანი უნდა ჰქონოდათ²¹. მაშასადამე, ამის შესაბამისად ადგილის გარემოების აღმნიშვნელ სახელებში მოსალოდნელი იყო ხანიანი მიცემითი და არა ოდენ ფუძე. მაგრამ თუ პოეზიის ენის მიხედვით ვიმსჯელებთ, დავინახეთ, რომ მასში წარმოდგენილ სახელთა კნინობითი სუფიქსები თანხმოვანზე (-ლ ან -დ) ბოლოვდება; ამასთანავე, ამგვარი სახელები ერთზე მეტ მარცვლიანია და ზუნებრივია, რომ ოდენ ფუძითაა წარმოდგენილი (კახელი დე ხვილივალა — კახელი დილში ვცხოვრობდი — სვ. პ., 158,1). ამრიგად, გეოგრაფიული სახელების კნინობითის ფორმები თვით ძველ სიმღერებშიც კი არ არის მოცემული ბოლოკიდური ა ხმოვანით. მაშასადამე, სვანური სიმღერების წარმოშობის ეპოქაშიც და თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში კნინობითი გეოგრაფიული სახელები

¹⁹ ნაგენტივარ სახელთა კანონზომიერ (უხანო) ფორმებს აქ აღარ ვაქვივობთ, რადგანაც შესაბამისი მასალა ზემოთ წარმოვადგინეთ.

²⁰ შდრ. ზემოთ „ჩოღორი“.

²¹ ე. თ. ო. ფ. რ. ი. ა., სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტ. სვ. მოამბე, VII, ტფილისი, 1927, გვ. 300.

თანხმოვანფუძიანებია და თანაც, რა თქმა უნდა, ერთზე მეტმარცვლიანები. ამიტომ ისინი ოდენ ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, ხოლო ის შემთხვევები, როცა კნინობითი გეოგრაფიული სახელები სანი'ან მიცემითშია, სხვა სახელთა ანალოგიით, ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციითა და ქართულის გავლენით უნდა აიხსნას. დარღვევები, როგორც ჩანს, დიდი ხანია დაიწყო სენაურში, რადგანაც თვით ძველი სიმღერების ენაშიც არაერთხელ გვხვდება ერთზე მეტმარცვლიანი გეოგრაფიული სახელები მიცემითის ფორმაში:

ფარას (22,20), ყუბანს (28, 86; 30, 129), ბახსანს (42, 19; 30,129), ზებულს (104,6), ლეურს (114,2), ჩეჩენს (32,147), ყუგუშს (32,160; 34,178), ბერაანს (116,3), ნალწაბეს (158,5), თოთანს (238,7), ებწანს (90,43), უშაულს (10,89), მუჟალს (52,16), უვაზირსია (102,24) და ა. შ.

ასევეა ცოცხალ მეტყველებაშიც:

სოხუმს (I, 39,16), ნანარს (III, 17,19), ლეჩხუმს (ლხზ., 33,5)²² და ა. შ.

ადგილის გარემოების გამომხატველი გეოგრაფიული სახელები გადმოცემულნი არიან როგორც ერთ (როცა მხოლოდ ადგილია მითითებული — კითხვაზე სად?), ისე ორთანდებულებიანი (როცა ერთდროულადაა ასახული მიმართულებაცა და ადგილიც—კითხვაზე საითკენ?, საიდან?, სადამდე?) ფორმებით:

გვრისიხგა (სვ. პ., ბზ., 54,51)—გვარიში; ჩოლორისხგა (I, 35,13)—ჩოლორში; ბეჩვისხგა (II, 1,1)—ბეჩოში; ვიოშერისხგა (III, 16,32)—ვიოშერში (ზეღმ. „გიოსანში“), თეკლთე (სვ. პ., ბზ., 200,30)—თეკალი; ლაშულდთე (იქვე, უშგ., 284,41)—ლაშაშულდთე; მუშურქა (ბზ.)—მუშურზე; მიჭერიშთეფი (სვ. პ., უშგ., 216,79)—მიჭერიშზე (ზეღმ. „მიჭერიშ—კენ-ზე“); იფართისხგა (იქვე, ბზ., 166,26)—იფარში (ზეღმ. „იფარ-კენ-ში“); ცანთხგა (I, 35,19)—ცანაში; კალთხგა (იქვე, 37,3)—კალაში.

ერთი და იგივე ელემენტები ზმნასაც დაერთვის და გეოგრაფიულ სახელსაც:

ჟო ლოდერინე სარაგაფი—ავალ სარაგაზე (სვ. პ., 170,22); ქა ლა'ვენასკ უთარი-ქა—გავუყენებ უთარის (მთით) (იქვე, 158,15).

როცა ზმნას წინ უძღვის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი პრევერბი, სახელთან ის აუცილებელი აღარაა. ასეთ შემთხვევაში სახელს დაერთვის მიმართულების გამომხატველი თანდებულები (-თე, -ხენ), რომლებიც ზმნასთან პრევერბის როლში საერთოდ არასოდეს არ გვხვდება:

ჟო მეჭღლევი ეეგწითე—ამოეს-ულვარ ჩეგემში (სვ. პ., 32,144); ჩუ მეჭღლევი მეს-ტიათე—ჩამოეს-ულვარ მესტიანი (იქვე, 230,52); ხგა ხოფიშვლახ რიინთე—ჩაუქეით ენ-გურნი (იქვე, 244,38); ქა ლუბი მარ უშგელათე—უნდა წაიღე უშგულში (იქვე, 226,51) იფარხო ისგა ონწვადი—იფარში შეყოველი (იქვე, 194,22)...

როცა სახელის ფორმაში ერთდროულად მიმართულებისა და ადგილმდებარეობის აღნიშვნაა საჭირო, პირველი მათგანის გამომხატველ თანდებულს დაერთვის იგივე მატერიალური ელემენტი, რაც ზმნას ჰქონდა პრევერბის ფუნქციით. ამგვარად ვღებულობთ ორთანდებულებიან ფორმებს, რომლებიც ზმნის ფი-, ჩუ-, ხგა-, ქა- პრევერბიან მონაცემებს მიემართება:

Дело в том, что в каждом языке иноязычные слова, в том числе и топонимы, претерпевают адаптацию, подчиняются нормам данного языка. В лингвистике этот процесс называется освоением заимствованных форм. В армянском языке существовала модель склонения имен, оканчивающихся на *իւ is* (в винительном падеже), которая, естественно, оказала влияние на склонение грузинских топонимов, вошедших в армянский. Аналогичные случаи известны во всех языках. В частности, в грузинском языке конечный гласный *ი i* имен, как правило, является показателем именительного падежа и не входит в основу. Поэтому и конечный гласный *ი i* таких заимствованных топонимов как დელი deli (Дели), ჩილი čili (Чили) был воспринят показателем именительного падежа и не сохранялся в формах других падежей. Даже в прессе встречались такие формы, как დელში delši (вместо დელიში deliši — в Дели),

²⁰ П. М. Мурадян, указ. статья, стр. 33.

²¹ Там же, стр. 33—37.

ჩილში čilši (вместо ჩილიში čiliši — в Чили). Потребовались специальные мероприятия Комиссии по установлению норм литературного грузинского языка, чтобы узаконить литературные формы ღელში, ჩილიში и т. п.

Факты освоения иноязычных слов хорошо известны и без их учета невозможно делать попытки этимологии топонимов. К сожалению, приходится здесь специально объяснять П. М. Мурадян и читателям, которых он может ввести в заблуждение, что такое освоение топонимов и чем оно отличается от их присвоения.

Особо заинтересован П. М. Мурадян в доказательстве армянского происхождения названия თბილისი Тбилиси. Здесь его тенденциозность действительно не имеет границ. Топоним თბილისი (Тбилиси) имеет прозрачную и убедительную грузинскую этимологию, которая разделяется видными специалистами (об этом подробнее — ниже). Но П. М. Мурадяна она, естественно, не устраивает и поэтому он низводит ее в ранг «народной этимологии». Какую же этимологию предлагает он взамен? Собственно говоря — никакую.

Тбилиси — топоним армянского происхождения только потому, что он оканчивается на -i-s, а как «доказано» П. М. Мурадяном «-i-s» — окончание виш. падежа, заменившее ранее бытовавшее окончание именительного падежа i-k. Насчет доказательной силы этого аргумента говорилось выше. В отношении топонима Тбилиси автору следовало бы найти дополнительные, более убедительные аргументы.

Чем доказывается, что первоначальной формой Тбилиси была *Տփղիթ (tplik)? Ведь такой формы нет ни в письменных памятниках, ни в устной речи, она придумана П. М. Мурадяном. Послушаем дальше: «Впрочем нет ничего странного в том, что против арм. Տփղիս (tplis) в грузинском имеем თბილისი. Между буквами *ω* (t) и *ϕ* (p) в армянском палице выступающее при произношении *Ϸ* (ə) (Տ(Ϸ)փղիս) (təplis), которое, как уже отметили (Բզնի—ბიზნისი), в грузинском выражается преимущественно буквой *ი*, значит, должны были иметь *ტფლისი (ср. русск. Тифлис и греч. Τίφλις), но вследствие перестановки (метатеза) ფო получили существующую в древнегрузинской литературе форму ტფლისი²². Все поставлено на голову! Ничего не доказывается. Например, почему должна была иметь место метатеза ფო ri>იფ ip? Ведь фонологическая последовательность звуков ტფლ tɪp вполне соответствует законам фонотактики грузинских слов. И потом, надо хотя бы быть логичным до конца: Если уж название столицы Грузии следует восстанавливать по тем формам, которые наличествуют в армянском, русском и греческом, то почему автор не предлагает форму ტფლისი tɪplisil? Почему он изменил логике своего же собственного рассуждения?! Легко понять: тогда Тбилиси получалось греческого, а не армянского происхождения, а это нашего автора не устраивает.

²² П. М. Мурадян, ук. ст., стр. 36.

В арабских письменных памятниках наличествуют формы *tiplis* || *taplis*. Может быть, следовало бы П. М. Мурадянцу восстановить как исходную форму **taplis*?!

В чем же дело? Кто знаком с азбучными истинами лингвистики, тому ясно, что в греческом, арабском, армянском... произошла адаптация грузинского топонима «Тбилиси» соответственно нормам каждого из этих языков. Для этих языков неприемлемо скопление согласных в начале слова, и поэтому между согласными вклинилась гласная: *i* — в греческом, *ə* — в армянском, *i/a* — в арабском. Причем, все эти формы легко объясняются, если исходить из грузинского «Тбилиси», но обратный ход, от этих разнообразных форм к грузинской, требует таких искусственных и абсолютно нелогичных с точки зрения лингвистических приемов манипуляций, к каким вынужден был прибегнуть П. М. Мурадян.

Лишним доказательством того, что грузинские топонимы на *-is-i* действительно возникли из формы родительного падежа, является тот факт, что в древнегрузинском и в ряде современных грузинских диалектов корневые морфемы этих топонимов в состав имен, обозначающих принадлежность через аффикс *-ელ -el*, входят без суффикса *-ის -is*. Напр., *თბილისი tbilisi* «Тбилиси», но *თბილ-ელ-ი tbil-el-i* (вместо *tbil-is-el-i*) «тбилисец», *მანგლისი manglisi* «Манглиси», но *მანგლ-ელ-ი mangl-el-i* (вместо *mangl-is-el-i*) «манглисец», *ქუთათისი kutatisi*, но *ქუთათ-ელ-ი kutat-el-i* (Кутанси — кутанец), *წავკისი çavkisi*, но *წავკ-ელ-ი çavk-el-i* (Цавкиси — цавкисец), *შინდისი şindisi*, но *შინდ-ელ-ი şind-el-i* (Шиндиси — шиндисец), *ურბნისი urbnisi*, но *ურბნ-ელ-ი urbn-el-i* (Урбиниси — урбинсец)²³. Ср. также грузинские фамилии: *თუხარელი tuxareli*, от топонима *თუხარისი* (вместо *tuxar-is-el-i*), *თბილელი tbileli* от *თბილისი tbilisi*.

Типологически в данном случае наблюдается полный параллелизм с функционально однотипными топонимами, образованными посредством суффикса *-ეთ -et*, напр., *კახ-ეთ-ი kax-et-i* «Кახети», но *კახ-ელ-ი kax-el-i* (вместо *kax-et-el-i*), *იმერ-ეთ-ი imer-et-i* «Имерети», но *იმერ-ელ-ი imer-el-i* (вместо *imer-et-el-i*) «имеретинец», *არად-ეთ-ი arad-et-i*, но *არად-ელ-ი arad-el-i* (Арадети — арадетинец), *ღუშ-ეთ-ი duş-et-i*, но *ღუშ-ელ-ი duş-el-i* (Душети — душетинец) и т. д. Отсюда следует вывод, что *-ის* (в Тбилиси, Болниси, Крцаниси...) такой же грузинский суффикс, как и *-ეთ -et*.

Как видим, картвельское происхождение грузинских топонимов с суффиксом *-ის-i* не вызывает сомнения. С другой стороны, армянские топонимы с таким же окончанием до сих пор не имеют удовлетворительной этимологии — происхождение таких топонимов из формы аккумулятива, как уже отмечалось, весьма сомнительно. Если не удастся найти более убедительную этимологию указанных топонимов, естественно возникает вопрос: не объясняется ли их происхождение данными грузинского и других картвельских языков? Это предположение подкреп-

²³ А. Г. Шанидзе, Основы грузинской грамматики, 1953, стр. 129, 114—115.

ляется наличием таких параллельных топонимов на территории Грузии и Армении, как: груз. *biḡnisi*—арм. *biḡnis*, груз. *gorisa*—арм. *goris*, груз. *punisi*—арм. *punis* и т. д.

Полагаем, что это может служить рабочей гипотезой. Окончательное решение вопроса требует его тщательного изучения специалистами.

В связи с вышесказанным уместен вопрос: чем пытается априоризм П. М. Мурадяна? Чем обусловлено его стремление внести путаницу в ясные вопросы и затемнить их? Для ответа вернемся к некоторым вопросам, рассмотренным выше.

Среди шести топонимов, в грузинском происхождении которых не сомневается и сам П. М. Мурадян, названы აკურისი *aḡurisi* и არახისი *araxisi*. Но именно эти топонимы этимологизируются гораздо труднее, чем *tbilisi* (Тбилиси), обладающий ясной и прозрачной этимологией. Корень этого топонима *ṭr* (>*tb*) грузинского происхождения, грузинским является и суффикс *-il* (ср. *სხვ-ილ-ი* *tsxv-il-i*—толстый, *წვრ-ილ-ი* *svr-il-i*—тонкий, *გრ-ილ-ი* *gr-il-i*—прохладный, *თბ-ილ-ი* *tb-il-i*—теплый), грузинским же является и показатель род. падежа *-ის* *-is*. К тому же абсолютно ясно, почему для названия города Тбилиси могла быть использована форма родит. падежа слова *თბილი* *tbili* „теплый“ (Тбилиси, как известно, богат теплыми источниками).

Редко можно найти топоним с такой ясной этимологией. К тому же этимология этого топонима (Тбилиси) со свойственной ему четкостью и ясностью изложения была дана акад. А. Г. Шанидзе, труд которого опубликован как на грузинском, так и на русском языках²⁴. Эту этимологию разделяют Г. Фогт, Т. В. Гамкрелидзе, Г. И. Мачаваряни и др. Так в чем же дело? Почему же П. М. Мурадян не оспаривает грузинского происхождения топонимов Акуриси и Араниси, но, не щадя сил, всеми правдами и неправдами старается доказать армянское происхождение названия столицы Грузии? Уж не потому ли, что Акуриси и Араниси названия незначительных пунктов, тогда как значимость для истории народа г. Тбилиси (и кстати, близлежащих Болниси, Крданиси, Дманиси, названия которых П. М. Мурадян также считает армянскими) сама собой ясна. Но как же быть с древнейшими культурными центрами Западной Грузии—Кутанси, Потн, Шоропани...? Неужели они носили грузинские названия? Объявлять их тоже армянскими постеснялся даже П. М. Мурадян, но нашелся другой выход — они объявлены греческими! Трудно обвинять научного работника в такой непростительной предвзятости, но, к сожалению, труднее указать на иное объяснение действий П. М. Мурадяна.

²⁴ А. Г. Ш а н и д з е, К этимологии названия столицы Грузии, II объединенная научная сессия Азербайджанского, Ереванского и Тбилисского университетов, 10—14 октября 1958 (Тезисы), стр. 103 (на русском яз.); А. Г. Ш а н и д з е, К названию столицы Грузии, в сборнике «Тбилиси — 1500», Тбилиси, 1958, стр. 19—22 (на груз. яз.).

Тому, кто знаком с трудами П. М. Мурадяна по проблематике армянской и грузинской филологии и истории, трудно отделаться от впечатления, что автор главной своей целью ставит доказать армянское происхождение как известных исторических деятелей Грузии (напр., Григория Бакурианидзе — «Григория сына Бакуриани»), так и известных памятников архитектуры и материальной культуры этой страны (вспомним печально известную историю в связи с монастырем Джвари). Теперь к этому прибавилась попытка объявить негрузинскими названия почти всех древнейших грузинских городов. Отсутствие научной аргументации автора не смущает.

Вызывает сожаление, что труд П. М. Мурадяна опубликован в таком авторитетном органе, как Вестник общественных наук АН Армянской ССР.

(Представил Институт рукописей АН Грузинской ССР)

„ვის ო რამინის“ პირველი კრიტიკული გამოცემა

„ვის ო რამინი“ შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლია. დაიწერა იგი ირანში, XI საუკუნის შუა წლებში სპარსელი პოეტის ფაქრედდინ გორგანის მიერ. გორგანის ეპიკურ პოემას საფუძვლად დასდებია ჯერ კიდევ საშუალო სპარსულ. ე. წ. ფალაურ მწერლობაში შემუშავებული პროზაული ვერსია ვისისა და რამინის მიჯნურობის შესახებ.

იშვიათია ლიტერატურის ისტორიაში ისეთი ძეგლი, რომლის შესახებ მსჯელობასაც ანდენი განსხვავებული, ურთიერთგამომრაცხველი აზრები გამოეწვიოს მახლობელ თუ შორეულ შთამომავალთა შორის, როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ამ პოემის ირგვლივ დისკუსია ორიენტალისტიკაში დღემდე გრძელდება. ერთნი თუ აღიარებენ მის მაღალ იდეურ და ესთეტიკურ ღირსებას, მეორენი საზოგადოებრივი ზნეობისათვის შეურაცხყოფილად მიიჩნევენ პოემის მორალურ მხარეს—ვისისა და რამინის ერთი შეხედვით სარითრის სიყვარულს.—და ეკვივს თვალთ უყრებენ მის მხატვრულ ღირებულებასაც. ფაქტი კი ერთია—გორგანის პოემამ გაუძლო დროის გამოცდას, მისმა გმირებმა ჩვენს დრომდე შეინარჩუნეს პოეტისაგან მინიჭებული უზუნებელი ფერები და დღესაც აღუვებენ მკითხველს.

ამ ძეგლის ირგვლივ შექმნილ ვრცელ საყვანიერო ლიტერატურაში ბევრი საკითხი უკერძო კიდევ რჩება სადავო და გადასაჭრელი, უდავოდ მხოლოდ მისი საუკეთესო მნიშვნელობის აღიარება სპარსული ეპოსის ისტორიაში. „ვის ო რამინი“ სათავეს უდებს შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანეს, იმ დროისათვის ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქანს—ე. წ. რამანულ ეპოსს. ამ ქანრამ შემდეგში ნიზამი განჯელისა და მისი მიმბაძველების შემოქმედებით თითქმის მთლიანად მოიცვა არა მარტო სპარსული, არამედ მუსოლელი ხალ-

ხების ლიტერატურაც. უფრო მეტი, „ვის ო რამინის“ სახით ირანმა პირველმა მისცა კაცობრიობას მხატვრული ნაწარმოების ის ტიპი, რომელსაც მოგვიანებით დასავლეთში „რომანი“ ეწოდა (დღევანდელი გაგებით „შუა საუკუნეების რომანი“) და იმ პერიოდის ევროპული ლიტერატურის წამყვან ეანრად იქცა.

ამ ქანრის ჩვენთვის ცნობილ ადრეულ სპარსულ ძეგლთაგან სწორედ გორგანის „ვის ო რამინი“ გამოხატავს ყველაზე მეტწილად რომანული ეპოსის ქანრულ სპეციფიკას. იგი იქცევა ერთგვარ ნიშანსეცტად ხსენებული ქანრის ისტორიის გზაზე. ამთაერებს მისი განვითარების განსაზღვრულ ეტაპს და ქანონმდებლადაც ევლინება მომავალი თაობის რომანისტებს.

მოხდა ისე, რომ ამ შესანაშაეი სპარსული რომანის ბედი იმთაეთვე დაუკავშირდა ქანრულ ლიტერატურას. უკვე XI საუკუნეში გორგანის პოემა ითარგმნა ქანრულ ენაზე პროზად. „ვისრამინის“ სახელწოდებით. ამ დიდოსტატური თარგმანის ავტორობას ლიტერატურული ტრადიცია სარგის თხოველს მიაწერს, თუმცა მთარგმნელის ვინაობა ზუსტად დადგენილი არ არის.

„ვისრამინი“ წარმტაცი სიუჟეტისა და თარგმანის მხატვრული ღირსების გამო მეტად პოპულარული გამხდარა საქართველოში. უკვე კლასიკური პერიოდის ქანრული თხზულებები, როგორცაა „აბდულმესიანი“, „თამარიაი“, „ისტორიანი და აზმანი შარაქანდლთანი“, „ეუფხისტყაოსანი“—ქანრად იცნობენ ამ ნაწარმოების გმირებს. „ვისრამინისადმი“ ინტერესი არც შემდეგ საუკუნეებში შეწლებულა. აღორძინების ხანაში მეფე-პოეტ არჩილს გაუღიქსავს პროზაული „ვისრამინი“. ვისისა და რამინის თაეგდასავალი მოთხრობილი აქვს აგრეთვე პოეტ თეიმურაზ მეორეს.

ეს მაღალმხატვრული, განსაკვირვებელი ოსტატობით შესრულებული თარგმანი იმთა-

ვითვე ჩაირიცხა ქართული სიტყვეთაშუალო მწერლობის ოქროს საგანძურში და შეუერთდა დღეს ჩვენთვის ცნობილ იმ მცირერიცხოვან ნაწარმოებთა რიგს, რომელთაც XII საუკუნეში სათავე დაუდეს ქართულ საერო მწერლობას. ამდენად, გარკვევის პოემის ქართული თარგმანი, ვარკვეული თელსაზრისით, საეტაპო მნიშვნელობისა აღმოჩნდა აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორიისათვისაც. ქართველმა მკითხველმა იმდენად შეიყვარა და შეისისხლსორცა ეს ნაწარმოები, რომ დიდხანს, თვით XIX საუკუნის გასულსაც კი მისი არაქართული წარმოშობის საკითხს ევევის თვალთა უყურებდნენ. ეს ევეია გამოთქმული 1884 წ. „ვისრამიანის“ პირველი გამოცემის სარედაქციო სტატიაში პ. უმიკაშვილის, ი. ჭავჭავაძისა და ალ. სარაჯიშვილის ავტორობით. ამ მხრივ საყურადღებოა იმავე წლის გაზეთ „დროების“ ერთ ნომერში გამოქვეყნებული ქრონიკა, რომელი იუწყება: „თბილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში „ვისრამიანის“ რედაქციას უპოვნია ნემეუროს თარგმანი ამ წიგნისა, რომელსაც მრავალი შენიშვნები აქვს წართული (იგულისხმება ორიენტალისტი ვ. გრაფის მიერ შესრულებული შემოკლებული გერმანული თარგმანი „ვის ო რამინისა“. — ი. კ.). ცხადია, რომ „ვისრამიანი“ რომელიმე აზიური ენიდან იქმნება გადათარგმნილი ნემეუროს ენაზე და თვით კომენტარიები და შენიშვნებიც მცოდნე ორიენტალისტიკაგან იქმნება ჩართული. სასურველი იქმნებოდა, რომ ეს წიგნი ნემეუროს მივლინეს შედარებინა ქართულის ტექსტისათვის და გადაეთარგმნა თვით შენიშვნები და კომენტარიები. ამით ნათელი მოუჩინებოდა ამ შენიშვნაში წიგნის ვითარებას და იქნებ ისიც განორკვეულიყო. როდის არის ის დაწერილი, ან ეისგან და რა ენაზე“.

საკითხი ქართული „ვისრამიანის“ წარმოშობის, დაწერის დროისა და ქართული თარგმანის დედანთან დამოკიდებულების შესახებ თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის უკვე პრობლემას არ წარმოადგენს. ეს საკითხები წარმატებითაა გადაწყვეტილი ნ. მარის, იუსტ. აბულაძის, ქ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, დ. კობიძის, მ. თოდუას, ა. ვეჯახაიას შრომებში.

„ვისრამიანის“ მნიშვნელობა მარტო ქართული ლიტერატურის ინტერესებითაც არ ამოიწურება. უკრ ერთი, აღსანიშნავია მისი როლი ამ ძეგლის პოპულარიზაციის საქმეში. ევროპელმა მკითხველმა „ვის ო რამინის“ სრული ტექსტი პირველად სწორედ

ქართული ევრსიით გაიცნო. როდესაც 1914 წ. ლონდონში გამოქვეყნდა ქართული „ვისრამიანის“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული ქართული ეკლტურის დიდი მეგობრის ოლივერ უორდროპის მიერ (1966 წ. გამოვიდა მისი მეორე გამოცემა). არსებობს ქართული ტექსტის ექსცერპტული რუსული თარგმანი, შესრულებული ბ. რუდენკოს მიერ (1938 წ.). 1949 წ. ს. იორდანიშვილმა გამოაქვეყნა „ვისრამიანის“ სრული თარგმანი რუსულ ენაზე (გამოიცა კიდევე ორჯერ). 1957 წ. შეიყვარაში დაიბეჭდა ქართული რედაქციის შემოკლებული გერმანული თარგმანი.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანს ენიჭება თვით სპარსული ტექსტის კრიტიკისა და დადგენის საქმეში. ეს როლი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ვის ო რამინის“ ჩვენამდე მოღწეული სპარსული ხელნაწერები ძალზე მცირე რაოდენობისაა და მეტისმეტად გვიანდელი ხანისა. ამ ხელნაწერთა ტექსტი ყამთა სელისაგან წარყვნილია და ხშირად საკმაოდ დაშორებული დედნის პირვანდელ სახეს. ასეთ ვითარებაში უკრ კიდევე XII საუკუნეში შესრულებული ქართული თარგმანი, რომელიც ტექსტობრივად შედმიწვევით ახლოს დგას თავის დედანთან, იქნეს პირველხარისხოვანი საკონტროლო ნუსხის მნიშვნელობას, ეინადიან მასში ბუნებრივად არქელილია „ვის ო რამინის“ გაცოლებით აღრეული და წარუყენელი ტექსტობრივი ვითარება, ვიდრე ჩვენამდე მოღწეულ სპარსულ ხელნაწერებში.

ამ მიზეზთა გამო ირანისტიკაში კარგა ხანია მწიფდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ქართული თარგმანის მონაცემებს ანგარიში გასწეოდა „ვის ო რამინის“ სპარსული ტექსტის კრიტიკისას. პოემის ერთ-ერთი გამოცემის რედაქტორი მოჯთაბა მინოვი, რომელიც ქართულ ვერსიას შემოსვენებული ინგლისური თარგმანით გაეცნო. 1935 წ. წერდა: „ეს ინგლისური თარგმანი უმრავლეს შემთხვევაში სიტყვათსიტყვით, ბეით-ბეით მისდევს სპარსულ ტექსტს და ძალიან სასარგებლოა სპარსული ტექსტის დადგენისა და გასწორებისათვის“. ანალოგიური შეხედულება გამოთქვეს ცნობილმა ირანისტებმა ვ. მინორსკიმ და საიდ ნაფისიმ.

ეს აზრი განსაკუთრებით განმტკიცდა 1962 წლის შემდეგ, როდესაც გამოცემულა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა „ვისრამიანის“

მეოთხე გამოცემა. აკად. გ. წერეთლის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და ვრცელი სამეცნიერო აპარატი (გამოცემელი, ვარიანტები, ლექსიკონი) დაურთეს ა. გვასარიამ და მ. თოდუამ. დღევანდელი ცნობილი ყველა ქართული ხელნაწერისა და დედნის სპარსული გამოცემების საგულდაგულო შეჯერების შედეგად ქართულმა მეცნიერებმა დაადგინეს არა მარტო ქართული ტექსტი. არამედ გამოავლინეს დიდძალი მასალა, რომელსაც სამსახური უნდა გაეწია სპარსული ორიგინალის აკადემიური ტექსტის მომზადებისათვის (იხ. თავი: „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის მნიშვნელობა სპარსული ტექსტისათვის, გვ. 495—612). სპარსული ტექსტის დადგენის საჭიროება კი აშკარად დღის წესრიგში იდგა. ვინაიდან ესოდენ მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლის კვლევას არ გახანდა მტკიცე ტექსტოლოგიური საფუძველი. მაინავე არსებული გამოცემები (ნასაულისისა, კალუკა, 1865; მ. შინოვისა, თეირანი, 1935; მ. მაქუჯებისა, თეირანი, 1959) ემყარება უშეტესად თითო და ზოგჯერ დუბლირებული ნუსხის მონაცემებს და, ამდენად, აკადემიურ ხასიათს არ ატარებდა.

ა. გვასარიამ და მ. თოდუამ დიდი მსახურადგებილი სამუშაო ჩაატარეს, ეიდრე უშუალოდ ტექსტის დადგენას შეუდგებოდნენ. მათ მოახერხეს ყველა ხელმისაწვდომი სპარსული ხელნაწერის ფოტოპირების მიღება (ოქსფორდის, პარიზის, სტამბოლის, ლონდონის — სრული, დუშანბესა და სამი თეირანული ფრაგმენტებისა), რასაც დაერთო წინა საში გამოცემის მიხედვით შედგენილი ვარიანტები, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში „ვის ო რამინის“ ტექსტის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებანი. მიუღ ამ ზღვა მასალაში კი გვის გასაჩვენებ საუკეთესო ორიენტირის, როგორც ითქვა, ქართული „ვისრამიანი“ წარმოადგენდა.

ამრიგად, შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ეს შესანიშნავი ძეგლი „ვის ო რამინი“, რომელმაც საქართველოში ძველთაგანვე პაოვა თავისი მეორე სამშობლო, — ფანჯასებელი და გამგები მკითხველი, დღეს ქართული მეცნიერების წიაღშივე აღორძინებული, განახლებული სახით დაუბრუნდა თავის ქვეყანას.

„ვისრამიანის“ მეოთხე ქართულ გამოქვამსთან დაკავშირებით 1964 წელს პროფ. დ. კობახიძე წერდა: „ამ სტრიქონების ავტორს ურს მალე იხილოს „ვის ო რამინის“ თუ ვის ო რამინს“ სპარსული ტექსტის ისეთი

გამოცემა, რომელშიც სპარსულთან ერთად ქართული ტექსტების მონაცემებიც იქნება გათვალისწინებული. იმედს არ ვკარგავ, რომ პროფ. იუსტიხე აბულაძის ჩანაწიქტის მისი მოწვევები განახორციელებენ“ (ოსუ შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, 1964, გვ. 18). დღეს ეს სურვილი ზენი მასწავლებლისა განხორციელდა. მაგალი თოდუამ და ალექსანდრე გვასარიამ: მოამზადეს ასეთი ტექსტი და 1970 წელს თეირანში გამოცემის კიდევ. ტექსტოლოგიურ სამუშაოებს მეცნიერული ხელმძღვანელობა გაუწია აკად. გ. წერეთელმა.

„ვის ო რამინის“ ახალი, მეოთხე გამოცემა გამოვიდა „ირანის კულტურული ცენტრის“ („მონიადე ფარსანჯე ირან“) სერიაში მისი დირექტორის დოქტორ ფ. ხანლარის ინიციატივით. გამოცემა განხორციელდა საკავშირო, საქართველოსა და ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიების თანამშრომლობით. წიგნს წამძღვარებელი აქვს აკად. გ. წერეთლისა და რედაქტორის, ტაჯიკი მეცნიერის კ. აინის შესავალი წერილები. მ. თოდუას ნარკვევი „ვის ო რამინის“ სიუჟეტის თაობაზე, აგრეთვე გამოცემულთა წინასიტყვაობა, რომელშიც დახასიათებულია გამოცემის პრინციპები და გასწორებათა ტანები. მეთოტანთ რამდენიმე მკვლელის თვით წიგნიდან, რათა ნათელვეოთ ახალი გამოცემის ღირსება და ხასიათი.

როგორც ითქვა, ქართული თარგმანი შესაძლებლობას გვაძლევს ავიჩინოთ სხედახსნა სპარსულ ნუსხებში წარმოდგენილ ვარიანტთა შორის უკეთესი წაკითხვა:

1. ადრინდელ გამოცემებში (მაქუჯბი, შინოვი) იკითხება:

که و مه راست باشد نزد ایشان
(მ. 41) شب بچشم کور یکسان

„მეიჩე და დიდი სწორია მათთვის, ვით დღე და ღამე ერთია ბრმის თვალში“

„„ვისრამინის“ („მათთვის“) ნაცვლად ოქსფორდისა და სტამბოლის ნუსხებში გვაქვს „ნადან“ („უციცი“). ქართულ „ვისრამიანში“ შესატყვისად იკითხება: „დიდი და მცირე სწორად უნს უმეცარსა. ვითა ბრმისა თუალსა დღე და ღამე სწორი არის“ (46,2). ცხადია, ახალ ტექსტში აღდგა უფრო გამართული წაკითხვა — „ნადან“ (61, 166).

2. წინა გამოცემებშია:
(მ. 86) کار خویش در خوین اسیر

„ჩემ საქმეში ასეთი ტყვე ვარ“
 კალკუტის ტექსტში „ბეკარეს“ („საქმე-
 ში“) ნაცულად გვაქვს „ბეჯანე ხიმ“ („ჩემ
 სულში“). სტამბულის ნუსხაში კი იკითხება „ბეხანე ხიმ“ („ჩემ სახლში“),
 რასაც ადასტურებს ძველი ქართული თარგ-
 მანი: „თავისა სახლსა შიგან მყოფი
 ტყუესა ეკავ“ (76, 29) და რაც უფრო კარ-
 გად ეთანხმება შინაარსს. ასეც გასწორდა
 იგი ახალ გამოცემაში (121, 147).

3. ...ვისი მოთქვამს თავისი ბეჩავი მდგო-
 მარეობის გამო. ყველა სპარსულ გამოცემა-
 ში (მათ შორის კალკუტისაშიც) გვაქვს ასე-
 თი ბეითი:

همان بادی که آرد بوی گلزار
 (მ. 291) همی آرد بمن بر بوی گلزار
 „იმავე ქარს, რომელსაც ვარდნარის
 სურნელი მოაქვს.

ჩემთვის ბოჭყელის ყვავი-
 ლის სურნელი მოაქვს“

მეორე ნახევარი ბეითისა აზრს არ ესადა-
 გება, რადგანაც კონტექსტის მიხედვით აქ
 ვისს ქარი მტრად უნდა ესახეოდეს. ქარ-
 თულ „ეისრაიანში“ შესატყვისი ადგილი გა-
 მართულია: „ქარი, რომელ ნიადაგია, იგი
 კაცთა ვარდისა სუნსა შოართუამს, მაგრა
 მე მოყუარისა სუნსა არაოდეს
 შოართუამს“ (226,5) მართლაც, სტა-
 მბოლის ნუსხაში აღმოჩნდა ზუსტად ასეთი
 შინაარსის ვარიანტი:

همی نارد به من بوی تن یار
 არ მოაქვს ჩემთვის სატრფოს
 სხეულის სურნელი“.

ასე ეს ადგილი გასწორებული ახალ გამოცე-
 მაში (401,66).

გამოცემის ავტორები სპარსულიდან ერი-
 დებიან მხოლოდ ქართული ტექსტის მიხედ-
 ვით სპარსულის სწორებას. ამიტომ მთელ
 რიგ შემთხვევებში, როდესაც ქართულის წა-
 კითხვას მხარდაჭერა არ ეძებნება სპარსულ
 ნუსხებში, იგი ვარიანტადაა ჩატანილი სქო-
 ლიონში, თუმცა ზოგჯერ მხოლოდ ქართული
 ვერსია იძლევა საინტერესო გასწორებას.

არანაყოფი მნიშვნელობა აქვს ქართულ
 ტექსტს ინტერპოლაციების განსაზღვრის საქ-
 მეში. ადრინდელმა გამოცემლებმა თუ გა-
 დამწერებმა ამოიღეს მთელი რიგი ბეითები,
 რომელნიც გვიანდელ ჩანართებად მიიჩნიეს,
 შამინ როდესაც ისინი შემოუნახავს უძველეს
 ქართულ თარგმანს. ახალ გამოცემაში მრავ-
 ლი ასეთი ადგილია აღდგენილი:

1. ადრინდელ გამოცემებში სრულიად მო-
 ულოდნელი იყო გადასვლა მოაბადის მეფე-
 ბის აღწერიდან ლხინზე. სპარსული ხელნა-
 წერებისა და ქართული თარგმანის საფუძველ-
 ზე აღდგა დიდი ფრაგმენტი (18 ბეითი), რომ-
 ლშიც იხსენიება მეფის სახელი და შემზა-
 დებულია ნიადაგი ნაეროზობის აღწერისათ-
 ვის (31,4—33,21).

2. ვისის ერთ-ერთ წერილში წინა გამო-
 ცემების მიხედვით იკითხება ერთი ასეთი
 ბეითი:

نه تو آنی که بر من فتنه بودی
 (მ. 275) چو برگ دی می پژمرده بودی
 „შენ ის არა ხარ, ჩემით მოხიბლული
 რომ იყავი,
 დეკემბრის თვის ფოთოლივით დამჭენა-
 რი იყავი?“

შესაბამის ადგილას ქართულ ტექსტში განსხ-
 ვაებული, თანაც გაცილებით ვრცელი ფრა-
 გმენტი იკითხება: „აღარ იგი ხარ,
 რომელ ჩემი მიჯნური იყავი,
 ჩემისა ნახვისათვის ასზე გსურდა, ვითა წყა-
 როსათვის ირემისა? აღარ იგი ვარ, რომელ
 შენად მზედ გიჩნდი და ამა პიურთოსა ში-
 გან შენად ლხინად, სიხარულად და იმე-
 დად მხედვიდი? და შენ აღარ იგი ხარ, რომ-
 ლე საჩემოდ მკუდარი იყავ და ვითა დან-
 ქარული ფურცელი და მჭენარ
 იყავი?“ (217,11). როგორც უხედავთ,
 სპარსული ტექსტი ემთხვევა ქართულის და-
 საწყისსა და დასასრულს. ორში ერთი: ან
 ქართულმა მთარგმნელმა განაერცო ბრწყინ-
 ვალედ ორიგინალი, ან თვით სპარსულშია
 ბეითები ამოვარდნილი და შექანიურად შერ-
 წმული სხვადასხვა ბეითების პირველი და
 მეორე ნახევარი. სტამბულის ნუსხამ დაამ-
 ტყცა მეორე ვარაუდი და შესაძლებელი გა-
 ხადა სპარსული ტექსტის ასეთი აღდგენა:

نه تو آنی که بر من فتنه بودی
 [به دیدارم همیشه تشنه بودی]
 [نه من آنم که خورشید تو بودم]
 [به گیتی کام و امید تو بودم]
 [نه تو آنی که بی من مرده بودی]
 چو برگ دی می پژمرده بودی
 (379, 17—380,19)

შენ ის არა ხარ, ჩემით მოხიბლული რომ
 იყავი,
 (ჩემი ნახვის გამუდმებით მწუკრავლი
 იყავი?)

(მე ის არა ვარ, შენი მზე რომ ვიყავი).
(ამ ქვეყნად შენი იმედი და სურული
ვიყავი?)
(შენ ის არა ხარ, უჩემოდ რომ მკედარი
იყავი).
დეკემბრის თვის ფოთოლივით დამშვენა-
რი იყავი?)

გაიმართა აზრი, დაიხვეწა მსატერული
მხარე (რითმა: არა „ფითნე-ფაემორდე“.
არამედ „ფითნე-თაშნე“ და „მორდე-ფაემორ-
დე“), უფრო ზუსტი და აშკარა გახდა ქართ-
ული მთარგმნელის გასაოცარი ოსტატობა.

3. როდესაც რამინმა ზარდი მოკლა, სი-
ნანულმა შეიპყრო წამით. სპარსულ გამო-
ცემებში იკითხება:

همی گفت ای مرا فرخ برادر
مرا با جان و با دیده برابر (მ. 368)

„მოთქამდა: ო, ჩემო ძმავ სვიანო,
ჩემთვის სულისა და თვალის სწოროს“.

ქართულ ტექსტში რამინის სინანული გაცო-
ლებით უფრო მკვერამეტყველია: „მოთქემა
დაიწყო: „ეაგლახ მე, ჩემო ძმავ სვიანო და
სულთაებრ საყუარელო! რაზომცა შენ დამ-
მტერებოდი, რად არ აუღდეგ გულსა წინა?
რად მოგკალ? ქელნიმცა ვინ გარდამჭრნა
და თავიმცა ვინ მომკუეთა? ეით მოგკალ
შენებრი ძმა, რად ამოვიყარენ თვისითა
ქულითა თვალნი? რაზომცა დიდი სიხარუ-
ლი ეპოვო და დიდება მომხუდეს, შენებრ
ძმასა ვერცა ვგრე ეპოვებო“ (289,30).

პარიზის ნუსხის გარდა, რომელსაც ვერ-
დნობა ადრინდელი ორი თეირანული გამოცე-
მა, ყველა დანარჩენ სპარსულ ნუსხაში იკი-
თხება ქართულ „ვისრამიანში“ წარმოდგე-
ნილი ფრაზების შესაბამისი ბეითები. ცხა-
დია, გამომცემლებმა კელავ აღადგინეს
ასინი თავიანთ უფლებებში:

به خنجر باد دست من بریده
به زوبین باد ناف من دریده
چرا چون تو برادر را بکشم
که بشکستم به دست خویش پشتم
اگر یابم هزاران زر و گوهر
کجا یابم دگر چون تو برادر
(512, 25—27)

ხანჯლით უნდა წარმეკეთოს მე ხელი.
შუბით უნდა დამეფლითოს მე უკე.
რატომ მოვკალი შენისთანა ძმა,
გადავიმსხვრეე ჩემი ხელით ზურგი.
ათასობით რომ ვპოვო ოქრო და მარგა-
ლიტი.

სად ვპოვებ სხვა შენებრ ძმას?

მაგალითების გამარაგლება შეიძლებოდა.
მათი რიცხვი ძალზე დიდია. ეს გასწორე-
ბანი, ცხადია, სხუადანსხვა ზასიათისა და
მნიშვნელობისაა. მეტიც, ცალკეული მათ-
განი შეიძლება არ იჩუმუნოს დაეჭვებულმა
მეითხველმა. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ეს
არის პირველი გამოცემა, რომელსაც თან
ახლავს მკვლევართა ხელთ არსებული ყველა
მასალის მიხედვით შედგენილი ვარიანტები.
რაც მთავარია, სქოლიოში ზუსტი თარგმა-
ნის სახით წარმოდგენილია ქართული ვერ-
სიის ყველა საგულისხმო მონაცემი, ასეთი
შეცნორული აპარატი მკვიდრ საფუძველს
უქმნის მომავალ მკვლევარებს შემდგომი
მუშაობისათვის.

„ეის ო რამინის“ პირველი კრიტიკული
ტექსტის მომზადება ქართველი ირანისტების
დიდ მიღწევას წარმოადგენს. მისი ირანში
გამოქვეყნება ამ მიღწევის საერთაშორისო
ალიარებაა.

ინგა კალაძე

ქრონიკა და ინფორმაცია

ღვინელოლოგი

ჟურნალ „ბადი ქართლისას“ რედაქტორის დაბადების 70 წლისთავი*

1971 წლის 28 აგვისტოს ქართველოლოგიური ჟურნალის („ბედი ქართლისა“) რედაქტორსა და დამაარსებელს პროფესორ კალისტრატე სალიას 70 წელი შეუსრულდა.

ამასთან დაკავშირებით ჟურნალის სამეცნიერო სამბჭო გამოსატყავს მისდამი დიდ პატივისცემას და უსრულებს ხანგრძლივ მოღვაწეობას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია უცხოეთში ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური კვლევა-ძიებისათვის.

ჩვენ არ ვივინჯებთ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ უცხოეთში ქართველოლოგიით სერიოზულად დაინტერესებულ პირთა რიცხვი უმნიშვნელო იყო. როგორც ცნობილია, მსოფლიოს წინაშე საქართველო არ იყო წარმოდინებული ისე, როგორც შეეფერება მის ისტორიას, წარსულისა თუ დღევანდელი მდგომარეობის კულტურულ სიმდიდრეს.

დღეს მდგომარეობა მკვეთრად და შეცვლილი. უფრო და უფრო მეტი ევროპელი და ამერიკელი მეცნიერი სწავლობს საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ენას, ლიტერატურას, ისტორიასა და ხელოვნებას. ქართული ენა და ლიტერატურა მრავალ უნივერსიტეტში ისწავლება. კავკასიურ ენათა კვლევა-ძიება ყველგან ვითარდება. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ჟურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორმა, რომელიც წელს დაბადების 70 წლისთავს შეიშობს. კალისტრატე სალიამ 15 წლის წინათ საფუძველი ჩაუყარა „ბედი ქართლისას“. მან შექმნა ჟურნალის ირგვლივ ყველა ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის შემოკრება, საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის აუცილებელი კონტაქტი დაამყარა და მეცნიერთა ინტერესი გააღვიძა ამ ლეგენდური და მომხიბლავი ჰეგონის ყოველმხრივი შესწავლისადმი.

კალისტრატე სალია ვანუწყებელიც ზრდიდა ჟურნალის მოკვლევას, უკეთ წარმოაჩინებდა მას და განამტკიცებდა მის მაღალ მეცნიერულ დონეს. თავდაპირველი 64-გვერდიანი ჟურნალი მან გადააქციაა ანთრამორისო სახელის მქონე დიდ სამეცნიერო ორგანოდ, რომელიც მეცნიერულ სამყაროში აღიარებულია უცხოეთში ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის აუცილებელ ბეჭდვით ორგანოდ.

კალისტრატე სალია ჯეროპისა და ამერიკის სამეცნიერო ჟურნებს აცნობს იმ მეცნიერულ მუშაობას, რომელიც წარმოებს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიებსა და უნივერსიტეტებში, ჩრდილო კავკასიის ინსტიტუტებში. ჟურნალში თანამშრომლობენ ამ ქვეყნების განოჩენილი მეცნიერები. რეგულარულად ქვეყნდება მათი ნაშრომების ჩინოხილვები და ბიბლიოგრაფიები.

ასევე უნდა აღინიშნოს თვითონ კალისტრატე სალიას მნიშვნელოვანი შრომები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. ჩვენმა კოლეგამ და მეგობარმა კალისტრატე სალიამ ამ შედეგებს მიღწევა გასაოცარი თავგანწირვითა და უსრუტე ენერგიით, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დახმარებით, რაც ამ მაღლივებით უნდა აღვნიშნოთ.

არ შეგვიძლია იუბილარის ღვაწლს არ დაუკავშიროთ მისი მუულის ნინო სალიას სახელი, რომელიც პირველი დღეებიდანვე ბურჯად შეუდგა ჟურნალს და ამასთანავე მის ფურცლებზე აქვეყნებს სტატიებს. ორივე მოღვაწე დიდი მსხვერპლის ფასად ღირსეულად ასრულებს მძიმე ამოცანას.

ისინი ღირსნი არიან მაღლობისა მეცნიერთა სამყაროსა და მათი ნშობილური ქვეყნისაგან, რომელსაც ერთგულად და თავდადებით ემსახურებიან.

ივლიუს ასშაღლი — მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი; **ჟურარ ბარბიტი** — ლუკენის უნივერსიტეტის პროფესორი; **შრანსი მარაშანი** — პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი; **რენე ლაშონი** — ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი; **დანიელ მარსალ ლანდი** — ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი; **იონი მელნიკოვი** — სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი; **შარლ მარსინი** — პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი; **ჟოზეფ შოლიტორი** — ბამბერგის უნივერსიტეტის პროფესორი; **ბარბარუდ ანჩი** — იენის უნივერსიტეტის პროფესორი; **პარლ კორსტ შმიდტი** — ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი; **პანს ფოქტი** — ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.

* „რევეუ დე ქართველოლოგი“, პარიზი, 1971, ტომი XXVIII, გვ. 7—8.

ანტონ ბაგრატიონისადმი მიძღვნილ სისიზუზე

1971 წლის 10 მარტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსდომათა დარბაზში შედგა სესია, მიძღვნილი მე-18 ს-ის ლეაწლ-მოსილი ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის ანტონ ბაგრატიონის (1720—1788) მეცნიერული მემკვიდრეობისადმი. სესია ორგანიზებული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნებისმეტყველებლსა და ტექნიკის ისტორიის საბჭოს მიერ.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ვიცე-პრეზიდენტმა რ. დვალმა. მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობის ყველა სფერო, დაახასიათა იგი როგორც მრავალმხრივ ერუდირებული მოაზროვნე და ნაყოფიერი მოღვაწე.

ანტონ ბაგრატიონის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის საკითხი გააშუქა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. შ. დუმბაძემ. მან აღნიშნა, რომ ანტონის საქმიანობა და პოზიცია ამ დარგში უდავოდ პროგრესული იყო. იგი, ერთგულ მეორის უახლოესი თანამებრძოლი, ქრისტიანული ეკლესიის შესაქუ-კათალიკოსი, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის იბრძოდა. მისი იდეალი იყო პოლიტიკურად მთლიანი საქართველოს ხილვა. ცდილობდა რა ჰქეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, ანტონი თავგამოდებით ებრძოდა სოციალურ სენს — ტყვეებით ვაჭრობას. საქართველოს გაძლიერების მთავარ პირობად მას მიაჩნდა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და მისი მფარველობა. ანტონის აქტიური მონაწილეობით შემუშავდა კიდევ რუსეთთან სამფარველო ურთიერთობის ძირითადი პირობები, რაც საფუძვლად დაედო 1783 წლის ცნობილ ტრაქტატს.

ანტონ ბაგრატიონის ფსიქოლოგიურა განსწავლულობის შესახებ თავისი შეხედულებები მსმენელთა გაუზიარა საქართველოს სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ა. ფრანგიშვილმა.

მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარების მიხედვით ფილოსოფიისა და საერთოდ მეცნიერების დარგში მოღვაწეთა პროგრესული მნიშვნელობა, მომხსენებლის აზრით, ძირითადად იმაში მდგომარეობდა, რომ მათ დაძლეეს სქოლასტიკის ტრადიციები. ფილოსოფია და მეცნიერება გაათავისუფლეს თეოლოგიის სამსახურიდან. ანტონ ბაგრატიონის ლეაწლი ამ მხრივ განუზომელია. მას მეცნიერება ესმოდა, როგორც ცოდნა „თავის თავში დასაბუთებული“ სინამდვილის შესახებ. მან შექმნა კიდევ ამ პრინციპზე აგებული მეცნიერების სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოები, სისტემატური კურსები (ფიზიკა, რიტორიკა, გრამატიკა და სხვა). მაგრამ ანტონისა და მისი სკოლის განმანათლებლობა არ განვითარებულა იდეალისტურ-რელიგიური ფილოსოფიის ბოლომდე წამდვილი გადალახვის მიმართულებით. ეს მომავალი თაობის საქმე იყო.

ანტონ ბაგრატიონი, როგორც პროგრესულად მოაზროვნე განმანათლებელი და ათეისტურ საფუძველზე აგებულ ნაშრომთა ავტორი წარმოგვიდგინა აგრეთვე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ვ. პარაკაძემ მოხსენებაში — ანტონ ბაგრატიონის შეხედულებანი ფიზიკაში — მომხსენებელმა საზგასმით აღნიშნა, რომ ანტონ ბაგრატიონმა ემიგრაციაში ყოფნის დროს ქართულ ენაზე თარგმნა მსოფლიოში განთქმული ათეისტის, მე-18 ს-ის ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის ქრისტინან ეოლერის ფიზიკა, მამინ როცა ქართულ ენაზე არსებობდა თეოლოგიურ პრინციპებზე დამყარებული ფიზიკის არაერთი სახელმძღვანელო. თავის კომენტარებში ანტონ ბაგრატიონი ამკარად გამოიხატის ღმერთით და გაბედულად აღნიშნავს: ჰქეკა-ქუხილის დროს ღმერთი არაფერ შუაშია, ზოლო მსოფლიო მიზიდულობის მიზეზი მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობიაო.

ანტონ ბაგრატიონის დამსახურება მე-18 ს-ის სახალხო განათლების საქმეში ვრცლად წარმოგვიდგინა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ა. როგავამ. მან აღნიშნა:

პირველ რიგში ანტონის უდიდესი ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მოაზროვნის შრომებითა და მისი მოღვაწეობით იწყება საქართველოში ღვთისმეტყველების განუყოფელი ბატონობის წინააღმდეგ მიმართული განმანათლებლობის მიმდინარეობის ჩასახვა და განვითარება. ანტონის პრინციპული დებულებები ედო საფუძვლად მის პრაქტიკულ მოღვაწეობას სასკოლო განათლების დარგში. როგორც ცნობილია, მან დააარსა თბილისისა და თელავის სემინარიები.

ანტონ ბაგრატიონი, როგორც ფართო მასშტაბის მოღვაწე, განუზომლად ნაყოფიერი მწერალ-მწიგნობარი, დაახასიათა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა რ. ბარამიძემ. ავტორის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მომხსენებელმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო თხზულებას „წყობილსიტყვაობა“, რამდენადაც აქ არის ცხად ბევრი ქართული მწერლობის სისტემატიური მიმოხილვისა. ანტონი მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენს მდიდარ მწერლობას, მთ შორის შოთა რუსთაველს. წიგნი შეიცავს ბევრ სანდო ცნობას საქართველოს ისტორიიდან, ამდენად მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიის მრაველი საკითხის გარკვევისათვის. დიდია ანტონის ღვაწლი ქართული პოეზიის განვითარებაში. იგი, როგორც პროგრესულად მოაზროვნე, გამოსჭვივის მისი პოეტური მემკვიდრეობიდანაც. პოეზიაში იგი ავითარებს სამოქალაქო მოტივებს, ეხმარება თანამედროვეობის საჭირობორთო საკითხებს. ანტონის დამსახურებად ითვლება აგრეთვე ვერსიფიკაციული სიახლის შეტანა იამბიკებში, არსებულისგან საგრძნობლად

განსხვავებული იამბიკური საზომის მქონე ლექსების შექმნა.

ანტონ ბაგრატიონის ჯაციოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ მსმენელებს ესაუბრა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ქვეთარია. მან დაახასიათა ანტონი როგორც ავტორი ჯაციოგრაფიული ნაწარმოებებისა — „ცხოვრება ნეოფიტე უბნელისა“, „წამება ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ მეფისა“, აგრეთვე „მარტიოკასი“, სადაც მოკლედ არის მოცემული 19 ქართული წმინდანის ცხოვრება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობა ამ სფეროშიც საკუთრადღებო და ანგარიშგასაწევიან.

ანტონ ბაგრატიონის ღვაწლის შესახებ გრამატიკული აზროვნების სფეროში სიანტურესო მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ბაბუნაშვილმა. მან წარმოვედიგინა ანტონი, როგორც პირველი სრული სასკოლო გრამატიკის ავტორი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია შემდგომ დროის გრამატიკოსებზე (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა). მნიშვნელოვანია, მომხსენებლის აზრით, ის გარემოება, რომ ეს არის ძველი ქართული ენის პირველი გრამატიკა, სადაც გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციისას ძველი ქართულის ენობრივი მასალა არის გათვალისწინებული. ანტონ ბაგრატიონმა, მიუხედავად უცხო ენათა გრამატიკების გავლენისა, შეძლო შეენიშნა და აღწუნსა ქართული ბრუნება-ბუნებულებისათვის ნიშანდობლივი მნიშვნელოვანი თავისებურებანი.

მერი გოგიჩაიშვილი

ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს სესიაზე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო (თამაჯღომარაე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. შარაძე). არსებობის არცთუ დიდი ხნის მანძილზე ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერება თანამშრომლებმა უკვე რამდენიმე საინტერესო ღონისძიება განახორციელეს. მიმდინარე წლის 18—19 მარტს ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ მოაწყო სამეცნიერო სესია, რომელიც მიედრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობასა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავს. სესიაზე წარმოდგენილი იყო

ქართული ლიტერატურისმცოდნეობის თითქმის ყველა დარგი: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, რუსთველოლოგია, ფოლკლორისტიკა, ლიტერატურული ურთიერთობანი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა...

„უფსიხიკაონისის უნგრელი მთარგმნელები“ — ასეთი იყო. ჯ. გავნიძის მოხსენების თემა. ახალგაზრდა სპეციალისტმა, რომელიც პრაქტიკულად ფლობს უნგრულს, საკმაოდ შრომატევადი სამუშაო შეასრულა უნგრულ ენაზე რუსთველის პოემის თარგმნის ისტორიის სრულყოფილი სურათის აღსადგენად (ბელა ვიკარის, იშტვან კომიატის, შან

დორ ვეორემის, არაბად ზემლენის, იოჟეფ ფარაგოს, იოჟეფ რომანის სრული თუ ნაწილობრივი მხატვრული თარგმანები). ჯ. გაგნიძის დაკვირვებით, ბელა ვიკარს ვეფხისტყაოსნის უნგრული ბჭყარედის მომზადებაში დასმარება გაუწვია ესპერანტისტმა გიორგი ცისკარაულმა და არა გიორგი წიკლაურმა, როგორც აქამდე იყო მიჩნეული.

გ. შარაძის მოხსენება „ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული (S-5006) ხელნაწერის ნოტივერთი საკითხი“ მიუძღვნა პოემის ამ ერთი საყურადღებო ნუსხის არქეოგრაფიულ გამოკვლევას. ირკვევა, რომ S-5006 ხელნაწერში ჩართული მინიატურები (ხელ 87), გარდა ერთისა, რომლებიც მე-17 საუკუნის 50—70 წლებში ყოფილა შესრულებული, ვეფხისტყაოსნის ადრინდელი დასურათებული ხელნაწერიდან არის ამოღებული. მინიატურათა ქართულ მინაწერებს შემოუნახავს იმ თავდაპირველი ხელნაწერის უარსებელი ჩვენებანი, რომლებიც განსხვავდებიან S-5006-ის შესაბამის ადგილთა წაკითხვებისაგან და, ამდენად, პოემის კიდევ ერთი ეასტანგამდელი ხელნაწერის მნიშვნელობას იძენენ.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის მეცნიერული მემკვიდრეობა ფოლკლორისტული თვალსაზრისით დაამუშავა მ. კოჭლაეაშვილმა. მან წარმოადგინა პ. იოსელიანის მიერ ჩაწერილი ზეპირი თქმულებები. ლეგენდები, გადმოცემები, გამოცანები, რომლებიც დღემდე უნიკალურ მნიშვნელობას ინარჩუნებენ.

თეორიული ხასიათის მოხსენებები ქონდათ ა. ვასაძეს, ზ. აბზიანიძეს, ნ. უბილაეასა და ნ. ანდრონიკაშვილს, რომლებმაც წარმოაჩინეს ა. ყაზბეგის, გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, ლორკას შემოქმედების ბევრი საინტერესო მხარე.

ბ. დარჩიამ მოხსენებაში რედაქციული თვალსაზრისით დაახასიათა 1880 წელს ჟურ-

ნალ „ივერიაში“ პ. კარბელაშვილის მიერ გამოქვეყნებული ვეფხისტყაოსნის გაგარტლებები. ავტორის დასკვნით, პოემის დღედღეობით ცნობილ ნუსხათაგან არც ერთი არ არის პოემის გაგარტლებათა დასახელებული პუბლიკაციის დედანი.

„ალექსანდრიანის“ არჩილისეული თარგმანის საკითხს შეეხო რ. შირიანაშვილი. მისი დასკვნით, არჩილისეული თარგმანი ძირითადად მისდევს რუსულ „ალექსანდრიანს“, მაგრამ იგი მაინც ერთგვარ თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს.

ჯ. ჭელიძემ განიხილა ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი მე-19 საუკუნეში. აღსანიშნავია, ნ. ბარათაშვილის და სხვა ქართველი რომანტიკოსების (მ. თუმანიშვილი, ს. რაზმაძე, გ. ერისთავი) დაინტერესება პოლონური ლიტერატურით (ა. მიცკევიჩი, ლ. ზაბლოცკი). თავის მხრით, აღსანიშნავია, ალ. ხოქოს ნაშრომი ვეფხისტყაოსანზე და გ. ერისთავის თანაშრომლობა პოემის ლაპინსკისეული თარგმანის მომზადებაში.

სამეცნიერო სესიაზე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ აგრეთვე ინსტიტუტის ასპირანტები გ. ჭოხონელიძე და თ. დოიაშვილი (მხატვრული ენისა და პოეტიკის საკითხებზე).

კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა მ. ჩიქოვანმა, მ. დუდუჩავამ, პ. შარიამ, იე. ლოლაშვილმა, დ. ლაშქარაძემ, სინთიბიძემ.

სესიის მუშაობა შეაჯამა ინსტიტუტის დირექტორმა აკად. ალ. ბარანიძემ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა მეცნიერთა მოხსენებებს.

იხოლდა წაჭამე

ახალი წიგნები

გამომცემლობა „მეცნიერება“

აღ. ბ ა რ ა შ ი ძ ე , ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V.

ნარკვევების მეხუთე წიგნიც სამეცნიერო ნაწარმოების კრებულს წარმოადგენს. იგი ძირითადად მოიცავს ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდს (რუსთაველის ეპოქას). ნარკვევების ამ წიგნში უმთავრესი ყურადღება ეთმობა რუსთაველოლოგიურ, პრიბლემატიკას. აქ განხილულია ისეთი ნაკლებდამუშავებული საკითხები, როგორიცაა ქართული საერო ლიტერატურის რუსთაველამდელი და რუსთაველის დროინდელი ძეგლების უანრობრივი რაობა, ვეფხისტყაოსნის ლიტერატურული ეპიკის დახასიათება. რამდენიმე ნარკვევში კრიტიკულადაა გარჩეული უახლესი სამეცნიერო რუსთაველოლოგიური ლიტერატურა. რიგი ნარკვევი აშუქებს გვიანფოთლური ხანის ქართული მწერლობის სხვადასხვა საკითხს. რიგი წერილი გეოთეალისწინებს ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილი მკვლევრების (ნ. შარის, ალ. ცაგარლის, ე. თაყაიშვილის, ა. შანიძის) სამეცნიერო მოღვაწეობას (398 გვ., ფასი 1 მან 96 კაპ., ტირაჟი 2000).

მ. თ ო დ უ ა , ქართულ-სპარსული ეტიუდები

წიგნში პირველადაა გამოშვებული ირან-საქართველოს ევლტურული-ისტორიული ურთიერთობის ამსახველი ზოგი მასალა, აგრეთვე სპარსული ლიტერატურის კლასიკოსების დღემდე უცნობი ნაქუშები (280 გვ., ტირაჟი 3 000, ფასი 1 მან. 43 კაპ.).

ძ ლ ის პ ი რ ნ ი და ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ლ ის ა ნ ი , ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით

გამოსცა და გამოკვლია დაურთო ელენე მეტრეველიშვილი. რედაქტორი ალ. გამყყრელიძე. წიგნში ქვეყნდება ქართული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ორი უძველესი რედაქციის ტექსტები ბერძნული პარალელებით. „ძლისპირნის“ პირველი რედაქცია KaO ტი-

პისაა და შეიცავს კოშმა იერუსალიმელისა და იოანე დამასკელის ძლისპირთა 8 აკოლუთიას (64 ძლისპირს). გამოცემულია ეს რედაქცია X საუკუნის შუა წლების უნიკალური ხელნაწერით (Sin. 34). მეორე რედაქცია OdO ტიპისაა, შეიცავს 403 ძლისპირს და გამოცემულია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით.

ტექსტებს უძღვის გამოკვლევა, რომელშიაც განხილულია ქართული „ძლისპირნისა“ და ბერძნული ირმოლოგიონის შესწავლის ძირითადი საკითხები, ქართული „ძლისპირნის“ რედაქციები, თარგმანის თავისებურებანი, ბერძნულსავე უკარტული ირმოლოგიონების ურთიერთიმართება და სხვ.

ერთვის გამოცემისათვის გამოყენებულ ხელნაწერთა აღწერილობა და ქართულ-ბერძნული და ბერძნულ-ქართული ძლისპირების საქმიელები. წიგნს ახლავს აგრეთვე ვრცელი რუსული რეზიუმე (300 გვ., ფასი 2 მან. 52 კაპ., ტირაჟი 1 000).

მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიის ნარკვევები, კრებული I

რედაქტორი ბ. ქ ე ლ ნ ტ ი . ნარკვევში განხილულია ქართული რევოლუციამდელი ლირიკის ძირითადი ტენდენციები, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის განმტკიცება ქართულ პოეზიაში და საბჭოთა ლიტერატურის მდიდარი შემკვიდრება. ნარკვევებში აგრეთვე იმეკდება მონოგრაფიული გამოკვლევები გამოჩენილ ქართველ პოეტებზე (225 გვ., ფასი 99 კაპ., ტირაჟი 1 000).

ტექსტოლოგიის საკითხები, II
რედაქტორი ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი .

წიგნში დაბეჭდილია ნარკვევები ტექსტოლოგიური მუშაობის შესახებ XIX საუკუნის საქართველოში და გამოცემათა სახეებზე, ლიტერატურული პორტრეტები მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართულ ტექსტოლოგებსა და რედაქტორ-გამომცემლებზე, დახასიათებულია მათი ღვაწლი ქართული ტექსტოლოგიის ისტორიაში (182 გვ., ფასი 1 მან. 11 კაპ., ტირაჟი 600).